# გზა

## ფენომენი



















## 17 ტყვია, 20 ოპერაცია — ის გაგრის მორგში იპოვეს



# ბიბლია-ბიბლუსში!

სტუდია „სანო“
და გოგი ხარაბაძე
წარმოგიდგენთ!

ბიბლიის პირველ სრულ აუდიოვერსიას ქართულ ენაზე!

**ბიბლუსი** Books

ბიბლია-მხოლოდ ბიბლუსის
წიგნის მაღაზიებში

**თბილისი** რუსთაველის 40/1
ალმაშენებლის №121
იოსებიძის №49

**ბათუმი** მემედ აბაშიძის №62
ზ.გამსახურდიას №18

**ზუგდიდი** რუსთაველის №92

**სენაკი** რუსთაველის №241

**ფოთი** ფარნავაზ მეფის №12

**ქუთაისი** ლ.ნუცუბიძის №1

**სამტრედია** სააკაძის №6

**ხაშური** რუსთაველის №69

**დუშეთი** რუსთაველის №11

ბიბლიის შეძენა აგრეთვე შეგიძლიათ ინტერნეტ მაღაზიაში

www.elva .ge






გაშვებული შანსი

ბზე ვნილები



ხელოვნური ინტელექტი ბუნებრივ სისულელესთან ვერ მოვა.



გონიერი მკითხველი

39

# „იქით ვაბამ კაცებს“



„რატომღაც გადავწყვიტე, რომ ჩემი პირადი ცხოვრება გამოვამზეურო. „მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი“ — ასე ერქმევა წიგნს, რომელიც სექტემბრისთვის, სამ ენაზე (ქართული, რუსული, ინგლისური) გამოვა“.

28

# ორი მუზის მსახური



„ნინო „სარდაფიდან“ მეც მახსოვდა და მომწონდა. როდესაც კასტინგზე დავინახე, ის ემოცია განმიახლდა. შემდეგ ჩვენი ურთიერთობა თანდათან გაღვივდა და დღეს ის ჩემი მეუღლეა“.

20

№26 (472)
25 ივნისი – 1 ივლისი, 2009 წ.
ფასი 1 ლარი

■ მინიატიურები
„თეთრი ქალი (კაცი) მიყვარდა, შავის გვერდით დამსვეს...“ 5
■ შხეფები
რას იზამდა პრეზიდენტი, საკრებულოს სხვანაირად რომ ეფიქრა?! 6
■ სამართალი
„ნორმალურ ქვეყნებში ასე სასტიკად კაცის მკვლელებსაც არ ექცევიან“ 8
■ აქტუალური
გაღლეტილი ქვეყნის პოლიტსპონსორები ანუ „ფული, ბაბა, ბევრი ფული, ბაბა!..“ 10
■ პერსონა
ხელისუფლების მიერ ჩაშხამებული 50 წლისთავი და ქართველი ქალებით აღფრთოვანებული ოპოზიციონერი სასიძო 12
■ კულისებს მიღმა
ქალბატონი, რომელიც მომღერლების წარმატების საიდუმლოს ფლობს 14
■ საზრდო
„საუკუნის პროექტის“ პრეზენტაცია „ბიბლუსში“ 16
■ ქვეყანა
„მოდელი“ გველი, სომხების „ძალიან ქართული“ მასპინძლობა და აბულის მთიდან დანწყებული სამშობლო 18
■ მსახიობი
ორი მუზის მსახური და ქორწინება ცაიტნოტში 20
■ მეომარი
„დეზერტირი“, რომელიც უწყებას ფრონტზე „გაექცა“ 22
■ ერუდიტი
„ქართული პრესის აქტიური მკითხველი ვარ“ 24
■ თემა
ტელეეკრანი — საინფორმაციო გამოშვება და ტოქშოუ ანუ რას „ვჭამთ“ საღამოს 9 საათიდან 26
■ ფსიქოპორტრეტი
ლალი მოროშკინა: „მე თავად ვირჩევ პარტნიორს, იქით ვაბამ კაცებს“ 28
■ ანტიდეპრესანტი 30



— მაგრამ ზოგჯერ ინტუიციაც თამაშობს გადამწყვეტ როლს, — ისე, თავისთვის ჩაიბურტყუნა, თითქოს არც უნდოდა, ჯუმბერს გაეგონა.

— კი ბატონო, მაგრამ ინტუიციას ვერ დაეყრდნობი, ვერც მეცნიერებაში და ვერც გამოძიებაში. შეიძლება, ძალიანაც გჯეროდეს კაცის, მაგრამ თუ მტკიცებულებები არ ექნა, არა გაქვს უფლება, შენს პირად განწყობილებას, შენს დამოკიდებულებას დაეყრდნო.

74

■ ტანდემი
მოღალატე პატრიოტის ოცნება ანუ „აუცილებლად დავაბრუნებ საბჭოთა კავშირის დროს და სტალინის რეჟიმს!“ 32
■ მოზაიკა 34
■ ჯანმრთელობა
✓ ნახეთქები ქუსლებზე 36
✓ იაპონური პირშუშხა კარიესის წინააღმდეგ 37
■ ჟურნალი ჟურნალში
✓ ცხოვრება 39
✓ გზავნილები 55
■ ნამდვილი ამბავი
ძია ავთანდილის ანდერძი აჭარიდან 71
■ ფენომენი
საოცარი ნიჭით დაჯილდოებული და უხილავი ძალის რჩეული 72
■ რომანი
ვაჟა გიგაშვილი. ერთი ვინმე ყაფლანიშვილი (გაგძელება) 74
■ ტაიმ-აუტი 78
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ ერიდეთ მაცდურებს... 80
✓ როგორ შევარჩიოთ თმის საღებავი 81
■ სასიყვარულო რომანი
სვეტა კვარაცხელია. წითელი ფეხსაცმელი (გაგრძელება) 82
■ ბიოგრაფია
ლუციუს კორნელიუს სულა — პირველი დიქტატორი 86
■ საცობი
პატარაობაში დაჩაგრული მოდელი, მოპარული დღიურები და მოგზაურის ხიფათით აღსავსე ცხოვრება 88
■ ვარსკვლავები
✓ მერაია ქერი ახალ სიმღერას ემინემს უძღვნის 90
✓ ბეიონსი მომჭირნეობას კრიზისის დროსაც არ იჩენს 91
■ თინეიჯერული პონტები
ჯემალ ღაღანიძის მხიარული ყმაწვილკაცობა ანუ ქალებზე დაგეშილი თაობა და 33 წლის ასაკში დაწყებული „თოხნა“ 92
■ დაიჯესტი 96
■ ტაძარი
რატომ აირჩია უფალმა მაინცდამაინც თორმეტი მოციქული და რატომ მოიხმო ამ მისიისთვის უბრალო ადამიანები 98
■ ფავორიტები
ბურთზე შეყვარებული არგენტინელი ვუნდერკინდი და ფეხბურთის თამაშისას გარდასახული მესი 100
■ სცენა
პრემიერა „ბრავოს“ სცენაზე ანუ ქართულ რეალობას მორგებული „გუგულის ბუდე“ 102
■ ავტო 103
■ სკანვორდი 104
■ ასტროლოგია 105
■ დედათბილისი 106


გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.


## როგორ შევარჩიოთ თმის საღებავი



პროფესიონალების რჩევით, საღებავი მხოლოდ დასაბან თმაზე უნდა წაისვათ, რადგან კანის ცხიმოვანი ფენა თავის კანს საღებავის მავნე ზემოქმედებისგან იცავს.

81

## „გვინდა, საქართველოში გოიმები აღარ იყვნენ

„ჰო, ჯადოების გაკეთება მეხერხება. სხვათა შორის, ჩემს საქმეში პროფესიონალი ვარ და ისეთ რამეს არ ჩავუყრიდი, რომ მომეკლა“.



32

## პირველი დიქტატორი



საფლავის ქვაზე კი მისივე ანდერძის მიხედვით ამოკვეთეს სიტყვები: „ამქვეყნად არავის გაუკეთებია მასზე მეტი სიკეთე საკუთარი მეგობრებისათვის და მასზე მეტი ბოროტება — საკუთარი მტრებისათვის.“

86

— რა გაეწყობა, რახან არ იშლი... გმადლობ, მაგრამ საერთოდ... მამაკაცებისგან ძვირად ღირებულ საჩუქრებს არ ვიღებ.

— ესე იგი, მე პირველი ვარ? შესანიშნავია. ჰო, მართლა... შეყვარებული გყავს? ხვდები ვინმეს?

გოგონა დაბნეული მიაჩერდა.



წითელი ფეხსაცმელი

82



# „თეთრი ქალი (კაცი) მიუყვარდა, შავის გვერდზე დამსვეს"

## შესავლის ნაცვლად

**საქართველოს თასის ფინალში „დინამომ" რუსთავის „ოლიმპს" პენალტების სერიაში მოუგო — 1:0!!! ანუ თბილისელებმა ოთხიდან ერთი პენალტი გაიტანეს, რუსთაველებმა კი — ხუთიდან ვერც ერთი! ოპტიმისტებს რა დალევს — ვიღაცამ თქვა, მეკარეები ჰყავდათ ორივეს მაგრებიო (არადა, იმ 8 გაფუჭებული პენალტიდან, 5 საერთოდ, ასცდა კარს)... მოკლედ, საღადავო ბლომადაა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ სწორედაც ეგ არის სირთულე — არჩევა არ გინდა?!**

დაბეჭდავ რამეს და აღმოჩნდება, რომ ხალხი უკვე სხვა რამით „ერთობა", ან უარესი — მიიტან და არ დაგიბეჭდავს რედაქტორი — მეტი საშაყირო ვერაფერი ნახე ამ ბობოქარ დროშიო?!

ვიჯექი ჩემი პროვოკაციის თემისთვის, ხან „კვირის პალიტრის" მეორე გვერდს („ნიუსებს"), ვუკირკიტებდი, ხან — ტელევიზორს, ხან — ინტერნეტს და... უცებ... დაილოცა მაგის შავი მარჯვენა და ბარაქა მისცეს ღმერთმა „ბარაქას" (ობამას)! გააქანა „ბარაქამ" და ბუზი მოკლა! თანაც — პირდაპირ ეთერში!!!

ახლა, რა, ბუზი ვის არ მოუკლავსო?! — იტყვით, მაგრამ როგორც პოლიტოლოგები ამბობენ ხოლმე, მთავარია, პოლიტიკური კონტექსტი, წინა პირობა და პერსპექტივა.

ჰოდა, რა იყო წინა პირობა?! აბა, გაიხსენეთ, ობამას ამ გმირობამდე ორი-სამი დღით ადრე რა მოხდა? რა და, ჰილარი კლინტონმა ხელი მოიტეხა! და ვინ არის ისეთი გულუბრყვილო, რომ დაიჯეროს, თითქოს ეს ორი ფაქტი ერთმანეთთან კავშირში არ არის?!

პუტინის გაგზავნილმა ბუზმა ჰილარი პროვოკაციაზე „წამოაგო" (ბილ, ბოდიში, ცუდი არაფერი მიფიქრია...): ჯერ ხელზე დააჯდა, მერე აფრინდა, გაიტყუა თეთრი სახლის აივანზე და მოაჯირზე დაჯდა; ჰილარიც მიჰყვა, აივნიდან თეთრი სახლის ეზო ჩანდა, გაახსენდა — თვითონ რომ აქ დიასახლისობდა, ბილი რომ საქსოფონზე უბერავდა, მერე მონიკა ლევინსკი და ამბავი... მერე ის გაახსენდა — ახლა ის შავი ქალი პომიდვრის დათესვას რომ აპირებს უკანა ეზოში, — ისევ ლევინსკიანი დრო სჯობდაო — გაიფიქრა და... გაეფანტა ყურადღება, დაუმიზნებლად დასცხო მუშტი მოაჯირს — იმ შავ ბუზში გააერთიანა მთელი თავისი ბოღმა და — „ვაჰ დრონი, დრონი, ნაგემნი მტკბარად"... შედეგად, გრიგოლ ვაშაძეს, ჰილარის ნაცვალი, მისი მეორე მოადგილის მესამე თანაშემწე შეხვდა. მაგრამ ეს მერე იყო. მანამდე კი ობამამ შური იძია და მედვედევთან შეხვედრის წინ „სერიოზული მინიშნებაც" გააკეთა (ესეც ჩვენებური „პოლიტექსპერტების" ტერმინია — სასოფლოში და ზოოვეტში რომ სწავლობდნენ კომუნისტების დროს, იქ ასწავლეს). თან, ყველამ ხომ გაიგონეთ ტელევიზორში იმ ბუზის უკანასკნელი სიტყვები, სანამ სულს დალევდა: Служу России! Ах, ты падла черножопая, медведь отомстит за меня!!!

ისე, რა მაგრად დასცხო?! კენიურად! მაგ დროს ეგ იყო, ბარაკ ობამა კი არა, ბარაქ ჰუსეინ ობამა! უყურა, უყურა, აცადა და — თრახ! და მერე ოპერატორს უთხრა, — მოდი, შე გოიმო, გადაიღე და აჩვენეო! როგორც შაჰ აბასმა — ერთი მოქნევით და, — წაიღეთ ახლა და მამამისს აჩვენეთო!..

ახლა ერთ აბზაცს დავწერ სრულიად სერიოზულად და აბსოლუტურ სიმართლეს პირველი პირისაგან: ჩემი ბავშვობის ძმაკაცი ამერიკის მოქალაქეა, უკვე 20 წელია. მეოთხედი საუკუნეა, იქ ცხოვრობს. მაგან და მაგის „სასტავმა" (ძირძველმა ამერიკელებმა) სმა დაიწყეს, ობამას არჩევის შემდეგ, ერთს ცოლი გაექცა... მოკლედ, გუშინ ველაპარაკე და (კიდევ გაგიმეორებთ, ეს „პროვოკაცია" არ არის) მითხრა, — უნდა ნახო, ობამას ფანები დღეში არიან!.. იკრიბებიან და საათობით ლაპარაკობენ — რა მაგრად მოკლა ბუზიო! თანაც, ამათ დასცინიან თურმე — თქვენი ბებერი მაქკეინი ეგრე იზამდაო?! არადა, როდესაც მაქკეინი ვიეტნამში მაგ ბუზის „გამომგზავნ" „კაგებეშნიკებს" ესროდა, ობამა მაშინ კენიაში ბაბუამისის ქოხის წინ მარტორქის შარდის ბუშტით ფეხბურთს თამაშობდა.

ახლა მთავარი კითხვა, რომელიც მკითხველს გაუჩნდება: ობამამ ბუზი მოკლა თუ სირაქლემა, კლინტონმა ხელი მოიტეხა თუ კუდუსუნის ძვალი, ჩვენ რას ვშაყირობთ და ვის ვეკაიფებით?!

პასუხი (და ამ „იგავის" მთავარი „მორალიც"): ვის ვეკაიფები და, საკუთარ თავს! ამ უბედურ და უპატრონო ქვეყანას და მის ყოფას! ვცდილობ, „პირში ვუძრახო და არა პირს უკანა". მინდა, რომ ეს ქვეყანა თვითონაც რაღაცას აკეთებდეს და პირდაღებული არ ელოდებოდეს, რას მოილაპარაკებენ „ბუზების რისხვა" და კრემლის თავგასიებული პატრონი; სოხუმში მინდა ყავის დალევა და ლიახვის ხეობაში, ბუნებაში ქეიფი; რვაასმილიონიან სასახლეში პრეზიდენტის ცხოვრება არ მინდა, რვაასი ლარი საშუალო ხელფასი მირჩევნია; მინდა, რომ პოლიციელები ასე მწარედ არ „ირტყმეინებოდნენ"; მინდა, რომ გენერალური პროკურორი განათლების მინისტრი არ ხდებოდეს; მინდა, რომ ოპოზიციაში წერა-კითხვა ყველამ იცოდეს; მინდა, რომ გლეხი ვაზის აჩეხაში სახელმწიფოსგან ფულს არ იღებდეს... რა ვიცი, ბევრი რამე მინდა და, რაც მთავარია, მინდა, ვიღაც-ვიღაცებმა დაიჯერონ, რომ ეს ყველაფერი ჩვენ თვითონ უნდა გავაკეთოთ (დავითაიას „ჩვენ თვითონ"-ს არ ვგულისხმობ) — თორემ ის „შავი" და „თეთრი" დიდი ბიჭები რაზეც მოილაპარაკებენ და რასაც დაგვანახვებენ, ავიხედავთ და დავინახავთ.

## P.S.

*გამახსენდა ასი წლის წინანდელი ანეკდოტი, როდესაც „ამან" კიდევ რაღაც ლენტი გაჭრა და სულ „მსოფლიოში საუკეთესო" და „პირველად ევროპაში" იძახა:*

*გურიაში, სოფელში პარტიის კრებაა. განიხილავენ აქტუალურ თემა-ლოზუნგს: „დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას!" ასწია ერთმა გურულმა ხელი:*

*— მე მაქვს წინადადება: დევეწიოთ, მარა არ გოუსტროთ!*

*— რეიზა, ძამა?!*

*— რეიზა და, თუ გოუსტარი, შარვალი რომ მაქვს ტ...ზე გამოხეული, დამინახავს!*

***პროვოკატორი***

# სანამ აორთქლდება



**ქართულ ნაპირებთან ტალღები ისევ მოდის და მიდის, ისევ ისვრის იმ შხეფებს, რომელიც ასე ცდილობს ჩვენს გაგრილებას, და ჩვენც, „გრილ ჭკუაზე“ ვცდილობთ, ვკითხოთ ჩვენს ცივილიზებულ, ასე თუ ისე, დემოკრატიას მოსწრებულ გონებას: რა ხდება ჩვენს თავს?.. მერე დაახლოებით მაინც ვხვდებით, — რაც ხდება, თითქოს „სიტყვის თავისუფლებაც“ არსებობს, მაგრამ ისევ რომ „ფუთავენ“ ადამიანები სათქმელს, ესეც ხომ სიმართლეა?!.**

**— ჩამეძიე ახლა, რამეინაირად, ძირისძირამდე! არ დაგრჩეთ ჟურნალ-ისტებს რამე გოუგებარი... მერე, რომ მომდგებიან და „ჩემი ნებით“ დამაწერიებენ განცხადებას — ვითომ სამსახური აღარ მინდა, — მიშველი?.. — მკითხა ბათუმის ერთ-ერთი სკოლის პედაგოგმა.**

**ჰოდა, სანამ „შხეფები“ ანუ გულიდან წამოსული გულწრფელი აზრები ქუჩა-ქუჩა აორთქლდება, ჩვენ მას ისევ თქვენამდე მოვიტანთ, თუნდაც — „გასაგრილებლად“.**

*ჯაბა ანანიძე*

## „შხეფი“ 1-ელი

### „ვითომ პარლამენტში ძილი არ ეყო?“

სახალხო თეატრის სპექტაკლებს ბათუმში უამრავი მაყურებელი დაესწრო. ეს უჩვეულო რამ შესაძლოა, იმიტომ მოხდა, რომ წარმოდგენებზე



დასწრება უფასო იყო. თეატრსა და სანახაობას მონატრებული ხალხი, 3 დღის განმავლობაში, ბათუმის იმ დრამატულ თეატრს არ მოშორებია, რომლის წინაც ბოლო დროს პოლიტიკური აქციების მეტს ვერაფერს ვხედავდით. ხარაგაულის სახალხო თეატრმა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი სპექტაკლი — „თანამდევი სული“ წარმოადგინა. ამ დროს იარუსებზე საინტერესო „შხეფები“ დაიბადა:

— ყველას მოსწონს ილია ჭავჭავაძე. ამბობენ, ამ კაცს დღევანდელობის პრობლემების წუხილიც უთქვამს, მაგრამ სადღაა ისეთი ქართველი, სასწავლებლად წასული, მილიონერი მამის წყალობით, ლონდონიდან რომ

**რას იზამდა პრეზიდენტი, საკრებულოს სხვანაირად რომ ეფიქრა?!**

დაბრუნდება და მის თავს ჰკითხავს: „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე?!“ მაშინ ხიდი იყო ჩატეხილი, ხიდია ჩატეხილი დღესაც...

მცირე პაუზის შემდეგ, მოსაუბრე მაყურებლებმა პარტერში ჩაძინებული პოლიტიკოსი შეამჩნიეს.

— შეხედე ერთი, რაფერ სძინავს ჩვენს პარლამენტარს? ვითომ არ ეყო ძილი სამსახურში?!

და უეცრად თეატრი დიდი ილიას ნათქვამის ხმამაღლა გამეორებამ გამოაფხიზლა: „სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“

## „შხეფი“ მე-2

### საკრებულოს ჭკუა რომ შეშლოდა...

საკრებულოების დამოუკიდებლობა რომ ფარსია, ამის დამტკიცება უნებურად, საქართველოს პრეზიდენტსაც მოუხდა: 26 მაისს, როცა თბილისში საპროტესტო ტალღა მძვინვარებდა, მიხეილ სააკაშვილმა ბათუმის მშვიდ ნაპირებთან, „თავისუფლების ჩირაღდნის“ მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი. პრეზიდენტის თქმით, საჰაერო მოძრაობის მართვის „ტაუერი“ ქვეყნის თავისუფლებისა და მომავლის სიმბოლო უნდა გახდეს. „ჩირაღდანი“ ხელვაჩაურის რაიონის ტერიტორიაზე უნდა აშენდეს, რასაც წესით, ხელვაჩაურის თვითმმართველი საკრებულოს თანხმობა სჭირდება, პრეზენტაციის ჩატარების დროს კი, ნიშნად თანხმობისა, საკრებულოს ცალი ხელიც არ ჰქონდა აწეული. მართალია, ერთგულებაში მრავალჯერ ნაცადმა საკრებულომ „ტაუერისთვის“ მიწა აჭარის მთავრობას ახლახან უპრობლემოდ გადაულოცა, მაგრამ საინტერესოა, რას იზამდა პრეზიდენტი, ხელვაჩაურის საკრებულოს უმრავლესობას რომ „ჭკუა შეშლოდა“ და მიწის გაჩუქებაზე, ხმაურიანი პრეზენტაციის მოწყობის შემდეგ, უარი ეთქვა?!

## „შხეფი“ მე-3

### „მერსედესით“ სეირნობა შერცხვება?“

ბათუმის ბულვარში ყველაზე ხშირად პოლიტიკა განიხილება. მაგალითად, ასე:

— გაიგე, გუშინ რა თქვა აჭარის დამოუკიდებელი არხის ეთერში პეტრე ზამბახიძემ (აჭარის საკანონმდებლო ორგანოს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე. — ავტ.)? — მამისონზე ხიდის აფეთქება ჭორიაო. გაგონილა?! ქვეყანა თვალსა და ხელს შუა გველევა და პოლიტიკოსები გვიკიჟინებენ, ყველაფერი რიგზეაო.

— პოლიტიკის გამო ყველაფერს რომ კადრულობს ზოგი, მერე საკუთარ ქალაქში როგორ აპირებს გავლას?

— არ გაივლის, ბატონო. იქნება „მერსედესში“ და ისეირნებს. შერცხვება თუ?

— ოპოზიციაც ვერ აღმოჩნდა აზრიანი, თორემ ასე, კუთხეში მიყუდებული არ დავრჩებოდით აქამდე. გუშინ სატელევიზიო დებატებში აჭარის „მთავარი „რესპუბლიკელი“ — მურმან დუმბაძე „ნაციონალ“ ზამბახიძეს

ჯერ აქტიურად მოუწოდებდა, წახვიდე უნდა სასწრაფოდ მთავრობიდანო, — გადაცემის ბოლოს კი, ზამბახიძეზე თქვა, — მაღალი კლასის პოლიტიკოსიაო.

— მაგის თქმას კიდევ არა უშავდა, რომ დაეყოლებია, „მაღალი კლასის“ ხალხი ხშირად „დაბალ“ საქმეებს რომ აკეთებს!

## „შხეფი“ მე-4
### „მოდი და ენდე ახლა ვინმეს“...

ამას წინათ, ზღვისპირეთის ერთ-ერთ სოფელში, შემთხვევით, გლეხების პოლიტიკურ „მიმოხილვებს“ მივუგდე ყური:

— ამ ჩვენს მანდარინს „უბედურად“ ასხია წელს და ვინ უნდა წაიღოს,



ნეტავ? ისევ ზღვას თუ გუუგზავნით მოსაკითხათ, ხომ გვეტირა ყოფა?!

— „მამამარჩენალ“ მანდარინს რუსული ბაზარი უნდა, ჩვენ ამერიკისკენ ვიყურებით, რუსები — აქეთ გვჭამენ.

— დურსუნ, ოპოზიციურ მიტინგებზე დაბერდი კაცი, გვითხარი რამე. რომ ამბობს ოპოზიცია, რუსეთთან ურთიერთობას დავალაგებო და მემანდარინეებსაც მოსავლის გაყიდვას რომ გვპირდება, რაფერ იქნება ეს ამბავი?

— ქობულეთში რომ შეგხვდნენ ოპოზიციის ლიდერები, მაშინ დავსვი ეს შეკითხვა. მაშინ განზე გამიყვანეს და მითხრეს: თავისთავად, რუსეთს რაღაც უნდა დავუთმოთ, ესაა თქვენი სოფლის გამოსავალი, მაგრამ ამას ახლა ხმამაღლა ნუ დაამღერებო.

მოდი და ენდე ახლა ვინმეს!.. — ჩაილაპარაკეს კაცებმა.

## „შხეფი“ მე-5
### „უიმე, თლათ ამიზა გევდა კაცი კედლებზე?!“

ბათუმის უძველეს შენობას შემორჩენილი, ერთადერთი ხვეული კიბე იმ დღეს ძალიან ხმაურობდა. ხალხი ისტორიული კიბის ქვემოთ, თითების თეატრთან და მემედ აბაშიძის ძეგლის ახალ სამყოფელთანაც შეყრილიყო... ერთი შეხედვით იფიქრებდით, პოლიტიკური ტალღა აჭარასაც გადმოედოო, მაგრამ ასე არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ხალხს შორის პოლიტიკოსებიც იყვნენ, ამ დღეს მსოფლიო რეკორდის სანახავად მოეყარა ყველას თავი. მრავალგზის „მსოფლიო ჩემპიონმა“ გოდერძი მახარაძემ ბათუმის თითების თეატრის სახანძრო კიბის 207 საფეხური ისე აიარ-ჩამოიარა, რომ თავით შეუჩერებლად კენწლავდა ბურთს. რეკორდის დამყარების შემდეგ, ბურთი აჟიტირებული ხალხისკენ გადმოგორდა და „შხეფებიც“ უხვად გადმოიფრქვა:

— ჩამოვიდეს ეს კაცი მშვიდობით, მარცხი არაფერი მოუვიდეს! კიდევ გულის გატკლეცვა გვინდა?! — ქაქანებდა მოხუცი ქალბატონი.

— ამისთანა დიდებული სანახაობა რომ გვანახვა და გადარია მსოფლიო, რამდენი ფულით დააჯილდოებენ, ნეტაი?

— გოდერძი მახარაძეს ვაჯილდოებთ 300 ლარით! — გაისმა ამ დროს ბათუმის ვიცე-მერის ხმა.

— უიმე, თლათ ამიზა გევდა კაცი კედლებზე?

— მაგი კი არა, ქალბატონო, ვარჯიშების დამფინანსებელი არ გამოუჩნდა აქამდე ვინმე.

— ოჰ, ახლა ერთი ტრიბუნა და მიკროფონი მქონდეს, რა მიტინგს ჩავატარებდი!.. — ოცნებებში წავიდა, მემედ აბაშიძის ძეგლთან ახლოს მდგომი ქალბატონი.

— კიდევ პოლიტიკაო!.. — ისე დაიღრიალა მამაკაცმა, რომ ქალს ხმა ჩაუვარდა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ მაინც ვერ დაიოკა „შხეფი“:

— პოლიტიკაა, ჰო, კიდევ, აბა, რა გააკეთე ჯერ, ვაჟბატონო?! რომ მიყუდებულხარ მაგ ნაჩხაპნებით



აჭრელებულ საცოდავ ძეგლს, მასე უნდა იდგეს მაგი ქუჩის კუთხეში?! შვილიშვილი თუ უვარგისი გამუუვიდა, თვითონ ხომ იყო ნამდვილი ქართველი!...

## „შხეფი“ მე-6
### ძეგლების „სიარულს“ ბოლო არ უჩანს...

ზღვისპირეთის მარად ახალი თავსატეხი — ისევ ძეგლებია. ვერა და ვერ განსაზღვრა ვარშალომიძის მთავრობამ, ვისი ძეგლი ან ქანდაკება უნდა იყოს ამ პატარა ბათუმში და რომელი სად უნდა იდგეს. რევოლუციურმა ხელისუფლებამ ჯერ აბაშიძის სათაყვანებელი არწივი წარმოგვიდგინა ქალაქის მთავარ მოედანზე (ეს ქანდაკება აბაშიძის რეჟიმის დროს დამზადდა), კრიტიკამ მთის ფრინველი ისე „ააფრინა“, რომ კარგა ხანს ველარ ვხედავდით; მერე ზოოპარკის მიყრუებულ კუთხეში მოვკარით თვალი თუ არა, ისევ „გაგვიფრინდა“, ამჯერად — გაურკვეველი მიმართულებით.

ამასობაში ქალაქის მთავარ მოედანზე მითური მედეას ქანდაკებაც გამოჩნდა. კრიტიკოსები მას უკვე მერამდენე წელია, არ ასვენებენ: სადაური ბათუმის სიმბოლო ესააო?.. ეს მოღალატე ქალი შუა მოედანზე — რა უკუღმართობააო?!. მოკლედ, „შხეფს“ „შხეფზე“ ესვრიან, მაგრამ ოქროს საწმისით ხელდამშვენებული მედეა, რო-



გორც ჩანს, არსად წასვლას აღარ აპირებს. სამაგიეროდ, მისამართი შეუცვალეს მემედ აბაშიძის ძეგლს: დიდი საზოგადო მოღვაწე ახლა, ბულვარის ნაცვლად, საცხოვრებელ სახლთან, ერთ ბნელ კუთხეში „ზის“.

„ძეგლების თავსატეხი“ წელსაც გაგრძელდა. ამჯერად, ბულვარის მთავარ შესასვლელში 12-სალამური-ანი ბიჭის წამოსკუპება მოინდომა მთავრობამ (გავრცელებული ინფორმაციით, თავად ვარშალომიძემ) და მომღერალი ბიჭებიც უკვე სულ რაღაც 2 მილიონ 200 ათას ლარად გამოჩნდნენ. სალამურიანი ბიჭები ჯერ არ გაუნათებიათ სპეციალური მოწყობილობით და არც მათ მიერ „შესრულებული“ მუსიკა მოგვისმენია (პროექტის მიხედვით, სალამურიანი ბიჭები ნაცნობ კლასიკურ მელოდიებს შეასრულებენ). აი, „შხეფები“ ახალ მინიატიურებთან უკვე შეგიძლიათ იხილოთ:

— ლამაზია, არა? მოდი, ფოტო გადამიღე ამ სალამურიანთან.

— მე მევიოლინესთან მინდა!

— მე — მედოლესთან...

ჭაღარამოძალებული ქალბატონი ერთხანს, ჩანჩქერის ცქერით ტკბებოდა. მერე, აჟრიამულებულ ახალგაზრდებს მიუბრუნდა და უთხრა:

— ლამაზები ხართ, შვილებო. მიხარია, სილამაზის დაფასება რომ შეგიძლიათ, მაგრამ შენ არ იყავი, გოგონა, გუშინ რომ იცრემლებოდი ტელევიზორში, — სწავლის გადასახადს ველარ ვიხდი, მრიცხავენო?.. ჰოდა, გიშველოს ახლა სალამურიანმა ბიჭმა.

— თქვენ რა გნებავთ, დეიდა?

— თანამიმდევრულობა! — კატეგორიულად თქვა მოხუცმა, კუჭზე ხელი მიიდო და ზღვისკენ მიმავალ გზას გაუყვა...

■





# დაკავებული აქტივისტების ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება(?!)

**„დაჩი ცაგურია და მიშა მესხი არაადამიანურ პირობებში იმყოფებიან“, — ასეთ განცხადებას აკეთებს კონსერვატორების ერთ-ერთი ლიდერი, კახა კუკავა. როდესაც რუსუდან კერვალიშვილმა და ჯონდი ბაღათურიამ დროებითი მოთავსების №2 იზოლატორში მყოფი ოპოზიციის აქტივისტები მოინახულეს, დაჩი ცაგურიასა და მიშა მესხის მკურნალობა მათაც მოითხოვეს. როგორც დეპუტატები ამბობენ, დაკავებულებს წამების კვალი არ ეტყობათ, მაგრამ მიშა მესხის, განსაკუთრებით კი — დაჩი ცაგურიას ჯანმრთელობის მდგომარეობა სავალალოა და მას ნევროპათოლოგის გადაუდებელი დახმარება ესაჭიროება.**

## „ნორმალურ ქვეყნებში ასე სასტიკად კაცის მკვლელებსაც არ ექცევიან“

*ხათუნა ბახტურიძე*

— **ბატონო ჯონდი, დაკავებულებს პირადად თუ ესაუბრეთ?**

— დიახ, ვესაუბრე და ვიცი, რომ 19 დაკავებულიდან 8 ნაცემია, მაგრამ დაკავების შემდეგ ბევრი დრო გავიდა და მათ სხეულის დაზიანება გარეგნულად არ ეტყობათ. მხოლოდ დაჩი ცაგურიას ემჩნევა ხელზე დაზიანებები.

— **თუ წამების კვალი მხოლოდ ხელზე ეტყობა, რატომ თქვით, რომ ის ნევროპათოლოგმა უნდა ნახოს?**

— როგორც თავად ამბობს, ვიდრე დროებითი დაკავების იზოლატორში მიიყვანდნენ, სასტიკად სცემეს. ვფიქრობთ, რომ ნევროპათოლოგთან კონსულტაციებს პროფილაქტიკის მიზნით საჭიროებს. ხომ შეიძლება, ტვინის შერყევა ჰქონდეს? ჯანდაცვის სამინისტროს შუამდგომლობით უკვე მივმართე და ვთხოვე, რომ მიშა მესხი და დაჩი ცაგურია საავადმყოფოში გადაიყვანონ.

— **მიშა მესხის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?**

— ფიზიკურად და მორალურად არა მარტო მიშა, არამედ სხვებიც საკმაოდ მხნედ გამოიყურებიან, მაგრამ შეიძლება, შინაგან ორგანოებზე ჰქონდეთ რაიმე პრობლემა ან სისხლჩაქცევები... ახალგაზრდები არიან და არ შეიძლება, მათი ჯანმრთელობა რისკის ქვეშ დავაყენოთ.

— **დარწმუნებული ხართ, რომ დღესდღეობით, დაკავებულებზე რაიმე სახის ზეწოლა არ ხორციელდება?**

— დარწმუნებული ვარ! რამდენიმე მათგანმა თქვა, რომ დაკავების დროს სცემეს, მაგრამ იზოლატორში მიყვანის შემდეგ, მათთვის ხელი არავის უხლია და არც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენებია ვინმეს.

— **როგორ ფიქრობთ, მათზე ფიზიკური და სიტყვიერი ზეწოლა რომ განეხორციელებინათ, ამას იტყოდნენ?**

— ბიჭები შეშინებულებს ნამდვილად არ ჰგვანან. რამდენიმე მათგანს თვალითაც ვანიშნე, რომ თუ პრობლემა ჰქონდათ, ენიშნებინათ მაინც, მაგრამ მსგავსი არაფერი ყოფილა.

— **საკანში როგორი პირობები აქვთ?**

— ჩვეულებრივი ანუ ისეთი, როგორიც წინასწარი დაკავების იზოლატორს შეეფერება.

— **როგორც ქალბატონმა რუსუდან კერვალიშვილმა ტელეკომპანია „კავკასიის“ ჟურნალისტებს განუცხადა, სანიტარიული თვალსაზრისით ისინი ძალიან მძიმე პირობებში იმყოფებიან...**

— რადგან ქალბატონმა რუსუდანმა ასეთი რამ თქვა, ალბათ, რაღაც შენიშნა კიდეც, მაგრამ ამ საკითხზე მე ვერაფერს ვიტყვი...

— **პატიმრებს ბანაობის ან სუფთა ჰაერზე გასვლის საშუალება თუ აქვთ?**

— არა, შხაპი ნამდვილად არ აქვთ. ისინი ერთ პატარა ოთახში არიან — საჭმელსაც იქ ჭამენ, „პარაშაც“ იქვე უდგათ და არც ჰაერზე გაჰყავთ. ისე, თუ ვინმეს ჰგონია, რომ შხაპი ფუფუნებაა, ძალიან ცდება. ამ ახალგაზრდებს 30-დღიანი ადმინისტრაციული სასჯელი შეუფარდეს. ადამიანი, რომელიც 30 დღის განმავლობაში, თანაც, ზაფხულში ვერ იბანავებს, ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩავარდება? ადმინისტრაცია ვალდებულია, პატიმარს ბანაობის საშუალებაც მისცეს და ჰაერზეც გაიყვანოს, მაგრამ იმ იზოლატორში არც შხაპი აქვთ და არც — სასეირნო ადგილი.

— **ეი. ფიქრობთ, რომ იზოლა-**




**ტორში ოპოზიციონერი აქტივისტების უფლებები ილახება?**

— მათი უფლებები მაშინ შეილახა, როდესაც დააპატიმრეს. თუმცა, თავადვე ამბობენ, რომ იზოლატორში მათი უფლებები არ ილახება.

*ამ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს „კონსერვატორ“* ***კახა კუკავას.***

— **ბატონო კახა, რის საფუძველზე აკეთებთ განცხადებას, რომ მიშა მესხი და დაჩი ცაგურია არაადამიანურ პირობებში არიან?**

— საერთაშორისო კონვენციის მიხედვით, დაავადებული პირისათვის ექიმის მომსახურების შეზღუდვა წამებას უთანაბრდება. ზუსტად ვიცი, რომ მას შემდეგ, რაც დაჩი ცაგურია იზოლატორში მოათავსეს, მუდმივი თავის ტკივილი აქვს და მისი მშობლებისა თუ სხვა გულშემატკივრების მოთხოვნის მიუხედავად, შესაფერისი სამედიცინო მომსახურებით დღემდე არ არის უზრუნველყოფილი.

— **ანუ იზოლატორში მოთავსებული აქტივისტების უფლებები ილახება?**

— მათი უფლებები შელახული კი არა, ფეხქვეშაა გათელილი. პოლიციელებმა აბსოლუტური ფაშიზმი გამოავლინეს. პირადად მაქვს ნანახი, როგორ დასდევს პოლიცია ადამიანებს ჩაქუჩით. ასეთ რამეს ვერც ერთ ქვეყანაში, თვით ჩინეთსა და კორეაშიც კი ვერ ნახავთ.

— **ბატონო კახა, ჩვენ ამჯერად, იზოლატორში არსებული პირობები გვაინტერესებს...**

— იქაც არაადამიანური პირობებია. საკანში გამოკეტილ პატიმრებს, რომლებსაც არც ბანაობის საშუალებას აძლევენ და არც სუფთა ჰაერზე გასვლის უფლებას, გაზეთებსაც კი არ აწვდიან. ჩაკეტილ ოთახში, ყოველგვარი კომუნიკაციის გარეშე ყოფნა ადამიანს ფსიქოლოგიურ პრობლემებს უქმნის. ნორმალურ ქვეყნებში ასე სასტიკად, სიმართლისა და სიტყვის თავისუფლებისათვის მებრძოლ ახალგაზრდებს კი არა, კაცის მკვლელებსაც არ ექცევიან. ■



# „ჯიუტი“ ამინდები
## ნორმალური მოვლენა თუ საგანგაშო ვითარება



ეთო ყორღანაშვილი

**ამ ბოლო დროს ამინდი „გაგვიჯიუტდა“: უკეთეს შემთხვევაში ან წვიმს, ან — წვიმას აპირებს. ქართველებს პრობლემის მეტი რა გვაქვს, მაგრამ ხალხს ხასიათი ატმოსფერულმა მოვლენებმა კიდევ უფრო გაუფუჭა: ზოგს დაზარალებული სოფლის მეურნეობა ადარდებს, ზოგს — დატბორილი საცხოვრებელი ბინა, ზოგს კი უბრალოდ, ყოველდღე ღრუბლიანი ცის დანახვა უფუჭებს განწყობილებას. ჰოდა, დავდივართ ამინდივით მოღუშულები... რამ განაპირობა ღრუბლიანი ამინდის „ჯიუტი ხასიათი“? როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს? — ამის გასარკვევად გარემოს ეროვნული სააგენტოს ცენტრს ვეწვიეთ.**

*ცენტრის უფროსის მოადგილემ — ბატონმა* ***ჯემალ დოლიძემ*** *დაგვაიმედა, — ძალიან მალე გამოიდარებსო, მაგრამ სიტყვა დასრულებული არ ჰქონდა, რომ ინფორმაცია მიიღო: ბოლნისში, ნახევარ საათში 30 მმ ნალექი მოვიდაო.*

— ეს იმას ნიშნავს, რომ ნახევარ საათში 1 ჰექტარზე 300 ტონა წყალი დაიღვარა. ბუნებრივია, ნიაღვარი იქნებოდა.

— **არადა, წელან დამაიმედებელი პროგნოზი გააკეთეთ.**

— ნუ, რა ვქნა?! რა ინფორმაციაც ხელთ მქონდა, ამინდიც იმის მიხედვით ვივარაუდე. არსებობს ევროპის საშუალოვადიანი პროგნოზების ცენტრი, რომელშიც 18 ქვეყნის ფინანსურ-ინტელექტუალური რესურსია გაერთიანებული. სწორედ ამ ცენტრიდან გვაწვდიან თანამგზავრიდან მიღებულ ინფორმაციას. რა თქმა უნდა, ეს ფასიანია, მაგრამ როგორც ღარიბ ხალხს, ჩვენ უფასოდ გვიგზავნიან (*იცინის*).

— **ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში ამინდი საოცრად აირია. რაიმე საგანგაშო ხომ არ ხდება?**

— 24 მაისს, ღამით, ნალექების რაოდენობამ 82 მმ შეადგინა ანუ ფაქტობრივად, 1 ჰექტარზე 820 ტონა წყალი დაახლოებით, 3 საათში დაიღვარა, რაც მართლაც, ძალიან ბევრია, მაგრამ სხვა დროს თბილისში უარესი შემთხვევაც დაფიქსირებულა... დამერწმუნეთ, წლევანდელი ამინდი გაისად არავის ემახსოვრება. და კიდევ, სულ მალე გამოიდარებს.

— **მოსალოდნელი ამინდის პროგნოზირება მაქსიმუმ, რამდენი დღით ადრე შეგიძლიათ?**

— 4-5 დღით ადრე.

— **ეი. შეგიძლიათ, მითხრათ — ხუთშაბათს როგორი ამინდი იქნება?**

— როგორც აღვნიშნე, ღრუბლიანი ამინდები ნელ-ნელა შეიცვლება და მზიანი ხუთშაბათი გვექნება.

*მართალია, ბატონმა ჯემალმა მზიანი ხუთშაბათის 100%-იანი გარანტია ვერ მოგვცა, მაგრამ ამჯერად, მართალი აღმოჩნდა. ხშირად, მზე შემაწუხებლადაც აცხუნებს, მაგრამ ალბათ, დამეთანხმებით, რომ ხანგრძლივად ღრუბლიანი ამინდი ბევრად შემაწუხებელია. ზაფხულს მზე უფრო უხდება...* ■

# გალღეტილი ქვეყნის პოლიტსპონსორები

## ანუ „ფული, ბაბა, ბევრი ფული, ბაბა!..“

ავთანდილ მარგველაშვილი

იმ დღეს პრეზიდენტის ერთ-ერთ გამოსვლას ვუსმინე (რა მნიშვნელობა აქვს, რომელს? ყველა ერთნაირია) და მივხვდი, რომ დიდი ილიას ყველაზე პრობლემურ შეკითხვას — „მამულო, საყვარელო, შენ როსლა აყვავდები“ — სწორედ ამ კაცმა გასცა პასუხი:

„აყვავებულა ეკონომიკა,
მოვიდა ფინანსები,
მამულო, საყვარელო,
შენ რატომ არ ყვავდები?!.“

ახლა, მთლად ამომწურავი პასუხი შეიძლება, ვერაა, მაგრამ ნამეცადინევი რომ აქვს, აშკარაა. ხომ გამოგიცდიათ სკოლაში, კარგად რომ არ იცი გაკვეთილი და ერთსა და იმავე ტექსტს რომ იმეორებ ბევრჯერ, — იქნებ ამასობაში ვინმემ მიკარნახოსო?.. — სწორედ იმას მაგონებს პრეზიდენტის გამოსვლები ეკონომიკის არჩამოშლასა და „ზოგიერთების“ მხრიდან დაუნახაობის შესახებ. არადა, მეტს როგორც კი მოსთხოვ, ეგრევე შევარდნაძის დრო მოჰყავს მიზეზად: შუქი არ იყო გუშინ და ვერ ვიმეცადინეო. რას ეტყვი?!

ის „ზოგიერთები“ გაიძახიან, მიგვიშვას დაფასთან და სულ ხუთიანზე ჩავარაკრაკებთო... შე კაი ოჯახიშვილო, თუ ასე კარგად იცი „გაკვეთილი“, გუშინ შენც იქ არ იყავი?! ვერ უკარნახე?! მაგრამ — არა, უკარნახო და ხუთიანი იმან მიიღოს, რა ქართულ-პოლიტიკური წესია?! ანუ, ფეხბურთის ენაზე რომ ვთქვათ, ქართველებმა




პასი არ ვიცით, ყველას საკუთარი გოლის გატანა გვინდა და იმიტომაც ყვავის ქართული ფეხბურთი და პოლიტიკა ერთნაირად.

ოპოზიცია-„პოზიცია“ რომ ფიზიკურად ერთმანეთზე წამსვლელები არ არიან, ფაქტია. ეს უფრო ინფორმაციულად მოსაგები ომია და აქ მთავარი — ნერვები და ფინანსებია. ამიტომ იყო, რომ უკანვე გადაყლაპეს გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერებმა „ქართველი ტეთჩერის“ მისამართით წამოსროლილი სალანძღავი სიტყვები, ცოტა პრინციპსაც უღალატეს და თუ გუშინწინ მიტინგზე გვერდით არ იკარებდნენ, გუშინ ლიდერად გამოკვეთეს. ცხადია, ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთს. კარგა ხანს „გაქაჩა“ დამკვეთის ჯიბემ, მაგრამ... არა, გამოელია-მეთქი, ვერ ვიტყვი, რა სისულელეა, რა გამოლევს, მაგრამ არამიზნობრივი ხარჯვის (ე.წ. „მოტეხას“ ნიშნავს) გამო, მინიმუმამდე შეამცირა და ახალი პოლიტსპონსორის მოძებნა გახდა საჭირო.



ახლა ფრონტის ხაზის მეორე მხარეს რა ხდებოდა ამასობაში: მთავრობამ საპასუხოდ ახალი, „ეკონომიკის აყვავების ეტაპი“ დაიწყო, რომელიც ეზოში ჩასული ბავშვის მაგალითს მაგონებს, დედა რომ სახლში ამოტყუებას ცდილობს, მამიკოს რა კარგი სათამაშო მოუტანიაო!.. ჰოდა, დააწვა ეს შენი და ჩემი პრეზიდენტი რეგიონებს და ქარხანა ქარხანაზე გახსნა. ახლა, სენაკიდან ჩამოსულმა კაცმა იფიქრა, აქ რაღა მინდა, როცა ჩემთან დაფნის გადამამუშავებელი ქარხანა გახსნილა და მე კიდევ, ერთი ათი ძირი დაფნა უპატრონოდ მიხმებაო. დაელოდა მეორე დილას, აიღო დღის „პაიოკის“ 10 ლარი და მიშას გადასაყენებლად ჩამოსულმა, „მიშა მაგარიას“ საძახებლად, სენაკის ავტობუსისკენ „ჰერი-ჰერი“ „გააკეთა“. მართალია, ცალკე საკითხავია, მართლა გაიხსნა თუ არა ის ქარხანა და ჩაიბარებს თუ არა იმ ათ ძირ დაფნას, მაგრამ ოპოზიციას ჭკუით ისევ აჯობეს.

ასე მივედით ფინანსურ ომამდე ანუ ერთმანეთის ჯიბის „შიგთავსის“ გამოაშკარავებამდე: პარლამენტის ბიუროს სხდომაც კი მიეძღვნა იმას, თუ სად იმყოფებოდა „გრეჩიხა“ და ვისგან მიიღო დაფინანსება. ისევ გაიჟღერა ფრაზებმა: „რუსული ოლიგარქიული ფული“, „ბუა აბაშიძე“, „გუდიანი მამალაძე“ და ა.შ. აშკარად შეშინებული ჩანდა უმრავლესობა და გახარებული — ოპოზიცია. თვითონ გაჩეჩილაძე ცოცხალი თავით არ ამბობს, ვის შეხვდა და არც თანამებრძოლებს ეუბნება, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს?! „ხილი მიირთვი, მებაღეს რას კითხულობ“ პრინციპია და — მორჩა. ერთადერთი, ისევ ქალბატონი „ტეთჩერი“ ჩანდა დაბნეული, რაც აბსოლუტურად გასაგებია: ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთს და აწყობს ახლა ბურჯანაძეს, „გრეჩიხას“ შეკვეთილ მუსიკაზე ცეკვა?!

ინფორმაციულ-ფინანსურ ომში რომ მაგარ ინფორმაციას დაითრევ მთავრობის ფინანსებზე, ოპოზიციის სერიოზული წარმატებაა, თანაც, ეს უფრო იოლად დასაჯერებელია, ვიდრე არაკი „ბუასა და გუდიანზე“, რადგან მთელი თბილისი უყურებს ავლაბრის მთაზე გადმომდგარ სასახლეს, რომელიც თურმე პრეზიდენტს 800 მლნ დოლარი „უზის“. „უზის“ რა — „გვიზის“. 800 მილიონი სერიოზული თანხაა პრეზიდენტის რეზიდენციისათვისაც კი და თუკი მაგის საშუალება გვაქვს, მართლა არ ჩამოშლილა ქართული ეკონომიკა და ისაა. ეს კიდევ არაფერი, მთავარი — რეზიდენციის ქვეშ, საიდუმლო გვირაბები ყოფილა. რისთვის სჭირდება აყვავებული ქვეყნის პრეზიდენტს გვირაბი, არ ვიცი, მაგრამ ოპოზიციამ თუ მიაგნო ამ გვირაბს, მალე გავიგონებთ, „მიშა, მოვდივარ“-ს ნაცვლად, „მიშა, მოვძვრები!..“

პირადად მე, ბევრჯერ დამპატიჟა, მაგრამ არ მივსულვარ. ჯერ მორჩეს ბოლომდე რემონტი და მერე ვნახავ, უფრო ეფექტური იქნება. მივალ და, აყვავებული ქართული ეკონომიკის ნიშნად, თურქულ „ბანბანერკას“ და ირანულ ექვსფინჯნიან ყავის სერვიზს მივართმევ...



M K

# „მედი“ 10 წლისაა

## „მედი“ წლის საუკეთესო ბრენდად აღიარეს

*ნომინაციაში — საერთაშორისო სტანდარტების, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვისა და მუდმივი ინოვაციებისათვის — ესთეტიკური მედიცინის ლიდერი, კლინიკა „მედი“ „ჯორჯიან თაიმსის“ მეთორმეტე ბიზნესრეიტინგში 25 საუკეთესო ბიზნესკომპანიას შორის, ესთეტიკური მედიცინის დარგში წარმატებულ ბრენდად აღიარეს და დამსახურებული ჯილდოც გადასცეს.*

*ეს არ ყოფილა შემთხვევითი. სერიოზული მნიშვნელობის ნოვაცია იყო საქართველოში 10 წლის წინ, ესთეტიკური მედიცინის კლინიკის გახსნა და მისი აღჭურვა-დაკომპლექტება მსოფლიოს ექსკლუზიური და ყველაზე ეფექტური ტექნოლოგიებითა და მაღალკვალიფიციური პროფესიონალი მედიკოსებით, რომლებიც უცხოეთში დაოსტატდნენ ესთეტიკური მედიცინის მიმართულებით და თბილისშიც, შემდგომ უკვე კლინიკა „მედიში“ საგანგებოდ მოწვეული ევროპისა და ამერიკის ცნობილი სპეციალისტების გვერდით მუშაობდნენ.*

*დაჯილდოების ცერემონიაზე, რომელიც „მეტეხი პალასში“ გაიმართა, „მედის“ გენერალურმა დირექტორმა, ქალბატონმა* **ლია სონიშვილმა** *ბრძანა:*

— ასეთი დაჯილდოებები აუცილებელია და სასარგებლო ნებისმიერი ბიზნესკომპანიისთვის, რადგან ამ დაჯილდოებამ დროს გაუძლო. ეს არის, როგორც ბიზნესმენის, ასევე მთელი შრომითი კოლექტივის წახალისება და დაფასება. ჩვენთვის ამ რეიტინგში წარმატებულად აღიარება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თვით ეს რეიტინგი ეყრდნობა ნამდვილად, რეალურ ფაქტებს და გამარჯვებულებსაც მხოლოდ ცნობილი, გამოცდილი და მიუკერძოებელი ექსპერტები ავლენენ.

რეალური ფაქტები კი ასეთია — კლინიკა სწორედ მსოფლიოს უახლეს მიღწევათა გონივრულ გამოყენებაზე დაფუძნდა და მისი შეუზღუდავი პოტენციალიც ამან განაპირობა. ფირმა ამ ათი წლის განმავლობაში, თავისი საიმედოობით, მაღალი ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის, უნიკალური და ექსკლუზიური მეთოდოლოგიების დანერგვით, ისეთ ბრენდად ჩამოყალიბდა, რომელიც თავისუფლად უწევს კონკურენციას მსოფლიოს ანალოგიურ კლინიკებს. აღსანიშნავია, რომ „მედის“ ექიმებს უკვე ლექციებისა და მასტერკლასების ჩასატარებლადაც იწვევენ უცხოეთის მონათესავე კლინიკებში. „მედიში“ პაციენტზე ორიენტირებული მომსახურებაა, ქირურგიული და არაქირურგიული მეთოდებითაა შესაძლებელი სილამაზის დახვეწა, ჯანმრთელობის გაუმჯობესება და ახალგაზრდობის შენარჩუნება. აქ მართლაც დასავლური კომფორტია, რომელსაც დიდი ხანია, ჩვენი მოსახლეობა ელოდებოდა.

ამ 10 წლის განმავლობაში „მედი“ გაფართოვდა კიდეც — ფილიალები აქვს თბილისის სხვადასხვა უბანში, ბათუმსა და ქუთაისში — სათავო კლინიკის ანალოგები, შესაბამისი აპარატურით, ტექნოლოგიებით, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, მომსახურების დონით.



ლია სონიშვილი

განსაკუთრებული მადლიერებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ჯილდო დამსახურებულად ეკუთვნის კლინიკა „მედის“ დამფუძნებლებს, პეტერბურგში მოღვაწე — მარინა და გოგი მჭედლიძეებს, რომლებმაც დიდი რისკის ფასად, პატრიოტული მიზანსწრაფვით გახსნეს ეს კლინიკა, სრულიად გაურკვეველ, არასტაბილურ და არაპროგნოზირებად ბიზნესგარემოში, რომელშიც მაშინ საქართველო იმყოფებოდა და დიდი შრომისა და მცდელობის შედეგად, ის უახლესი თაობის ბრენდად აქციეს.

ვულოცავთ ამ საპატიო ჯილდოს კლინიკის მთელ კოლექტივს და წარმატებებს ვუსურვებთ მომავალ საქმიანობაში.






# ხელისუფლების მიერ ჩაშხამებული 50 წლისთავი და ქართველი ქალებით აღფრთოვანებული ოპოზიციონერი სასიძო

„ოჯახი რომ შემექმნა, ამდენი ქალის შეყვარებას ხომ ველარ მოვახერხებდი?!.“

**„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი, დავით საგანელიძე ლუსტრაციის კანონის ამოქმედებას და რუსეთის აგენტების გამოვლენას მოითხოვს. როგორც თავად ამბობს, რუსეთში მიღებული განათლების გამო, ზოგიერთი პოლიტიკოსი მას ამ ქვეყნის გენშტაბთან თანამშრომლობაში ადანაშაულებს. ამიტომაც, პირადადაა დაინტერესებული, რომ ყველა პოლიტიკოსის თუ არა, მისი ლუსტრაცია მაინც მოახდინონ. ამჯერად, „მემარჯვენეების“ ლიდერი საკუთარ პროფესიაზე, პირად ცხოვრებაზე გვესაუბრა და აქამდე უცნობი დეტალებიც გაგვიმხილა.**



*ხათუნა ბახტურიძე*

**— ბატონო დავით, როგორც ვიცი, სამხედრო ექიმი ბრძანდებით. ასეთი საინტერესო პროფესიის მქონე ადამიანმა პოლიტიკაში მოსვლა რატომ გადაწყვიტეთ?**

— ბოლო დროს, ჩემს პროფესიასთან დაკავშირებით უცნაური მითქმა-მოთქმა ატყდა, მაგრამ გარწმუნებთ, გენშტაბთან არანაირი კავშირი არ მაქვს. როდესაც ლენინგრადის სამხედრო სამედიცინო აკადემიის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე ვსწავლობდი, საოპერაციოდან 24 საათის განმავლობაში არ გამოვდიოდი. ადამიანებს, რომლებსაც ჩემი ბიოგრაფია ასე ძალიან აინტერესებთ, იმასაც ვეტყვი, რომ მოსკოვის ონკოლოგიის სამედიცინო ცენტრში ორდინატურა-ასპირანტურაც დავამთავრე, შემდეგ კი ლონდონის, ბრაიტონისა და ათენის ბიზნესსკოლებშიც ვისწავლე. ჰოდა, გამოდის, რომ ინგლისისა და საბერძნეთის აგენტიც ვყოფილვარ.

**— თუ საბოლოოდ პოლიტიკოსი უნდა გამხდარიყავით, მედიცინისა და ბიზნესის შესწავლას ამდენი დრო და ენერგია რატომღა შეალიეთ?**

— პოლიტიკაში მოსვლას სულაც არ ვაპირებდი. ბავშვობაშივე მინდოდა, გავმხდარიყავი ექიმი-ქირურგი, რომელიც ღვიძლზე და ნაღვლის ბუშტზე იმუშავებდა. ჩემი ასეთი ოცნება დედაჩემის დაავადებასთან და მის მძიმე მდგომარეობასთან იყო დაკავშირებული. სხვათა შორის, პირველი დისერტაცია ღვიძლის მეტასტაზურ დაავადებებზე დავიცავი, პირველი ოპერაცია კი ნაღვლის ბუშტზე გავაკეთე. მერე, როდესაც ბიზნესსფეროში გადავინაცვლე, საერთაშორისო ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტიც დავამთავრე. ასე რომ, პროფესიით ეკონომისტიც გახლავართ. სხვათა შორის, საქართველოში პირველი სამედიცინო ფირმა — „პულსი“ მე დავაარსე, მერე კი კერძო ბიზნესში გადავინაცვლე და ქართულ-ინგლისური კორპორაცია — „ჯი ეიჩ ელი“ დავაფუძნე, რომელიც მაშინდელ საქართველოში ყველაზე მსხვილი კომპანია გახლდათ და ბიუჯეტშიც ყველაზე მეტი ფული შეჰქონდა. ასევე, გახლდით „საქართველოსა“ და „თი-ბი-სი“ ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. მაშინდელი საგადასახადო სისტემის „წყალობით“, ბიზნესი ნამდვილ ტერორში იყო და ამიტომაც, ხელისუფლებასთან დაპირისპირება გამუდმებით მიწევდა. ერთხელაც, მე, ლევან გაჩეჩილაძეს, დათო გამყრელიძეს და ირაკლი იაშვილს ედუარდ შევარდნაძემ და ზურაბ ჟვანიამ შემოგვთავაზეს — რადგან ჩვენი საგადასახადო სისტემა არ მოგწონთ, თავად გახდით პარლამენტარები და ბიზნესისთვის ხელსაყრელი კანონებიც თქვენვე შეიმუშავეთო. ასე მოვხვდით „ახალი მემარჯვენეები“ პოლიტიკაში. მინდა გითხრათ, რომ პოლიტიკური საქმიანობის დაწყებისას იურიდიულ ფაკულტეტზეც ჩავაბარე და გარკვეული ცოდნა ამ კუთხითაც მივიღე. როდესაც მე და ჩემი მეგობრები პოლიტიკაში კარგად გავერკვიეთ და ვნახეთ, იქ რა სიბინძურეებიც ხდებოდა, ოპოზიციაში გადავედით (იმ პერიოდში გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვიყავი და ამ თანამდებობის დატოვებაც მომიხდა) და შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიური ბძოლა დავიწყეთ. მერე, ძალიან უცნაური რამ მოხდა: ხელისუფლების ნახევარზე მეტი, დაწყებული მინისტრებიდან, დამთავრებული პარლამენტის თავმჯდომარით, ოპოზიციაში გადაბარგდა და შევარდნაძის დედის გინება დაიწყო, ჩვენ კი ნამდვილი ოპოზიციური ძალა შევარდნაძის მომხრეებად მოგვნათლეს მხოლოდ იმიტომ, რომ სააკაშვილის ავანტიურას ხელი არ შევუწყვეთ და რევოლუციაში მონაწილეობა არ მივიღეთ. ჩვენ ვიცოდით, რომ „ვარდების რევოლუცია“ ქვეყანას დაღუპავდა.

**— თქვენი აზრით, რევოლუცია ახლა არ დაღუპავს ქვეყანას?**

— ახლაც დაღუპავს და ამიტომაც, „ახალი მემარჯვენეები“ რევოლუციას კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით. ჩვენ რომ არა, მერწმუნეთ, ხალხი სააკაშვილს და მის ხელისუფლებას კაბინეტიდან სულ ცემა-ტყეპით გამოყრიდა. ვერ ვხდები, ასე როგორ უნდა გაამწარო ის ხალხი, რომელიც გენდო და საკუთარი ქვეყნისა თუ ბედის მართვის უფლება მოგანიჭა?! ერთხელ ონის დეპუტატი ვიყავი და თავი არ დამიზოგავს, ისე გულიანად მივუდექი საქმეს, რომ ხალხს დღესაც, ონში დაბადებულ-გაზრდილი ვგონივარ. არადა, ჩემი წინაპრების 15 თაობა თბილისშია დაბადებული. მართალია, დღეს ონის დეპუტატი აღარ ვარ, მაგრამ როცა იქაურებს რაღაც პრობლემა აქვთ, კვლავ მიკავშირდებიან. როდესაც მამისონზე ხიდი ააფეთქეს, სოფელ გლოლიდან მაშინვე დამირეკეს. სააკაშვილის ხელისუფლება საკუთარ ხალხს 1 კვირის განმავლობაში ატყუებდა და ეუბნებოდა, რომ თითქოს, მამისონის საზღვართან მდებარე ხიდი თავისით ჩაინგრა. როდესაც მე და ნანა ლეჟავა ადგილზე ჩავედით და ფაქტები ჩამოვიტანეთ, მხოლოდ მაშინ აღიარეს, რომ ხიდი აფეთქებული იყო, მაგრამ ახლა იმაზე აღარ გვცემენ პასუხს — ვინ და რატომ ააფეთქა 300 წლის წინ აშენებული ხიდი? ვიდრე ამ კითხვებზე პასუხს არ მივიღებ, ვერ გავჩერდები.

**— იქნებ, ხიდის აფეთქება სამხედრო საიდუმლოებასთან იყო დაკავშირებული?**

— კარგი, რა, რომელ სამხედრო საიდუმლოებაზეა ლაპარაკი? სააკაშვილის ხელისუფლებამ საკუთარ ტერიტორიაზე ააფეთქა ხიდი, მესაზღვრეებს დისლოკაციის ადგილი დაატოვებინა და ისინი შოვში ჩამოიყვანა, მხარ-თეძოზე წამოაწვინა. ქართველი მესაზღვრეების საგუშაგო წლების განმავლობაში, მამისონის მთის წვერზე მდებარე ჰიდრომეტეოსადგურში იყო განთავსებული. სამწუხაროდ, ახლა იქ რუსული დროშა ფრიალებს. ამ გაზაფხულზე ჩვენი მესაზღვრეები ჯერ მთის ძირში განლაგდნენ, მერე შოვში ჩამოვიდნენ და განაცხადეს, — ახლა სასაზღვრო ზოლი აქ არისო. ე.ი. 18 კმ-ით დაიხიეს უკან. ამ ყველაფრის ფონზე, პაატა დავითაია მამისონზე „რუსთავი 2“-ის თანხლებით წავიდა და განაცხადა, — ახლა მესაზღვრეების საგუშაგოსთან ვდგავარ და ვადასტურებ, რომ საზღვარს ქართველები იცავენო. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, — დავითაიამ ტყუილი თქვა. მე იმ ტერიტორიას მშვენივრად ვიცნობ და მივხვდი, როცა ის განცხადებას აკეთებდა, საგუშაგოდან 18 კმ-ის მოშორებით იდგა, აფეთქებულ ხიდამდეც კი არ იყო მისული. თუ რუსების მხრიდან რაიმე საფრთხე გვემუქრება და მათ ჩვენი მესაზღვრეები შეაშინეს, ბიჭებს უკან დახევა აიძულეს, ხელისუფლებამ სიმართლე უნდა გვითხრას, რათა საკუთარი ტერიტორიის დასაცავად, ერი და ბერი ერთად დავდგეთ, მაგრამ როგორც ჩანს, ხელისუფლება მტერთან გარიგებებს აწარმოებს.

— **რა გარიგებებზე ლაპარაკობთ? ხელისუფლებას ხიდის აფეთქება რაში აწყობდა?**

— ამას იმ მიზნით გააკეთებდა, რომ ხიდის საშუალებით ქართველები ვეღარ გადასულიყვნენ. მამისონის უღელტეხილიდან ამ ხიდამდე არსებული ტერიტორია, საბჭოთა კავშირის დროს ჯავის რაიონად მიიჩნეოდა. ალბათ, გახსოვთ, ახალგორიც სწორედ იმ მიზეზით წაგვართვეს, რომ ის ადრე ცხინვალის რაიონად ითვლებოდა. რუსეთმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორია სწორედ საბჭოთა საზღვრებში აღიარა. ჩვენმა ხელისუფლებამ მათ საქმე გაუმარტივა და ახალგორი ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვრებში თავადვე აღადგინა. ახლა, როგორც ჩანს, ჯერი მამისონზე მიდგა. მით უმეტეს, რომ ეს ტერიტორია რუსეთს ძალიან სჭირდება და მისი მისაკუთრების პროექტი, რომელიც 2006 წლიდან მუშავდება, ჩრდილოეთ ოსეთში მამისონის უღელტეხილის გავლით, ე.წ. სამხრეთ ოსეთში გზის გაყვანას გულისხმობს. მამისონის გადაღმა დიდი სამთო-სათხილამურო კურორტის მშენებლობა იგეგმება და ამ ყველაფერში მოსკოვს ბევრი ფული აქვს ჩადებული. მინდა, ისიც გითხრათ, რომ დღეს კავკასიონის ქედის ყველა სტრატეგიული სიმაღლე (აფხაზეთიდან დაწყებული, ყვარლის რაიონის მოსაზღვრე ტერიტორიებამდე) რუსებს უკავიათ. აი, ასე იდეალურად აკეთებს სააკაშვილი რუსულ საქმეს. გია თორთლაძე კი, რომელიც მხოლოდ ფორმალურად არის ოპოზიციონერი, გენშტაბთან თანამშრომლობაში მე მადანაშაულებს.

— **როდესაც გია თორთლაძესთან ერთად, ბურჯანაძის გადადგომის მოთხოვნით იბრძოდით, თუ წარმოიდგენდით, რომ თქვენ შორის ურთიერთობა ასე დაიძაბებოდა?**

— ვერა. სხვათა შორის, ვერც ის წარმომედგინა, რომ ევერესტის დაპყრობას იბრალებდა. ახლა მის პიროვნებას სხვაგვარად ვაფასებ.

— **პოლიტიკური დაპირისპირება პიროვნულ შუღლში გადაიზარდა?**

— ზოგადად, პოლიტიკურ ოპონენტებთან პიროვნული ურთიერთობების გაფუჭება არ მახასიათებს და ძალიან ბევრ მათგანთან ვმეგობრობ კიდეც, მაგრამ ადამიანს, რომელიც სიმართლისთვის მებრძოლ ახალგაზრდებს 15-ლარიან ბიჭებს უწოდებს და იარაღით დაემუქრება, პატივს არ ვცემ.

— **მან თქვა, — თუ დანით გამომეკიდებიან, მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვიყენებ იარაღსო. თქვენ რას იზამდით ასეთ დროს?**

— ჯერ ერთი, ვეცდებოდი, სიტყვით ან მუშტით გამეწია წინააღმდეგობა, იარაღის გამოყენებას კი აზრადაც არ გავივლებდი, მით უმეტეს — ბავშვების წინააღმდეგ. თორთლაძეს დანით არავინ გამოჰკიდებია. უბრალოდ, ბავშვებმა პარლამენტის თავმჯდომარის სიტყვები გაითვალისწინეს და ის წყლით გაწუწეს. სწორედ მან ბრძანა, — წუწაობა ძალიან კარგი საქმეაო.

— **ბატონო დავით, რომელ პოლიტიკურ ოპონენტებთან მეგობრობთ?**

— შალვა ნათელაშვილთან, ეკა ბესელიასთან, ნინო ბურჯანაძესთან... იცით, ადრე ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ბურჯანაძესთან ერთად, ერთ ტრიბუნაზე დავდგებოდი, მაგრამ ახლა, მას პატივს ვცემ, რადგანაც შეძლო და საკუთარი შეცდომები აღიარა, ქვეყნის მტრების წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა.

— **შეცდომები ვანო მერაბიშვილმაც რომ აღიაროს, მის გვერდითაც დადგებით?**

— ვინც ამ ხელისუფლებას გაემიჯნება და საკუთარ კეთილდღეობაზე წინ ქვეყნის ინტერესებს დააყენებს, ყველას გვერდით დავდგები. კრიმინალებმა პასუხი აუცილებლად უნდა აგონ, მაგრამ ყველას უნდა მივცეთ საშუალება, რომ საკუთარი გამოცდილება სამშობლოს კეთილდღეობას მოახმაროს.

— **თქვენი სამხედრო-სამედიცინო განათლება აფხაზეთის ან ცხინვალის ომში თუ გამოიყენეთ?**

— სურვილი მქონდა, მაგრამ ამის საშუალება არ მომეცა. გასული წლის 5 აგვისტოს დედაჩემი, ძმისშვილები და ძმისშვილიშვილები (სულ 7 ქალი) ონში წავიყვანე. 6 რიცხვში, როდესაც ომი დაიწყო, მამუკა კაციტაძესთან ერთად (ისიც რაჭაში ისვენებდა), საზღვრამდე ჩავედი და სამხედროები მოვინახულე. იქ რაჭის გუბერნატორი, დათო გაგოშიძე და დათო ტყეშელაშვილი დაგვხვდნენ. მათ თქვეს, — ყველაფერი დამთავრებულია. ჩათვალეთ, რომ ცხინვალი უკვე დავიბრუნეთო.

— **ისინი გულწრფელები მოგეჩვენნენ?**

— მე ისინი ნამდვილად, გულწრფელები და შეცდომაში შეყვანილები მომეჩვენნენ. ვერაფრით დავიჯერებდი, რომ რუსები 2 დღეში ქუდს დაიხურავდნენ და წავიდოდნენ, მაგრამ რა უნდა მექნა? მეორე დილით დაბომბვა დაიწყო. ჩემი ეზოდან 100 მეტრის მოშორებით 2 დიდი ყუმბარა ჩამოვარდა. ძალიან ცუდ დღეში ჩავვარდი — მე ხომ 7 ქალი მებარა და აღარ ვიცოდი, რა მექნა. იმ დღეს ყველა სარდაფში დავმალე, მეორე დღეს კი შემოვლითი გზებით, თბილისში ჩამოვიყვანე. აქ საშინელი ქაოსი დამხვდა. იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებას ხალხი დაემშვიდებინა, დავით ბაქრაძე განწირული კიოდა: — ვისაც რამე იარაღი გაქვთ, ხელში აიღეთ და დაგვიცავითო. ხალხზე კი არა, საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობდა.



— **თქვენ ამბობთ, რომ სააკაშვილის გუნდი მოსკოვთანაა შეკრული. თუ ეს მართლაც ასეა, საკუთარი მოკავშირისგან თავის დაცვა რატომ უნდა დასჭირვებოდა?**

— ყველაფერს ხალხის თვალის ასახვევად აკეთებენ. ხმამაღლა ამბობენ, რომ რუსები აგრესორები არიან და ტერიტორიებს გვართმევენ (ამაში ჩვენც ვეთანხმებით), მაგრამ რეალურად, მათ საქმეს აკეთებენ. სწორედ ამ ხელისუფლების პირობებში იზეიმა აფხაზეთმა დამოუკიდებლობა, დავკარგეთ ახალგორი და კოდორი, სადაც აქამდე არც ერთ დამპყრობელს არ შეუღწევია.

— **აფხაზეთის ომში თუ იყავით?**

— არა. მაშინ, როგორც ექიმი, ყველაფერს ვაკეთებდი, მაგრამ იარაღი ხელში არასოდეს ამიღია.

— **არც ნადირობის დროს?**

— არა, ჩიტიც კი არასდროს მომიკლავს. სანადიროდ მეგობრებთან ერთად კი წავსულვარ, მაგრამ ჩემი თოფი ყოველთვის ხეზე, უმოქმედოდ ეკიდა (*იცინის*). სულიერი არსების მოკვლა არ შემიძლია და რა ვქნა?!

— **არადა, თქვენზე ამბობენ, — კარგად ისვრის და მშვენიერი სპორტული მონაცემებიც აქვსო.**

— კარგად ვისვრი, ოღონდ — ტირში. სპორტული მონაცემებიც მაქვს — ბავშვობიდან დავდიოდი კალათბურთზე, ცურვაზე... კალათბურთში სპორტის ოსტატის კანდიდატი ვიყავი და „სპარტაკიადის“ ვერცხლის პრიზიორიც გახლდით. სკოლაში კარგად ვსწავლობდი, მაგრამ ძალიან ცელქი ვიყავი. როცა წამოვიზარდე, ჩხუბიც ხშირად მიწევდა. კვირა ისე არ გავიდოდა, რომ ან თავი არ გამეტეხა, ან ხელ-ფეხი არ დამშავებოდა, მაგრამ ღირსეულ ჩხუბსა და არაკაცობას შორის ზღვარს ყოველთვის ვიცავდი — დანა ან რაიმე სხვა იარაღი არასოდეს გამომიყენებია. სპორტსმენი და მოქეიფე ბიჭი გახლდით. ახლაც ძალიან მიყვარს მეგობრებთან ერთად ქეიფი, სიმღერა... სხვათა შორის, კარგადაც ვუკრავ. სახლში მუსიკალური ინსტრუმენტების კოლექცია მაქვს და თითქმის ყველა მათგანზე შემიძლია დაკვრა. თუ ჩემს სახლში ქეიფის დროს მობრძანდებით, კარგ კონცერტს იხილავთ. რამდენიმე დღის წინ 50 წლის გავხდი. ისეთი თარიღია, რომელიც აუცილებლად უნდა აღნიშნო. მეც, მოვემზადე — მცხეთაში, მტკვრის პირას მინდოდა ქეიფი, მაგრამ ზუსტად წინადღეს პოლიციის სამმართველოსთან, ჩვენი ბავშვები სცემეს და ყველაფრის ხალისი დამეკარგა. ამ ხელისუფლებამ 50 წლისთავიც კი ჩამაშხამა.

— **თავის დროზე სასურველი სასიძო იქნებოდით. როგორ მოხდა, რომ აქამდე ოჯახი არ შექმენით?**

— ახალგაზრდობაში ლაღი ცხოვრება მიყვარდა. გარდა ამისა, ქორწინებას ცოტა სხვაგვარად ვუყურებ — ოჯახური წესებისა და მოვალეობების გამო, ცოლს ვერ მოვიყვან. ამისთვის დიდი სიყვარულია საჭირო.

— **შეყვარებული არასდროს ყოფილხართ?**

— როგორ არა, მთელი ცხოვრება ვიღაცაზე ვარ შეყვარებული. პირველად საბავშვო ბაღში შემიყვარდა. ახლაც მახსოვს მისი სახელი და გვარი — როზა კირაკოზოვი. სკოლაში რომ მივედი, იქ სხვა გოგონა შემიყვარდა... ისე, კარგიც კია, ცოლი რომ არ მოვიყვანე — ოჯახი რომ შემექმნა, ამდენი ქალის შეყვარებას ხომ ველარ მოვახერხებდი?!.

— **თქვენი პარტია ხშირად აკეთებს განცხადებას იმის შესახებ, რომ საქართველო დემოგრაფიული პრობლემის წინაშე დგას. ამ მხრივ პასუხისმგებლობას არ გრძნობთ?**

— (*იცინის*) დიდ ბოდიშს ვუხდი ჩემს პარტიას და ქართველ ხალხს, რომ ეს პრობლემა აქამდე ვერ მოვაგვარე, მაგრამ როდესაც დავქორწინდები, სულ ცოტა, 3 შვილი მაინც მეყოლება. ჩემს ძმას უკვე შვილიშვილები ჰყავს, მე კი შვილსაც ვერ ველირსე, მაგრამ რა ვქნა?!.

— **დაქორწინებას უახლოეს მომავალში ხომ არ გეგმავთ?**

— ამ საკითხთან დაკავშირებით გეგმებს ნამდვილად არ ვაწყობ. როცა ვიგრძნობ, რომ „ის ის არის და მე — მე ვარ“, მოვკიდებ ხელს და წამოვიყვან. თანაც, ისე, რომ მასაც არაფერს ვკითხავ.

— **ეს როგორ, ბატონო დავით, მოიტაცებთ?**

— არა, ვხუმრობ. სიმართლე გითხრათ, სიყვარულში წინააღმდეგობები არ მიყვარს. ვერაფრით შევიყვარებ ქალს, რომელსაც ჩემ მიმართ თავადაც არ ექნება გრძნობა. ცალმხრივ სიყვარულის არ ვაღიარებ.

— **კი მაგრამ, იმისთვის მაინც ხომ უნდა იბრძოლოთ, რომ ქალს თავი შეაყვაროთ?**

— არა, ვერც ამისთვის ვიბრძოლებ. მე თუ მივხვდები, რომ „ის ის არის“, იმანაც უნდა იგრძნოს, რომ „მე მე ვარ“. ძალიან ვბრაზდები, როდესაც მეუბნებიან, — დათო, დედა, ჩემი მეგობრის შვილი ძალიან კარგი გოგოა და იქნებ ნახოო. მოჰყვებიან მერე, თუ როგორი კარგი ოჯახი აქვს, როგორი განათლებული და მომხიბვლელია. მე ქალის გვარიშვილობა, პროფესია და გარეგნობა არ მაინტერესებს. მთავარია, ორივემ ვიგრძნოთ, რომ ერთმანეთისთვის ვართ შექმნილები. ასეთი მომენტი ჯერ არ მქონია და როცა მექნება, აუცილებლად გაგაგებინებთ და ექსკლუზიურ ინტერვიუსაც მოგცემთ. ისე, მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში ერთიმეორეზე უკეთესი გოგონები დადიან. ბედნიერი ვარ, რომ ქართველი გახლავართ და ჩემ გარშემო ამდენი ლამაზი, ჭკვიანი და განათლებული ქალი დადის. ■



**ცოტა ხნის წინ, მუსიკოსმა ლალი ბერაძემ სტუმრები თავისი ვოკალური სტუდიის შემოქმედებით საღამოზე მიიწვია. ღონისძიების ორგანიზებაში მას პროდიუსერი გია გუმბერიძე დაეხმარა, საღამო ბიბი კვაჭაძეს მიჰყავდა. კონცერტზე უმთავრესად, ახალბედა მომღერლები გამოდიოდნენ. ეს იყო პედაგოგისა და მისი მოსწავლეების მთელი წლის ნამუშევრის ანგარიში, ერთგვარი შეჯამება. მასპინძლებს თითო სიმღერით სტუმრად მიწვეული ცნობილი მომღერლებიც მიესალმნენ...**

**უკვე რამდენიმე ათეული წელია, ქალბატონი ლალი მუსიკას ემსახურება. ჯაზის ვოკალისტი, დღეს ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმით არის დაკავებული, რითიც უზომოდ ბედნიერია. ამ ადამიანს მის მიერ განვლილ ცხოვრებაზე, საკუთარ გამოცდილებასა და მოსწავლეებზე ვესაუბრე.**

## ლალი ფაცია

— კლასიკური განათლება მაქვს მიღებული — კონსერვატორიის საფორტეპიანო განყოფილება დავამთავრე. პარალელურად, ალექსანდრე კილაძის „ჯაზქორალში“ ვმღეროდი. შვედეთი, დანია, გერმანია, პოლონეთი, ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცე, სკანდინავიის ქვეყნები — ეს იმ ქვეყნების ჩამონათვალია, სადაც მონაწილეობა მაქვს მიღებული საერთაშორისო ჯაზფესტივალებში. სცენაზე მსოფლიო დონის ცნობილი ვარსკვლავების გვერდით ვმდგარვარ.

— **რამდენ ხანს იარსება „ჯაზქორალმა“?**

— 1986-დან 1993 წლამდე და 11 ვოკალისტისგან შემდგარი ჯგუფი მერე დაიშალა. ამასთან, გვყავდა ბენდიც, რომელიც აკომპანემენტს გვიწევდა. საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა სტოკჰოლმის საერთაშორისო ჯაზფესტივალმა, რადგანაც იქ მთელი მსოფლიო ჯაზის კორიფეები (ნამდვილი ნაკრები) გამოდიოდნენ. ეს ჩვენთვის პირველი ჯაზფესტივალი გახლდათ: იახტიდან პირდაპირ სცენაზე გავდიოდით, ლიმუზინები გვემსახურებოდა... ამ ყველაფერში სამწუხარო ის იყო, რომ მაშინ საბჭოთა კავშირს წარმოვადგენდით...

— **რას ნიშნავს თქვენთვის ზოგადად, მუსიკა, კერძოდ კი — ჯაზი?**

— შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერია. მის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. როგორც ჩანს, ჩემში თავიდანვე

# ქალბატონი, რომელიც მომღერლების წარმატების საიდუმლოს ფლობს




რაღაც მუსიკალური კოდი ჩაიდო. მახსოვს, ზაფხულობით ბავშვები დასასვენებლად, რაჭაში, სოფელში რომ ჩავდიოდით, თანატოლებს შევკრებდი და მათი მონაწილეობით (ვისაც სმენა ჰქონდა), კოსტიუმირებულ კონცერტებს ვმართავდით. ყველას თავისი მუსიკალური ნომერი ჰქონდა... მოგვიანებით, ალექსანდრე კილაძესთან რომ მივედი, მან ჩემში ყველაფერი შეცვალა, რისთვისაც მისი მადლიერი ვარ. არადა, კარგი პიანისტი ვიყავი (კონსერვატორიაში ჩემი ბოლო პედაგოგი თენგიზ — გიზი ამირეჯიბი გახლდათ). ოჯახში უნდოდათ, რომ ამ გზას გავყოლოდი, მაგრამ მე სიმღერა მინდოდა. ამის საოცარი მოთხოვნილება მქონდა. ოღონდ სიმღერა არა სოლო, არამედ ხმებში მინდოდა და ამის ნათელი დადასტურებაა „ჯაზქორალში" გატარებული წლები...

**— მაინც რას ნიშნავს ხმებში სიმღერა და განსაკუთრებით, ჯაზური კომპოზიციის შესრულება?**

— საერთოდ, ქართველებს სიმღერის მრავალხმიანი (პოლიფონიური) გაშლა გვახასიათებს, სადაც ხმების საოცარი სინთეზია. ჯაზს, რასაკვირველია, ამერიკელზე უკეთ ვერ იმღერებ, მაგრამ ქართველების შესრულებაში საოცარი ჰარმონიაა, რადგანაც ჯაზი და ჩვენი ეთნომუსიკა ერთმანეთს ლამაზად ერწყმის, რაც უცხოელი ჯაზმენებისთვის მეტად საინტერესოა.

**— „ჯაზქორალის" შემდეგ რას საქმიანობდით?**

— როგორც უკვე აღვნიშნე, ალექსანდრე კილაძის „ჯაზქორალი" 1993 წელს დაიშალა. 1995 წლიდან კი თავად შევქმენი ახალი გუნდი, რომელმაც 2003 წლამდე იარსება...

**— აღნიშნეთ, რომ უდიდეს სიამოვნებას განიჭებთ ხმებში სიმღერა. რა არის აუცილებელი ჰარმონიული გუნდის შესაქმნელად?**

— ხმებში სიმღერისას უნდა ჩამოყალიბდეს გუნდის წევრების პოზიციები. ყველამ ერთი პოზიციით (დატვირთვით) უნდა იმღეროს. ყველამ ერთმანეთი უნდა შეიგრძნოს... როდესაც ჯაზურ კომპოზიციას სოლო მომღერალი ასრულებს, უფრო ადვილია, ვიდრე გუნდში სიმღერა, რადგანაც ჯგუფში რამდენი წევრიც უნდა იყოს, ისინი ერთ მთლიანობად უნდა გაერთიანდნენ.

**— საქართველოში ჯაზის კულტურა გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან შემოვიდა. თქვენმა ჯგუფმა ეს მიმდინარეობა შემდგომ წლებში განავითარა. მაგრამ 2000 წლიდან მუსიკის ამ ჟანრის მიმართ მოთხოვნილება ჩვენში თითქოს დაიკარგა, რადგანაც ქართულ ესტრადას, ფაქტობრივად, სოული დაეპატრონა. სცენაზე დიდი დონით, ხელოვნური, ყალბი მუსიკა „ავიდა". როგორ ფიქრობთ, რა იყო ამის მიზეზი?**



დგანან – ლალი ბერაძე და ზურა დოიჯაშვილი
სხედან – მაკა ზამბახიძე და სალომე დოლიძე

— ჯაზი — ინტელექტუალური მუსიკაა. ამიტომ ადამიანები ჯაზსა და კლასიკას ნაკლებად უსმენენ. ყველაფერი მაინც გემოვნებაზეა დამოკიდებული. ინსტრუმენტული ჯაზი უფრო რთული მოსასმენია, მას განსაკუთრებული განწყობილება სჭირდება. როგორც აღნიშნეთ, 2000 წლიდან ჩვენში მართლაც, მასობრივად, მსუბუქი მუსიკა შემოვიდა, რომელმაც მეტი თავისუფლება მიანიჭა მომღერლებს.

**— ამას მოჰყვა ისიც, რომ „არაცოცხალი" მუსიკა გაბატონდა, ეგრეთ წოდებული „ფონოგრამშჩიკების" ბუმი დაიწყო...**

— არ მინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო და ვაწყენინო, მაგრამ ყოველთვის მიკვირდა მათი, ვინც ცოცხლად სიმღერას გაურბოდა და დღესაც გაურბის. რაში სჭირდებათ ჩანაწერი?! როგორ უნდა მოიკლო მომღერალმა ის სიამოვნება, რომელსაც ცოცხლად სიმღერის დროს იღებ?!

**— ყველაფერი ალბათ იმიტომ მოხდა, რომ ცოცხლად სიმღერას დიდი გამოცდილება და ცოდნა სჭირდება, რისი ნაკლებობაც იყო იმ მომღერლებში, ვინც იმ პერიოდში სცენაზე ავიდა...**

— შეიძლება, იყო ნიჭიერი, გქონდეს ფანტასტიკური სმენა, ასეთივე ხმა, მაგრამ „ყელი არ მოგყვებოდეს". სიმღერის დროს, კავშირი ყურსა და ყელს შორის, კუნთებსა და მთელ სხეულს შორის არ უნდა დაირღვეს. შესრულებისას, მუსიკას მთელი სხეულით უნდა მიჰყვებოდე. მაგრამ თუ ყელი დაჭიმულია, შეიძლება, მომღერალმა საერთოდ, ხმაც დაკარგოს. ტუჩი, კბილი, ენა, ფილტვები, კუნთები, ხელები, მკლავები — ყველაფერი ერთად უნდა მუშაობდეს. ეს სკოლა

*გაგრძელება იხ. გვ. 95*

# „საუკუნის პროექტის“ პრეზენტაცია „ბიბლუსში“



**„საუკუნის პროექტი — ასე უწოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ „ბიბლიის“ სრული აუდიოვერსიის გამოცემას. იდეის ავტორი გოგი ხარაბაძე შემოქმედებით ჯგუფთან ერთად, ამ პროექტზე 3 წლის მანძილზე მუშაობდა.**

**სასულიერო პირთაგან, დეკანოზი, მამა მაქსიმე (აფაქიძე) პირველი იყო, ვინც პრეზენტაციაზე „ბიბლუსში“ მოვიდა, დაგვლოცა და პროექტის მნიშვნელობაზეც გვესაუბრა.**

*თამუნა კვინიკაძე*

**მამა მაქსიმე:**

— წმინდა მამები ამბობენ, ღმერთმა კაცობრიობას თავისი სიდიადე ორი წიგნით უჩვენა, აქედან ერთია — „ბიბლია“, ხოლო მეორე — თავად სამყარო. თუ წაკითხვას შევძლებთ, სამყაროც თავისთავად, დიდი წიგნია... ძალზე მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა. არიან ადამიანები, რომლებსაც კითხვა ეზარებათ, ზოგიერთი კი მოსმენილ ამბავს უფრო ადვილად იმახსოვრებს, ვიდრე წაკითხულს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტექსტს გიორგი ხარაბაძე კითხულობს. შეუძლებელია, მის შთამბეჭდავ ხმას გულისყურით არ მოუსმინო. თუ მოუსმენ, რწმენაშიც განმტკიცდები. მხოლოდ იმის აღიარება, რომ ღმერთი არსებობს, რწმენა არ არის.



**— როგორც ვიცი, არსებობდნენ ადამიანები, რომლებმაც „ბიბლიის“ ტექსტი ზეპირადაც იცოდნენ.**

— დიახ, ძველ ისრაელში ასეთი ადამიანები მართლაც არსებობდნენ. მაშინ გადაწერაც ხომ ხელით ხდებოდა. მთავარია, ადამიანებმა ისე ვიცხოვროთ, როგორც უფალი გვასწავლის, ღმერთთან ახლოს ყოფნით ის ხატება და მსგავსება დავიბრუნოთ, რომელიც ცოდვების გამო დავკარგეთ.

**თამარ ცაგარეიშვილი,** *ჟურნალისტი, პროექტის პროდიუსერი:*

— პროექტზე ადამიანთა მცირე ჯგუფი მუშაობდა. იდეის ავტორი გოგი ხარაბაძე გახლავთ. მან ამ ძალიან რთულ საქმეს საუცხოოდ გაართვა თავი. პროექტზე მუშაობა 3 წელი გაგრძელდა, ტექსტი 11 თვის მანძილზე იწერებოდა. ქრისტიანული სამყაროს უპირველესი წიგნის — „ბიბლიის“ სრული აუდიოვერსია, დაბადებიდან — აპოკალიფსამდე, 51 დისკში მოთავსდა. ის ადამიანი, რომელიც წიგნს დაშორებულია, ჩანაწერის მოსმენის შემდეგ შეიძლება, წიგნსაც მიუბრუნდეს. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, „ბიბლიის“ სრული აუდიოვერსია მაღაზიათა ქსელ „ბიბლუსში“ შეიძინონ, როგორც თბილისში, ასევე სხვა დიდ ქალაქებშიც.

**მერაბ სანოძე,** *ხმის ჩამწერი სტუდიის ხელმძღვანელი:*

— ვფიქრობ, ეს ყველა ქრისტიანისთვის ძვირფასი საჩუქარი იქნება. სანამ „ბიბლიაზე“ მუშაობას დავიწყებდით, ჩაწერილი გვქონდა „ოთხთავი“, „ახალი აღთქმა“, „ვეფხისტყაოსნის“ სრული ვერსია, ილიას, ვაჟას, აკაკის და სხვა კლასიკოსების ნაწარმოებები, ქართული ზღაპრები. ალბომი სულ 12 დისკისგან შედგება და მაღაზიათა ქსელ „ბიბლუსში“ იყიდება. ახლა ამ ჩამონათვალს „ბიბლიაც“ დაემატა.

**— 51 დისკის მოსმენა რამდენ საათში შეიძლება?**

— თხრობა 47 საათი გრძელდება. დისკის ფასი 139 ლარია. ბადრი პატარკაციშვილის ფონდის დახმარებით, შესაძლებელი გახდა, „ბიბლიის“ აუდიოვერსია ამ ფასში გაყიდულიყო: მისი თვითღირებულება ბევრად მეტია.

*„ბიბლიის“ აუდიოვერსია მუსიკალურად, კომპოზიტორმა ნოდარ მამისაშვილმა გააფორმა. მასზე არჩევანი თავად გოგი ხარაბაძემ შეაჩერა. აღსანიშნავია, რომ წმინდა სამების ტაძრის ზარები ამ შემოქმედის მიერ შემუშავებული ტექნოლოგიითა და რეცეპტურით არის ჩამოსხმული. ზარების ჟღერადობა ქართულ გალობას შეესაბამება.*

**— ბატონო ნოდარ, „ბიბლიის“ მუსიკალურად გაფორმება რთული არ იყო?**

— „ბიბლია“ თვით არის მუსიკა, მას კომპოზიტორი არ სჭირდება... როცა დიდი ქალაქების პროექტები იგეგმება, ცათამბჯენებს განსაკუთრებულ ადგილებზე აშენებენ. სწორედ ცათამბჯენებივით ჩაჯდა მუსიკაში პატრიარქის გალობები. სხვა ქართულ საგალობლებთან ერთად, ეს ჩემი მუსიკალური კომპოზიციის ხერხემალია. ეს არ არის კონკრეტული საუკუნის კუთვნილება, ეს მარადისობის ჰარმონიაა.

**გოგი ხარაბაძე:**

— პატრიარქს ჩემი იდეის შესახებ წმინდა სამების ტაძარში ყოფნის დროს მოვახსენე. მომისმინა და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მითხრა: ღმერთმა შეგაძლებინოსო! ლოცვა-კურთხევა სამების საკურთხეველში მომცა. შემდეგ, ყოველ შაბათს მქონდა შეხვედრა; მარიგებდა, მლოცავდა, მასწავლიდა. მინდა, მას დიდი მადლობა გადავუხადო თანადგომისთვის და მადლობა შევწირო ღმერთს იმისთვის, რომ ეს საქმე შემაძლებინა. მადლობა ამ სახლს და მადლობა იმ ქართველს, რომელიც „ბიბლუსის“ კარს შემოაღებს, ჩანაწერს შეიძენს, სახლში წაიღებს და მოუსმენს. ამ აწეწილ წუთისოფელში, როცა მთელი საქართველო ყალყზეა შემდგარი, ვფიქრობ, რომ უკეთესი ფარი და მახვილი, ვიდრე „ბიბლიაა“, არაფერია. ფარი — იმიტომ, რომ დაცულნი ვიყოთ ბოროტებისგან და მახვილი — ამ ბოროტებასთან საბრძოლველად.

**მარიამ ლორთქიფანიძე,** *აკადემიკოსი:*

— ვისურვებ, რომ ეს ჩანაწერი პერიოდულად, საპატრიარქოს ტელევიზიის ეთერში მაინც გახმოვანდეს. „საღვთო წერილი“ ქართული კულტურის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია. თავის დროზე, ბატონმა ნიკო ბერძენიშვილმა ბრძანა, რომ ქართული კულტურა 3 ნიშანსვეტს ემყარება: ეს იყო „ბიბლია“, „ქართლის ცხოვრება“ და „ვეფხისტყაოსანი“.

**გოგი ხარაბაძე:**

— დავალება მიღებულია. „ბიბლია“ და „ვეფხისტყაოსანი“ ჩაწერილია. სამომავლოდ, მუშაობას „ქართლის ცხოვრებაზეც“ დავიწყებ...

*P.S. ბოლოს დავძენთ, რომ თითოეული ქრისტიანისთვის სანატრელი ამ საჩუქრის შეძენა მხოლოდ წიგნის მაღაზიათა ქსელ „ბიბლუსშია“ შესაძლებელი.* ■



# ავერსი 2008 წლის ერთ-ერთ საუკეთესო კომპანიად დასახელდა

[illegible]



[illegible]



[illegible]



# „მოდელი" ველი, სომხების „ძალიან ქართული" მასპინძლობა და აბულის მთიდან დაწყებული სამშობლო



**სამცხე-ჯავახეთში ბევრი ისტორიული, არქეოლოგიური და, უბრალოდ, ულამაზესი ადგილია, რომლის გაცნობას, დათვალიერებას, მოლოცვასა და გადაღებას ბევრი ეშურება, ბევრი ვერ ახერხებს, ბევრმა კი მისი არსებობაც არ იცის. მართალია, იმ კუთხეს ხშირად ვსტუმრობ, მაგრამ იქაურებს მაინც შევნატრი, რადგან ჩვენზე მეტის ნახვის, განცდისა და სიამაყის საშუალება აქვთ. ჯავახეთში პირველივე „ექსკურსიაზე" შორიდან დამანახვეს აბულის მთა — ეგ იყო და ეგ. სამწუხაროდ, მის მოსანახულებლად არავის მივუპატიჟებივარ, ახალციხის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეებს კი აშკარად გაუმართლათ... პედაგოგში.**

*ირმა ხარშილაძე*

**რამაზ კორშია**, *ახალციხის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი, გამოყენებითი ხელოვნების სპეციალისტი:*

— ერთი წელიწადია, ახალციხის მეხუთე საჯარო სკოლაში ხელოვნებას ვასწავლი. ძალიან საინტერესო, მართლა „სანერგე" თაობა მოდის. ამიტომაც, გადავწყვიტე, ტრადიციული ექსკურსიების გარდა, ბავშვებისთვის უფრო რთული მარშრუტი შემეთავაზებინა და ალპინიზმის თვალსაზრისით ძალიან საინტერესო, ჯავახეთის ზეგანზე, ზღვის დონიდან 3301 მეტრის სიმაღლეზე მდებარე სამცხე-ჯავახეთის უმაღლესი მწვერვალი — აბულის მთა ამოვირჩიე.

— **აბულის მთას რატომ უწოდებენ?**

— მთის ძირში არის სოფელი აბული, იქვეა აბულის ციხესიმაგრეც, გვარებიც ხომ არსებობს — აბულაძე, აბულაშვილი. ვფიქრობ, საერთო ტოპონიმია, რომლის მნიშვნელობაც, სამწუხაროდ, არ ვიცი.

— **ბავშვების მშობლებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ?**

— ახალქალაქი „საქართველოს ციმბირადაა" ცნობილი — მაისში ჯავახეთში ჯერ კიდევ თოვლია. ივნისის შუა რიცხვებამდე ამ მხარეში მაგარი ყინვები იცის და გაზაფხულის სეზონი ფაქტობრივად, არც არსებობს. მოსწავლეების მშობლები მწვერვალის გაგონებამაც კი შეაშინა და ამიტომაც, 3 მეათე კლასიდან მხოლოდ 16 ბავშვი წამოვიდა.

— **ბავშვებს ფიზიკური მომზადება არ დასჭირდათ?**

— განსაკუთრებული ფიზიკური მომზადება არ დასჭირვებიათ. თუმცა, ისინი გაფრთხილებული მყავდნენ, რომ ფიზიკურად ძლიერები უნდა ყოფილიყვნენ. 2 თვით ადრე დავიწყეთ საორგანიზაციო სამზადისი — მოვიმარაგეთ ზურგჩანთები, საძილე ტომრები, კარვები და 1-ელ მაისს 2 პედაგოგი — მე და გეოგრაფიის მასწავლებელი, მარი აფრიამაშვილი 16 მეათეკლასელთან ერთად აბულისკენ მიმავალ გზას გავუყევით. თავდაპირველად, ახალქალაქიდან 9-10 კმ-ში, აბულის მთის ძირში მდებარე სოფელ ბუზავეთში ჩავედით. მასპინძლობა სოფლის ერთადერთმა სკოლამ გაგვიწია. იქ უკვე გველოდნენ, რადგან ექსპედიციის დასაგეგმად ერთხელ წინასწარაც ჩავედი და სწორედ მაშინ გავიცანი სკოლის დირექტორი, არაჩვეულებრივი ადამიანი — დერენიკ ჰაკობიანი. სოფელში ძალიან თბილად მიგვიღეს. იქაურებმა გვითხრეს, ჩვენი სოფელი სტუმართმოყვარეობით მთელ მხარეში გამოირჩევაო. ჯერ ბუზავეთი დავლაშქრეთ. დავათვალიერეთ X საუკუნის მოჩუქურთმებული ეკლესია, რომელიც ამჟამად უმოქმედო და სახურავჩანგრეულია. როგორც ჩანს, სომხებს, ჩამოსახლების შემდეგ, ხის მანსარდა შეუკეთებიათ, გადაუხურავთ, სამრეკლო მიუდგამთ და სომხურ ეკლესიად გადაუკეთებიათ, დღეს კი მხოლოდ ისტორიული ძეგლია. გარდა ეკლესიისა, ამ სოფელში ნახავთ წარმართული ხანის უზარმაზარი ქვებით ნაშენ ციკლოპურ ნაგებობას, რომელიც მართალია, უკვე დანგრეულია, მაგრამ საძირკველი და კედელი შემორჩენილი აქვს. ვფიქრობ, თავის დროზე ის ციხე-გოდოლი, ციხესიმაგრე უნდა ყოფილიყო. არქიტექტურულად ძალიან საინტერესო ნაგებობაა და მგონი, ამ უზარმაზარი ქვების ერთმანეთზე დაწყობა დღევანდელი ტექნიკური საშუალებებითაც კი გაძნელდებოდა.

**ამ უზარმაზარი ქვების ერთმანეთზე დაწყობა დღევანდელი ტექნიკური საშუალებებითაც კი გაძნელდებოდა**



— **რამაზ, ბევრი ისტორიული ძეგლის აღდგენა-რესტავრაციაზე მუშაობდი და მუშაობ, ჯავახეთშიც ხომ არ ფიქრობ სამუშაოების დაწყებას?**

— ჯავახეთის ზეგანზე უამრავი ძეგლია, რომელიც რესტავრაციასა და თუნდაც, კონსერვაციას საჭიროებს, ამ ყველაფრის გაკეთებას კი დრო და ფინანსები სჭირდება. რასაც მოვასწრებთ და მოვახერხებთ, გავაკეთებთ, მაგრამ ყველაფერს ნამდვილად ვერ გავწვდებით. ჰოდა, ამიტომაც დამყავს ახალგაზრდები ყველგან. მინდა, საკუთარი თვალით ნახონ და შეიგრძნონ, რა გვაქვს, რას უნდა გაუფრთხილდნენ. მთავარი მაინც ისაა, რომ კარგი საქმის კეთების, შენების სურვილი გაუჩნდეთ... კვლავ ბუზავეთს და იქაურებს დავუბრუნდები — თითოეულ ოჯახს სურდა, გაგვმასპინძლებოდა, მაგრამ ბავშვებს ერთად ყოფნა, საძილე ტომრებში ძილი ერჩივნათ. ჰოდა, ღამე სკოლაში გავათიეთ, მეორე დილის 5 საათზე კი მწვერვალის დასალაშქრავად წავედით.

— **ბუზავეთში ჯავახები ცხოვრობენ?**

— იქ ერთი ქართული ოჯახიც კი არაა, მათ შორის, არც შერეული. დაახლოებით,



X საუკუნის მოჩუქურთმებული ეკლესია, რომელიც ამჟამად უმოქმედო და სახურავჩანგრეულია

300 კომლი ცხოვრობს და მხოლოდ — სომხები. ალბათ, იცით, რომ ეს ხალხი თურქეთიდან ჯავახეთში პასკევიჩმა ჩამოასახლა.

— **ქართული იციან?**

— სოფლის ერთადერთ, რა თქმა უნდა, სომხურ სკოლაში ქართულის მასწავლებელი ჰყავთ — სომეხი გოგონა, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯავახეთის ფილიალის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. ქართულად ის და რამდენიმე ბავშვი ლაპარაკობდა. ჩემი მოსწავლეების უმრავლესობამ სომხური იცოდა, მე კი რუსულად ვლაპარაკობდი. ასე რომ, თარჯიმანი არ დაგვჭირვებია. სომეხი ბავშვები არ გვცილდებოდნენ, ჩვენებს ძალიან დაუმეგობრდნენ და თავიანთ დღესასწაულებზეც წინასწარ დაგვპატიჟეს. მათ აუცილებლად ვეწვევით!..

**მარიამ გვარამაძე**, *ახალციხის* V *საჯარო სკოლის მოსწავლე:*

— ჩვენმა თანატოლებმა სკოლაში მუსიკალური ცენტრიც მოგვირბენინეს და დისკოთეკა მოგვიწყვეს. ასევე, ჩვენს ბიჭებს ფრენბურთში შეეჯიბრნენ და... მეგობრობამ გაიმარჯვა (*იცინის*).

**რამაზ კორშია:**

— აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ სკოლა, სადაც მოგვათავსეს, უმძიმეს მდგომარეობაშია. მართალია, სულ 25 ბავშვი ჰყავთ, მაგრამ სწავლისთვის პირობები მათაც ხომ სჭირდებათ? მართალია, სოფელში ელექტროენერგია არის, მაგრამ სკოლას, ფაქტობრივად, არ მიეწოდება და მოსახლეობამ 2 დღით, საგანგებოდ ჩვენთვის, თავიანთი სახლებიდან გამოიყვანა. სასაცილოა — ნაჩუქარი კომპიუტერი აქვთ და ვერ ჩაურთავთ. ამაზე, ალბათ, ახალქალაქის გამგეობამ და განათლების განყოფილებამ უნდა იზრუნოს. სხვათა შორის, სკოლაში ინვენტარის პრობლემაცაა და რაღაც ნივთები ჩვენი — ახალციხის V სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ჟენია მერაბიშვილმა გაგვატანა მათთან საჩუქრად.

— **საერთოდ, როგორ ცხოვრობს იქაური ხალხი, ძალიან უჭირს?**

— მესაქონლეობას მისდევენ. მკაცრი კლიმატი უფრო უძნელებთ ცხოვრებას. იქ ხეტყე არ არის და ამიტომაც, გასათბობად, ძირითადად, წივას — საქონლის ნაკელს იყენებენ. სოფლის მოსახლეობამ ამ თვალსაზრისითაც პატივი გვცა — წივა არ გვაკადრა და ღუმელში შესანთებად შეშა მოგვიტანა. სკოლაში იატაკიც არ უგიათ — საკლასო ოთახებში, სამასწავლებლოსა და დირექტორის კაბინეტშიც ბეტონი ასხია. მხოლოდ ერთ პატარა ოთახშია ხის იატაკი და ისიც, ჩვენს გოგონებს დაუთმეს, მეორეში კი, სადაც მამაკაცებს გვეძინა, სანახევროდ არის დაგებული. მოკლედ, „ძალიან ქართულად" მოგვექცნენ (*იღიმის*)... როგორც გითხარით, აბულის მწვერვალისკენ 2 მაისს, გამთენიისას დავიძარით. სოფლიდან ხუთი კაცი გამოგვყვა — სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი, ორი სტუდენტი და ორიც — მეათეკლასელი. მათ გაგვაფრთხილეს, — აბულის მთაზე ყოველთვის დიდი თოვლია და მწვერვალზე მხოლოდ აგვისტოში თუ შეძლებთ ასვლას. ახლა ჯობია, პატარა აბულზე (მთის დაბალ მასივს გულისხმობდნენ) ავიდეთო. ძალიან რთული გზა გავიარეთ, თოვლი გაყინული იყო და მართალია, ფეხი გვისრიალებდა, მაგრამ კარგი ის გახლდათ, რომ თოვლში არ ვეფლობოდით. ჩვენი მასპინძლების გასაოცრად, 5 საათში უკვე მწვერვალზე ვიყავით. ეგ კი არა და, როცა მიხვდნენ, რომ ყოჩაღები ვიყავით, გაჯიბრება მოინდომეს. ჩვენ ვიმარჯვეთ და პირველები ავედით (*იცინის*).

**მარიამი:**

— ბუზავეთელ თანატოლებს ჩვენი განზრახვა — აბულის მწვერვალის დაპყრობის შესახებ სასაცილოდ არ ეყოთ. ალბათ, ჩვენს შესაძლებლობაში ეჭვი ეპარებოდათ. სიმართლე გითხრათ, ასვლა გაგვიჭირდა. გზადაგზა ხან მზე გვაჭერდა, ხან გვათოვდა და რაც მეტად ვუახლოვდებოდით მწვერვალს, მით უფრო გვიძნელდებოდა მიზანთან მიახლოება. და მაინც, ჩვენ გავიმარჯვეთ — პირველები მწვერვალზე დათო, ლევანი, თემური ავიდნენ და საქართველოს დროშაც აიტანეს. ნახევარ საათში მათ ჩვენც შევუერთდით. სული რომ მოვითქვით და ირგვლივ მიმოვიხედეთ, გავოგნდით — გასაოცარი სანახაობა იყო. წარმოიდგინეთ, 3301 მეტრის სიმაღლიდან გადმოვყურებდით ჩვენი მხარის ტბებს, სოფლებს, ველებს და ახალციხესაც კი.

**რამაზი:**

— ბავშვებს დაღლა ეტყობოდათ, მაგრამ მაინც ვაჟკაცურად მოდიოდნენ. გოგონებს უკან გაბრუნებაც კი შევთავაზე, მაგრამ სასტიკად იუარეს და სიძნელეებს გმირულად გაუძლეს. ეს უბრალო ექსკურსია კი არა, მწვერვალის დასაპყრობად მოწყობილი მათი პირველი ალპინიადა იყო, რომელიც მათი გამარჯვებით დასრულდა. გაგვიმართლა და 2 მაისს მზიანი დღე დაგვიდგა. ცა იმდენად მოწმენდილი იყო, რომ ახალქალაქის მწვერვალიდან არათუ ახალციხე, კოჯრის ტყის მიდამოებსაც შეამჩნევდი. სამწუხაროდ, თბილისი ვერ დავინახეთ. ბავშვები აღფრთოვანდნენ, რადგან ლამის მთელ საქართველოს, დაკარგული ტაო-კლარჯეთის ჩათვლით, ხელისგულზე დადებულს ხედავდნენ.

— **დროშა მწვერვალზე დატოვეთ?**

— არა. ისეთი თოვლი იყო, ვერსად დავამაგრებდით. ამიტომაც, სამახსოვროდ წამოვიღეთ და საგულდაგულოდ ვინახავთ.

— **ალბათ, სამახსოვრო წარწერებიც გაუკეთეთ.**

— ეროვნულ დროშაზე წარწერის გაკეთება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია და ეს ბავშვებმაც კარგად იციან... აბულის მთამ, გარდა სილამაზისა, ასვლისას სხვაგვარადაც გაგვაოცა — თოვლში პირველად ვნახეთ ქვეწარმავალი — გველი. ეს იქაურებისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან ჩვეულებრივ, ივლისში და თანაც, მთის ძირას შეიძლება წააწყდე პატარა გიურზას, მაგრამ მწვერვალზე, 2700-2800 მეტრზე, თოვლსა და ყინვაში ამხელა გველთან შეხვედრა წარმოუდგენელი იყო. ბავშვებს არც შეშინებიათ, მხოლოდ ერთმა გოგონამ მოუარა შორიდან. თავდაპირველად, ვიფიქრეთ, მოგვეკლა, მაგრამ ისე ზანტად მოძრაობდა და იმდენად მშვიდი ჩანდა, ფოტოსესიის ჩატარება ვამჯობინეთ. თქვენ წარმოიდგინეთ, გამოცდილი მოდელივით იქცეოდა (*იცინის*).



თოვლში პირველად ვნახეთ ქვეწარმავალი — გველი



პატარა აბულიდან დიდი აბულისკენ

— **უხიფათოდ დაეშვით?**

— პატარა ექსცესი მაინც მოხდა. აღფრთოვანებული და წარმატებით გათამამებული ბავშვები ცოტათი მოდუნდნენ და დაშვებისას 2 მათგანი დაცურდა. ძალიან სახიფათო ვითარება შეიქმნა, მაგრამ საბედნიეროდ, უფროსები ახლოს ვიყავით, გავუსწარით, გზა გადავუღობეთ, ალპინისტური იარაღებით გავმაგრდით და ხელიხელჩაკიდებული მოსრიალე გოგონა და ვაჟი იოლად დავიჭირეთ... გვინდა, რომ ყოველწლიურად, მაისის დასაწყისში ტრადიციად ვაქციოთ „აბულიადა" — ასე დავარქვით ამ კონკრეტულ ალპინიადას. ოღონდ, მომავალი ალპინიადები უფრო მასშტაბური იქნება და სტუდენტებიც შემოგვიერთდებიან.

**მარიამი:**

— ადრე არ დავკვირვებივარ, ახლა კი ვიცი, რომ ჯავახეთის ქათქათა აბული ახალციხის რამდენიმე ადგილიდანაც კარგად მოჩანს. მას შემდეგ, რაც ჩამოვედით, მისკენ ხშირად გამირბის თვალი. ვერ წარმოიდგენთ, როგორ შემიყვარდა ეს მთა. სხვათა შორის, მოსწავლეებს „აბულიადა" გამარჯვებისა და რწმენის სიმბოლოდ გვექცა, აბულიდან ჩვენი სამშობლო იწყება. ■



M K

# ორი მუზის მსახური და მოჩვენება კულისებში

**„პრემიერა გამოცდაა, სამსჯავროზე გაგაქვს შენი ნამუშევარი. ამ დროს რეკვიზიტზეც კი ნერვიულობ. დიდი მნიშვნელობა აქვს პარტნიორობას. სცენაზე პარტნიორის მოსმენის კულტურა უნდა გქონდეს და უნდა შეეცადო, შენი ხმითა თუ მოქმედებით სხვა მსახიობი არ გადაფარო. სანამ ეს არ გაგიჯდება, იქამდე რთულია ყველაფერი. როდესაც შუქი ქრება, გული მეკუმშება. მაყურებელს რომ ვერ ხედავ და მისი გუგუნი გესმის, ძალზე საინტერესო წუთებია“, — ამ სიტყვების ავტორი მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი ირაკლი ჩოლოყაშვილი გახლავთ. საზოგადოება მას, არა როგორც მსახიობს, არამედ ანსამბლ „ლაშარის“ სოლისტად იცნობს... რა უფრო ჭარბობს მასში — მუსიკოსი თუ მსახიობი? როგორია მისი თვალით დანახული რეჟისორი — ლევან წულაძე? როდის ისვენებს ირაკლი ჩოლოყაშვილი? ამ შეკითხვებზე თავადვე გაგვცემს პასუხებს.**



*სოფო მინაშვილი*

— დავიბადე მარჯანიშვილის თეატრთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ სამშობიაროში. დედა მუსიკოსია, მამა — მეტყევე-ინჟინერი. ბებია — ქეთევან კობახიძე — მუსიკოსიც გახლდათ და მსახიობიც. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, მთელი ცხოვრება, მუსკომედიაში მოღვაწეობდა. ასე რომ, თეატრი ჩემთვის უცხო სამყარო არასდროს ყოფილა. მუსიკალური სპექტაკლების მოსმენა იმიტომ მსიამოვნებდა, რომ ორკესტრი განსაკუთრებულად მიტაცებდა. სკოლაშიც ფონს სიმღერით გავდიოდი. როცა გაკვეთილი მომზადებული არ მქონდა, მამღერებდნენ; მაგალითად, ფიზიკის გაკვეთილზე მახსოვს, ხშირად ვმღეროდი.

— **სცენასთან დაკავშირებით თქვენს ბავშვობაში თუ მომხდარა ისეთი რამ, რაც მთელი ცხოვრება გახსოვთ?**

— ...რკინიგზის საბავშვო ბაღში დავდიოდი, სადაც პატარა ორკესტრი გვქონდა (ერთი დოლი და ფორტეპიანო). რატომღაც, მიიჩნიეს, რომ იმ ორკესტრისთვის უნდა მედირიჟორა. ერთხელაც, მოსწავლეთა სახლში, კონცერტი გვქონდა, რომელიც ტელევიზიით უნდა გადაეცათ. ძალიან ვნერვიულობდი. გაფრთხილებული ვიყავი, რომ კონცერტის დამთავრების შემდეგ მსმენელისათვის მადლობა უნდა გადამეხადა. არ ვიცი, შემეშინდა თუ შემრცხვა, კონცერტი რომ დამთავრდა, მაშინვე კულისებში მოვკურცხლე და ჩემი სახე არავის დაუნახავს. ეს ჩემი პირველი გასვლა იყო სცენაზე. ბაღის შემდეგ „მართვეში“ ვმღეროდი. სკოლა რომ დავამთავრე, სწავლა ფობოიზე, მუსიკალურ ათწლედში, გავაგრძელე. რატომღაც ეს ჩასაბერი ინსტრუმენტი მომეწონა. მანამდე ფორტეპიანოს განხრით შვიდწლედიც დავამთავრე, მაგრამ ფორტეპიანოსგან განსხვავებით, ფობოიზე მეტი ხალისით ვმეცადინეობდი... სხვათა შორის, ახლა ისევ მივუბრუნდი ამ ინსტრუმენტს. სახლში ხშირად ვუკრავ.

— **ამჟამად რამდენ ინსტრუმენტზე უკრავთ?**

— საყვირსა და საქსოფონზე. დილეტანტის დონეზე რამდენიმე ინსტრუმენტზე ვუკრავ, ძირითადად, ჩასაბერ ინსტრუმენტებზე...

— **„ლაშარზეც“ მიამბეთ. ამ ანსამბლში მისი შექმნის დღიდან მღერით?**

— ანსამბლში მისი შექმნის დღიდან ვმღერი. ჩვენს ანსამბლს თავდაპირველად „კახეთი“ ერქვა. ამ სახელწოდებით 1994 წელს ოპერის თეატრში კონცერტი ჩავატარეთ.

— **როგორ გგონიათ, მსახიობი უფრო ხართ თუ მუსიკოსი?**

— თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარების დღიდან ლევან წულაძესთან ერთად ვარ. იქიდან მოყოლებული, ლევანი სულ მეჩხუბება, რა ამბავია, ამდენ დროს მუსიკას რომ უთმობო? როცა რამდენიმე საქმეს ერთდროულად აკეთებ, ყველაფერი ერთმანეთის ხარჯზე ხდება და რაღაცას ყოველთვის ვერ ასწრებ. რეპეტიციების დრო ხშირად ემთხვევა ერთმანეთს და ხან ერთს ვთხოვ, გვიან დანიშნოს რეპეტიცია, ხან მეორეს — ადრე გამიშვას. ერთი სამსახურიდან მეორეში როცა გარბიხარ, ჰგონიათ, რომ სადაც გარბიხარ, ის სამსახური შენთვის უთავრესია. თორმეტკაციან ანსამბლში ყველას თავისი ფუნქცია აქვს და რეპეტიციას ერთი წევრის გარეშეც ვერ ჩაატარებ... თეატრში გავარკვიე, თუ რა შემიძლია და ახლა მუსიკაში მინდა მეტად ჩაღრმავება, ამას ვცდილობ კიდეც (აქ „ლაშარს“ არ ვგულისხმობ). სხვათა შორის კულტურის უნივერსიტეტში ვსწავლობდი, საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი დავამთავრე. ოპერის თეატრის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, რამდენიმე პროექტიც გავაკეთეთ. ლევან მიზანდარის ნაწარმოებს დათო არჩვაძე მღეროდა და სიმფონიური ორკესტრი აკოპანემენტს უკეთებდა. ამ კონცერტის სატელევიზიო ვერსიაც არსებობს. შარშან ოპერის თეატრის სცენაზე ორი ნომერი ჩავწერეთ — ჯიმშერ ჩხაიძის „ეიფორია“ და ზაქარია ფალიაშვილის „დაისიდან“ კიაზოსა და ცანგალას დუეტი.

— **ცნობილია, რომ თქვენი სამსახიობო კარიერის ძირითადი დრო ლევან წულაძესთან ერთად გაქვთ გატარებული. როგორ დაახასიათებდით მას, როგორც რეჟისორს?**

— ლევანთან იოლია მუშაობა, რადგან უკვე 18 წელია, ერთად ვართ და უსიტყვოდ ვუგებთ ერთმანეთს. თუმცა ზოგჯერ აქტიური მუშაობის მიუხედავად, ხან გამოგვდის ნამუშევარი, ხან — არა. ლევანს დიდი შინაგანი კულტურა და ფანტაზია აქვს. ის რეპეტიციაზე ყოველთვის მომზადებული მოდის და ერთი და იმავე პერსონაჟის უამრავ ვერსიას გთავაზობს. მსახიობს ისღა რჩება, რომ შემოთავაზებული ვერსიებიდან რომელიმე შეარჩიოს და შეასრულოს.

— **ახლა რა როლზე მუშაობთ?**

— ამჟამად თავისუფალი ვარ და ვცდილობ, მუსიკას მივხედო.

— **როგორ ფიქრობთ, უკეთ რომელი ჟანრის როლები გამოგდით?**

— არის როლები, რომლებიც მხოლოდ სიუჟეტის განვითარებისთვისაა აუცილებელი და დიდი დატვირთვა არ



დიდი მნიშვნელობა აქვს პარტნიორობას

გააჩნია. ისინი მკვეთრი, სახასიათო როლების გვერდით ყოველთვის იკარგება. მაყურებელს კი სწორედ ისეთი პერსონაჟები ამახსოვრდება, რომლებიც მკვეთრია. სპექტაკლზეც მის სანახავად მოდის. დრამატული როლები უფრო საინტერესო გასაკეთებელია. მქონია ნეიტრალური და სახასიათო როლებიც...

**— როგორ ხვდებით, როლი კარგად რომ შეასრულეთ?**

— როდესაც იპოვი სწორ მიმართულებას და აღარ ფიქრობ ტექსტსა და მიზანსცენაზე. ისე, ამას მაყურებლის რეაქციითაც ხვდები. რა თქმა უნდა, მაყურებელი მნიშვნელოვანია, თუ მას არ მოსწონს სპექტაკლი, თეატრში არ მოვა და მისი დამოკიდებულება ყოველთვის უნდა გაითვალისწინო. ცარიელ დარბაზში თამაში არავის სიამოვნებს. საბედნიეროდ, ასეთი რამ არ ხდება.

**— ალბათ, ყველა მსახიობს თავისი საიდუმლო აქვს, რაც როლში შესასვლელად ეხმარება. რა გეხმარებათ როლში შესვლაში?**

— ინტუიცია. საერთოდ, ყველა საქმეში ინტუიცია მეხმარება... ისე, რა თქმა უნდა, რეჟისორიც გეხმარება. როდესაც მუშაობას ვიწყებთ, ვსხდებით და ვამბობთ, რა გვინდა, რეჟისორს რა ჩანაფიქრი აქვს. შემდეგ უკვე იდეებისა და მიმართულებების მოსინჯვას ვიწყებთ.

**— ვიცი, რომ ავტომობილების მიმართ განსაკუთრებული ლტოლვა გაქვთ...**

— ...სულ მინდოდა, ისეთი ავტომობილი მყოლოდა, სახლიც რომ ყოფილიყო და იმით მემოგზაურა... ავტომანქანებიც მიყვარს და მოგზაურობაც.

**— საზღვარგარეთ, ალბათ, ბევრჯერ ყოფილხართ...**

— ძალიან მომეწონა იტალია. იტალიელები საოცრად კოლორიტულები არიან. მათ რომ ვუყურებდი, მეგონა, რომელიმე ნაწარმოების ან კინოფილმის ცოცხალი გმირები იყვნენ. უზომოდ ენერგიული და ემოციური ხალხია. ყველაფრის თავისებურად გამოხატვა უყვართ. ძალიან ჰგავნან ქართველებს, უფრო იმერლებს.

**— თქვენს გვარზე მიამბეთ. ბიძინა და ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ნათესაური კავშირი ხომ არ გაქვთ?**

— ჩოლოყაშვილებთან დაკავშირებით ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ ისინი გენუელები იყვნენ და მესაქონლეობას ეწეოდნენ. შემდეგ საქართველოში ჩამოვიდნენ და მეფემ მათ დიდი მიწა უბოძა. ჩოლოყაშვილები ძირითადად მეომრები ყოფილან და დროთა განმავლობაში ქართველებს შეერწყნენ. ამ გვარში ბევრი განშტოება არსებობს. ქაქუცას შტო ჩვენი არ არის, მონათესავე ჩოლოყაშვილები ახმეტაში გვყავს, ქაქუცასი კი — მატანშია. მეორე ვერსიის თანახმად, ჩოლოყაშვილები თავიდან ირუბაქიძეები ყოფილან. რობაქიძეს „გველის პერანგში" რომ მაყაშვილი ჰყავს, ეს შემთხვევითი არ არის. ჩოლოყა და მაყა ძმები იყვნენ და შემდეგ მათგან წამოსულა ჩოლოყაშვილებისა და მაყაშვილების გვარები.

**— ქაქუცა ჩოლოყაშვილზე შექმნილ სპექტაკლში მონაწილეობა რას ნიშნავს თქვენთვის?**

— სიმონიკოს — ქაქუცას ძმის — როლი ჩემი არჩევანი იყო. რაც შეეხება ჩემს პერსონაჟს, ის გმირი იყო და მის შესახებ საზოგადოებამ არაფერი იცოდა. ამ სპექტაკლით ბევრი გაეცნო მის ბიოგრაფიას. ეს სპექტაკლი ყველა შეფიცულ ძმას ეძღვნება.

**— რამდენად საინტერესო იყო თქვენთვის ამა თუ იმ ტელეპროექტში მონაწილეობა?**

— ერთ ადგილზე ყოფნა დიდხანს არ შემიძლია. ამდენად, ტელეპროექტებში მონაწილეობა ჩემთვის საინტერესო იყო. ყველამ იცის, რომ ქართულ კინოს ძალიან უჭირს. ამიტომ მსახიობებს კამერასთან მუშაობის გამოცდილება არა აქვთ. ამ მხრივ ბევრი კარგი რამ გააკეთა სერიალებმა. ახალი გამოცდილება შევიძინე.

**— როგორ ისვენებთ?**

— ვისვენებ ოჯახთან ერთად. მიყვარს ოპერის თეატრში სიარული. ეს ჩემთვის დიდი სიამოვნება და განტვირთვაა...

**— რამდენადაც ცნობილია, თქვენი მეუღლე — ნინო იოსელიანიც მსახიობია. როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

— ასე გეტყვით: ...ქაქუცა გმირი რომ არ ყოფილიყო, ნინო ჩემი მეუღლე არ იქნებოდა. ამ სპექტაკლის დროს დავახლოვდით. ნინოს ჭოლასთან მუშაობის გამოცდილება ჯერ კიდევ „სარდაფში" ჰქონდა. როდესაც ის გამოცხადებულ კასტინგზე მოვიდა, ლევანს გაახსენდა, რომ მასთან ადრეც ჰქონდა ნამუშევარი და როლზე დაამტკიცა. ნინო „სარდაფიდან" მეც მახსოვდა და მომწონდა. როდესაც კასტინგზე დავინახე, ის ემოცია განმიახლდა. შემდეგ ჩვენი ურთიერთობა თანდათან გაღვივდა და დღეს ის ჩემი მეუღლეა. მან გამახსენა, რომ ჩემგან ავტოგრაფი აქვს აღებული... დღეს კი უკვე ის ავტოგრაფი ჩვენს ოჯახში ინახება.


...ქაქუცა გმირი რომ არ ყოფილიყო, ნინო ჩემი მეუღლე არ იქნებოდა

**— მსახიობისათვის მსახიობის მეუღლეობა რთული არ არის?**


ყველა საქმეში ინტუიცია მეხმარება...


დღეს კი უკვე ის ავტოგრაფი ჩვენს ოჯახში ინახება

— რთულია, რადგან მოუცლელობის გამო მეუღლე და მთელი ოჯახი ზარალდება. თუ ნორმალური ადამიანები, სახლში 7 საათზე ბრუნდებიან და დღის განმავლობაში მომხდარი ამბების შესახებ საუბრობენ, მე შინ 12 საათზე შევდივარ და საუბრის დრო აღარ გვრჩება. ერთად ვერაფერს ვგეგმავთ. ქორწილიც ამიტომ ვერ გადავიხადეთ. შაბათ-კვირას ვერ ვახერხებდით და ხელი ხუთშაბათს მოვაწერეთ. თან, 5 საათზე, რეპეტიცია მქონდა, იმ დროს საპასპორტოც იკეტებოდა და ყველაფერი უნდა მოგვესწრო. დავქორწინდი თუ არა, მაშინვე რეპეტიციაზე წავედი, ნინო კი შინ ტაქსით გავუშვი...

**— რას უსურვებთ ქართულ თეატრს?**

— ქართულ თეატრს, ერთი ადამიანი რომ არ ეხმარებოდეს, ბევრი პრობლემა ექნებოდა. მის სახელსა და გვარს შეგნებულად არ ვასახელებ, თუმცა ყველა მიხვდება, ვისაც ვგულისხმობ... მსახიობები მის „სტიპენდიას" ვიღებთ, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია. მას უფროსი თაობის მსახიობები კიდევ უფრო პატივში ჰყავს... ქართულ თეატრს ბევრ ნიჭიერ მსახიობსა და მრავალრიცხოვან მაყურებელს ვუსურვებ.

■

*დაცვის და სპორტის მინისტრის მოადგილე:*

— ტელევიზორის ყურება არ მიყვარს. იშვიათად — „კურიერს“, გასართობ გადაცემებს კი საერთოდ არ ვუყურებ.

— **არც პოლიტიკურ დებატებს ადევნებთ თვალს?**

— ნინო შუბლაძის გადაცემას თუ შევავლებ თვალს.

**ქეთი დოლიძე,** *რეჟისორი:*

— ტელეარხებმა იაფფასიანი ხუმრობებით, შეცდომებით სავსე ცუდი ქართულით სრულიად გაანადგურა ადამიანების გემოვნება. ადამიანები ტელეეკრანიდან გველაპარაკებიან: „მადლობა მოგიხადო, გადმომირეკე, გადმოგირეკავ“. ეს კიდევ პატარა მარგალიტებია. მგონია, რომ ჩვენი გემოვნების სრული დევალვაცია შეგნებულად ხორციელდება, რათა ნაკლები ვიფიქროთ და მეტად გავერთოთ. ყველაფრის კვინტესენცია კი „კოხორას“ გარშემო შექმნილი აჟიოტაჟი იყო. კარგია, რომ დანაშაული აპატიეს და ციხეში არ ჩასვეს, მაგრამ მის პიროვნებაზე აგებული, მთელი სატელევიზიო სიუჟეტის არსი მდგომარეობდა იმაში, თუ როგორ მოიპარა მან საფულე, ახლა კი ის საქვეყნოდ ცნობილ მსახიობთან, გივი ბერიკაშვილთან ერთად მულტფილმს ახმოვანებს და სერიალში მთავარ გმირად გვევლინება. ეს შეგნებულად კეთდება. ყველაფერი გათვლილია იმაზე, რომ თითქოს, ცხოვრება მშვენიერია. გადაცემა — „ცხოვრება მშვენიერიას“ არაფერს ვერჩი. ნინო, ისევე, როგორც მაია ასათიანი, ცდილობს, კარგი სიუჟეტები მოამზადოს. ეს ორი გადაცემა გამორჩეულია, მაგრამ ტელევიზიების ფორმატი და ცენზურა მათ იმ თემების გაშუქებას ავალებს, რაც თავად აძლევს ხელს. მაგალითად, არაფერი მკვეთრი და მწვავე არ შეიძლება, გაშუქდეს. თუმცა, მაიაც და ნინოც ცდილობენ, ადამიანურები იყვნენ და ამას ვერაფრით დაუკარგავ. მშვენიერია „ჟურნალისტის დღიური“, „ჩვენებურები“ და არა უშავს გადაცემას — „მოწყვიტე წამი“, მაგრამ რესპონდენტებს იქაც არჩევენ. მაგალითად, მასში მონაწილეობა რომ მინდოდეს, სოფო მოსიძეს არ მისცემენ უფლებას, სიუჟეტი ჩემზე გააკეთოს. ასე რომ, ტელეგადაცემების ხარისხზე ცენზურაც მოქმედებს. ტელესერიალი „მესამე თაობა“ („ჩვენი ოფისი“), რომელიც საზოგადოებრივ არხზე გადის, არის სერიალი, საიდანაც ადამიანებს ეუბნებიან, რომ დედ-მამა შეიძლება, ცუდი იყოს, ბებია კი მალე უნდა მოკვდეს... ინტერნეტში რომ შევიდნენ და ოპრას გადაცემები ერთხელ მაინც ნახონ, მიხვდებიან, ამერიკული საზოგადოებაც კი ცდილობს, ყველას დაუმტკიცოს, რომ მეზობლები უნდა მეგობრობდნენ, ნათესავებს ერთმანეთი უნდა უყვარდეთ და ა.შ. აქ კი ყველაფერი პირუკუ ხდება. საზოგადოებას რასაც მიაწვდი, იმას გადაყლაპავს. მაგალითად, როდესაც პოლონეთში „რეალითი-შოუები“ ფეხს იკიდებდა და კერძო სექტორი საამისოდ ფულს არ იშურებდა, ერის მამებმა (როგორებიც არიან: იეჟი კავალეროვიჩი, მაზოვეტსკი და სხვები) ერს მიმართეს: განწირულები ვართ იმისთვის, რომ დამკვიდრდეს ის, რაც ახალგაზრდა თაობას ძალიან აღაგზნებს, მოეწონება და დაიწყება ჩვენი გემოვნების დაცემაო. მათი მიმართვის შემდეგ, პოლონეთის სატელევიზიო ბაზარზე „რეალითი-შოუებმა“ ადგილი ვერ დაიმკვიდრეს. სამწუხაროდ, ჩვენსა და პოლონელებს შორის განსხვავება ძალიან დიდია. მათ შეუძლიათ, კრიზისის დროს ერთ მუჭად გაერთიანდნენ, ჩვენ კი — არა.

— **პოლიტიკურ ტოქშოუებს თუ უყურებთ?**

— ინგა გრიგოლიას გადაცემას ვუყურებ. ინგა არის ის გამორჩეული ჟურნალისტი, რომელიც სატელევიზიო ეთერში რაღაცის თქმას ახერხებს მანამ, ვიდრე გადაცემას დაუხურავენ... როგორც ეკრანზე საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოადგილე, გია ჭანტურია ჩნდება, ტელევიზორს მაშინვე ვთიშავ — მისგან საშინელი ენერგეტიკა მოდის. ძალიან მაღიზიანებს ეკა კვესიტაძე, მაგრამ მაინც, ვულოცავ ბავშვის დაბადებას და ვუსურვებ, რომ მის შვილს თავისუფალ საქართველოში, ბედნიერად ეცხოვროს. ეკა მაღიზიანებს იმიტომ, რომ ჰგონია, მხოლოდ თვითონ იცის ყველაფერი და ოპონენტებს, პრაქტიკულად, არ ალაპარაკებს, მათ საუბარში ერევა და უნდა გვაიძულოს, რომ მისი აზრი გავიზიაროთ. ამასთანავე, აგრესიულია. ხშირად ვუყურებ ამერიკულ და ბრიტანულ ტელევიზიებს. ჰოდა, ჩვენს ჟურნალისტებს ვურჩევ, უყურონ უცხოელი კოლეგების გადაცემებს და მათგან აიღონ მაგალითი.

**კახა ლეჟავა,** *სტუდენტი:*

— მშვენიერი გადაცემაა „რა, სად, როდის“; ყოველ შაბათს და კვირას ველოდები ტელესერიალს — „შუა ქალაქში“ და „ღამის შოუს“ იუმორიც მომწონს. პოლიტიკურ ტოქშოუებსაც ვუყურებ ხოლმე, მაგრამ გადაცემაში მოწვეული პოლიტიკოსები ახალს ველარაფერს ამბობენ და გადაღეჭილი თემების მოსმენა მოსაბეზრებელი გახდა. ჩვენი ტელევიზიების ნაკლი ის არის, რომ ახალ ფილმებს თითქმის არ უჩვენებენ. გარკვეული პერიოდულობით, ერთი და იგივე ქართული თუ უცხოური ფილმი გადის. დავიზეპირეთ, ბატონო, „საბუდარელი ჭაბუკი“ და „დრაკონის კოცნა“. რა, ახალი ფილმების საყიდლად ფული ენანებათ?..

**მარინა ბალიაშვილი,** *ფსიქოლოგი:*

— ტელევიზია საზოგადოებაზე დიდ გავლენას ახდენს. ფსიქოლოგიაში დამუშავებულია კვლევები პიარტექნოლოგიებთან დაკავშირებით და მთელი ტომებია დაწერილი მასობრივი საშუალებების გავლენაზე. ახლა კი მუშავდება მეთოდები, თუ როგორ დავიცვათ მაყურებელი მასმედიის არაკეთილსინდისიერი ზემოქმედებისგან. როდესაც სატელევიზიო სივრცეში რაღაცას ქმნი, ბუნებრივია, უნდა გაითვალისწინო, თუ ვინ არის შენი აუდიტორია, მსმენელი, მაყურებელი. როდესაც ქართულ გადაცემებს ვუყურებ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენს საზოგადოებაზე ძალიან ცუდი წარმოდგენა აქვთ. მაყურებლისადმი მათი დამოკიდებულება გადაცემების მომზადების დონიდან ჩანს. ფიქრობენ: თავის შეწუხება საჭირო არ არის, რასაც ვუჩვენებთ, იმას მიიღებენო. ტელევიზიების მისამართით კრიტიკაც ხშირად ისმის, მაგრამ ტელეჟურნალისტები თავს იმართლებენ: რა ვქნათ, ხალხს მოსწონს, რეიტინგზე ვმუშაობთო. სინამდვილეში კი საინტერესოა, რომელ რეიტინგზე ლაპარაკობენ? ალბათ, იმაზე, მაყურებელი ცუდსა და უარესს შორის რომ აკეთებს არჩევანს. ქართული ტელესივრცე ძალიან უფერული, ერთფეროვანი, ბანალური, აბსოლუტურად არააქტუალური გადაცემებითაა სავსე... თუ კარგი ფეხსაცმლის ფული არ მაქვს, ფეხშიშველი ხომ ვერ ვივლი? იძულებული ვარ, წავიდე და იაფფასიანი, უხარისხო ფეხსაცმელი ვიყიდო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე გემოვნება არ მაქვს, რომ კარგისა და ცუდის გარჩევა არ შემიძლია. ყველა გადაცემას, შინაარსის გარდა, აქვს ფარული მესიჯი, მიმართვა და ეს გზავნილი ადამიანის ქვეცნობიერზე მოქმედებს. მაგალითად, გადაცემაში მოიყვანენ ვიღაც მაიმუნს (უკაცრავად, გამოთქმისთვის) და აქებენ. გვეუბნებიან, — ნახეთ, როგორი ლამაზიაო. ამ დროს კი მართლა ლამაზ ადამიანს უჩნდება კომპლექსი და ფიქრობს, ვინაიდან იმ „ლამაზმანს“ არ ჰგავს, უშნოა. მე თუ მკითხავთ, ყველაზე პოპულარული გადაცემა — „პროფილი“ საშინელებაა, რადგანაც ის აბსოლუტურად ცარიელი და არაფრის მთქმელია. ის, რაც სხვა ქვეყნისთვის მისაღებია, ჩვენთვის შესაძლოა, დაცინვა იყოს. წამყვანზეც ბევრი რამაა დამოკიდებული, მას სერიოზული პასუხისმგებლობა ეკისრება. სხვადასხვა თვალსაზრისით, ტელეწამყვანი სანიმუშო უნდა იყოს. სამწუხაროდ, ქართულ ტელესივრცეში ამ მხრივაც ძალიან ცუდი მდგომარეობაა. ზოგიერთს აშკარად ეტყობა, რომ საკუთარ თავზე არასდროს უმუშავია, რომ საიდანღაც უცებ გამოჩნდა და „პრაიმ ტაიმის“ დროში, ტელეეთერში ჩასმული გადაცემის წამყვანი გახდა. ისინი უფრო სერიოზულად უნდა ეკიდებოდნენ საქმეს, მით უმეტეს, რომ ყველა პირობა აქვთ საამისოდ, ძალიან მაღალ ანაზღაურებას იღებენ. მათ წლიდან წლამდე ზრდა უნდა ეტყობოდეთ, ერთ ადგილას კი არ უნდა იყინებოდნენ. საწუხაროდ, რატომღაც ჰგონიათ, რომ ძალიან კარგები არიან და პროფესიონალური ზრდა არაფერში სჭირდებათ, რადგანაც ჯანსაღი კრიტიკა აკლიათ. იმისთვის, რომ გონს მოეგონ და ამოძრავდნენ, მხოლოდ საიდანღაც შეთითხნილი რეიტინგი არაა საკმარისი. თანაც, პირველ რიგში, ჟურნალისტმა უნდა იფიქროს იმაზე, თუ რომელ გადაცემასთან ან წამყვანთან შედარებითაა რეიტინგული? ბოლოს და ბოლოს, თავმოყვარეობაც ხომ უნდა გქონდეს!..



M K

ბანდფორმირებაზე იერიში მივიტანეთ. ცეცხლის გახსნას მათი მხრიდან პასუხი მოჰყვა. ის პოზიცია კი დავიკავეთ, მაგრამ შეტაკების დროს ძალიან მძიმედ დავიჭერი — 17 ტყვია მომხვდა: სამი „ესვედე" (*სნაიპერული შაშხანა. — ავტ.*), ერთი სნაიპერის ტყვია და, როგორც მითხრეს, მიწაზე დავარდნის შემდეგ, გონდაკარგულს, „აკაემის" ავტომატიდან მთელი ჯერი „გადამატარეს"... რამდენიმე წუთის შემდეგ კი ჩემგან 15-20 მეტრის რადიუსში ნაღმი აფეთქდა და მისი ნამსხვრევები მომხვდა... სხეულის ერთადერთი ნაწილი, სადაც ტყვია არ მომხვედრია, თავი იყო... ორმხრივი შეტაკებისას, თანამებრძოლებს ჩემი გამოყვანა გაუჭირდათ, მაგრამ „შავნაბადის" ბატალიონში ნამდვილი მეომარი ბიჭები იყვნენ და როგორღაც, გამომიყვანეს. ყველას გარდაცვლილი ვეგონე და მორგში გადამიყვანეს, მაგრამ ღმერთმა არ გამწირა და გადავრჩი. დღეს ცოცხალი რომ ვარ, ეს ჩემი თანამებრძოლი ბიჭების დამსახურებაა. ომის დასრულების შემდეგ გაირკვა, რომ „შავნაბადას" ყველაზე დიდი დანაკარგი ჰქონდა, უფრო სწორად — იმ ნაწილიდან თითქმის არავინ გადარჩენილა... მე გაგრის საავადმყოფოში, უძლიერესი ტკივილგამაყუჩებლების ზემოქმედების ქვეშ ვიმყოფებოდი. გონზე მხოლოდ მაშინ მოვედი, როცა სამხედრო ვერტმფრენით თბილისში მოვყავდი, ისიც — რამდენიმე წუთით. ამის შემდეგ, ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში დამიბრუნდა აზროვნება. თუმცა იქ მიყვანიდან რამდენიმე დღეში, სამხედრო პროკურატურის წარმომადგენლები დამადგნენ თავს.

— **რატომ?**

— ჩემ წინააღმდეგ, დეზერტირობის ბრალდებით, სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული. მაშინ, როცა აფხაზეთში ვიბრძოდი, დიდუბე-ჩუღურეთის შტაბის სამხედრო კომისარმა თენგიზ წიკლაურმა, სამხედრო პროკურატურას „გადამცა" — აფხაზეთის ომში წასვლისგან თავის არიდებაში მადანაშაულებდა.

— **ამ დროს ხომ ომში იყავით?!.**

— დიახ, როცა სახლში უწყება მომივიდა, მე უკვე გაგრის საავადმყოფოში, უმძიმესი ჭრილობებით ვიწექი... სამხედრო პროკურატურის წარმომადგენლებმა, დეზერტირობაში ეჭვმიტანილი კაცი ტყვიებით დაფლეთილი რომ მნახეს, გაოცდნენ. ახსნა-განმარტების მიცემა კი არა, განძრევა არ შემეძლო. ჩემს სათქმელს ჭრილობები „ლაპარაკობდნენ" და საქმე დაიხურა. ამის შემდეგ, დაიწყო დაუსრულებელი ოპერაციები, ზოგი — წარმატებული, ზოგიც — წარუმატებელი. ექიმებმა ძალისხმევის მიუხედავად, მარცხენა კიდური ვერ შემინარჩუნეს... ერთადერთი, ვინც ბოლომდე მხარში მედგა, ჯანმრთელობის დაცვის მაშინდელი მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე იყო, და კიდევ, ქალბატონი ელენე თევდორაძე. დამოუკიდებლად გადაადგილების უნარის დაბრუნებას ამ ადამიანებს ვუმადლი... მარჯვენა ფეხში, წვივის ძვალი ჩამსხვრეული მქონდა და ნამსხვრევები სისხლძარღვებსა და კუნთებს აზიანებდა. სანქტ-პეტერბურგში მკურნალობაზე უარი მითხრეს: ძალიან რთული ოპერაცია გჭირდება და გარანტიას ვერ მოგცემთ, რომ ფეხი მოსაჭრელი არ იქნებაო. მერე იტალიაში წავედი. იქ კი გამიკეთეს ოპერაცია, მაგრამ წარუმატებელი აღმოჩნდა, — მალე ისევ ძვლის დაშლა დამეწყო და კიდევ ერთი ოპერაცია დამჭირდა. თავდაცვის სამინისტროს ძალისხმევით, თურქეთის სამხედრო-სამედიცინო აკადემია „გათაში", მათივე ხარჯებით, 4 ოპერაცია გამიკეთეს (ეს კლინიკა ანკარაში მდებარეობს და მთელ მსოფლიოში ცნობილია კვალიფიციური კადრებით).

— **ლევან, ამჯერად რა ეტაპზეა თქვენი მკურნალობა?**

— ახლახან ისევ ვიყავი თურქეთში, სადაც მთელი სხეულის გამოკვლევა ჩამიტარეს, მათ შორის ყველაზე ძვირად ღირებული, „ანჟიო": ეს პროცედურა საკმაოდ რთულია — ზონდით შედიან მთავარ არტერიაში და მთელ სხეულს იკვლევენ. როგორც ვიცი, ამ ოპერაციის ღირებულება 10-15 ათას დოლარია, მაგრამ მკურნალობა ბოლომდე ვერ მივიყვანე...

— **რატომ?**

— მარჯვენა ხელზე კიდევ ერთი ოპერაცია მჭირდებოდა, მაგრამ ოპერაციამდე, კიდურში რვასანტიმეტრიანი ძვალი, მყესებთან და არტერიასთან ერთად, უნდა გადაენერგათ. მანამდე მკურნალობის 3 ეტაპი უნდა გამევლო, მე კი იქ დასარჩენი თანხა არ მქონდა. როგორც ირკვევა, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სააგენტო ამ თანხის გამოყოფას არ აპირებს.

**მამუკა ლიპარტელიანი,** *ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე:*

— ჯერ კიდევ 2006 წელს კაპიტან ლევან ბლუიშვილს თურქეთში ოპერაციის გასაკეთებელი თანხა — 3.600 ლარი (1.980 დოლარი), მაშინ მოქმედი, ერთიანი სოციალური სახელმწიფო ფონდის მიერ გადაერიცხა. ჯანდაცვის სამინისტროში შესაბამისი ანგარიშფაქტურაც არსებობს და თურქეთში საქართველოს საელჩოს მიერ მოწოდებული ოფიციალური დოკუმენტიც გვაქვს. მოგვიანებით მივიღეთ კიდევ ერთი დოკუმენტი, სადაც წერია, რომ ლევან ბლუიშვილი იქ სამკურნალოდ ვერ ჩავიდოდა, თუ კლინიკიდან გატანილი თანხა უკან არ დაბრუნდებოდა.

— **ვინ გაიტანა თანხა?**

— თბილისში არსებული „ზირაათ ბანკის" ფილიალის მეშვეობით, ლევან ბლუიშვილმა ეს თანხა გაიტანა. თუ ეს ფული აღნიშნული პირის მკურნალობას არ მოხმარდებოდა, სახელმწიფოს ანგარიშზე უნდა დაბრუნებულიყო. ახლა კი ბლუიშვილი ხელახლა ითხოვს მკურნალობისთვის საჭირო თანხას.

— **ბატონო მამუკა, ეს თანხა მხოლოდ ოპერაციისთვის იყო განკუთვნილი თუ სხვა ხარჯების დაფარვასაც ითვალისწინებდა?**

— მხოლოდ ოპერაციისთვის საჭირო თანხა იყო. საქმე ის არის, რომ ბლუიშვილის მიმართვაში არც იყო მითითებული, თუ რა თანხას ითხოვდა, მხოლოდ ის ეწერა, რომ თურქეთში მკურნალობისთვის გარკვეული თანხა სჭირდებოდა. სახელმწიფომ მაშინ იმდენი გადაურიცხა, რამდენის საშუალებაც ჰქონდა. ბლუიშვილმა კი ეს თანხა კლინიკიდან გაიტანა და აღარ დააბრუნა. ამიტომაც, ახლა მზადდება სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში უნდა შევიდეს: სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ბრალდება „უსაფუძვლოდ გამდიდრების" მუხლს ითვალისწინებს.

*მამუკა ლიპარტელიანის ბრალდებებს ლევან ბლუიშვილი ასე პასუხობს:*

— „გათაში" მკურნალობისთვის, 2 ათასი კი არა, 15 ათასი დოლარი მჭირდებოდა, 2 ათასი მხოლოდ ოპერაციის თანხა იყო, დანარჩენი — კვებისა და სხვა ხარჯებს ითვალისწინებდა. თურქულ კლინიკაში მხოლოდ ოპერაციისთვის საჭირო თანხა იყო ჩარიცხული, მაგრამ მაშინ საოპერაციოდაც ვერ წავედი, რადგან საკმარისი ფული არ მქონდა. ამიტომ, იძულებული გავხდი, ეს თანხა „ზირაათ ბანკის" მეშვეობით, უკან გამომეტანა, რათა თბილისში, ელემენტარული მკურნალობა მაინც ჩამეტარებინა... რამდენიმე თვის წინ, თავდაცვის მინისტრის, დავით სიხარულიძის, ადმინისტრაციული განყოფილების გამგის მოადგილის, მამუკა ყორანაშვილისა და ევროატლანტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, ირაკლი ყოჩაშვილის დახმარებით, მივაღწიეთ შეთანხმებას „გათასთან", რომლის საფუძველზეც, ამ კლინიკაში კიდევ ერთი უფასო ოპერაცია გამიკეთეს, მაგრამ სასტუმროში ცხოვრების, კვებისა და ოპერაციის შემდგომი მკურნალობისთვის საჭირო თანხა არ მქონდა და მკურნალობის კურსი ბოლომდე ვერ მივიყვანე. სწორედ ამისთვის ვითხოვ სახელმწიფოსგან 2 ათას დოლარს, რათა გავიკეთო ოპერაცია, რომლის შედეგადაც მარჯვენა ხელის თითების ამოძრავებას მაინც შევძლებ... ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ სურგულაძემ უკვე წააგო ჩემთან ერთი სასამართლო და ამჯერადაც წააგებს...

*საბოლოო პასუხის მისაღებად, გადაურიცხავს თუ არა საქართველოს შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო დაზარალებულს მკურნალობისთვის საჭირო თანხას, სამინისტროს მივმართე. როგორც სანდრო კვიტაშვილის უწყებაში მიპასუხეს, თურქეთში მკურნალობისთვის საჭირო 2 ათას დოლარს ლევან ბლუიშვილი აგვისტოს ბოლოს მიიღებს.*



# „ქართული პრესის აქტიური მკითხველი ვარ“

*თამუნა კვინიკაძე*

## „შენ რა გითხარი, ეს რა ეშმაკური კითხვა იყო!“

**ის პროფესიით მათემატიკოსია, ამბობს, რომ კარგი მოსწავლე იყო. სულ მეცადინეობდა და მეცადინეობდა. სკოლა ხუთებზე დაამთავრა. არაერთი საყვარელი მწერალი ჰყავს, გამორჩეულად, ვაჟა-ფშაველა უყვარს. მისი ნაწარმოებები რამდენჯერმე აქვს წაკითხული. ასევე ძალიან მოსწონს ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილები. თანამედროვე ქართული მწერლობით ნაკლებად ინტერესდება. ამბობს, რომ წიგნი არასდროის მოუპარავს. ლიტერატურული პერსონაჟებიდან, ალუდა ქეთელაურთან იმეგობრებდა. მაშ ასე, ამჯერად, „ერუდიტის“ სტუმარია ვანო ჯავახიშვილი. ამ რუბრიკაში შეხვედრაზე მისი დათანხმება ადვილი არ აღმოჩნდა, მაგრამ კითხვარს შესანიშნავად გაართვა თავი.**

### პრეამბულის მაგიერ

— **ვანო, როგორ ფიქრობ, კარგი მეხსიერება გაქვს?**

— არა, კარგი მეხსიერებით ნამდვილად არ გამოვირჩევი, ბევრი რამ მალე მავიწყდება. ამ რუბრიკას მე და ჩემი მეუღლე ყოველთვის ერთად ვკითხულობთ, თან შეჯიბრებას ვაწყობთ — რომელი მეტ კითხვაზე შევძლებთ სწორი პასუხის გაცემას.

— **გამარჯვებული რომელი რჩებით?**

— მან ლიტერატურა ჩემზე კარგად იცის, მე — გეოგრაფია და მათემატიკა. წესით, ჩვენი შვილი ბევრად უფრო ნიჭიერი უნდა იყოს, ვიდრე ჩვენ ვართ.

— **ე.ი. „გზას“ კითხულობ...**

— „გზა“, ძალიან მომწონს, ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ინტერვიუს ახლა შენ იწერ. „გზის“ შავთეთრ ფურცლებზე გადაცემაში ხშირად ვხუმრობთ (ასეა და რა ვქნათ?). თქვენ ახერხებთ, მკითხველს ყველა ნომერში საინტერესო სტატიები შესთავაზოთ. საერთოდ, პრესის აქტიური მკითხველი ვარ.

— **შენს ინტერვიუებს ყოველთვის კითხულობ?**

— ყოველთვის არა, იმ შემთხვევაში ვკითხულობ, თუ სათაური არ მომეწონება, რაიმე შეცდომით ხომ არ არის დაბეჭდილი. მაგრამ არსებობენ ჟურნალისტები, რომლებსაც ვენდობი, ვიცი, კარგად დაწერენ.

— **რა ერქვა ვახტანგ გორგასლის ვაჟს, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ, ქართლში 502-515 წლებში მეფობდა?**

— დაჩი.

— **რომელ ქალაქში დაიბადა ვერიკო ანჯაფარიძე?**

— დასავლეთ საქართველოში, არა?

— **დიახ.**

— ქუთაისში.

— **რა სახელი ერქვა სტამბოლს 1930 წლის 28 მარტამდე?**

— კონსტანტინოპოლი.

— **ეს ქართველი მწერალი 1883-84 წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა, მაგრამ ხელმოკლეობის გამო იძულებული გახდა, სწავლისთვის თავი დაენებებინა. დაასახელე იგი.**

— ვიცი, რომ პეტერბურგში ვაჟა-ფშაველაც სწავლობდა, მაგრამ რომელ წლებში, ზუსტად არ მახსოვს.

— **1883-84 წლებში.**

— ე.ი. გამოვიცანი?

— **გამოიცანი. ვინ არის ფილმის — „უძინართა მზე“ რეჟისორი?**

— თემურ ბაბლუანი.

— **რა პრიზი აიღო ამ ფილმმა 1993 წლის ბერლინის საერთაშორისო ფესტივალზე?**

— არ ვიცი.

— **„ვერცხლის დათვი“. მიედინებოდა თუ არა მტკვარი მშრალი ხიდის ქვეშ?**

— რადგან ხიდს „მშრალი“ ჰქვია, ე.ი. არ მიედინებოდა.

— **ცდები, XX საუკუნის პირველ ნახევრამდე მტკვარი მშრალი ხიდის ქვეშ მიედინებოდა. რა არის გამოსახული „მიცუბიშის“ ლოგოზე?**

— 3 ბრილიანტი. „მიცუბიში“ 3 ბრილიანტს ნიშნავს.

— **„აუდი“, „მერსედეს ბენცი“, „ოპელი“, „პორშე“, „ფოლკსვაგენი“ — რომელი ქვეყანა აწარმოებს დასახელებული მარკის ავტომობილებს?**

— გერმანია.

— **რა რიტუალი სრულდებოდა საქართველოში ნეფე-პატარძლის ავი თვალისგან დასაცავად?**

— (*ფიქრობს*) ეს რიტუალი ახლაც სრულდება?

— **დიახ, მაგრამ არა ყოველთვის.**

— გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ რომ გაატარებდნენ, ამას გულისხმობ?

— **გამოიცანი. სად გადის ევროპისა და აზიის საზღვარი?**

— ურალის მთებზე.

— **ირანი, იტალია, შვეცია, ესპანეთი — ამ**



M K

**სახელმწიფოთაგან, რომელი არ მდებარეობს ნახევარკუნძულზე?**

— ირანი; გეოგრაფია კარგად ვიცი.

— **ისტორია?**

— ისტორიაც. უნიჭიერესი ადამიანი ვარ (*იცინის*).

— **ვინ იყო დემეტრე II თავდადებულის მამა?**

— ორი დავითი რომ ერთდროულად მეფობდა, მათგან ერთ-ერთის შვილი იყო (*ფიქრობს*). დავით ულუ, არა?

— **პასუხი ამ კითხვაზეც ჩაგეთვალა. რიგით მერამდენე ივანე იყო მეტსახელით — მრისხანე ცნობილი?**

— ივანე IV.

— **რომელ ორ ზღვას აერთებს ბოსფორის სრუტე?**

— შავ და აზოვის ზღვებს? არა, არა, მეშლება. ბოსფორის სრუტე შავ და მარმარილოს ზღვებს აერთებს.

— **რომელ კონტინენტზეა მხოლოდ ერთი სახელმწიფო?**

— ავსტრალიის კონტინენტზე.

— **საქართველოს რომელ კუთხეს აქვს ყველაზე გრძელი სანაპირო ზოლი?**

— აფხაზეთს.

— **რომელი ქვეყნის რეგიონია ბურგუნდია?**

— საფრანგეთის.

— **რა ერქვა საიდუმლო სახელმწიფო პოლიციას ფაშისტურ გერმანიაში?**

— არ ვიცი.

— **გესტაპო.**

— არადა, რა ნაცნობი სიტყვაა!

— **რა ჰქვია აქლემის შვილს?**

— კოზაკი.

— **რომელ ფეოდალურ საგვარეულოს ეკუთვნოდა მოდინახეს ციხე?**

— ვერ გიპასუხებ.

— **მიგანიშნებ, ეს ციხე საჩხერის რაიონში მდებარეობს.**

— მაშინ ივანიშვილების საკუთრება იქნებოდა (*იცინის*). მინიშნების გარეშე უნდა გამომეცნო.

— **მოდინახეს ციხე წერეთლების საგვარეულოს ეკუთვნოდა. „ყოფილა დავით მეფე აღმაშენებელი,/ ყოფილან ოპიზრები გასაშტერებელი/ ყოფილა...“**

— „...მოდრეკილი, ყოფილა...“ (*ფიქრობს*).

— **„... ცურტაველი“.**

— „...რასაც მოჰყოლია შოთა რუსთაველი“.

— **ვინ არის ამ სტროფის ავტორი?**

— მურმან ლებანიძე.

— **რა ეწოდება სახელმწიფოს ყოველწლიური შემოსავლისა და გასავლის ნუსხას?**

— ხარჯთაღრიცხვა.

— **ბიუჯეტი. რა ერქვა ბურატინოს მამას?**

— კარლო.

— **რა ჰქვია უცხო სახელმწიფოში დაკავებული პირის თავისი ქვეყნისთვის გადაცემას?**

— ექსტრადიცია.

— **რა ჰქვია პარლამენტის წევრთა რაოდენობას, რომელიც აუცილებელია საკანონმდებლო ორგანოს მუშაობისთვის?**

— კვორუმი.

— **პირველად რომელი ქართველი ფეხბურთელი იყო დასახელებული მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში?**

— ზუსტად არ მახსოვს, მიხეილ მესხი ან დათო ყიფიანი.

— **მიხეილ მესხი. რა არის NASA-ს კვლევის სფერო — მედიცინა, კოსმოსი, პოლიტიკა თუ ისტორია?**

— კოსმოსი.

— **რა ერქვა ცნობილ მხატვარს დალის?**

— სალვადორი.

— **რომელი ქვეყნიდან იყო იგი?**

— ესპანეთიდან.

— **სპორტის რომელ სახეობაში ჰქვია დაბალ და ძლიერ დარტყმას დრაივი?**

— კრივში.

— **ცდები, ჩოგბურთში. ერთ-ერთ საქველმოქმედო საღამოზე ბრუკ შილდსს მოუვიდა იდეა, გაეყიდა ის, რის ფასმაც 45.000 დოლარს მიაღწია. როცა ვაჭრობა შეწყდა, ბრუკის საქმროს, ანდრე აგასის ნერვებმა უმტყუნა და ეჭვიანობისგან დაბოღმილმა სკანდალი ატეხა. რა გაყიდა შილდსმა?**

— არ ვიცი.

— **კოცნა.**

— რას ამბობ?! 45.000 დოლარად? საოცარია!

— **რა ეროვნების იყო ჟიულ ვერნის მოთხრობების გმირი — კაპიტანი ნემო?**

— ინდოელი.

— **რომელი ოპერის პერსონაჟები არიან: მალხაზი, ცანგალა და კიაზო?**

— „დაისის“.

— **რა ჰქვია უკრაინის პარლამენტს?**

— რადა. რათა, რათა კი არა — რადა.

— **რომელია ბრაზილიის ოფიციალური ენა?**

— პორტუგალიური.

— **ბიბლიური თქმულების თანახმად, რამდენი დღეღამის განუწყვეტელმა წვიმამ გამოიწვია მსოფლიო წარღვნა?**

— 40 დღის, სწორად მახსოვს?

— **დიახ. ბაგრატიონთა სამეფო დინასტიიდან ვინ იყო ერთიანი საქართველოს პირველი მმართველი?**

— ბაგრატ III.

— **ოთახში 50 სანთელი ანთია. თუ 20 სანთელს ჩავაქრობთ, რამდენი სანთელი დარჩება?**

— 30 სანთელი დარჩება.

— **ვანო, დაფიქრდი.**

— აბა, კითხვა გამიმეორე. (*გამეორების შემდეგ*) შენ თვითონ დაფიქრდი, 50-ს 20-ს რომ გამოვაკლებთ, 30 არ დარჩება? რა გჭირს? (*იცინის*).

— **ვანო, კითხვამ დაგაბნია.**

— მაგრად. აბა მითხარი, რამდენი დარჩება?

— **20 სანთელი დარჩება. 30 ჩაიწვება.**

— შენ რა გითხარი, ეს რა ეშმაკური კითხვა იყო.

— **ლუარსაბ თათქარიძეს ჭირის დღესავით სძულდა სტუმარი, რატომ?**

— არ ვიცი.

— **ჩაცმა ეზარებოდა. ცნობილმა მსახიობმა რობერტ დე ნირომ თავისი გატაცების გამო მიიღო მეტსახელი მენახშირე. რა იყო ეს გატაცება — შავი ტანსაცმლით სიარული, შავკანიანი ქალები თუ შავი სათვალით სიარული?**

— შავკანიანი ქალები.

— **რომელ წელს ამუშავდა თბილისის მეტროპოლიტენი?**

— 1960-იან წლებში.

— **1966 წლის 11 იანვარს. თბილისის რომელი ეკლესიაა ორსართულიანი? I სართული წმინდა მარინეს სახელობის არის, ხოლო მეორე — წმინდა გიორგის.**

— ქაშუეთი.

— **დაასახელე ცნობილი ლიტერატურული პერსონაჟი, რომელიც კინოში იმედა კახიანმა, ხოლო თეატრში — გოგი გეგეჭკორმა განასახიერა.**

— (*ფიქრობს*) პლატონ სამანიშვილი.

— **დაასრულე ფრენსის ბეკონის გამონათქვამი: „ფული კარგი მსახურია, მაგრამ ცუდი...“**

— ეს გამონათქვამი მახსოვდა, როგორ სრულდება, ველარ ვიხსენებ.

— **„...ბატონი“.**

■

# ტელეეკრანი – საინფორმაციო გამოშვება და ტოქშოუ

## ანუ რას „ვჭამთ" საღამოს 9 საათიდან

**დღეს ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია ტელეეკრანიდან ინფორმაციის მიღებისა თუ ცხარე პოლიტიკური დებატების თვალყურის დევნების გარეშე. ამ მხრივ, ჩვენში დეფიციტი ნამდვილად არ შეინიშნება — საინფორმაციო გამოშვებები საათში ერთხელ გადის, ხოლო პოლიტიკური ტოქშოუ სხვადასხვა არხს თითქმის ყოველ საღამოს აქვს. მაგრამ სამწუხაროდ, მაყურებელი უმეტესწილად უკმაყოფილოა, რადგან მიაჩნია, რომ პრაქტიკულად, ყველა ასეთი გადაცემა ტენდენციური და მიკერძოებულია.**

*ემა ტუხიაშვილი*



**რამაზ საყვარელიძე,** *პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი:*

— ამ ორი სფეროს — პოლიტიკისა და ფსიქოლოგიის გადაკვეთაზე ყველაზე მკაფიო როლი სწორედ მასმედიას ეკუთვნის. ინფორმაცია და ფსიქოლოგია, ფაქტობრივად, ერთმანეთს გულისხმობს, პოლიტიკა კი ამ ორს ეფუძნება. პოლიტიკისადმი ჩემი ინტერესის გამო, საინფორმაციო და პოლიტიკურ გადაცემებს სხვა თვალით ვუყურებ და მხოლოდ რიგითი მაყურებლის პოზიციიდან ვერ ვილაპარაკებ. დღევანდელი ქართული საინფორმაციო ტელეგადაცემები ორ ნაწილად იყოფა და ეს პოლიტიკის ბრალია: მათგან მხოლოდ ერთი მაუწყებლობს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე და მკაცრად კონტროლირდება ხელისუფლების მხრიდან. რომ არა ტელეკომპანიების ლოგოები, ამ არხებით გასულ საინფორმაციო გადაცემებს ფაქტობრივად, ვერ განასხვავებდი ერთმანეთისგან. ტელევიზიებს, ამ თვალსაზრისით, საკუთარი სახე აღარ აქვთ. მაგალითად, ყველამ იცის, რომ რუსეთის „პირველ არხს" სახელმწიფო აკონტროლებს, მაგრამ სხვა ტელეარხებს საკუთარი სახე შენარჩუნებული აქვთ. ასე რომ, აქ უკვე პროფესიონალიზმის საკითხი დგება. ერთ დროს თავისი გამოკვეთილი სახე ჰქონდა „რუსთავი 2"-ს და ეს მხოლოდ რომელიმე პოლიტიკური პარტიისა თუ ძალის მხარდაჭერით როდი გამოიხატებოდა. ეს იყო არხის სტილისტიკა — აგრესიული სტილისტიკა, რომელიც მაყურებელს მოსწონდა. დღეს კი „რუსთავი 2" დაემსგავსა ბოჩოლას, რომელიც სიამოვნებისგან ღმუის, როდესაც ხელისუფლებაზე ლაპარაკობს. და ასეთი პოლიტიკით დღეს 3-4 ტელეარხი გამოირჩევა.

— **სამაგიეროდ, განსხვავებულები არიან „კავკასია", „მაესტრო", რომლებიც ხელისუფლების კრიტიკას არ ერიდებიან.**

— სიმართლის თქმასა და ართქმაზე არ მაქვს ლაპარაკი. მე ვამბობ ტელეხელწერის მოშლაზე ტელევიზიებში. ამიტომ არის, რომ ასეთ ტელევიზიებს მაყურებელი ფაქტობრივად, არ ჰყავს, რაც ხელისუფლების მხრიდან დაშვებული შეცდომის ბრალია. მან შეიძლება, აკონტროლოს ტელევიზიები, მაგრამ უნდა დაუტოვოს შემოქმედებითი თავისუფლება. სხვა შემთხვევაში, ისინი მაყურებლისთვის უინტერესო ხდება. ტელეეთერის მეორე ასპექტი — სანდოობა და პოლიტიკური პოზიციაა. სანდოობის თვალსაზრისით, იკვეთება ტელევიზიების მეორე ჯგუფი — „მაესტრო" და „კავკასია". ისინი საზოგადოების მხრიდან უფრო მეტ ნდობას იმსახურებს.

— **თქვენ რას უყურებთ „იმედზე", „რუსთავი 2"-ზე?**

— შესაძლებისდაგვარად, საინფორმაციო გადაცემებს ვუყურებ. პოლიტიკურ ტოქშოუებს, ფაქტობრივად, ყველა არხზე ვადევნებ თვალს.

— **თქვენთვის ყველაზე მისაღები გადაცემა რომელია?**

— არა მხოლოდ სანდოობის თვალსაზრისით, არამედ უფრო, სატელევიზიო სტილისტიკის გამო, „მაესტროს" უკომენტარო „ნიუსები" ჩემთვის, როგორც მაყურებლისთვის, კომფორტულია...

— **„რუსთავი 2"-ზე, „იმედზე", „საზოგადოებრივ არხზე" პოლიტიკური დებატები, მოწვეული სტუმრების თვალსაზრისით, დაბალანსებულია — ჟურნალისტები განსხვავებული პოზიციების მქონე ადამიანებს იწვევენ...**

— გთხოვთ, სწორად გამიგოთ. როცა ვამბობ, — სტილისტური ხელწერა არ აქვთ-მეთქი, ყველაზე ნაკლებად ვგულისხმობ ჟურნალისტებს. ეს არ არის ჟურნალისტების შეცდომა, ეს მათი შეცდომაა, ვინც ჟურნალისტებს უკარნახებს, როგორ უნდა მოიქცნენ. ტელევიზიები ცდილობენ, გადაცემები მოწვეული სტუმრებით დააბალანსონ, მაგრამ დებატებში საგულისხმოა ჟურნალისტის პოზიცია. თავის დროზე, „რუსთავი 2"-მა დაამკვიდრა ის, რომ ჟურნალისტი არ უნდა იყოს ნეიტრალური, პირიქით — აქტიური პერსონაჟი უნდა იყოს, რაც მისასალმებელია. მაგრამ ახლა, რიგ შემთხვევებში, სწორედ ჟურნალისტის პოზიცია არის სადავო.

— **ინგა გრიგოლია საკმაოდ აქტიურია თავის გადაცემაში, მის პოზიციაზე რას იტყვით?**

— ინგა ახერხებს, რომ მის არანეიტრალურობას პოლიტიკური ელფერის სახე არ მიეცეს. ადამიანურად, ის ამჟღავნებს რეაქციას, მაგრამ პოლიტიკურად, ცდილობს, ბალანსი დაიცვას.

— **არც დავით აქუბარდიაა თავის გადაცემაში ნეიტრალური...**

— ნეიტრალურობა არ არის იმდენად აუცილებელი, რამდენადაც — ბალანსის დაცვა. ის, ვინც დღევანდელი ხელისუფლების მიმართ კრიტიკულია, სასურველია, ოპოზიციის მიმართაც იყოს კრიტიკული და — პირიქით. „საზოგადოებრივი არხის" პოლიტიკური დებატები ძირითადად, დაბალანსებულია, სტუმრების თვალსაზრისით, მაგრამ მეც

რომ ვყოფილვარ მიწვეული და სხვასაც რომ ვუყურებ, ყველა შემთხვევაში, წამყვანი მეტწილად ეკამათება იმას, ვინც ოპოზიციურ იდეებს იცავს, თუ რაიმე ოპოზიციურს იტყვი, ცდილობს, სიტყვა გაგაწყვეტინოს. ანალოგიური რამ ხდება „ოპოზიციურ“ არხზე: დისკომფორტი გექმნება, როდესაც გამოდიხარ და ჟურნალისტი, წამყვანი ოპოზიციის სასარგებლოდ გეკამათება.

— **ახლა, როგორც ფსიქოლოგმა, ისე მითხარით: ორ ბანაკად გაყოფილი ტელეეთერი როგორ მოქმედებს რიგით მაყურებელზე? იქნებ, ეს უკეთესიც არის და აბსოლუტურად განსხვავებული პოზიციები მეტი ანალიზის შესაძლებლობას იძლევა?**

— ადრე ჩვენთან, ამერიკის საელჩოში მუშაობდა პრესის ატაშე, გვარად — კერი. მეც მომიხდა მასთან თანამშრომლობა. მას უყვარდა ერთი ფრაზის გამეორება: არ არსებობს ნეიტრალური ჟურნალისტიკა, უნდა იყოს ნეიტრალური და დაბალანსებული სატელევიზიო პოლიტიკა, რათა მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდეს, ყველა ტიპის ინფორმაცია მიიღოს და ყველანაირ გადაცემას უყუროსო. საქართველოში კი მხოლოდ თბილისის მოსახლეობას აქვს ოპოზიციური პოლიტიკის გამტარებელი ტელეარხების ყურების შესაძლებლობა, რაც ნამდვილად, დიდ პრობლემას წარმოადგენს დღევანდელი საინფორმაციო ტელესივრცისთვის.

**ნინო ბურდული,** *მსახიობი:*

— საინფორმაციო და პოლიტიკურ გადაცემებს იმ შემთხვევაში ვუყურებ, თუ მოწვეული სტუმრები და მათ შორის გამართული დებატები ჩემთვის საინტერესოა. მაინტერესებს გადაცემა, სადაც კონკრეტული თემის ირგვლივ მსჯელობენ. ამიტომ, ის გადაცემები, რომლებიც „მაესტრომ“ გააკეთა (მაგალითად, „პროფესია — ჟურნალისტი“), სადაც კონკრეტული თემის ირგვლივ საუბრობენ, უფრო მისაღებია ჩემთვის, როგორც მაყურებლისთვის. ბევრ ინფორმაციას მოიცავს და კარგად ვიგებ, ვის რა შეხედულებები აქვს. როდესაც გადაცემის მონაწილენი ჩხუბობენ და არ მესმის, რაზე ლაპარაკობენ, ბუნებრივია, ეს არ მომწონს. არ მომწონს, როდესაც საინფორმაციო გადაცემებში ჭარბად არის ინფორმაცია ქვეყნის „აღმშენებლობის“ შესახებ... სამწუხაროდ, ტელევიზიები ორ ნაწილადაა გაყოფილი: ერთია სამთავრობო პოლიტიკის გამტარებელი, მეორე — ოპოზიციური. ყველამ იცის, რომ „რუსთავი 2“, „იმედი“ — „იქით“ და „მაესტრო“, „კავკასია“ — აქეთ დგანან. „საზოგადოებრივი არხი“ ინფორმაციის გავრცელებისას ცდილობს, ზომიერი იყოს. პრობლემა ის კი არ არის, რომელ არხს დავუჯერებ. პრობლემა ის გახლავთ, რომ როცა ადამიანი ხან ერთ არხს უყურებ და ხან — მეორეს, შეიძლება, ჭკუიდან შეიშალო, რადგან ერთსა და იმავე ფაქტს აბსოლუტურად სხვადასხვაგვარად აშუქებენ. თუმცა ისიც უნდა გითხრათ, რომ „რუსთავი 2“ ხშირად, ობიექტურ ინფორმაციასაც გვაწვდის, ეს ალბათ იმიტომ ხდება, რომ იქ პროფესიონალთა გუნდი მუშაობს და სიმართლის თქმას სხვადასხვა სახით მაინც ახერხებენ.

— **საინფორმაციო გადაცემების, პოლიტიკური ტოქშოუების წამყვანებიდან ვის გამოარჩევდით?**

— შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩვენში პოლიტიკური და ანალიტიკური გადაცემების წამყვანების სკოლა მხოლოდ ახლა ყალიბდება. ცუდი წამყვანები ნამდვილად არ გვყავს, მაგრამ ვერც დავასახელებ ვინმეს გამორჩეულად. პოტენციალი ნამდვილად აქვთ. ყველა ის წამყვანი, რომელსაც ანალიტიკური გადაცემა მიჰყავს, წასახალისებელია და მხარში უნდა ამოვუდგეთ. უნდა ისწავლონ, რომ ამ საქმის პროფესიონალები გახდნენ.

**ნანა პატარიძე,** *მხატვარი:*

— ვერ ვიტყვი, რომ „ვანოს შოუს“ ერთგული მაყურებელი ვარ, მაგრამ ცოტა ხნის წინ, მისგან ძალიან საინტერესო ხუმრობა მოვისმინე. ასეთი რამ თქვა: ახალი დიეტა მინდა შემოგთავაზოთ — დილიდან საღამოს 9 საათამდე არაფერს ვჭამთ, საღამოს 9 საათზე კი „კურიერს“ ვუყურებთო... თავიდან დარბაზს არ გაეცინა და ვანომაც დააკონკრეტა: ანუ — „ვჭამთ“ ყველაფერსო... აი, ასე, როგორც ვანო ამბობს — „ვჭამთ“ ყველაფერს, განსაკუთრებით — სახელისუფლებო არხებით გადმოცემულს. იგივე შემიძლია გითხრათ ოპოზიციური მიმართულების ტელეარხებზე. იქიდანაც „ვჭამთ“ ყველაფერს, ოღონდ — ოპოზიციის „სასარგებლოდ“. ობიექტური ინფორმაციის მიღება, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა. თუ ყველაფერს შეაჯერებ და საფუძვლიანად გააანალიზებ, მაშინ შესაძლოა, სწორი დასკვნა გამოიტანო. რაც შეეხება ტოქშოუებს: ცოტა ხნის წინ გახლდით შარდენზე, ერთ-ერთ კაფეში ვიჯექი, სადაც ნინო შუბლაძე და გიგი უგულავა ერთ სუფრასთან ვნახე. კარგა ხანს საუბრობდნენ. ამის შემდეგ, რა ობიექტურობაზე შეიძლება ლაპარაკი?! ჟურნალისტები ისე არიან გადაჯაჭვული სახელმწიფო ჩინოვნიკებთან ან ოპოზიციის წარმომადგენლებთან, რომ უკვე ამის გამო, ძალაუნებურად, კარგავენ ყოველგვარ ობიექტურობას. ამიტომ ჩვენ, საზოგადოება, ფაქტობრივად, მოტყუებული ვრჩებით...



**ეთერ კაკულია,** *მომღერალი:*

— „კურიერს“ ვუყურებ და ძალიან მომწონს. სულაც არ არის „რუსთავი 2“ მიკერძოებული, ძალიან კარგი არხია და დიდი სიამოვნებით ვუყურებ. ინგა გრიგოლიას გადაცემაც ძალიან მომწონს. კარგი წამყვანია, ემოციური. კარგი გოგოა ნინო შუბლაძე, მაგრამ ინგა უფრო ძლიერია. უფრო დიდი ხანია, რაც ჟურნალისტიკაშია, მაგას ხომ მნიშვნელობა აქვს, არა?! ძალიან მომწონს ის გადაცემა, რომელიც ვირს მიჰყავს. მეც ვყავდი სანდროს მიწვეული სტუმრად გადაცემაში და ალექსანდრე დავარქვი... ძალიან საყვარელი ბიჭია დათო კიკალიშვილი და ძალიან საინტერესო გადაცემა აქვს. ნახეთ, ყველა კარგი გადაცემაა, ცუდი გადაცემები მგონი, არც გვაქვს, არა?.. ძალიან მომწონს კიდევ ის გოგო, „საზოგადოებრივ არხზე“ რომ მიჰყავს პოლიტიკური დებატები. მეგრული გვარი აქვს, სიმპათიური გოგოა...

— **ნათია სორდია.**

— დიახ...

— **„კავკასიაზე“ დავით აქუბარდიას გადაცემას თუ უყურებთ?**

— ისე, რა, ხშირად ვერ ვუყურებ. „მაესტროს“ კი ვუყურებ, ვერთობი. ზოგჯერ ძალიან კარგია თავის გადაცემაში გია გაჩეჩილაძე, კარგი იუმორი აქვს.

**გოგი კაკაბაძე,** *ინჟინერი-მშენებელი:*

— აშკარაა, რომ ჩვენს ტელევიზიებს ორი უკიდურესობა სჭირს: ერთნი ხელისუფლებას უკრავენ კვერს, მეორენი — ოპოზიციას. მე არც ერთი პოლიტიკური მხარის პოზიციას არ ვიზიარებ და შესაბამისად, ვერც ერთ არხზე ვერ ვნახე პოლიტიკური გადაცემა, რომელიც ჩემს ინტერესს დააკმაყოფილებს. ხომ ამ-

## ტელეეკრანი

ბობენ: ინგა გრიგოლიას გადაცემები მაგარიაო. კი, ბატონო, ენერგიული ჟურნალისტია, მაგრამ ვფიქრობ, გრიგოლია „პრაიმტაიმშიც“ და ახლა, „პოლიტიკურ კვირაშიც“, ხელისუფლების წარმომადგენლებს ისეთ კითხვებს არ უსვამს, რომ გაანაწყენოს.

— **რის საფუძველზე ამბობთ ამას? გრიგოლია ხშირად მწვავე კითხვებს უსვამს მოწვეულ სტუმრებს.**

— გახსოვთ, როგორი დაძაბულობის ფონზე გადიოდა ეთერში მისი გადაცემა „პრაიმტაიმი“? მაშინ ეს იყო ერთადერთი გადაცემა, სადაც ხალხი „ორთქლს უშვებდა“. ასე სჭირდებოდა ხელისუფლებას... ახლაც იგივე ხდება. ინგას „საზოგადოებრივი არხის“ ეთერი მისცეს, რეიტინგული ჟურნალისტია და იქაც ხალხი „ორთქლს უშვებს“. პუბლიკა კი ამბობს: ნახეთ, ინგა მთავრობას რას უშვრებაო!.. უბრალოდ, ისეთ კითხვებს უსვამს სტუმრებს, რომლებიც ხალხს აინტერესებს... ვფიქრობ, საქართველოში არ არსებობს პოლიტიკური ტოქშოუ, რომელიც ქვეყნის ინტერესებს ემსახურება. დავით აქუბარდიამ ფული იშოვა ოპოზიციაში ყოფნით. „მაესტროსაც“ ფულის შოვნა უნდა და ისეთ გადაცემებს აკეთებს, როგორიც ხალხს ახლა მოეწონება. დააკვირდით — რა ვითარებაში იწყებს „რუსთავი 2“ პოლიტიკურ ტოქშოუს: სწორედ იმ დროს, როდესაც ქვეყანაში დაძაბულობა პიკს აღწევს. ეკრანზე ვითომ ობიექტური ჟურნალისტები ჩნდებიან და ვითომ ჩამჭრელ კითხვებს უსვამენ სტუმრებს; როგორც კი პოლიტიკური სიმშვიდე დადგება, „რუსთავი 2“ შეწყვეტს ამ გადაცემას. ერთადერთი არხია, რომელსაც „ექსკლუზივს“ აძლევს ქვეყნის პრეზიდენტი. რატომ არავის უჩნდება კითხვა — რა მიზეზით?.. საინფორმაციო გადაცემებს ხომ საერთოდ ვერ ვუყურებ, მეცინება მაგ საინფორმაციო გადაცემებზე. თუ რაიმე მნიშვნელოვანი ხდება ქვეყანაში, მირჩევნია, ინტერნეტით მოვიძიო ინფორმაცია. ქართულ ტელესივრცეში ყველაზე იუმორისტული შოუები — „კურიერი“ და „ქრონიკაა“. ჩვეულებრივი მაყურებელიც კი შენიშნავს, რომ იმასაც კი უკარნახებენ „ზემოდან“, თუ რა უნდა გავიდეს გადაცემაში პირველ „ნიუსად“. მაგალითად, ცოტა ხნის წინ, 9-საათიანი „კურიერის“ მესამე „ნიუსი“ იყო შეხლა-შემოხლა მომიტინგეებთან, გამოშვება კი იმით დაიწყეს, რომ ვარკეთილში აივანი ჩამოინგრა და ვილაც კაცმა ფეხი მოიტეხა...

**მერაბ კოკოჩაშვილი,** *რეჟისორი:*

— ვერაფერს გეტყვით, ვინაიდან ფილმის გადაღებას ვიწყებ და არ მაქვს საშუალება, რაიმეს მივადევნო თვალი...

— **არც საინფორმაციო გამოშვებებს უყურებთ?**

— ვერ ვუყურებ. ჯერ ერთი, სამ ინსტიტუტში, სადაც ლექციებს ვკითხულობ, ახლა გამოცდებია... ფაქტობრივად, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში, არანაირი ინფორმაცია არ მაქვს და არ ვიცი, რა ხდება ქართულ ტელევიზიებში. ვკითხულობ რაღაცებს, ვფიქრობ, ვადარებ ერთმანეთს და ასე მიყალიბდება შეხედულება სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

**მურმან ჯინორია,** *მსახიობი:*

— მთავარი ის კი არ არის, რას გადმოგცემენ, არამედ ის, შენ, როგორც მაყურებელი, რა ანალიზს აკეთებ. დავუშვათ, რამდენიმე ტელევიზიიდან მიიღებ ინფორმაციას, შეაჯერებ და შენს ობიექტურ დასკვნას გააკეთებ.

— **კონკრეტულად, რა გადაცემებს უყურებთ?**

— რა ვიცი, რაც შემხვდება, ხან იმას, ხან — ამას. იმის მიხედვით, თუ რა ხასიათზე ვარ.

— **პოლიტიკურ დებატებს თუ ადევნებთ თვალყურს?**

— კი, როგორ არა?! საინტერესოა იმისთვის თვალის დევნება, თუ როდის არიან ადამიანები გულწრფელები, რას ფიქრობდნენ ადრე და ახლა რას ლაპარაკობენ... შემდეგ აანალიზებ — რატომ აკეთებენ ამას, რა უნდათ?.. საინტერესო სანახაობაა, როგორც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ასევე — ადამიანურად... როდესაც შენი ქვეყანა გიყვარს და შენს სახელმწიფოზე ფიქრობ, მაშინ ყველაფერს სწორად აკეთებ და არ ხარ მიკერძოებული. მთავარია, შენს ქვეყანაზე იფიქრო, რომელსაც აგერ უკვე 500 წელია, სახელმწიფოებრიობა არ ჰქონია და ახლა თითქოს ვცდილობთ, რომ რაღაცნაირად შევქმნათ. თუ ამისკენ მივისწრაფვით ყველა — ჟურნალისტებიც, პოლიტიკოსებიც და რიგითი მოქალაქეებიც, — მაშინ, ასე თუ ისე, ყველაფერი დალაგდება. შეიძლება, ისე კარგად არ იყოს საქმე, როგორც ევროპულ ქვეყნებშია, მაგრამ მათ უკვე დიდი ხანია, აქვთ სახელმწიფოებრიობა, ჩვენ კი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ბევრი კატაკლიზმი და ორომტრიალი გადაგვიტანია. ამიტომ, ახლა ყველაზე მთავარია — ქვეყანასა და სახელმწიფოზე ფიქრი. და ამიტომაც, უნდა მივანიშნოთ ჟურნალისტებსაც, პოლიტიკოსებსაც და რიგით მოქალაქეებსაც, რომ საჭიროა, მინიმუმადე დავიყვანოთ ჩვენი შეცდომები...

*P.S. ტელეეკრანის შესახებ წერილების ციკლის მორიგი თემაა — სერიალები. ჩაერთეთ დისკუსიაში, დაგვირეკეთ რედაქციაში, გამოგვიგზავნეთ მესიჯი ნომერზე: 8(93)93.23.63 ან მოგვწერეთ ელფოსტით:* gza.fantazia@gmail.com. ■



**ლალი მოროშკინას ფსიქოპორტრეტი ადვილი დასანახია მისი ნებისმიერი ინტერვიუდან, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის ყოველთვის გულწრფელია. არ კეკლუცობს, არ თამაშობს. არის ის, რაც არის... მამინაცვალზე, მასწავლებლებზე, თაყვანისმცემლებზე, ორ ქმარზე, პარტნიორებზე, შვილებზე, საკუთარი ხასიათის თავისებურებებზე — ერთი სიტყვით, ყველაფერზე ვისაუბრეთ ლალისთან და საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ გამოგვივიდა.**

*ნინო მჭედლიშვილი*

— ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ. ადამიანი არ იცვლება, როგორიც არის ბავშვობაში, ისეთივე რჩება, უბრალოდ, მეტ გამოცდილებას იძენს. სკოლის ასაკში აღმოვაჩინე, რომ სხვანაირი ვიყავი, რომ ქართულ სკოლაში ვსწავლობდი და რუსული გვარი მქონდა. სწორედ ამით ვხსნი ჩემი ხასიათის სიმტკიცეს: რომ არა ჩემი ასეთი ხასიათი, ბავშვობაშივე შევიცვლიდი სკოლას. რუსული გვარით ქართულ სკოლაში სწავლა ძალიან რთულია: ყველა ახალი მასწავლებელი გისვამს შეკითხვას, — საიდან მოხვდი საქართველოშიო?.. დასანანია, მაგრამ ქართველები ერთმანეთს კუთხეების მიხედვით არჩევენ. მახსოვს, ჩემს ყოფილ დედამთილს რომ ეკითხებოდნენ, — სადაურია შენი რძალიო? — იბნეოდა.

— **რატომ?**

— ვერ პასუხობდა. რა უნდა ეთქვა? სოჭელია, პეტერბურგელიო, — ხომ არ ეტყოდა და ამიტომ, თბილისელობას „მაბრალებდა“. შეიძლება, თვითონ არ აქცევდე ყურადღებას, მაგრამ ქვეცნობიერად, სულ გაქვს იმის განცდა, რომ სხვანაირი ხარ, განსხვავებული. ამ განსხვავებულობის გამო გადავწყვიტე, ქართულ ცეკვაზე მევლო. არადა, ძალიან სასაცილო იყო ჩემი ქერა ნაწნავი

# ლალი მოროშკინა: „მე თავად ვირჩევ პარტნიორს, იქით ვაბამ კაცებს"

და ქართული კაბა. ქართული უნდა მესწავლა ყველაზე კარგად. ქართულის მასწავლებელმა ასეთი რამ მითხრა: ვერ დაგიწერ მაღალ ნიშანს იმიტომ, რომ რუსი ხარო. არადა, სხვა ფრიადოსნებზე უკეთესად ვიცოდი ქართული ენა, პატარაობიდანვე.

— **რუსულის მასწავლებელს განსაკუთრებულად უყვარდი?**

— არა. კარგი ურთიერთობა კი გვქონდა, მაგრამ სულ მეუბნებოდა, შენ სხვასაც უნდა ასწავლო, რადგან კარგად იცი რუსულიო. ასე რომ, ორივე შემთხვევაში ვიჩაგრებოდი. სხვათა შორის, მაშინაც და ახლაც მტკივა, როცა რუსებზე ცუდს ამბობენ. მიუხედავად იმისა, რომ არასდროს მიცხოვრია რუსეთში, ეს ჩემთვის მაინც მძიმე მოსასმენია. 14-15 წლის ასაკში დავიწყე ფიქრი იმაზე, რომ თავის დაცვა უნდა შემეძლოს. საზოგადოებიდან მოდიოდა აგრესიული მუხტი და ამას უნდა გავმკლავებოდი.

— **ახლა არ მითხრა, რომ ჭიდაობის სწავლა დაიწყე...**

— არა, ფარიკაობაზე დავდიოდი. 2 წელი ვიარე და სერიოზული წარმატებებიც მქონდა. აბსოლუტურად არაპოპულარული და არაქალური სპორტის სახეობაა. დედაჩემი გაგიჟდა, იფიქრა, რომ „სამი მუშკეტერიდან" გადმომედო ამის სურვილი.

— **მშობლებზეც მიამბე, მკაცრები იყვნენ?**

— ჩემს ცნობიერებაში თავიდანვე, ჩემ გვერდით იდგნენ დედა და მამინაცვალი: 2 წლის ვიყავი, ჩემი მშობლები რომ გაიყარნენ და დედა, თალეს შონიას გაჰყვა ცოლად, რომელიც იმდენად ახლოს იყო ჩემთან, რომ „მამას" ვეძახდი. ის, რომ ქართველად ჩამოვყალიბდი, მხოლოდ მისი დამსახურებაა. დედა ქართულად ძლივს მეტყველებდა, ხოლო მამაჩემს იმ წლებში არ ვიცნობდი. სულ ვბრაზობდი, რატომ არ აინტერესებდა მამაჩემს, ვინ ვიყავი და როგორ ვცხოვრობდი. დედა ძალიან თბილი და ტკბილი იყო მაშინაც და ახლაც; თალესი კი — ძალიან პრინციპული, რელიგიური და პროგრესული ადამიანი. შაბათ-კვირას მე და ჩემი ძმა ეკლესიაში დავყავდით. სადღეგრძელოებს გვასწავლიდა. „ხარი ხართან დააბი"-ს პრინციპით, აბსოლუტურად ავითვისე მისგან ყველაფერი. რომ გეთქვა, მე მისი შვილი არ ვიყავი ან სანდრო მისი შვილიშვილი არ იყო, ამაზე დიდ შეურაცხყოფას ვერ მიაყენებდი... რომ კვდებოდა, მე დამიძახა და ჩემს ხელში დალია სული.

— **შორს წავედით. სკოლის პერიოდზე ვსაუბრობდით: როგორი მოსწავლე იყავი?**

— თვითონ სკოლა იყო ძალიან მკაცრი და არ იძლეოდა იმის საშუალებას, „შატალოებზე" გვევლო. იშვიათად, თუ კლასი მიდიოდა, მე სახლში ვბრუნდებოდი. დედა მარიგებდა, — ოღონდაც ბორიალს ნუ დაიწყებ, ბაღში ნუ ჩახვალ და სკამზე ნუ ჩამოჯდები; სახლში მოდი და მე წაგიყვან სადმეო. არც იმას მასწავლიდა, რომ კლასელებისთვის მეღალატა და კლასში დავრჩენილიყავი. ფაქტობრივად, ვერ ვიხსენებ ისეთ მომენტს, როცა ოჯახი გამიბრაზდა, ვინმემ მიყვირა. აქედან გამომდინარე, მეც ჩემს შვილებს ანალოგიურად ვზრდი. როგორი შვილიც მე ვარ, იმის ნახევარი მაინც რომ იყვნენ ჩემი შვილები, უბედნიერესი ვიქნები.

— **სარკეში ცქერა და საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვა რა ასაკიდან დაიწყე?**

— ალბათ მეექვსე კლასიდან. ფარიკაობაზე რომ დავდიოდი, იქ ერთ მეცხრეკლასელ ბიჭს ვეპრანჭებოდი. ამ ასაკში გაპრანჭვამ მიმიყვანა იქამდე, რომ 15 წლისა გავთხოვდი. მე და ის ბიჭი, რომელსაც ფარიკაობაზე ვეპრანჭებოდი, მეზობლები ვიყავით, დილით სკოლაში ერთად მივდიოდით.

— **მერე რატომ შეწყდა თქვენი ურთიერთობა?**

— ყველაფერი მთავრდება... მაგ ასაკში ერთი გაბედული ნაბიჯი გადავდგი: 12-13 წლის ვიყავი, როცა ვიფიქრე, — როგორ შეიძლება, ვინმეს არ მოვწონდე და არ ვაინტერესებდე-მეთქი?.. მოვძებნე მამაჩემი, რომელიც მაშინ რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი იყო. დამხვდა ახალგაზრდა, ბოტასსა და ჯინსში გამოწყობილი მამაკაცი... საოცრად ვგავართ ერთმანეთს... მივედი და პირდაპირ ვუთხარი: როგორ შეიძლება, არ გაინტერესებდეს, სად და როგორ იზრდება შენი შვილი-მეთქი?!. როგორც აღმოჩნდა, რამდენჯერმე სცადა ურთიერთობის აღდგენა, მაგრამ ჩემი მამინაცვალი იმდენად ეჭვიანობდა დედაზე, ჩვენი, — მამისა და შვილის ურთიერთობაც კი ვერ შედგა ამის გამო... ჩავეხუტეთ ერთმანეთს. 13 წლიდან ჩემს ცხოვრებაში უკვე 2 საყვარელი მამაკაცი იყო — თალესი და მამა, რომელსაც ხასიათითაც ვგავარ, მოუსვენარი, შფოთისთავი...

— **თაყვანისმცემლებზე ვსაუბრობდით...**

— ბევრი იყო, რა მაქვს დასამალი?! სკოლაში, ცეკვაზე, ფარიკაობაზე... 15 წლის ასაკში გავთხოვდი. 7-7 წელი ვიცხოვრე ორივე ქმართან. პირველი ქორწინებიდან მყავს სანდრო ჩაგანავა, მეორე ქორწინებიდან — გიორგი ღოთვაძე... ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში, როცა აშკარა დევნა დაიწყო რუსულენოვანი მოსახლეობის, გვარის გადაკეთებამ მომიწია — ქმრის გვარზე გადავედი, ინსტიტუტში დიპლომიც კი ამ გვარზე ავიღე. ეს იმდენად მტკივნეული იყო ჩემთვის, რა წუთშიც ეს დევნა შენელდა, იმ წუთშივე დავიბრუნე ჩემი გვარი.

— **მეორე, ქორწინების შემდეგ ხელი ჩაიქნიე გათხოვებაზე?**

— იმდენი რამ მინდოდა ერთდროულად — (უცხოეთში სწავლა, ცეკვა!..), რომ ამ ყველაფერს ნორმალური მამაკაცი ვერ აიტანდა. ძნელი შესაგუებელია კაცისთვის, როცა მისი ცოლი მუდმივად, წინ და უკან დარბის. ინსტიტუტში ხუთებზე ვსწავლობდი, ასეთი პრინციპი მქონდა — 4 არ უნდა მიმეღო. დავამთავრე წითელ დიპლომზე, მერე ეს არ ვიკმარე და მაგისტრატურაში ჩავაბარე, შემდეგ — ასპირანტურაში, დავიცავი დისერტაცია. სულ ძიების პროცესში ვიყავი. მამაკაცები, ბუნებით, კონსერვატორები არიან, მით უმეტეს, იმ ასაკის მამაკაცები, რომელზეც ახლა ვსაუბრობ. ერჩივნათ, ცოლი სახლში ჰყოლოდათ წინსაფრით... მე ამ ტიპს არ მივეკუთვნები.

— **გაყრის მიზეზი რა იყო ან ერთ, ან მეორე შემთხვევაში?**

— უთანხმოება, პრაქტიკულად, არ მქონია არც პირველ და არც მეორე ქმართან. მიზეზი ერთი იყო ორივე შემთხვევაში — ჩვენს ურთიერთობას „ვადა გაუვიდა". მამაკაცსა და ქალს შორის ურთიერთობას „ვადა გასდის". იმის გულისთვის, რომ ჩემმა მეზობელმა ან ნათესავმა თქვას, — ეს რა კარგი და წესიერი გოგოაო! — არ მიღირს ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლების გაფუჭება. პირველ ქმარს რომ დავცილდი, ფანტასტიკური ურთიერთობა გვქონდა, მერე მალევე დაიღუპა. მის მშობლებთან, მის მეორე ცოლთან ახლაც არაჩვეულებრივი დამოკიდებულება მაქვს. ადამიანი იცვლება და გემოვნებაც ეცვლება. არ შეიძლება, ერთი და იგივე ადამიანი მოგწონდეს 15 და 35 წლის ასაკშიც.



ცოლიან კაცს აღარასდროს გავეკარები. ერთიც მეყოფა ცოდვისთვის

— **თუმცა მერეც, რამდენჯერმე გამოიცვალე პარტნიორი...**

— მერე რა?! ჩვენ ცოცხალი, ნორმალური „ორგანიზმები" ვართ და ვვითარდებით. არ მიყვარს, როცა რესტორანში მხოლოდ ქალები იკრიბებიან, ასეთ წვეულებებზე არ დავდივარ. ყოველთვის მჭირდება გვერდით მამაკა-

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### გოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან:

1. ჰონდას სახელად სუიტირო ერქვა.
2. „კაჩუჩა“ — ესპანური ხალხური ცეკვაა.
3. სტამბოლი 15-მილიონიანი ქალაქია.
4. ჯოჰარ დუდაევის ქვრივი ეროვნებით რუსია.
5. ბენჯამინ ფრანკლინს სძულდა ალკოჰოლური სასმელი.
6. აკმე ავადმყოფობის განვითარების უმაღლესი წერტილია.
7. „უკრადიოშ ბიბლიუ, პაპადიოშ ვ ად!“ — ამბობენ რუსები.
8. „ბედი ქართლისა“ ნიკოლოზ ბარათაშვილმა 22 წლის ასაკში დაწერა.
9. „დღეს გიჟებს ყველგან შეხვდები, საგიჟეთშიც კი!“ — ამბობდა ბერნარდ შოუ.
10. „შუშაბანდიანი სახლის პატრონი ქვებს არ უნდა ისროდეს“, — ღაღადებს შვედური ანდაზა.



11. კაშპარეკი ჩეხური თოჯინების თეატრის პერსონაჟია, კაშპერლე — ავსტრიისა და გერმანიის თოჯინების კომიკური პერსონაჟი.
12. „კანონიერი“ მომცრო სამხედრო ხომალდია, რომელიც განკუთვნილია ბრძოლის წარსამართავად, ზღვისა და მდინარის ნაპირებსა და თავთხელში.
13. „პოსლე ოსვენციმა ნელზია პისატ სტიხი. ბოიკო შუტიტ პოსლე ბესლანა ნე პალუჩაეტსა“, — ამბობდა ერთ-ერთ ინტერვიუში ვიქტორ შენდეროვიჩი.
14. „რომეო“ — ასე ერქვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო დაზვერვის მეთოდს, რომლის გამოყენებისას, ინფორმაციის მოპოვების მიზნით, სახელმწიფო მაღალჩინოსანთა მდივან ქალებს გარეგნულად ლამაზი მამაკაცი აგენტები ეარშიყებოდნენ.
15. „კალამზე რომ წევს, ჩემი ცერია, მისი ბრალია, რაც მიწერია, ხელში დამჭერი კალამის თუა, ის, რა თქმა უნდა, თითია შუა, მაგრამ კალამის გამჭენებელი, თითი ყოფილა საჩვენებელი“, — წერს კოტე ყუბანეიშვილი.
16. ფაშიზმზე გამარჯვების დღეს ჩვენ მთელ ევროპასთან ერთად, 8 მაისს ვზეიმობთ და ამ დღეს, ევროპის დღეს ვეძახით, — ამბობენ ლატვიელები — 9 მაისს კი რუსები გადააფარებენ მაგიდაზე გაზეთს, დადებენ ზედ „სელიოდკას“, ხახვს, მოხარშულ კარტოფილს. დაიდგამენ არაყს, იწყებენ სმას და იხსენებენ, თუ როგორ დაიპყრეს ჩვენი სამშობლოო.
17. იუდაშკინმა კლარა ნოვიკოვას იუბილეზე, საკუთარი ხელით შეკერილი ჯინსის შარვალი აჩუქა, რომლის უკანა ჯიბეებზე მსახიობი ქალის ინიციალები იყო ამო-





შვილებთან ერთად

ცი, რომელიც გამიკვალავს გზას, გამომიწევს სკამს, დამისხამს შამპანურს...

**— გინდა თქვა, რომ მარტო არასდროს ყოფილხარ?**

— არა, მხოლოდ რამდენიმე თვე.

**— ამ თვეების განმავლობაში ვინ გისხამდა შამპანურს?..**



სანდროზე განსაკუთრებით გავაფრინე ბოლო დროს

— როცა საყვარელ ადამიანს ვშორდებოდი, საქეიფოდ და სატაშფანდუროდ, განწყობილება არ მქონდა... ყოველთვის ვერიდები სადმე მარტო წასვლას. არ მიყვარს, როცა მოტორღიალე ნასვამი მამაკაცები საკუთარ თავს აძლევენ უფლებას, ჩემთან სულელური წინადადებით მოვიდნენ... ყველა, ჩემ გვერდით მყოფი ადამიანი ჩემი არჩეულია. და ასე იქნება ყოველთვის. ვერავინ იტყვის, რომ ლალი მოროშკინას შებმა გადაწყვიტა და შეაბა კიდეც; თუ ლალი მოროშკინას მოუნდება, იქით შეაბამს.

**— ლალი, შენს საყვარელ ადამიანს ქალთან საწოლში რომ შეუსწრო, რას მოიმოქმედებ?**

— მე „გავიარე“ ასეთი სიტუაცია. ეს იყო ჩემი პირველი ქმრის შემთხვევაში. მას პარალელურად, ახალი რომანი ჰქონდა. როცა ამის შესახებ გავიგე, იმ ქალთან სახლში მივედი. ვუთხარი: არაფერი მინდა, უბრალოდ მაინტერესებდა, როგორ გამოიყურებოდი-მეთქი: როცა მამაკაცი ცოლს ღალატობს, ღალატის ობიექტი სულ ცოტა, ცოლზე უკეთესი უნდა იყოს. როცა ვნახე ქალი, რომელთანაც მე, როგორც მამაკაცი, საქმეს არ დავიჭერდი, შემეცოდა.

**— ვინ შეგეცოდა?**

— ჩემი ქმარი. დავურეკე და ვუთხარი: აგერ ვართ ორივე, მოდი და გვნახე ერთად, განსხვავება ნახე-მეთქი... იმის მერე, არც ერთი დღე აღარ გვიცხოვრია ერთად. მას კი ჰქონდა მცდელობა: სახლში რომ მოვედით, კარი ჩაკეტა, ტელეფონის ხაზები გადაჭრა, რომ მშობლებთან არ დამერეკა და არ წავსულიყავი. მაგრამ უნდა მიცნობდე, რომ მიხვდე — ჩემთვის არ არსებობს შემაკავებელი ფაქტორი. მეხუთე სართულზე დავამაგრე თოკი და ასე ჩავედი დაბლა. ამით დავუმტკიცე, რომ ველარ შემაჩერებდა, რადგან მისი აღარ ვიყავი.

**— დღესაც რომ გიღალატონ?..**

— ზუსტად იმავეს გავაკეთებ. მძულს ქალები, რომლებმაც იციან, რომ ქმრები ღალატობენ და მაინც მათთან ცხოვრობენ. არავინ თქვას, რომ ქმარი ვინმეს მიჰყავს, რომ ქალი ანგრევს ოჯახს; მამაკაცი თვითონ ანგრევს ოჯახს.

**— ახლახან მითხარი, რომ თავად აბამ კაცებს. ის კაცი ხომ არის ვიღაცის ქმარი...**

— ნუ შეიბმება! სხვათა შორის, ჩემს თავს პირობა მივეცი, რომ ცოლიან კაცს აღარასდროს გავეკარები. ერთიც მეყოფა ცოდვისთვის.

**— ნანობ?**

— ძალიან ვნანობ. ერთი რამ ვისწავლე ამ შემთხვევაში: თუ კაცმა შენი გულისთვის ცოლი მიატოვა, ის აუცილებლად მიგატოვებს შენც, ეს უკვე მისი ცხოვრების წესია. ნორმალურ კაცსა თუ ქალს ოჯახი არ დაენგრევა. ეს მათი ბრალია და არა მესამე პირის.

**— ლალი, ქმრისთვის არასდროს გიღალატია?**

— არასდროს არავისთვის მიღალატია. არც იმ ადამიანისთვის, ვინც ჩემ გვერდით ყოფილა. ეს ჩემი შეურაცხყოფაა. იმდენად ეგოისტი ვარ, თავს არ დავიღლი ტყუილების მოფიქრებით, — სად ვიყავი, რატომ დამაგვიანდა? — და ა.შ. მე შემიძლია, დავასრულო ურთიერთობა და დავიწყო ახალი. ამიტომ, ვერც ერთი მამაკაცი ვერ იტყვის, რომ ჩემ გვერდით „რქიანი“ იყო.

**— მოდი, თემა შევცვალოთ. პერიოდული გამოცემებიდან, რომელს კითხულობ?**

— „კვირის პალიტრას“, „ასავალ-დასავალს“, „ქრონიკას“. უნდა ვიცოდე ყველაფერი, რაც ჩემს ქვეყანაში ხდება და ანალიზი თავად გავაკეთო. ყვითელ პრესას ვკითხულობ იმ შემთხვევაში, თუ ჩემი ინტერვიუა გამოქვეყნებული, სხვა შემთხვევაში, ნაკლებად მაინტერესებს ქართველი პოპულარული ადამიანების ცხოვრება და ასე მგონია, ჩემი ცხოვრებაც არ უნდა აინტერესებდეს სხვებს.

**— რაში არ გენანება ფული?**

— ზოგადად, ფუქსავატურად ხარჯვა „მენანება“: თვითონ ვშოულობ და შესაბამისად, ძალიან ძვირად მიჯდება ეს ყველაფერი. ერთადერთი, რაშიც არ მენანება ფული, მეგობრებთან ერთად სადმე წასვლაა. ამ ბოლო დროს სულ მე მეპატიჟებიან, რადგან მათ უკეთესი სოციალური მდგომარეობა აქვთ. ვსხდებით და ენებს ვილესავთ. ხანდახან ვსვამთ კიდეც, თუმცა ჩემს მეგობრებს დალევა არ უყვართ.

**— ოდესმე ძალიან დამთვრალხარ?**

— გონი არ დამიკარგავს, მაგრამ ნასვამი, სიამოვნებით ვცეკვავ. ყოველ პარასკევსა და შაბათს ღამის კლუბში დავდივარ. იქ ლიტ-

ერატურის საკითხავად არავინ დადის. ვცეკვავ, მაგრამ ბოლო დროს დავკომპლექსდი. ყველა ჩემი ნაცეკვი Myvideo.ge-ში მოხვდა. ახლა პროვაიდერთან მოვაგვარე ეს ამბავი და ჩემთან შეუთანხმებელ პირველივე ასეთი ვიდეოს დადებაზე მისი ავტორი დაისჯება. გიუნტერის ქორწილში ვიყავი ამას წინათ. მაშინ ჯერ არ მქონდა გარკვეული ეს ამბავი და ფაქტობრივად, მარტო ანას მამამთილთან ვიცეკვე (*იცინის*).

— **სიმპათიური მამამთილი ჰყავს?**

— ძალიან საყვარელი და კარგი ადამიანია და უარი ვერ ვუთხარი ცეკვაზე... არ მესმის იმ ადამიანების, ვინც სულ სხვანაირები არიან და სულ სხვა პიროვნებებს თამაშობენ. სხვადასხვა სტანდარტით ცხოვრება მათ ფსიქიკურ მდგომარეობაზე აისახება.

— **დღეს ლალი მოროშკინა მარტოა?**

— არა. გვერდით მყავს ძალიან ახლობელი ადამიანი. ერთად დავდივართ უკვე ერთი წელია, მაგრამ მისი ვინაობის გამხელას ნუ მომთხოვ.

— **ბოლო დროის შენსა და კოკო გამსახურდიას რომანზე ალაპარაკდა ქალაქი...**

— ეს აბსურდია. პოლიტიკოსთან რომანი არც მქონია და არც მექნება. ეგ სფერო არ მაინტერესებს. ბიზნესი მირჩევნია (*იცინის*).

— **ლალი, როგორი დედა ხარ?**

— გადარეული. სანდროზე განსაკუთრებით გავაფრინე ბოლო დროს. ჩემთვის არ არსებობს ღამე, როცა სანდრო არ არის სახლში. ამას სხვა რომ აკეთებს, ვერ ვიტან, მაგრამ თვითონ, წამში ერთხელ ვურეკავ და ვეკითხები, სად არის. მადლობა ღმერთს, რომ კარგი ხასიათი აქვს, მე ამდენს დედაჩემს არ მოვუთმენდი. დედამ იცის — ერთხელ რომ დამირეკავს და მკითხავს, სად ვარ, მეორედ აღარ უნდა დამირეკოს, იმიტომ, რომ პასუხს ველარ მიიღებს. კიდევ კარგი, ჩემი შვილები მე არ მგვანან ამით.

— **დედამთილობისთვის მზად ხარ?**

— მზად ვარ იმ პირობით, თუ მე და ჩემი რძალი ერთად არ ვიცხოვრებთ და ჩემი გასაზრდელი არ იქნება მათი საერთო შვილი. საკვირაო, ერთობლივი სადილებისთვის ყოველთვის მზად ვარ. უკეთესი იქნება, თუ ეს სადილებიც რესტორანში გაიმართება...

— **მასზე 20 წლით უფროსი ქალი რომ შეუყვარდეს, არ ჩაერევი?**

— 40 წლით უფროსი რომ შეუყვარდეს, მაინც არ ჩავერევი. ეს მისი ცხოვრებაა. რამდენჯერაც დედაჩემის ჭკუაზე გავიარე, იმდენჯერ მას ვაბრალებდი, თუ რაიმე ცუდი მოჰყვა ამ ნაბიჯს.

— **მაგალითად?..**

— 15 წლის ასაკში რომ მომიტაცეს, ჩემი მეუღლის ნათესავებთან წავედით. უკან დავბრუნდით მეორე დღეს, გამთენიისას თბილისში ვიყავით. თითი არ ჰქონდა დაკარებული ჩემს ქმარს, მეგობრულად წავედით და წამოვედით. მე სახლში დაბრუნება მინდოდა — სკოლა უნდა დავამთავრო-მეთქი, გავიძახოდი. სწავლა ყოველთვის პირველ ადგილზე მქონდა დაყენებული. დედამ მითხრა, — ვერელები სადარბაზოში სხედან და მაინც არ მოგცემენ გასაქანსო... მართლაც, უთქვამთ დედაჩემისთვის, — ლალის თუ დააბრუნებენ, ჩვენ წავიყვანთო. დიდი ბრძოლები იყო მეორე თაყვანისმცემელსა და ჩემს პირველ ქმარს შორის მანამდეც. დედამ მითხრა, — ვინმე დაიღუპება და შენ მთელი ცხოვრება ეს ცოდვა გედება კისერზეო... მერე, ოჯახთან შესარიგებელ სუფრაზე ეს ვერელებიც დავპატიჟე, ჩემი კლასელები იყვნენ. საშინელი ჩხუბი მოხდა, დალეწეს მთელი სახლი... შეიძლება, დედაჩემი მართალი იყო, მაგრამ თვითონ რომ არ ჩარეულიყო ჩემს ცხოვრებაში, ახლა ჩემს პირველ განქორწინებას მას არ დავაბრალებდი.

— **ლალი, როგორ წარმოგიდგენია შენი ცხოვრება 30 წლის შემდეგ?**

— ჯერ ერთი, ღმერთს მინდა ვთხოვო, სანამ ვაზროვნებ, დავდივარ და თავს ვუვლი, მანამდე მაცხოვროს. ბიჭების დედა ვარ და მათ ვერ მოვთხოვ იმას, რაც დედამ ქალიშვილს შეიძლება მოსთხოვოს.

— **რატომ გადაგიწურავს იმედი? იქნებ, ქალიშვილიც შეგეძინოს?..**

— 25-ჯერ რომ გავაჩინო შვილი, 25-ვე ბიჭი იქნება (*იცინის*). ამიტომ, მინდა ვიშოვო ბევრი ფული იმისთვის, რომ მქონდეს ტკბილი სიბერე, რომ არ დამჭირდეს შვილებისთვის ხელებში ყურება...

— **ლალი, როგორც ვიცი, წიგნს წერ სწორედ იმ ადამიანზე, რომელთან ურთიერთობასაც დღეს ნანობ.**

— ჰო, ნახევარი უკვე დაწერილი მაქვს. რატომღაც გადავწყვიტე, რომ ჩემი პირადი ცხოვრება გამოვამზეურო. „მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი“ — ასე ერქმევა წიგნს, რომელიც სექტემბრისთვის, სამ ენაზე (ქართული, რუსული, ინგლისური) გამოვა. ეს არ იქნება მხოლოდ ჩემი ბიოგრაფია. ამ წიგნით მკითხველს გავაცნობ საქართველოს ბოლო 25-წლიან ისტორიას: კერძოდ, 9 აპრილის ამბებს, თბილისის ომს, სიტუაციას კონფლიქტურ რეგიონებში, პრეზიდენტ სააკაშვილისა და კრივში მსოფლიო ჩემპიონის პორტრეტებს. ეს ყველაფერი ჩემი სასიყვარულო თავგადასავლების ფონზე განვითარდება. წიგნს სავარაუდოდ, გამომცემლობა „პალიტრა L“ გამოსცემს.



**გვერდით მყავს ძალიან ახლობელი ადამიანი**



## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### ეოჩა დვალიშ
### უზის წიგნაკიდან:

ქარგული. ნოვიკოვამ მადლობა გადაუხადა და შენიშნა: ვიცი, შენ კლარნეტის ფორმის ფიგურის მქონე ქალებისათვის გიყვარს ტანსაცმლის კერვა, მაგრამ უნდა გაგაფრთხილო, ორკესტრში უამრავი სხვა ინსტრუმენტი არსებობსო. „კლარაჩკა, მი ლიუბიმ ვსე ტვაი ინსტრუმენტი“, — უპასუხა მოდელიერმა.

18. ნაპოლეონს რევოლუციები დამღუპველ მოვლენად მიაჩნდა და მათი კატეგორიული წინააღმდეგი იყო, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, ახალგაზრდობაში, საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას მიმხრობოდა. „მე რომ ფელდმარშალი ვყოფილიყავი, რაღა თქმა უნდა, მეფეს მივემხრობოდი, მაგრამ რამდენადაც რევოლუციის დასაწყისში მხოლოდ რიგითი ოფიცერი ვიყავი და არავითარი ქონება არ გამაჩნდა, იძულებული გავხდი, რევოლუციას მივმხრობოდი“, — იხსენებდა მოგვიანებით ბონაპარტი.

19. ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრების აღწერისას მრავალი ისტორიკოსი ხაზს უსვამს მის თავშეკავებულ ხასიათს. პლუტარქე გვიამბობს: „როცა ალექსანდრემ შეიტყო, პარმენიონის ხელქვეითმა მაკედონელმა მხედრებმა, დამონმა და ტიმოთემ ზოგიერთ დაქირავებულ ჯარისკაცთა ცოლებს ნამუსი ახადესო, პარმენიონს წერილობით უბრძანა: თუ ეს მხედრები მართლაც ამხილეს დანაშაულში, სიკვდილით დასაჯე, როგორც ადამიანთა გასაწირავად გაჩენილი მხეცებიო“. ამ წერილში, სხვათა შორის, საკუთარ თავზე სიტყვასიტყვით ასე წერდა: ვერავინ იტყვის ჩემზე, დარიოსის ცოლი მენახოს ან მისი ხილვა მომნატრებოდეს; ის კი არა, უფლებაც არ მიმიცია ვინმესთვის, მის ტანკენარობაზე ესაუბრა ჩემთანო!



20. გადმოცემის მიხედვით, კონკისტადორმა ფრანსისკო პისარომ მორიგი ლაშქრობისას თავისი ქანცგაწყვეტილი მეომრების თვალწინ, ქვიშაზე ხაზი გაავლო და უთხრა: ამ ხაზს აქეთ სიღარიბე და უსახელო სიცოცხლეა, ხაზს იქით — სიმდიდრე და პატივი. ან პანამაში უნდა დავბრუნდეთ ხელცარიელი და პატივაყრილნი, ანდა გზა განვაგრძოთ ინდიელთა ქალაქებისა და სიმდიდრეთა დასაპატრონებლადო. პისაროს მეომრებიდან ცამეტმა გადააბიჯა ამ ზღვარს, გაჰყვა თავის მეთაურს. რადგან ევროპაში თორმეტ ერთგვარ საგანს „დუჟინს“ ეძახიან, ხოლო რიცხვ ცამეტს — „ეშმაკის დუჟინს“, ისტორიამაც ეს ცამეტი მეომარი „ძლევამოსილი ეშმაკის დუჟინის“ სახელწოდებით შემოგვინახა.

P.S. ინკების იმპერიას საბოლოოდ, სწორედ პისარომ გამოუყვანა წირვა.



M K

# მოღალატე პატრიოტის ოცნება ანუ „აუცილებლად დავაბრუნებ საბჭოთა კავშირის დროს და სტალინის რეჟიმს!“

**უცნაური ჩაცმის სტილი, შეხედულებები და თამაშის განსხვავებული მანერა სერიალის — „ჩვენი ოფისის“ ორ პერსონაჟს სხვებისგან აშკარად გამოარჩევს... მყუდრო და ეკა არა მარტო სერიალში, რეალურადაც მშვენივრად უგებენ ერთმანეთს. მსახიობები — ეკა მახარობლიშვილი და გია ცინაძე ინტერვიუს ერთ ნაწილში ისე საუბრობენ, როგორც მყუდრო და ბარმენი ეკა, ხოლო მეორეში — როგორც გია და ეკა.**

## „გვინდა, საქართველოში გოიმები აღარ იყვნენ და ხალხმა ქუჩაში ტრუსით იაროს“



ეკასი ყოველთვის მეშინოდა, რადგან არ ვიცოდი, რას ჩამიყრიდა ყავაში

ელენე ბასილიძე

**— მყუდრო, შენი პოლიტიკური პარტია „გნიმყუ“ ვითარდება?**

— აბა, რა! ყოველდღე ახალ-ახალ აქციებს ვგეგმავთ და ჩვენს სიტყვას აუცილებლად ვიტყვით!

**— საინტერესოა, რას ითხოვს შენი პარტია?**

— მე და გნიასას ძალიან გვინდა, რომ საქართველოში გოიმები აღარ იყვნენ და ხალხმა ქუჩაში ტრუსით იაროს. ნუ ახლა, ვისაც არ უყვარს, არ იაროს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი მოთხოვნები შედეგს გამოიღებს! სხვათა შორის, უკვე ახალი პრესსპიკერი ავიყვანეთ, ეკას ვგულისხმობ...

**— ეკა, ახალი სამსახური მოგწონს?**

— მომწონს და მერწმუნეთ, ჩვენი პარტია ახალ სიტყვას იტყვის ქართულ პოლიტიკაში...

**— გნიასას და მყუდროს საკუთარი მოთხოვნები აქვთ. საინტერესოა, შენ რას ითხოვ?**

— მე პურს ვითხოვ, გენაცვალე... პოლიტიკაში ფეხი თუ მოვიკიდე, აუცილებლად დავაბრუნებ საბჭოთა კავშირის დროს და სტალინის რეჟიმს!

**— ეი. შენ კომუნისტური რეჟიმი მოგწონს?**

— ჰმ, მომწონს რომელია?! თან, სტალინის როლსაც არაჩვეულებრივად შევითავსებდი! რა, არ მომიხდება?!.

**მყუდრო:**

— ეკას წინაპრები ცნობილი მოღალატეები იყვნენ და ორმაგ ჯაშუშობას ეწეოდნენ — როგორც სტალინთან, ისე ჰიტლერთანაც ახლობლობდნენ. მოკლედ, სადაც პური ეგულებოდათ, იმ მხარეს იყვნენ... ჰოდა, ეკას გენეტიკის რომ გვეშინია, ამიტომაც არ შევთავაზეთ პარტიის თავმჯდომარის სკამი... მე და გნიასას კომუნიზმის დაბრუნება ნამდვილად არ გვინდა, მაგრამ თანაპარტიელის სურვილს პატივს ვცემთ! ჩვენ ძალიან მალე მოვალთ ხელისუფლებაში და მე აუცილებლად გავხდები ისეთი პრეზიდენტი, რომელიც ყველას ეყვარება. დემოკრატიაც იქნება, ოღონდ — ნორმის ფარგლებში. ქვეყანაში უზრდელობას, უხეშობას და თვითნებობას ვერ დავუშვებ!

**— ეკა, რატომ მიატოვე მყუდროზე ფიქრი, აღარ მოგწონს?**

— რატომღაც, მეგობრულად შემიყვარდა... ულოც მეგობრულად მიყვარს და წავიდა, მგონი, აფრიკაში. მასთან ერთად წასვლას ვაპირებდი, მაგრამ აქ დამტოვა...

**მყუდრო:**

— ეკასი ყოველთვის მეშინოდა, რადგან არ ვიცოდი, რას ჩამიყრიდა ყავაში და რისგან მომზადებულ კოქტეილს დამალევინებდა. ახლა, როგორც მეგობრის, აღარ მეშინია... ცოტა უცნაური ქალია და სიყვარულიც სხვანაირი იცის — სასმელში ჩამიყრიდა რამეს და გამაჭიმვინებდა ფეხს (*იცინიან*).

**ეკა:**

— ჰო, ჯადოების გაკეთება მეხერხება. სხვათა შორის, ჩემს საქმეში პროფესიონალი ვარ და ისეთ რამეს არ ჩავუყრიდი, რომ მომეკლა. კაცო, მართალა ასეთი მოღალატე კი არ ვარ!.. ისე, ხომ გაგიგონია, — სიყვარულსა მალვა უნდაო და მეც, ჩემი ახალი შეყვარებულის ვინაობას ვერ გავამხელ.

**მყუდრო:**

— ნათიას გავშორდი თუ არა, ეკა გამოჩნდა და დამიწყო კუდში დევნა, მე კი მაშინ ახალი სიყვარულისათვის მზად არ ვიყავი. ისე, ნათია ძალიან კარგი გოგო იყო, მაგრამ როცა ვცემდი, სწყინდა და ამიტომაც დამშორდა... ბავშვობაში ერთი გოგო მიყვარდა და სულ თმაზე ვექაჩებოდი, მერე ცოცხით ვცემე და ისიც გამებუტა. ახლა კი, გენაცვალე, პირადი ცხოვრებისთვის არ გვცალია! ბოლოს და ბოლოს, ჩვენ საქართველოს ვჭირდებით. ისე, მე მხოლოდ სახლში ყოფნა, რაღაცების გაფუჭება და პოლიტიკურ საქმიანობაში თავით გადაშვება მომწონს, გოგონებისთვის კი ჯერ არ მცალია. სხვათა შორის, ამტანი და მომთმენი გოგოები მიყვარს. მაგალითად, როცა ჩაიში მარილს ჩავუყრი ან ვცემ, ეს არ უნდა ეწყინოს.

**— ეკა, შენი ოჯახის წევრები ცნობილი მოღალატეები არიან. შენ ჯერ არ გიღალატია საქართველოსთვის?**

**ეკა:**

— უჰ, კი, რამდენჯერაც გინდა! მე სულ ვღალატობდი სამშობლოს, ოღონდ — პატრიოტულად. ახლა ვერაფერს აგიხსნი, ვერ გენდობი და იმიტომ.

**— ერთი ღალატის შესახებ მაინც მიამბე რამე...**

**მყუდრო:**

— შენ ახლა ჩემს თანაპარტიელზე ზეწოლას ახდენ!

**ეკა:**

— თავს თუ არ დამანებებ, ისეთ კოქტეილს დაგალევინებ, წარსული დაგავიწყდება (*იცინიან*)!

**— ეკა, კოქტეილების მომზადება ვინ გასწავლა?**

— ჯერ ჩემი დიდი ბებია მასწავლიდა, მერე კი თავადაც დავიწყე ახალ-ახალი ჯადოქრული კოქტეილის მომზადება. ჩემი დიდი ბებია ცნობილი ჯადოქარი იყო, ცოცხზე ჯდომა და შელოცვებიც მან მასწავლა.

**— ცოცხით ხშირად დაფრინავ?**

— მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა ყვითელი ავტობუსები ჩამოიყვანა, ცოცხით იშვიათად ვსეირნობ. ღამღამობით, როცა საქმე არ მაქვს, შემოვაჯდები ხოლმე ჩემს ცოცხს და ხალხს ფანჯრიდან ვუჭყიტინებ. ერთი-ორჯერ მყურდოსაც შევუჭყიტინე...

**მყუდრო:**

— ჰო, თვალი მოვკარი და მეგონა, რომ მომეჩვენა, მაგრამ მეორე დღეს მითხრა, — მე ვიყავიო და ცოტა არ იყოს, დავმშვიდდი... ეკა ძალიან მართობს, კარგი გოგოა!..

**— ახლა თქვენი როლებიდან გამოდით და მითხარით, ოდესმე თუ დაინტერესებულხართ, როგორია მაყურებლის თვალით დანახული მყუდრო და ეკა?**

— ალბათ, ჩვენი როლი მათთვის გაც-

ილებით ფერადი და საინტერესოა. როცა ქუჩაში გავდივარ, გამვლელებისგან ყურადღებასა და სითბოს ვგრძნობ. ასევე, ხშირია შემთხვევა, როცა მოდიან და მესაუბრებიან, სერიალიდან ფრაგმენტებს იხსენებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ნამუშევარი მოსწონთ. ეს ყველაფერი ჩემთვის ძალზე სასიამოვნოა...

**ეკა:**

— ჩემი თამაშით ყოველთვის უკმაყოფილო ვარ, მაგრამ მაყურებელი ალბათ, ხარვეზებს ნაკლებად ამჩნევს. შენიშვნებს მხოლოდ მეგობრები მაძლევენ, უცხო ადამიანისაგან კი რჩევა ჯერ არ მიმიღია... ამას წინათ, ქაჩაში მეგობარს ველოდებოდი. იქვე, 2 წლის გოგონას დედა ასეირნებდა. პატარას ჩემი დანახვა ძალიან გაუხარდა, თამაში დამიწყო და სახლში წასვლა აღარ უნდოდა. დედამისმა მითხრა, — თქვენს სერიალს ყოველდღე უყურებსო...

**მყუდრო:**

— ყველაზე დიდ სითბოს მეც ბავშვებისგან ვგრძნობ. ალბათ, პატარებს მყუდრო იმიტომ უყვართ, რომ ის დიდი ბავშვია. ისინი მაჩერებენ და მეკითხებიან: როგორ ხარ? ნიკა როგორაა?.. ჩემი გმირისგან განსხვავებით, მე ბავშვები ძალიან მიყვარს.

— **როგორია მყურდო კადრს მიღმა?**

**ეკა:**

— გია ძალიან კარგი ბიჭია — მშვიდი, წყნარი, ძალიან კეთილი და მიხარია, მასთან ერთად რომ ვმუშაობ. სხვათა შორის, მყურდოსაგან რადიკალურად განსხვავდება — წესრიგი და სისუფთავე ძალიან უყვარს.



**გია ძალიან კარგი ბიჭია — მშვიდი, წყნარი, ძალიან კეთილი**

**მყუდრო:**

— კადრს მიღმა ეკაც ძალიან საყვარელია. რამდენადაც სერიოზულია, იმდენად მხიარული და მეგობრული გახლავთ. მასთან ვერ მოიწყენ. ნებისმიერ თემაზე შემიძლია, ეკასთან ვილაპარაკო, რადგანაც ის ზრდასრული და ჩამოყალიბებული ადამიანია... და კიდევ, არა მგონია, ბარმენ ეკასთან რაიმე საერთო ჰქონდეს. ის ძალიან მისტიკურია, კაცო (*იცინიან*)!.. სერიალში თითქმის ერთი თაობის ხალხი ვმუშაობთ და გადაღებებისას ბევრს ვხალისობთ. ხშირად, კარს მიღმა ორმაგად სასაცილო სიტუაციები იქმნება და დიდი ღლაბუციც მიდის, მაგრამ ამით მუშაობაში ხელი არ გვეშლება, საქმე კეთდება.

— **თქვენი ტანდემი ამ სერიალში შედგა. საინტერესოა, თუ გაქვთ სურვილი, რომ მომავალშიც ითანამშრომლოთ?**

— ეკა იმდენად ჯიგარი და საყვარელი ადამიანია, რომ მასთან მუშაობა არ მოგწყინდება, ეს ძალიან დიდი სიამოვნებაა.

**ეკა:**

— გიასთან ერთად სცენაზეც სიამოვნებით ვითამაშებდი...

**მყუდრო:**

— როცა მორიგი სერიის გადასაღებად ვემზადებით, უკვე ვიცით, რომ მეც გიჟი ვარ, ესეც გიჟია და ყველა ვარიანტში რაღაც საინტერესო დიალოგი „გაიჩითება“. ხანდახან იმპროვიზაციასაც მივმართავთ და ეს ყველაფერი კარგად გამოგვდის. ვცდილობთ, მონიჭებული თავისუფლება ბოროტად არ გამოვიყენოთ და ჩვენი რეპლიკა თუ ფრაზა სცენარისტების გემოვნებას მოვარგოთ.

— **გია, შენი ასეთი გარეგნობა მყუდროს როლის დამსახურებაა?**

— მყუდროს პონტში მხოლოდ „ბაკები“ მაქვს მოშვებული, თორემ მას შემდეგ, რაც წვერი ამომივიდა, მგონი, ის არც გამიპარსავს — როცა ვიპარსავ, თავი შიშველი მგონია (*იცინიან*). იმიჯს ხშირად ვიცვლი და მყუდროს „ბაკებსაც“ იოლად შევეჩვიე.

— **ეკა, შენი გმირისგან იმიჯით სრულიად განსხვავდები...**

— იმიჯს არა მარტო სერიალში, არამედ რეალურ ცხოვრებაშიც ხშირად ვიცვლი და ზოგჯერ, მეგობრებიც ვერ მცნობენ. სიმართლე გითხრა, ქუჩაში ბარმენი ეკასავით ჩაცმულიც გავსულვარ და უარესადაც (*იცინის*).

— **ალბათ, ეკრანს მიღმაც ხშირად ხვდებით ერთმანეთს.**

**მყუდრო:**

— ერთმანეთისთვის იშვიათად ვიცლით, მაგრამ როცა შეიძლება, შევიკრიბოთ, რამე გავაკეთოთ ან გავაფუჭოთ, ამას რა სჯობს?!

**ეკა:**

— საღამოობით ვიკრიბებით, ვსეირნობთ ან რომელიმესთან სტუმრად მივდივართ. სერიალის მსხიობებთან რაც მეტ დროს ვატარებ, მით უფრო მიჭირს მათი დატოვება...



**როცა მორიგი სერიის გადასაღებად ვემზადებით, უკვე ვიცით, რომ მეც გიჟი ვარ, ესეც გიჟია**

— **გია, შენზე ამბობენ, — ძალიან უცნაური ბიჭიაო...**

**მყუდრო:**

— იცი, არასოდეს შემინიშნავს, უცნაური თუ ვიყავი (*იცინის*). იმასაც ხშირად მეუბნებიან, — ყოველთვის დაბღვერილი დადიხარ და ვიდრე გაგიცნობდი, ძალიან აუტანელი მეგონეო... ერთი ბავშვობის დროინდელი ფოტო მაქვს, სადაც მართლა ვიბღვირები და როცა მას დავხედავ ხოლმე, მეცინება — რა ვქნა, პატარაობიდანვე ასეთი ვარ. ხშირად, ქუჩაში „გათიშული“ დავდივარ. ჰოდა, როცა ვფიქრობ, მაშინ ვიბღვირები, ხალხს კი ჰგონია, რომ ბუა ვარ (*იცინის*).

**ეკა:**

— მე კი, თურმე, როცა ვფიქრობ, ვიცინი... ერთ დღეს დაქალმა მითხრა: ქუჩაში დაგინახე, მარტო მიდიოდი და იცინოდი, რა იყო, ხომ არ გაგიჟდიო (*იცინის*)?!.

**მყუდრო:**

— ეკა მართლა ძალიან მხიარული და ამავდროულად, გულჩვილია. მისი ატირება ძალზე იოლია.

**ეკა:**

— ჩემს აივანზე მტრედმა 2 ბარტყი გამოჩეკა — ერთი კარგად გაიზარდა, მეორე კი ისევ ძალიან პატარაა. გუშინ სახლში რომ მივედი, დავჯექი და ვიტირე (*იცინის*). მერე მსახიობ თაკო აბაშიძეს დავურეკე (ეგ ხომ ფრინველებისა და ცხოველების „დირექტორია“) და ვთხოვე, რამე მირჩიე-მეთქი. — დამბალი პური პინცეტით აჭამეო, — მითხრა. ჰოდა, ახლა მე და დედაჩემი ვცდილობთ, ის ბარტყი გამოვკვებოთ... სტილზე გამახსენდა — ხომ ხედავ, გიას როგორი ფეხსაცმელი აცვია? სერიალშიც ამით „იჩითება“ ხოლმე და ასეთ „ბათინკებს“ უკვე „ცინაძეებს“ ეძახიან.

**მყუდრო:**

— ამ ფეხსაცმელს „ტიმბერლენდი“ ჰქვია, მაგრამ ახლა სახელი შეუცვალეს. ესეც სიყვარულის ერთგვარი გამოხატულებაა ჩემ მიმართ და ეს ძალიან მიხარია. ■





# ტაპასი

ესპანეთის ბარებსა და კაფეებში, ლუდის ან ღვინის შეკვეთისას, უფასოდ გაგიმასპინძლდებიან ტაპასით. იგი შეიძლება იყოს: ზეთისხილი, ჩიფსი, სარდინები ზეთში ან კალმარი. ულუფა იმდენად მცირეა, რომ ვერ დაგანაყრებთ. ამიტომ, ჭკვიანი ესპანელები სასმელს მორიგეობით უკვეთენ და ციცქნა ულუფებით, საბოლოოდ კარგად სადილობენ. ტაპასის წარმოშობის რამდენიმე ვერსია არსებობს. ერთ-ერთის თანახმად, ღვინის ჭიქას პურს ადებდნენ, რათა სასმელში მტვერი ან მწერი არ მოხვედრილიყო. სიტყვა „ტაპასი“ ესპანურად „სახურავებს“ ნიშნავს. მეორე ვერსიით, ალფონს X-ის ბრძანებით, დუქნებში სასმელთან ერთად, პურს არიგებდნენ, რათა მოქეიფეები არ დამთვრალიყვნენ; მესამე ვერსიით, XVI საუკუნეში კასტილიელი და ლამანჩელი ბარმენები კლიენტებს ღვინოსთან ერთად, ყველის ნაჭერს სთავაზობდნენ, რათა იაფი და უხარისხო სასმლის გემო დაეფარათ.



# სულელური კანონები ტურისტებისთვის

**თუ შვებულების გატარება საზღვარგარეთ გადაწყვიტეთ, ყურადღებით წაიკითხეთ ეს სტატია, რადგან სხვადასხვა ქვეყნის კანონების არცოდნამ, შეიძლება, სერიოზულად დაგაზარალოთ.**

● ფლორიდის შტატში ქალს საცურაო კოსტიუმში სიმღერა ეკრძალება.

● კენტუკის შტატში, საცურაო კოსტიუმში გამოწყობილ ქალბატონს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია სეირნობა, თუ ნიჩბითაა შეიარაღებული, ან ორი პოლიციელი მამაკაცი ახლავს. კანონი არ ვრცელდება იმ ქალბატონებზე, რომლებიც 40 კგ-ზე ნაკლებსა და 90 კგ-ზე მეტს იწონიან.

● ქალაქ კარმელში (ნიუ-იორკის შტატი) 500-დოლარიანი ჯარიმის გადახდა მოგიწევთ, თუ სხვადასხვა ფერის კოსტიუმი გაცვიათ.

● ნოგალესში (არიზონის შტატი) მამაკაცებს აჭიმის ტარება ეკრძალებათ.

● ვიქტორიის შტატში, შუადღის შემდეგ, ვარდისფერი შარვლით სეირნობა ორივე სქესის ადამიანს ეკრძალება.

● ავსტრალიაში დაგაპატიმრებენ, თუ ქუჩაში, შავი ფერის სამოსში გამოწყობილი, რბილძირიანი ფეხსაცმლითა და სახეზე შავსაცხწასმული გამობრძანდებით.

● კანონი გიკრძალავთ საფრანგეთში მფრინავი თეფშებით გადაადგილებას, უფრო მეტიც, მათ გაჩერებას ვენახებში.

● თუ ნიუ-ჯერსიში რესტორანში პირის წკლაპუნით ჭამთ, დაგაპატიმრებენ.

● ოკლაჰომაში სხვისი ჰამბურგერის ჩაკბეჩა გეკრძალებათ.

● ევროპის ზოგ ქვეყანაში ხილბოსტნეულის გამყიდველს 1.000 ევროთი დააჯარიმებენ, თუ გასაყიდად გამოტანილ მარწყვს გულის ფორმა არ ექნება, ხოლო კიტრი და ბანანი ჩვეულებრივზე მოკლე იქნება.

● ინგლისში ქვეყნის ღალატში დაგდებენ ბრალს, თუ კონვერტზე მეფის ან დედოფლისგამოსახულებიან მარკას ამოყირავებულს მიაწებებთ.

● ტაილანდში კანონს დაარღვევთ, თუ ქაღალდის ფულს ან მონეტას ფეხს დაადგამთ, რადგან მასზე მეფეა გამოსახული.

● სინგაპურში კი არათუ ღეჭვა, ქვეყანაში კევის შეტანაც კი იკრძალება.

■



# ფაქტები ყავის შესახებ

პირველი ყავახანა ოქსფორდში (ინგლისი) 1650 წელს გაიხსნა, ერთი წლის შემდეგ — ლონდონში. 1700 წელს ბრიტანეთში 2 ათასზე მეტი ყავახანა იყო.

სასმლის სიყვარულის გამო, ბახმა ერთ-ერთ ნაწარმოებს „ყავის კანტატა“ უწოდა. კომპოზიტორი ერთი ფინჯანი ყავის მოსადუღებლად 60 მარცვალ ყავას ფქვავდა.



დღეში 60 ფინჯან ყავას მიირთმევდა ფრანგი მწერალი ონორე დე ბალზაკი.

XVII საუკუნეში ლონდონის კაფეტერიებს „გროშის უნივერსიტეტებს“ ეძახდნენ, რადგან ყავის დალევისას შესაძლებელი იყო მხატვრებთან, მწერლებთან გასაუბრება. 1676 წელს ლონდონში, ჩარლზ II-ის ბრძანებით, ყველა კაფეტერია დაიხურა, რადგან მეფეს მიაჩნდა, რომ იქ მის წინააღმდეგ შეთქმულებებს აწყობდნენ. ■

## მხიარული რჩევები

● სველ ხელს დენის მავთულს ნუ მოჰკიდებთ, შეიძლება, დაჟანგდეს.

● თუ ცხოვრების კარდინალურად შეცვლა გადაწყვიტეთ, უფროსს მანქანის მინა ჩაუმსხვრიეთ.

● ფული პესიმისტისგან ისესხეთ. მან იცის, რომ ვალს არასდროს დაუბრუნებთ.

● უალკოჰოლო ლუდის დალევის შემდეგ, რეზინის ქალიც მოგინდებათ.

● ნუ გაიმეორებთ სხვის შეცდომებს, ჩაიდინეთ საკუთარი.

● ბიჭებო, ნუ გააბრაზებთ გოგონებს. ისინი გაიზრდებიან და გამოგადგებიან.

● თუ ცხენი გეუბნება, რომ სულელი ხარ, დაუჯერე. ■



# მილიონერი ვარსკვლავები

**გთავაზობთ ჰოლივუდის ყველაზე მაღალანაზღაურებადი და წარმატებული მსახიობების ათეულს, რომლებსაც ფილმში 15-20 მლნ დოლარს უხდიან.**



პირველ ადგილზე **ჯულია რობერტსია,** რომელსაც წარმატება ფილმმა — „ლამაზი ქალი“ მოუტანა. „ოსკაროსანი“ მსახიობი და სამი შვილის დედა, დღემდე ჰოლივუდის ერთ-ერთი მაღალანაზღაურებადი მსახიობია.

**რიზ უიზერსპუნმა** სახელი 2001 წელს ფილმში „კანონიერი ქერათმიანი“ შესრულებული როლით გაითქვა. 2005 წელს „ოსკარიც“ მოიპოვა. კინოკარიერის გარდა, რიზი ორ შვილს ზრდის, კინოკომპანიის მფლობელი და კინოპროდიუსერია.

პლანეტის ულამაზეს და ჰოლივუდის ერთ-ერთ მაღალანაზღაურებად ქალს — **ანჯელინა ჯოლის** 6 შვილი ჰყავს. მსახიობი გაჭირვებულთა დასახმარებლად, ყოველწლიურად საქველმოქმედო აქციებს მართავს.

**კამერონ დიასმა** მოდელის კარიერა კინოს გამო მიატოვა. 1994 წელს „ნიღაბში“ შესრულებული როლის შემდეგ, მისი ჰონორარი 10 მლნ დოლარით გაიზარდა.

ტომ კრუზთან განქორწინების შემდეგ **ნიკოლ კიდმანი** ჰოლივუდის ერთ-ერთი ძვირად ღირებული და წარმატებული მსახიობი გახდა. „საათებში“ შესრულებულმა როლმა კი ნანატრი „ოსკარი“ მოუტანა.

**რენე ზელვეგერი** პოპულარული ბრიჯიტ ჯონსის როლით გახდა. მიუზიკლ „ჩიკაგოში“ კი მომღერლად და მოცეკვავედ მოგვევლინა.

რომანტიკული კომედიების გმირი — **სანდრა ბალოკი,** ასაკის მიუხედავად (იგი ახლა 45 წლისაა), კვლავ პოპულარულია. მსახიობს ზოგჯერ, ერთდროულად, რამდენიმე ფილმშიც კი იღებენ.

6 წლის **დრიუ ბერიმორის** კინოდებიუტი სტივენ სპილბერგის ფილმში შედგა. ჰოლივუდის ულამაზესი მსახიობი ახლა 34 წლისაა. მსახიობობის გარდა, რეჟისურაშიც ცდის ბედს.

**ჯოდი ფოსტერს** 3 წლიდან სარეკლამო რგოლებში იღებდნენ; 14 წლის იყო, როცა მარტინ სკორსეზეს ფილმში („ტაქსისტი“) ნათამაშები როლისთვის „ოსკარზე“ წარადგინეს.

მე-10 ადგილზეა ყოფილი „მის ამერიკა“ — **ჰოლი ბერი**. მილიონერმა მსახიობმა დიდი ხნის ნატვრა აისრულა, 10 წლით უმცროს მამაკაცზე იქორწინა და შვილიც გააჩინა. ■



რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# ნახეთქები ქუსლებზე

**ქუსლები ძნელად ემორჩილება მკურნალობას, მაგრამ რეგულარული პროცედურებითა და კანის დამარბილებელი საშუალებების გამოყენებით შესაძლებელია დაავადებისგან გათავისუფლება. სამკურნალო საშუალებები ძირითადად ვაზელინზე მზადდება. ნებადართულია სუფთა ვაზელინის შეზელაც. ღრმა ნახეთქების დროს რეკომენდებულია ანტიბიოტიკების შემცველი მალამოების წასმა. პლასტირების დაფენა აუცილებელი არ არის. შედეგიანია სტეროიდული (ჰორმონული) მალამოების გამოყენებაც — ისინი ბარიერს ქმნის და ხელს უშლის კანში მიკროორგანიზმების შეღწევას, მაგრამ მათი ხმარება მხოლოდ ექიმის დანიშნულებით შეიძლება.**



უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ნახეთქები თითებს შორისაც ჩნდება. ამ დროს შესაძლოა, ამ ადგილას სოკოვანი ინფექცია განვითარდეს; ამიტომ აუცილებელია კვალიფიციური ექიმის დახმარება. ნახეთქები ხშირად ორსულობის პერიოდში ჩნდება, რაც წონის მატებით გამოწვეულ დროებით ბრტყელტერფიანობას და სისხლში გლუკოზის შემცველობის დროებით მატებას უკავშირდება. ჩვეულებრივ, ორივე მაჩვენებელი მშობიარობის შემდეგ ნორმალიზდება და ნახეთქებიც მშობიარობიდან 9-10 თვის შემდეგ თავისთავად ქრება.

ულტრაიისფერი სხივები კანს აშრობს და ნახეთქებს აღრმავებს; თუ ღრმა ნახეთქების მიზეზი ბრტყელტერფიანობაა, მაშინ საჭიროა სპეციალური ორთოპედიული ფეხსაცმლის ხმარება ან ტერფებქვეშ სუპინატორების დადება. თუ ნახეთქები ავიტამინოზით არის გამოწვეული, ყოველდღიურ რაციონში ნაღების კარაქი უნდა შეიტანოთ, ასევე — კვერცხი, ხიზილალა, საქონლის ღვიძლი, სტაფილო. ყველაზე ეფექტიანი პროცედურები სხვადასხვა მცენარეული კომპონენტის აბაზანებია. ნებისმიერი აბაზანის მიღებამდე სპეციალური საშუალებით აუცილებელია ფეხის ქუსლების დამუშავება-გაწმენდა. კვირაში ორჯერ მაინც, ცხიმიანი კრემით გაიკეთეთ ტერფის ძლიერი მასაჟი. ამისათვის ხელზე წაისვით ცოტაოდენი კრემი და ძლიერი დაწოლითი მოძრაობებით ტერფები დაიზილეთ. თუ ნახეთქები დიდი ხნისაა, ზემოთ აღწერილი პროცედურები არ უშველის. თუ მათ ირგვლივ ჩირქგროვები გაჩნდა, კანი შეწითლდა და შესივდა, ამას დაერთო ტემპერატურის მატებაც — ეს ნახეთქებში ინფექციური პროცესის განვითარების მაუწყებელია და ასეთ შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აუცილებელია სპეციალისტთან ვიზიტი და მის მიერ დანიშნული ანტიმიკრობული თერაპიის ჩატარება. ■

## ძალისმიერი ვარჯიშები კიბოსგან დაგიცავთ

გაირკვა, რომ მამაკაცები, რომლებიც რეგულარულად ვარჯიშობენ, კიბოთი სხვებთან შედარებით, 30-40%-ით ნაკლებად ავადდებიან. ექიმ-ონკოლოგები კიბოს პროფილაქტიკის ერთ-ერთ საშუალებად ჯანმრთელი ცხოვრების წესს მიიჩნევენ, უფრო კონკრეტულად კი — სირბილსა და აერობიკას. მეცნიერთა ჯგუფმა, ჩატარებული გამოკვლევის დახმარებით, გაარკვია, რომ ამაში კუნთოვანი მასა მნიშვნელოვან როლს ასრულებს. კვლევაში, რომელიც 20 წელი გრძელდებოდა, მონაწილეობა 20-82 წლის ასაკის 8677-მა მამაკაცმა მიიღო. მეცნიერები რეგულარულად მოხალისეების გამოკვლევას და თითოეული მონაწილის კუნთოვანი ძალის განსაზღვრას ცდილობდნენ. გაირკვა, რომ მამაკაცები, რომლებიც რეგულარულად ძალისმიერ ვარჯიშებს ატარებდნენ და ჰქონდათ დიდ კუნთოვანი მასა, 30-40%-ით ნაკლებად ავადდებოდნენ კიბოთი. მეტიც, რეგულარული ვარჯიში დადებითად მოქმედებდა მათზეც, ვისაც ჰქონდა მაღალი მასის ინდექსი (ანუ ჭარბი წონა). მიუხედავად ამისა, მეცნიერები მამაკაცებს მაინც ურჩევენ, რომ კვირაში მინიმუმ 2-ჯერ ძალისმიერი ვარჯიშები ჩაატარონ და ყურადღება მიაქციონ მასის ნორმალური ინდექსის შენარჩუნებას. ■

## ღვინო და თევზი გულის მუშაობისთვის სასარგებლოა

ღვინის დადებითი მოქმედება გულზე მეცნიერების მიერ არაერთხელ ყოფილა დადასტურებული.

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები
www.elva.ge
პრესის და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"

| გამოცემის დასახელება | 1ეგზ. ფასი | 3 თვე |
|---|---|---|
| 1. ГЕО / GEO | 9.00 | 27.00 |
| 2. ЛИЗА | 2.50 | 32.50 |
| 3. 100 ЧЕЛОВЕК, КОТОРЫЕ ИЗМЕНИЛИ ХОД ИСТОРИИ | 5.00 | 65.00 |
| 4. ПУТЕШЕСТВИЕ ПО СВЕТУ | 8.00 | 24.00 |
| 5. СЕМЬ ДНЕЙ | 2.50 | 32.50 |
| 6. HELLO! / ХЭЛЛОУ! | 4.00 | 52.00 |
| 7. ОТДОХНИ! | 2.00 | 26.00 |

ტელ: 38-26-73; 38-26-74
ფაქსი: 38-26-74
აგრეთვე ნებისმიერი სხვა გამოცემა
E-mail: elva@kvirispalitra.com



თურმე გულ-სისხლძარღვთა სისტემისათვის სასარგებლო ყოფილა თევზიც. მეცნიერები გვარწმუნებენ, რომ ამ ორი პროდუქტის ერთად მოხმარება ადამიანის ჯანმრთელობაზე კიდევ უფრო მეტ დადებით ეფექტს მოახდენს. სპეციალისტებმა შეამოწმეს კვლევაში მონაწილე 26-65 წლის ასაკის 1500-ზე მეტი ადამიანი (იტალიიდან, ბელგიიდან და ინგლისიდან). აღმოჩნდა, რომ ღვინის ზომიერი მოხმარება (ქალებისთვის — დღეში ერთი ჭიქა, მამაკაცებისთვის — 2 ჭიქა) ხელს უწყობდა სისხლში „ომეგა 3“ ცხიმოვანი მჟავისა და სისხლის წითელი ბურთულების რაოდენობის მატებას. აღსანიშნავია, რომ „ომეგა 3“-ს შეიცავს ასევე ორაგული და სკუმბრია. ცნობილია, რომ ეს ცხიმოვანი მჟავები ხელს უწყობს გულის მუშაობის გაუმჯობესებას და აქვეითებს გულის უკმარისობის განვითარების რისკს. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ყოველდღიური კვების რაციონში ღვინოსთან ერთად, თევზის ჩართვა გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე კიდევ უფრო შესამჩნევ დადებით გავლენას ახდენს. ■

## იაპონური პირშუშხა კარიესის წინააღმდეგ

იაპონური მწვანე პირშუშხა კბილების დაზიანებას და კარიესის განვითარებას აფერხებს. იაპონელმა მეცნიერებმა მწვანე პირშუშხას კიდევ ერთი სამკურნალო თვისება აღმოაჩინეს. ახალი გამოკვლევების შედეგების თანახმად, პირშუშხას კარიესის განვითარების შეფერხება შეუძლია, რადგან მასში ისეთი ნივთიერება შედის, რომელიც არ იწვევს კბილების დაშლას და კარიესის გამომწვევ მიკროორგანიზმებს ამ დაავადების განვითარების საშუალებას არ აძლევს. უნდა აღინიშნოს, რომ იაპონურ მწვანე პირშუშხას ბევრი სასარგებლო თვისება აქვს: იგი კიბოს განვითარებისა და თრომბის წარმოქმნის რისკს აქვეითებს; ასევე ამცირებს ასთმის შეტევას. აღსანიშნავია ისიც, რომ პირშუშხას ძლიერი ანტიმიკრობული თვისების გამო, მისგან დამზადებულ საკაზმს უმი თევზისგან მომზადებულ კერძებთან ერთად იყენებენ. ■

## პორტენზია — დიაბეტისა და ართრიტის სამკურნალო საშუალება

პორტენზიას ძირებით შეიძლება დამზადდეს პრეპარატი, რომელიც მსოფლიოში გავრცელებული მრავალი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება. ბოსტონელმა (აშშ) სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ პორტენზიას ფესვების საფუძველზე



მომზადებული სამედიცინო პრეპარატები შველის ისეთ დაავადებებს, როგორიცაა გაფანტული სკლეროზი, ფსორიაზი, დიაბეტისა და ართრიტის ზოგიერთი ფორმა. საქმე ის არის, რომ დასახელებული დაავადებები ემართებათ ადამიანებს, რომელთაც იმუნიტეტი დაქვეითებული აქვთ. დღესდღეობით არსებული იმუნოსტიმულატორები ძირითადად გამოიყენება ყველაზე მძიმე შემთხვევებში, როგორც ბოლო საშუალება და არ იცავს პაციენტს სხვადასხვა ინფექციისგან. ამასთან მათ გვერდითი ეფექტებიც ახლავთ. ალტერნატიული თანამედროვე პრეპარატი შეიძლება, ახალი წარმატებული წამალი გახდეს. პორტენზიას ასეთი წარმატების მიზეზი მის შემადგენლობაში შემავალი ნივთიერებაა, რომელიც აუტოიმუნური დაავადებების გამომწვევი გარკვეული სახეობის უჯრედების განვითარებას აბრკოლებს. ■

## ტელევიზორი საძინებელში შეიძლება, ქრონიკული დაავადებების მიზეზი გახდეს

ფსიქოთერაპევტებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ საძინებელში დაუშვებელია ტელევიზორის დადგმა. უშუალოდ კი ძილის წინ ტელეგადაცემებისა და ფილმების ყურება უძილობასა და ქრონიკული დაავადებების განვითარებას იწვევს. ამერიკელმა მეცნიერებმა ჩაატარეს გამოკვლევა, რომელშიც მონაწილეობა 21500 ადამიანმა მიიღო. მკვლევრები მეტად გააკვირვა იმ ფაქტმა, რომ კვლევაში მონაწილეთა უმეტესობა პრაქტიკულად ყოველდღიურად უყურებდა ტელევიზორს ძილის წინ და ბევრი იძინებდა კიდეც ჩართული ტელევიზორის წინ. კვლევაში მონაწილეების თავის ტვინის სკანირებამ აჩვენა, რომ ტელევიზორის ყურების დროს, ტვინი ისევე აქტიურად მუშაობს, როგორც ფიზიკური ვარჯიშის დროს, რაც ძილის დარღვევის მიზეზი ხდება, კერძოდ კი შეიძლება, გამოიწვიოს უძილობა. ძილის დარღვევის პრობლემები მნიშვნელოვნად მოქმედებს ადამიანის იმუნიტეტზე და ხელს უწყობს ქრონიკული დაავადებების განვითარებას. ჯანმრთელობის მხრივ სერიოზული პრობლემების თავიდან ასაცილებლად, სპეციალისტები ადამიანებს ურჩევენ, ტელევიზორი არ დადგან საძინებელში და ძილის წინ არ უყურონ ტელეპროგრამებსა და ფილმებს. ■



# იკითხეთ თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის




### მეტყველების დარღვევები

ენის ბორძიკი ფსიქოემოციური წრის დარღვევის შედეგი გახლავთ, ამიტომ კომპლექსური თერაპიის დიდი ნაწილი სწორედ პრაქტიკულ ფსიქოთერაპიასა და ფსიქოლოგიურ რეკომენდაციებს ეთმობა

### რა საჭიროა ძილი

კუთხე, სადაც ბავშვს სძინავს, განურჩევლად იმისა, ცალკეა თუ მშობლების საწოლ ოთახში, უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს. ამ მოთხოვნების დაცვაზეა დამოკიდებული ბავშვის მშვიდი ძილი

### იოდის დეფიციტის პროფილაქტიკა

თუ ჩვილი ბუნებრივ კვებაზეა, მაგრამ დედა პროფილაქტიკის მიზნით იოდს არ იღებს, ჩვილმა 6 თვემდე ყოველდღიურად უნდა მიიღოს, სულ ცოტა, 75 მკგ იოდი, ხოლო 6 თვიდან წლამდე – არანაკლებ 100მკგ-ისა

სიყვარულის ამბავი

# ანდერძით დატოვებული ვალი

მარი ჯაფარიძე

ხშირად მსმენია, ამბობენ ხოლმე: „მიყვარდა, მაგრამ მის ჯიბრზე სხვას გავყევი“, „ერთმანეთი გვიყვარდა, მან ოჯახი შექმნა და მეც გადავწყვიტე, გავთხოვილიყავი“, „მიყვარდა, მაგრამ მასთან ყოფნას სხვასთან ყოფნა ვარჩიე“. ალბათ სიყვარულიც ფარდობითი ცნებაა და ყველას თავისებურად ესმის. ის, რაც ახლა უნდა მოგიყვეთ, ძალზე უცნაურად მოგეჩვენებათ და სიყვარულის ბანალური ამბავი არ გახლავთ. ერთ ნამდვილ ამბავს მთავარი „გმირის“ დღიურებითა და მისი ნათესავის მონათხრობით გავაცოცხლებ.

კახეთის ერთ სოფელში, ერთი ჩვეულებრივი გოგონა ცხოვრობდა. გარეგნულად არც მზეთუნახავი იყო და არც მახინჯი. მის კლასში ბევრი ლამაზი გოგო სწავლობდა და ხშირად გულიც სწყდებოდა, რომ მამას დაემსგავსა. უნდოდა, ძალიან ლამაზი ყოფილიყო, ყველას თვალს რომ მოსწყვეტდა, ისეთი. თუმცა, ვინაიდან გარეგნობას ვერაფერს უშველიდა, სწავლით ცდილობდა, გამორჩეული ყოფილიყო. გულში ერთ საიდუმლოს ინახავდა — სკოლის ყველაზე ლამაზი და ვაჟკაცური ბიჭი უყვარდა. აბა, ამას ვის გაუმხელდა? სასაცილოდ არ ეყოფოდა ხალხს.

სკოლა რომ დაამთავრა, სოფლის თავმჯდომარემ შესთავაზა, კოლმეურნეობაში დარჩი, ბრიგადირად დაგნიშნავო, მაგრამ ცირას გეგმები გაცილებით შორს მიდიოდა, ვიდრე სოფელში ცხოვრება და ბრიგადირობა იყო.

ნაწყვეტი დღიურიდან: „ის“ თბილისში მიდის. ყველაფერი უნდა გავაკეთო საიმისოდ, რომ სტუდენტი გავხდე და მის გვერდით ვიყო. ამ თავმჯდომარეს ცოტა აკლია, ხომ იცი... რა ბრიგადირობას მთავაზობს?“

„ის“ უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, ცირა — სამედიცინო ინსტიტუტის *(მაშინ ასე ერქვა)*. ყველას უკვირდა, ამ „უპატრონო“ გოგომ როგორ მოახერხა ჩაბარება.

ქალაქმა დახვეწა გოგონა. ძველი ცირა თითქოს სადღაც გაქრა და ახლა ის პატარა, მშვენიერ ქალად იქცა. „ის“ ხშირად ნახულობდა, ერთმანეთს საერთო მეგობრებთან ერთად ხვდებოდნენ ხოლმე.

ნაწყვეტი დღიურიდან: „მგონი ხვდება, რომ მიყვარს, მაგრამ არაფერს მაგრძნობინებს. ალბათ არ მოვწონვარ. არადა, დღეს როგორი თვალებით მიყურებდა... მიყვარს და რა ვქნა? ეს ხომ დანაშაული არ არის?“

შემდეგ ისე მოხდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მარტო დარჩნენ... ბიჭი ნასვამი იყო, გაუთამამდა, არც გოგოს უთქვამს უარი და...

ნაწყვეტი დღიურიდან: „ღმერთო, საოცარი ღამე იყო... მისი ხელები ისე მეხვეოდნენ, მეგონა, გამჭყლეტდნენ. ძალიან მალე გათენდა... „ის“ წავიდა... სიტყვაც არ უთქვამს. თვალებში კი სინანული დავინახე. უკვე ვიცი, რომ არასოდეს დაბრუნდება, მაგრამ მერე რა?“

მეორე დღესვე გაიგო, რომ „იმან“ ცოლი მოიყვანა. განიცადა, ბევრი იტირა, მაგრამ ამ საქმეს ვერაფერს უშველიდა.

ნაწყვეტი დღიურიდან: „ალბათ იფიქრა, რომ „შევეტფენებოდი“ და სასწრაფოდ დაქორწინდა. არა, მე ჩემს ნაბიჯს არ ვნანობ. ვნანობ იმას, რომ მან არასწორად მიიღო ჩემი საქციელი“.





გავიდა წლები... „იმან“ სწავლა დაასრულა, სამსახურიც იშოვა და 3 შვილიც შეეძინა.

ცირამაც დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და ექიმად დაიწყო მუშაობა. პირადი ცხოვრება ვერ ააწყო, მაგრამ კარიერა გაიკეთა შესაშური. არა, მთხოვნელების მეტი რა ჰყავდა, მაგრამ მის გულს არავინ გაეკარა. მას „ის“ უყვარდა, უსიყვარულოდ კი ოჯახს ვერ შექმნიდა. თანაც, რომ გათხოვილიყო, ეს ხომ მისი ღალატი იქნებოდა?

ნაწყვეტი დღიურიდან: „ჩემი ყველაზე ძვირფასი ადამიანის გარდაცვალებას თუ გადავიტანდი, არ მეგონა. ჩემს საყვარელ დას ვერ ვუშველე. უძლური აღმოვჩნდი სენის წინაშე. მშვიდობით, ჩემო დაია... მანდ ისევ შევხვდებით ერთმანეთს“.

გავიდა წლები. დისშვილები ცირასთან იზრდებოდნენ. სიძე ახალგაზრდა კაცია, ცოლი უნდა შეირთოს. ბავშვები კი დედინაცვლისთვის არ ემეტება.

გოგონა გათხოვდა უკვე, ბიჭიც, სადაცაა, ცოლს მოიყვანს...

ნაწყვეტი დღიურიდან: „ვიცი, ცუდადაა ჩემი საქმე. ექიმი ვარ თავად და ვინ მომატყუებს? დიაგნოზი დამიმალეს, მაგრამ რად მინდა ის ფარატინა ფურცელი? გული იმაზე მწყდება, რომ ცხოვრება ამაოდ განვვლე. თუმცა, რატომ ამაოდ? მე ხომ მიყვარდა... მთელი ცხოვრება მიყვარდა... ახლაც მასზე ოცნებაში დავლევ სულს... ისაა ცუდი, რომ ეს ოცნება ხანგრძლივი ველარ იქნება... სამუდამოდ დავხუჭავ თვალებს და ოცნებაც ჩემთან ერთად მოკვდება. 2 თვეში 59 წლის ვხდები... ნეტავ, ვიცოცხლებ მანამდე?“

იცოცხლა... კიდევ 3 თვე იცოცხლა, თავისი დაბადების დღის შემდეგ. როცა მიხვდა, რომ დღეები ჰქონდა დათვლილი, დისშვილებს დაუძახა და ანდერძის დაწერა მოითხოვა. ჩვეულებრივი ანდერძი იყო, თუ არ ჩავთვლით ერთ პუნქტს: „მინდა, სიკვდილის შემდეგ გამკვეთონ, გული ამომაცალონ და დაწვან. ფერფლი კი „მას“ მიუტანონ. ჩემი გული სიკვდილამდე მას ეკუთვნოდა და სიკვდილის შემდეგაც მისი საკუთრება უნდა იყოს“.

სხვა გზა არ იყო. ანდერძი შეასრულეს.

რკინის კართან ახალგაზრდა ქალი და მამაკაცი იდგნენ და ზარის ღილაკზე თითის დაჭერას ვერ ბედავდნენ. როგორც იქნა, გადაწყვეტილება მიიღეს. კარი ჭაღარა ქალმა გააღო.

— უკაცრავად, „ის“ სახლშია?

— დიახ.

— შეიძლება, დაუძახოთ?

— მობრძანდით.

— არა, დაუძახეთ...

— გისმენთ, — კარს სიმპათიური მამაკაცი მოადგა.

— ეს თქვენ... — გაუბედავად გაუწოდეს ხის ყუთი და ბარათი.

ბარათში რა ეწერა, არავინ იცის, რადგან ცირას სურვილი იყო, ის მხოლოდ „იმას“ გაეხსნა.

შემდეგ შეიტყვეს, რომ „იმას“ სასაფლაოზე ადგილი უყიდია და ფერფლი იქ დაუმარხავს. თვითონაც და მისი მეუღლეც მომავალში იქ დაიმარხებიან...

მოკლე ჩართვა

# ვის ვენდობი ყველაზე მეტად?

• ახლო მეგობრებს ვენდობი და ასეთი მიმნდობი რომ ვარ, რა ვქნა? ჩემს ამ თვისებაზე მაგრად მეშლება ნერვები...

• არავის ვენდობი და ვერც ვერავინ შეძლო ჩემი ნდობის მოპოვება. სიკვდილა.

• ძნელი კითხვაა. სიმართლე რომ ვთქვა, ბოლომდე ვერავის ვენდობი. ცუდია უნდობლობა, მაგრამ ვერ ვენდობი იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანები ყოველთვის თავის ინტერესებს აყენებენ ყველაზე მაღლა. ეშმაკუნა.

• ყველაზე მეტად ვენდობი ღმერთს. კიდევ, ძალიან ახლობელ ადამიანებს. სხვებს — ნაკლებად. ლი ჰარვი ოსვალდი.

• ყველაზე, ყველაზე საუკეთესო მრჩეველი მყავს დედა. მას ვენდობი ყველაზე მეტად, სხვას არავის. დედა ჩემი ნდობით აღჭურვილი პირია. დედასავით ვერავის ვენდობი, ჩემი მესაიდუმლეა.

• ყველაზე მეტად დედაჩემს ვენდობი, რადგან დედა ისეთს არაფერს მირჩევს, რაც ჩემთვის საზიანო იქნება. არანაკლებად ვენდობი დას, ჩემს დაქალებს და მეუღლეს. ლა-ლოლა.

• პირადად მე, ყველაზე მეტად ჩემს თავს ვენდობი, მაგრამ უკეთესია, რომ გვერდით გყავდეს ადამიანი, ვისაც საკუთარ ცხოვრებას გაუზიარებ. ასე ვთქვათ, „სულის“ მეგობარი. მისტერ.

# „რწმენას" შეწირული შვილი

მარინა ბაბუნაშვილი

**ნათქვამია, ყველას თავისი „წილი" უბედურება სჭირსო, მაგრამ დამეთანხმებით, შვილთან დაკავშირებული მაინც სულ სხვაა. არადა, წლების წინ, რას წარმოიდგენდა თენგიზი, რომ ცხოვრება ასეთ უბედურებას დაატეხდა თავს. ცხოვრობდა, შრომობდა და ამ შრომის შედეგად არც უჭირდა. ერთადერთი, რაც აკლდა, ცოლი და საკუთარი ოჯახი იყო. 30 წლის ასაკში დაოჯახდა და ყველაფერი იმ დღიდან დაიწყო... („ვიცი, დიდი ბრძოლის გადახდა მომიწევს", „კვირის პალიტრა" — 2008 წ. 3 მარტი).**

## ამბავი პირველი

### „არ ვიცოდი, ჩემი ცოლი ავადმყოფი თუ იყო"

თენგო გორელია. განსაკუთრებულად უყვარდა იქაურობა, თავისი სახლ-კარი; გორთან ახლოს სოფელი ჰქონდა. სახლსაც და ბაღ-ვენახსაც თენგო პატრონობდა. ერთადერთი, რაზედაც მისი მშობლები წუხდნენ, ის იყო, რომ 30 წლის ასაკშიც არ ჰყავდა ცოლი. ბოლოს, გადაწყვიტა, სიყვარულს აღარ დალოდებოდა და როცა სოფელში, მეზობლის ქორწილში გოგო დაანახვეს, ბევრი აღარ უფიქრია, მეორე კვირას მიაკითხა და დანიშნა.

ამონარიდი წერილიდან: „მერი არც ისეთი უთქმელი და უწყინარი აღმოჩნდა, როგორც ამბობდნენ. თითქოს ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი უკმეხობა. ამას ემატებოდა პრეტენზიულობაც და ანგარებაც. დედაჩემს ყველა შვილისთვის ჰქონდა გადანახული სამკაული. ნიშნობაზე დედაჩემის ნაჩუქარს ჩემი ნაყიდიც დავუმატე. მაშინ არაფერი უთქვამს, მაგრამ როცა ჩვენს ოჯახში შემოდგა ფეხი და რძალი გახდა, ჯერ ჩემთან აბუზღუნდა, უფროსი რძლისთვის მეტი როგორ ვერ გაიმეტესო. მერე აღარც ჩემს მშობლებთან დაუმალავს წყენა".

ჯერ გოგონა შეეძინათ, ნატო, მერე ბიჭი — შოთიკო. თენგო პოლიციაში მუშაობდა, სამსახურიდანაც ჰქონდა შემოსავალი და უზარმაზარი ხეხილის ბაღიდანაც, მაგრამ მერი მაინც სულ უკმაყოფილო იყო. პროვინციულ ქალაქში როდემდე უნდა ვიყოთო? — წამოსცდა ერთხელ ქმართან. გეგონება, აქამდე პარიზში ცხოვრობდა. აღარ დაუთმო თენგიზმა და იმ დღეს პირველი სერიოზული უთანხმოება მოუვიდათ.

ორი წლის მერე თენგიზი გაათავისუფლეს სამსახურიდან. ქმრის უსამსახურობამ კიდევ უფრო დაუმძიმა მერის ხასიათი. გახშირდა ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტიც. ერთ მშვენიერ დღეს, მერიმ მოკიდა ბავშვებს ხელი და ქმრისა და დედამთილ-მამამთილის „ჭკუის სასწავლებლად" მშობლებთან, სოფელში წავიდა. ეგონა, რამდენიმე დღეში თენგო მიაკითხავდა, რაღაცას დაუთმობდა და უკან წამოიყვანდა, მაგრამ ასე არ მოხდა. გავიდა ერთი თვე და თენგოს მეზობელმა ამბავი მოუტანა: ნატუკა ვერ ყოფილა კარგად, მერის კი ბავშვი ექიმთან არ მიჰყავს, ეგენი ხომ იეღოველები არიანო.



იმ დღესვე წავიდა თენგო სოფელში, გული გახეთქაზე ჰქონდა. საკუთარ თავზეც მოსდიოდა ბრაზი, თუ ეს მართლა ასეა, აქამდე როგორ ვერაფერი შევატყვე ან რატომ კარგად არ გავიკითხე, რა ოჯახისშვილიც მომყავდა ცოლადო. გვიანი იყო, სოფელში, სიდედრ-სიმამრთან რომ მივიდა. ბავშვი ექიმს უნდა მივუყვანო, — გამოაცხადა. მერიმ არც ადრე იცოდა დათმობა, ახლა კი ბავშვის ავადმყოფობით მთლად გამოსული იყო მწყობრიდან და ქმარს წინ გადაეღობა, — შვილი ჩემია და არსად არ გაგატანო. ატყდა ერთი ორომტრიალი. მშობლების ჩხუბით შეშინებული ბავშვები გულსაკლავად ტიროდნენ. ნატუკამ, — აქ მირჩევნია, დედასთან, პატარა შოთიკოც ბებოს ეკვროდა და ზლუქუნებდა. მიხვდა თენგიზი, რომ ჩხუბით ვერაფერს მიაღწევდა და უკან გაბრუნდა.

ამონარიდი წერილიდან: „მერის დანახვაც არ მინდოდა. ცხოვრებაში არავინ შემძულებია, ჩემი შვილების დედის ატანა კი აღარ შემეძლო. მინდოდა, სასამართლოს ძალით მომეპოვებინა შვილების ნახვის უფლება, თორემ კიდევ ერთხელ რომ მივსულიყავი მათ სახლში, თავს ველარ შევიკავებდი და მერი შემომაკვდებოდა".

განქორწინებიდან სამი კვირის მერე თენგოს საშინელი რამ აცნობეს: ნატო გარდაიცვალაო. ერთ ღამეში გათეთრდა კაცი.

ჩვენი ინტერვიუს დროს, იგი შოთიკოზე ნერვიულობდა, ვაითუ, მასაც იგივე დამართონ, რაც ნატოსო.

ამბავი მეორე

## ბრძოლამ შედეგი გამოიღო

ნატოს გარდაცვალებიდან, 6 წელი იყო გასული. თენგოს ჩემთან მოსვლის მიზეზი, 8 წლის შოთიკო გახლდათ. მამას დიდი შიში ჰქონდა, რომ ავადმყოფი ბიჭი (ბავშვი ისე როგორ გაიზრდება, ერთხელ მაინც ავად არ გახდეს?!) კვლავაც დაემალათ ექიმებისთვის. ნატუკას მორჩენა ხომ მკურნალობის შედეგად სრულიად შესაძლებელი იყო!

— თენგიზ, რა ხდება თქვენკენ? შარშან მითხარით, ვიცი, შოთიკოს გამო ბრძოლა მომიწევს დედამისთანო. მიაღწიეთ რამეს?

— მივაღწიე. შოთიკო, ძირითადად, ჩემთან არის.

— როგორ მოახერხეთ ეს?

— სანამ ნატუკა ცოცხალი იყო, მერი შვილებთან ურთიერთობას მიკრძალავდა, დედაჩემიც ახლოს არ გაიკარა. ნატოს სიკვდილის შემდეგ გავნადგურდი. დრო რომ გავიდა, შოთიკოზე დავიწყე ნერვიულობა და როგორც კი მერისთან მივედი და ვუთხარი, ბიჭი კვირაში ორჯერ, ზაფხულობით კი — მთელი ერთი თვე ჩემთან იქნება-მეთქი, ველარ შემეწინააღმდეგა. ისიც მოტყდა გოგონას დაკარგვის მერე. ბავშვს თავიდან, ორი დღით უშვებდა, შაბათ-კვირას, მერე ზაფხულშიც გამოუშვა... მე პატარა ბიზნესი ავაწყვე, პოლიციას საბოლოოდ შევეშვი. მერე, თვითონ ბავშვმა მთხოვა, ბებია ლოგინად არის ჩავარდნილი, დედა უვლის, მე კი შენთან მირჩევნიაო. მას დედამისისთვის უთქვამს, მამასთან უნდა წავიდეო და მანაც აღარ დაუშალა. ფაქტია, ნატოს სიკვდილმა მერის ბევრ რამეზე აუხილა თვალი და დათმობა ამჯობინა. ნატო რომ მახსენდება, გული ტკივილით მეკუმშება, ნუთუ, ამ ბავშვის სიკვდილი იყო საჭირო, რომ დედამისს ცოტა მეტი ადამიანურობა გამოეჩინა? ●



მკითხველის წერილები

## „მე ოჯახი მყავს, მას – არა“

„ვეხმაურები წერილს „ბედისწერაა ჩვენი სიყვარული, მარი“ (ქვერუბრიკით „წერილი გულის სწორს“). ის ბარიერი, რაც ამ წყვილს წინ გადაეღობა, მეც შემხვდა. ძალიან მიყვარდა ერთი თბილისელი გოგო (მე რაიონიდან გახლავართ). თანახმა იყო, რომ სადაც უნდა ვყოფილიყავი, სოფელში თუ ქალაქში, ჩემ გვერდით ეცხოვრა. დედამისმა ჩვენი სიყვარულის შესახებ რომ გაიგო, ერთი ამბავი ატეხა, იმდენი ქნა, გოგომაც უკან დაიხია, მეც ყელში ამომივიდა ამდენი ორომტრიალი და დავშორდი, თუმცა ვაღიარებ, ძალიან გამიჭირდა... გავიდა დრო, ცოლი შევირთე, თბილისში საქმე გამომიჩნდა და აქეთ გადმოვინაცვლე. ახლა თბილისში ვცხოვრობ, ოჯახიც მყავს, ის გოგო კი გაუთხოვარია. დედამისი რომ არ ჩარეულიყო ჩვენს ურთიერთობაში, დღეს ბედნიერი ოჯახი გვექნებოდა. ზოგჯერ, მშობლები ძალიან ბევრს აშავებენ, ამას კი გვიან აცნობიერებენ.

პატივისცემით, თაზო“.

## „საქვეყნოდ ვუხდი ბოდიშს“

„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში დაბეჭდილი იყო რუსთავში მცხოვრები, აფხაზეთიდან დევნილი ქალის ამბავი. მართალი გითხრათ, ძალიან დამენანა მრავალჭირგამოვლილი ქალი, რომელიც დღესაც სასოწარკვეთილია. იგი ღირსეული ადამიანი ყოფილა, რომელმაც ზურგი არ შეაქცია დაინვალიდებულ შეყვარებულს და ცოლად გაჰყვა. მე კი, ჩემს საქმროზე უარი ვთქვი. ამ უარით მთელი ცხოვრება გავიმწარე და სანანებლად გავიხადე, რადგან ფეხმოკვეთილ რეზოსთან მისმა ცოლმა მშვენიერი ოჯახი შექმნა, მე კი, საღ-სალამათ კაცთან ვერა და ვერ ავაწყვე ურთიერთობა და დავშორდი. რა თქმა უნდა, რეზოს უარყოფით დავისაჯე და ბედმა იმ კაცს შემახვედრა, რომელთანაც სიცოცხლე სატანჯველად მექცა. გული მტკიოდა, რომ ჩემი შვილის მამა ასეთი უხეში და ცივი იყო. ღირსებებით სავსე კაცი კი მივატოვე, მარტოობისთვის გავწირე. ხუთი წლის მერე მას კეთილშობილმა ადამიანმა გაუწია თანადგომა, ცოლადაც გაჰყვა და ორი შვილიც შეეძინათ. მეგობარმა მითხრა, რეზომ რომ გაიგო, შენი ოჯახის დანგრევის შესახებ, ძალიან განიცადაო. ძლივს შევიკავე ტირილი. მაგას მერჩივნა, ეთქვა: ღმერთმა გადაუხადა სამაგიეროო... ბევრი ასეც იტყოდა, ის კი წუხდა. გეფიცებით, ბევრჯერ გამჩენია სურვილი, მივსულიყავი და ბოდიში მომეხადა მისთვის. ვერც ერთხელ ვერ გავბედე, თქვენი რუბრიკის დახმარებით კი, საქვეყნოდ ვაცხადებ: რეზო, დამნაშავე ვარ შენთან და მაპატიე!

ელენე“

# „ყველას უბედურებამ ჩვენთვის მოიცალა?!"

„წარმოშობით შიდა ქართლის ერთ-ერთი სოფლიდან, ცერონისიდან გახლავართ; ადრე გავთხოვდი, თბილისელ ბიჭს გავყევი და საკმაოდ დიდი ხანია, რაც თბილისში ვცხოვრობ.

აგვისტოში, სიტუაცია რომ დაიძაბა, თბილისში რაღა გამაჩერებდა, მაშინვე სოფლისკენ ავიღე გეზი. ის-ის იყო დედას და ბიჭებს (ჩემს ძმისშვილებს) საჭირო ნივთები ჩავალაგებინე, რომ სროლის ხმაც გაისმა. და „ბეტეერიც" მოადგა ჩვენს ჭიშკარს. მომესმა ოსური ლაპარაკი. აშკარად ჩრდილო ოსეთის „ბოევიკები" იყვნენ, გამყინავი ხმით ჩხუბობდნენ ერთმანეთში. აქაურ ოსებს ასეთი კილოკავი არ აქვთ. ბიჭები მეზობლის თანატოლებთან ერთად ბაღის სიღრმისკენ გავუშვი. დედაჩემს სად შეეძლო სირბილი? ეს ორი ქალი სახლის სიახლოვეს ვიყავით და ვიმალებოდით. მერე ეტყობა, მე შემამჩნია და ერთ-ერთმა ოსმა ქართულად დამიძახა, დროზე წადი აქედანო. ყურს არ ვუჯერებდი, ნუთუ, მე მითხრა ეს? რაც იმ ღამეს ვნახე, მტერსაც არ ვუსურვებ მსგავსს. მალე ცერონისი „ბეტეერებით" აივსო. ისინი ქართველთა სახლებს ესროდნენ. ჩვენ თვალწინ დაწვეს ჩვენი სახლიც. ინათა თუ არა, სოფლის ბოლოში გავედით. იქ გველოდებოდნენ ჩემი ძმისშვილები და დანარჩენი თანასოფლელები... 15 კილომეტრი ფეხით ვიარეთ, რომ სამშვიდობოს გამოგვეღწია. ორი თვის მერე, დედა ინფარქტით გარდამეცვალა.

„კვირის პალიტრაში" რომ წავიკითხე აფხაზეთიდან დევნილი ქალის ამბავი, გული დამეწვა. მან წლების წინ გამოიარა ის, რაც სამაჩაბლოში მცხოვრებმა ხალხმა — სულ ახლახან. კი, მაგრამ, ოდესმე ხომ უნდა ჰქონდეს ამ ყველაფერს დასასრული? მზია არსენაძე".



# „მაპატიე, თუ შეგიძლია!"

„ეს წერილი მისთვის არ მიმიწერია. ახლა ვწერ პირველად და მინდა, თქვენი საშუალებით საყვარელ ადამიანს მივმართო, 7 წლის შემდეგ მაინც ავუხსნა, რატომ წავედი მისგან.

ჩემო სალო! ვიცი, გაგეცინება სიტყვაზე „ჩემო", მაგრამ რაც ამქვეყნად საფიცარი მაქვს, ყველას გეფიცები, შენ მაინც ჩემად გიგულებ. ვიცი, გამკიცხავ, ალბათ, ღირსიც ვარ, მაგრამ მაშინ სხვაგვარად არ შემეძლო... ურეგვენესი კაცი ჰქვია ჩემნაირებს. კიდევ ბევრი ეპითეტის ღირსია კაცი, რომელიც საყვარელი ადამიანისთვის არ იბრძოლებს, არ დაიცავს თავის სიყვარულს, მაგრამ... ერთი ისეთი „მაგრამ" არსებობს, რომელიც ვერ გადავთელე. მე რომ მაშინ უკან არ დამეხია, პაატას სიკვდილის მომსწრე გავხდებოდი და ამას ვერ გადავიტანდი... პაატას გზა მივეცი, შენთან მოსასვლელი. მოვიდა კიდეც, მაგრამ შენ უარით გამოისტუმრე. მერე კი, მეც და პაატასაც სამაგიეროს იმით გადაგვიხადე, რომ ორიოდე თვეში გათხოვდი. პაატა წავიდა აქედან და მეც ავიკრიფე გუდანაბადი. ის ესპანეთშია ახლა, მე ვერ გავძელი ევროპის ყველაზე ლამაზ ქალაქში, სიყვარულის ქალაქს რომ ეძახიან და ხუთი წლის შემდეგ ჩამოვედი. ახლა აქ ვარ ამ გრძნობებით „გარემოცული". ასე მგონია, აქ სხვანაირად, უფრო თავისუფლად და ლაღად ვსუნთქავ. არა, მგონია კი არა, ასეცაა! გული კი მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ შენ არ იქნები ჩემ გვერდით, ნატოსთვის გითქვამს: გარდამავალი დროშასავით გადაულოცა ჩემი თავი თავის ბიძაშვილსო, ამას არასოდეს ვაპატიებო. ვიცი, რომ ვერ მაპატიებ, ამიტომაც ველარ მოვედი შენთან დიდი ხნის მერეც. ან რა აზრი ჰქონდა? შენ ორი შვილი გყავს, ბედნიერი ოჯახი, შენი სავალი გზაც. ჩემი სავალი სულ სხვაგანაა.

წარსულში გადავინაცვლებ და ერთ ეპიზოდს გავიხსენებ, რომლის შესახებაც შენ არაფერი იცი. ჩვენი სიყვარული უკვე ზენიტში იყო, როცა ეს ამბავი მოხდა... ბიჭებმა დავლიეთ, პაატა ლამის გაითიშა. მანქანა გაგასთან დავტოვეთ და ფეხით წამოვედით. იმ ღამეს პაატასთან ვაპირებდი დარჩენას. სწორედ, მაშინ გამომიტყდა ჩემი ბიძაშვილი — აქამდე ვერ გიმხელდი, პირველი დღიდანვე მიყვარს სალომე და მის გარეშე არაფრად მიღირს სიცოცხლეო. სახეზე მიტკლისფერი დაედო, ერთიანად კანკალებდა და მივხვდი, რაღაც საშინელებას ჩაიდენდა. მეორე დილით, გამოფხიზლებული თვალს ველარ მისწორებდა. მერე ძლივს ამოღერღა, თუ შეგიძლია, მაპატიე წუხანდელი ღამეო. ვაპატიე. გულწრფელად შემეცოდა. ის ხომ ძმასავით მყავდა. ერთად გავიზარდეთ. რა მისი ბრალია, რომ მასაც შეუყვარდი... სიმართლე გითხრა, გულის სიღრმეში იმედი მქონდა, რომ შენი პასუხი ჩემს სასარგებლოდ მოიტანდა შედეგს და პაატაც გააცნობიერებდა ყველაფერს. იმ პერიოდში არ შემეძლო თბილისში დარჩენა და სტამბოლში წავედი. ვიფიქრე, ცოტა ხანს გულს გადავაყოლებ, ხან ვიმუშავებ, ხან გავერთობი, ამასობაში კი ყველაფერი გაირკვევა და როცა თბილისში ჩავალ, წინ არავინ და არაფერი დამიდგება-მეთქი. პაატამ შემომითვალა, — ყველაფერი გარკვეულია, სალომემ ცივი უარი მტკიცა და აქედან მივდივარ.ო. გადავწყვიტე, აგვისტოს ბოლოს დავბრუნებულიყავი თბილისში. დავბრუნდი და „სიურპრიზიც" დამახვედრე... გათხოვილხარ...

სალო, კარგად ვიცი, ამ წერილზე არც მიპასუხებ; არც გთხოვ რაიმე პასუხს, ან თანადგომას. მე შენ მიყვარდი და ახლაც მიყვარხარ და ვერასოდეს დაგივიწყებ და კიდევ, თუ შეგიძლია, გულის კუნჭულში მაინც შემინდე... ვიცი, რომ კარგი მეუღლე და შვილები გყავს. ძალიან მიხარია და მინდა, მუდამ ბედნიერი იყო. გიო"

# უღირსი დედის დიდი საიდუმლო

*ქეთის ბუკიას ბაღში შევხვდი, მთხოვა, იქ მივსულიყავი. შეხვედრამდე რამდენჯერმე დამირეკა და მორიდებით ამიხსნა, რომ არ შეეძლო რედაქციაში თავის პირადულზე ელაპარაკა.*

*მე და ქეთი ერთ წყნარ კაფეში განვმარტოვდით.*

— ოთხი წელია, დიდ დარდს დავატარებ და რაც დრო გადის, მით მეტად მიჭირს ამ საიდუმლოს შენახვა. ჩემი მეგობარი მირჩევს, დანარჩენ ახლობლებს — მშობლებს, ძმებს, ნათესავებს, შეყვარებულის ოჯახს გავუმხილო, მაგრამ მეძნელება.



**— რა მოხდა ასეთი, რის გამხელასაც ვერ ბედავ ახლობლებთან?**

— დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი სოფლიდან ვარ. მშობლები ძალიან მშრომელი ადამიანები მყავს. სწავლის გაგრძელება მატერიალური გასაჭირის გამო ვერ მოვახერხე. ფოთში ორწლიანი საექთანო სასწავლებელი დავამთავრე, მაგრამ მუშაობა ვერსად დავიწყე. ერთხელ, მეზობლის ქალიშვილმა, ნინამ, რომელიც კარგა ხანია, თბილისში ცხოვრობდა, დედაჩემს უთხრა, გამაყოლე ქეთი თბილისში. იქ მაღაზია მაქვს და ქეთისაც გვერდით ამოვიყენებო. დედა სიამოვნებით დათანხმდა. მეც სიხარულით გავყევი... ზურა რომ გავიცანი, მაშინვე გავიფიქრე, რომ ჩემი ბედისწერა იყო. შეგვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ მან მაშინ მიღალატა და ზურგი შემაქცია, როცა ყველაზე მეტად მიჭირდა. ვუთხარი, ორსულად ვარ-მეთქი და ისე მეჩხუბა, თვითმკვლელობაც კი გადავწყვიტე. ჩემს მეზობელს, ნინას რომ გავუმჟღავნე ეს ამბავი, თავში წაიშინა ხელები, შენს მშობლებს და ძმებს როგორ ჩავხედო თვალებშიო. ნინა მარწმუნებდა, რახან ზურა უარზეა, არ გირჩევ ბავშვის გაჩენასო, მე კი არ შემეძლო, სიცოცხლე ჩამეკლა ჩემს სხეულში. ლამის დავუჩოქე ნინას, რომ ჩვენებისთვის არაფერი ეთქვა. დამპირდა. სანამ შესაძლებელი იყო, ჩავდიოდი სოფელში. მერე, შევწყვიტე სიარული. ნინა ჩემზე ამბობდა, დაიტვირთა საქმეებით და ველარ ახერხებს ჩამოსვლას. შემცვლელს რომ მივიღებთ, მერე ისევე ხშირად მოგინახულებთო. ვიცოდი, ჩემები ვერ მოახერხებდნენ თბილისში ჩამოსვლას. მოუთმენლად ველოდი მშობიარობის დღეს. ზურამ საბოლოოდ გაწყვიტა ჩემთან ურთიერთობა და ნათესავთან ერთად საბერძნეთში გაემგზავრა. გავაჩინე გოგო, მაგრამ იმდენად გამიჭირდა, ჩემი ნებით ბავშვთა სახლს მივაბარე. არ მიმიტოვებია, კვირაში ერთხელ მივდივარ და ვნახულობ. ახლა ის უკვე 3 წლისაა. ძალიან მიჭირს ბავშვის გარეშე, არადა, ჩემთან რომ წამოვიყვანო, ვერ მოვახერხებ შინ ჯდომას და მის მოვლას. რომ არ ვიმუშაო, ვერც ჩემებს მივეხმარები სოფელში და ვერც ბავშვს...

**— პატარას რაღაში ეხმარები, ის ხომ ბავშვთა სახლში გყავს მიბარებული?**

— მისთვის საჩუქრებს ვყიდულობ, ტანსაცმელს, ხილს. რაც მთავარია, ფულს ვაგროვებ, რომ ბინა ვიგირავო და ჩემს პატარასთან ერთად ვიცხოვრო, მაგრამ წინდაწინ ვიცი, დიდი ბარიერის გადალახვა მომიწევს.

**— ალბათ, იმიტომ, რომ მშობლებმა არ იციან მისი არსებობის შესახებ, არა?**

— დიახ, სწორედ მაგიტომ. როდემდე შევინახო ეს საიდუმლო? მამამისის მშობლებმაც არ იციან მისი არსებობა. თავის დროზე ზურასაც დავპირდი და საკუთარ თავსაც აღვუთქვი, რომ არასოდეს შევაწუხებდი მას ან მის ოჯახს ჩვენი არსებობით. ამ პირობას დღემდე ვასრულებ. საბერძნეთიდან ორჯერ შემეხმიანა. პირველად ვუთხარი, რომ კატეგორიულად ვუკრძალავდი ჩემთან დარეკვას, მეორედ სიტყვის თქმაც არ მაცალა, პატიება მთხოვა. იმის მერე აღარ დაურეკავს. ვიცი, არ ვარ ისეთი დედა, როგორიც ჩემს პატარას ეკუთვნის და ეკადრება, მაგრამ მოვა დრო, მას ყველაფერს ავუხსნი და იმედია, გამიგებს.

**— გასაგებია, რომ გიჭირს, ფულსაც აგროვებ, რომ მალე ერთად იყოთ, მაგრამ არ გეშინია, მომავალში შვილმა გისაყვედუროს, მე ყველაზე მეტად შენთან ყოფნა მინდოდაო? ხომ არ სჯობს, ბავშვი მშობლებს წაუყვანო და სანამ ბინის დაგირავებას შეძლებ, მათთან იყოს?**

— ამაზე მეც ბევრჯერ მიფიქრია, მაგრამ ძალიან მეშინია, რომ შეცდომას არ მაპატიებენ. მახსოვს, მაშინ 13 წლის ვიყავი, ჩვენს სოფელში გოგონა შეცდა, დაორსულდა და ხალხის რისხვის რომ შეეშინდა, მდინარეში დაიხრჩო თავი. მაშინ მამაჩემმა თქვა: სწორად მოიქცა, რადგან არ იყო საცოცხლებელი. ჩემს შვილს მსგავსი რამ რომ მოუვიდეს, ჩემი ხელით მოვკლავო. აი, ასე ფიქრობენ, მამა, დედა, ძმები და სოფელში მცხოვრებნი...

**— შიშის მიუხედავად, მაინც გირჩევ, გარისკო და შენს ახლობლებს სიმართლე გაუმხილო. მჯერა, რომ გაპატიებენ და გვერდში ამოგიდგებიან.**

— მეც ამ იმედს ვებღაუჭები და თქვენთან მოსვლაც ამიტომ გავბედე. ჩემი ახლანდელი გულახდილობა შესავალია იმ დიდი საიდუმლოსი, რომელსაც კარგა ხანს ვერ ვამხელდი და რომლის გამჟღავნებასაც ძალიან მალე ვაპირებ.

**ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ**
**ტელ: 899.27.25.61**
**ან ელფოსტით** babunamarina@yahoo.com

გამოხმაურება

# „სამწუხაროდ, 2 საყვარელ ადამიანს შორის არჩევანის გაკეთება მოგიწევს“

**„გზის“ №25-ში დაიბეჭდა ნინის მესიჯი. ის გვწერდა, რომ 4 წელი მამიდაშვილ ბიჭთან, ბექასთან ერთად ცხოვრობდა, რომელსაც გული აწუხებს. „ძალიან ცუდადაა და ჩემ გარდა მომვლელი არავინ ჰყავს, მხოლოდ მე მიჯერებს. თუ მის გვერდით არ ვარ, არც ექიმის მიერ დანიშნულ წამლებს სვამს“, — გვწერდა ნინი. გოგონამ ნიკა იმ პერიოდში გაიცნო, როცა მამიდაშვილთან ცხოვრობდა და მალე, მათ ერთმანეთი შეუყვარდათ. ბექას სასიძოსთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა მანამ, ვიდრე ის ნინის ცოლად მოიყვანდა. „მას შემდეგ, რას საცხოვრებლად ნიკას სახლში გადავედი, ბექა ხმას აღარ მცემს და ნიკაც არ მიშვებს მასთან. „გზას“ ორივე კითხულობს და მინდა, თქვენი მეშვეობით მათ მივმართო: თუ ასე გააგრძელებთ, ორივეს მიგატოვებთ და ჩემს ძმასთან წავალ!. ჩემთვის ორივე ძვირფასია და უაზრო კინკლაობით გულს ძალიან მტკენენ“.**



## „თუ მისი ბედნიერება გსურთ, შერიგდით!..“

ლიკა ქაჯაია

**ნიცა:**

„ბექას ახლა სჭირდები, შენ კი მიატოვე. ალბათ, რაიმე რომ დაემართოს, ამას საკუთარ თავს ვერასდროს აპატიებ. შეეცადე, ნიკს ამ თემაზე კიდევ ერთხელ დაელაპარაკო და შენი მდგომარეობა აუხსნა... აბა, როგორ შეიძლება, ქმარმა მამიდაშვილთან წასვლა აგიკრძალოს?!“

**გრუშინკა:**

„ქმარს უეჭველად, სერიოზულად უნდა დაელაპარაკო და თუ ბექა მხოლოდ შენ გიჯერებს, მას ყურადღება არ უნდა მოაკლო. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ მისი სიცოცხლის გადასარჩენადაა საჭირო. ნინი, ორივეს მკაცრად მოექეცი. იცოდე, ბიჭები მაგარი მესაკუთრეები არიან და ყველაფერზე უმიზეზოდ ეჭვიანობენ. ძალიან კარგია, „გზას“ და მის მკითხველებს რჩევა რომ სთხოვე. წარმატებები! მიყვარხარ“.

**ირმა 91:**

„მამიდაშვილიც კარგია და ნათესავებიც, მაგრამ ოჯახი მეტად მნიშვნელოვანია. ნუთუ, ბექას სხვა ნათესავი არავინ ჰყავს?.. ეჰ, ძნელია, როცა გაუგებრობას ოჯახები ეწირება. აბა, შენ იცი, დრო თანაბრად გადაანაწილე და ყურადღება არც ერთს არ მოაკლო. გკოცნი“.

**ლუნა:**

„მაქვს პატივი, ნინის და მის მამიდაშვილს ვიცნობდე ): თავად ბექასგან ვიცი, რომ გული მართლა ძალიან აწუხებს და სამწუხაროდ, ნინიმაც მაშინ მიატოვა, როდესაც ყველაზე მეტად უჭირდა — ეს მისი სიტყვებია და ამაში მეც ვეთანხმები. ნინი, შენ შეგეძლო, მასთან დარჩენილიყავი, გათხოვებას კი ყოველთვის მოასწრებდი. არ მინდა, თქვენს ოჯახურ საქმეში ჩავერიო, მაგრამ ჩემი აზრით, ნიკა ცუდად იქცევა, მამიდაშვილთან რომ არ გიშვებს. მე მხოლოდ ერთს გეტყვი: ბექას შენი თანადგომა ძალიან სჭირდება. ლამაზ ცხოვრებას გისურვებთ!“

**სვანის ასული:**

„რას ჰქვია, მამიდაშვილთან არ გიშვებს? თუ ამის უკან რაიმე სერიოზული მიზეზი არ იმალება და იმ ბიჭთან ერთად მშვიდად ცხოვრობდი, მაპატიე, მაგრამ შენი მეუღლე პათოლოგი და შეუგნებელი ყოფილა. ბოლოს და ბოლოს, სულ მასთან ხომ არ ინებივრებ?.. ზოგიერთ ადამიანს უცხო კაცის შებრალება შეუძლია, შენ კი თუ ნათესავს სამადლოდ მოინახულებ, ამით არაფერი დაშავდება. პირიქით, ნიკა თავად უნდა აქტიურობდეს, მისი ბედი უნდა ანაღვლებდეს. დავიჯეროთ, ბექას რაიმე რომ დაემართოს, მერე სინდისი არ შეაწუხებს? მაოცებთ, რა...“

**ლი ჰარვი ოსვალდი:**

„თუკი არ შეგიძლია, რომ მამიდაშვილი და ქმარი თავადვე მოარჯულო, ჯობია, ამ საქმეში დახმარება ძმას სთხოვო. ღმერთი იყოს შენი შემწე“.

**მომთმენი დედა:**

„ჩემო კარგო, ყველას თავისი ცხოვრება აქვს. შენ გათხოვდი, უკვე ქმარი გყავს და ბექა ამას უნდა შეეგუოს. აბა, როდემდე უნდა ყოფილიყავი მამიდაშვილის ძიძა? მას აუხსენი, რომ უკვე ოჯახი გაქვს, რომ ახლა ვალდებული ხარ, მეუღლის ცხოვრების წესს აუწყო ფეხი. ვფიქრობ, ნიკა სწორად იქცევა, მის ახირებებს რომ აპროტესტებს“.

**კრისტი:**

„მგონი, შენი მამიდაშვილი ეჭვიანობს. ისე, მისიც მესმის. ალბათ, შეგეჩვია და არ უნდოდა, მოშორებით გეცხოვრა, მაგრამ სულ მასთანაც ვერ დარჩებოდი. ბოლოს და ბოლოს, საკუთარი თავისთვის, ცხოვრებისთვისაც ხომ უნდა მიგეხედა?.. შეეცადე, დაელაპარაკო და მისი გული მოიგო“.

**თაისი:**

„ალბათ, ბექა და ნიკა ეგოისტები არიან, მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ. არ გეწყინოს, მაგრამ შენი ქმარი, ამ ყველაფერთან ერთად, ეჭვიანიცაა. არა მგონია, მას ისეთი ნათესავი გოგონა ჰყავდეს, რომელთანაც ძალიან თბილი ურთიერთობა აქვს. ჰოდა, შენი და ბექას სიყვარული ამიტომაცაა მისთვის გაუგებარი. ისე, ბექაც დამნაშავეა. მას უნდა სცოდნოდა, რომ გათხოვილი გოგო ყოველთვის მასთან ვერ იქნება და რომ ეს დღე ოდესმე მაინც დადგებოდა“.

**შოკოლადა:**

„ჩემო კარგო, თუკი მათ აქამდე კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, ახლა რატომღა იქცევიან ასე? ორივეს დაელაპარაკე და აიძულე, მოგისმინონ. დამიჯერე, მალე ყველაფერი კარგად იქნება... რადგანაც „გზას“ ორივე კითხულობს, მინდა, მათ მივმართო: არავის აქვს უფლება, ადამიანი ასეთი არჩევანის წინაშე დააყენოს! უნდა გესმოდეთ, რომ ნინის ორივე ძალიან უყვარხართ და თქვენი საქციელით გულს სტკენთ. თუ მისი ბედნიერება გსურთ, შერიგდით! წარმატებები!“

**იკუშკები:**

„საყვარელო, ჯერ მეუღლეს დაელაპარაკე და სთხოვე, აგიხსნას, რა კონკრეტული და საფუძვლიანი

მიზეზის გამო არ გიშვებს მამიდაშვილთან? შემდეგ ბექასთან უნდა მიხვიდე და მასაც იგივე ჰკითხო. მან ისიც უნდა აგიხსნას, თუ რატომ გაგებუტა. იცოდე, ამ დროს შეუვალი, მკაცრი უნდა იყო... ახლა კი, რადგანაც „გზას" ორივე კითხულობს, თუ არ გეწყინება, რჩევით და მოწოდებით მათაც მივმართავ: ბექა, დავიჯერო, არ გრცხვენია, საკუთარი ბიძაშვილის ბედნიერებას და სიხარულს რომ არ იზიარებ? განა, ისეთი რა მიზეზი გაქვს, საყვარელი, მზრუნველი ადამიანის დაკარგვა რომ განიზრახე? თუ რაიმე სერიოზულია, ნინისთან უნდა მიხვიდე და ამის თაობაზე დაელაპარაკო. შენს ადგილას რომ ვიყო, საკუთარი საქციელის ძალიან შემრცხვებოდა... ნიკა, შენ ძალიან ეჭვიანი ყოფილხარ. ამაზე საშინელი ავადმყოფობა კი მერწმუნე, ამქვეყნად არაფერია და ის არც იკურნება. საყვარელ ქალს ასე უკანონოდ რატომ ექცევი? ნუთუ გინდა, რომ დესპოტი, მკაცრი ქმარი იყო? თუ რაიმე არ მოგწონს, ნინის შენც გულახდილად უნდა დაელაპარაკო. მგონი, ის ამას იმსახურებს. ბოლოს და ბოლოს, ბექა მისი ყოფილი ძმაკაცი ან „ლოვე" ხომ არ არის? ნათესავია და ამიტომაც, შენი ეჭვიანობა სრულიად უსაფუძვლოა. ვფიქრობ, ნინის წინაშე არც ერთი ხართ მართალი და არც — მეორე. თუ შეიძლება, საკუთარ საქციელზე თავადვე დაფიქრდით".

**მწარე:**

„ნინი, ორივეს უყვარხარ და ორივეს უნდა, რომ მასთან იყო. ისინი ეგოისტობენ, ერთმანეთს ეჯიბრებიან და ვერ ხვდებიან, თუ რამხელა ტკივილს გაყენებენ. ისე, ბექამაც თქვენთან ერთად რომ იცხოვროს, არ შეიძლება? ანდა, ორივეს დაელაპარაკე და თუ ამის შემდეგაც ვერაფერს გააწყობ, მაშინ სამწუხაროდ, 2 საყვარელ ადამიანს შორის არჩევანის გაკეთება მოგიწევს..."

# „შენი სატრფოს ოჯახს დიპლომიან სარძლოზე აქვს პრეტენზია"



**„გზის" №25-ში დაიბეჭდა ლელას მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ მალე გათხოვებას აპირებს. „მომავალი მეუღლის ოჯახში ყველას უმაღლესი განათლება აქვს, ზოგი ბაკალავრია, ზოგი — მაგისტრი, მე კი კოლეჯის დიპლომიც ვერ ავიღე, თანხის გადაუხდელობის გამო. რა ვუთხრა დედამთილს, რომელსაც ჰგონია, რომ კოლეჯში ვსწავლობ?.." — შემოგვჩივლა გოგონამ, რომელიც უდიპლომობას მართლაც, ძალიან განიცდის.**

## „სად დიპლომი და სად — დიდი სიყვარული?!"

**იკუშკები:**

„მგონი, აჯობებს, საქმროს დაელაპარაკო, მერე კი შეეცადეთ, ერთად მოაგვაროთ ეს პრობლემა. ისეთი რა თანხაა, რომ ერთობლივი ძალებითაც ვერ გასწვდებით? ისე, თუ დიპლომის აღებას ვერ მოახერხებ, ყველაფერს სიმართლის თქმა აჯობებს. როგორც ვატყობ, შენი სატრფოს ოჯახს დიპლომიან სარძლოზე აქვს პრეტენზია და მერწმუნე, ტყუილი თქვენს მომავალ ოჯახურ ურთიერთობას არ წაადგება. თუ შენი საქმროს ოჯახის წევრები შეგნებული ხალხია, გაგიგებენ და დაგეხმარებიან კიდეც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისეთ ადამიანებთან ურთიერთობა, რომლებიც ერთი ფარატინა ქაღალდის უქონლობას წამდაუწუმ წამოგაძახებენ, არ ღირს. წარმატებებს გისურვებ!"

**შოკოლადა:**

„ცუდია, თავს ასე რომ იტანჯავ. საერთოდ, ყველას უნდა, განათლებული ახლობელი ჰყავდეს, მაგრამ მხოლოდ ამის გამო ადამიანის ათვალწუნებაც არ შეიძლება. რადგანაც სწავლა უკვე დაამთავრე, დახმარება მეგობრებს სთხოვე და დიპლომი აიღე, თუ არადა, შეყვარებულს მაინც დაელაპარაკე. ჩემი აზრით, მას და მისი ოჯახის წევრებს, პირველ რიგში, შენი პიროვნება უნდა აინტერესებდეთ. მთავარი ისაა, ადამიანს სინამდვილეში რა უდევს თავში, თორემ ნაყიდი დიპლომითაც ბევრი კუდაბზიკობს".

**მარი,** *სტომატოლოგი:*

„არა უშავს, ლელა :)). მერწმუნე, საქმროს დედა აუცილებლად გაგიგებს. მთავარია, მას გულწრფელად უყვარდე და ამ ზაფხულს მართლა გათხოვდე".

**მწარე:**

„საყვარელო, შენმა საქმრომ ხომ იცის, რომ დიპლომი არ გაქვს? ჰოდა, თუ უდიპლომოც მოსწონხარ, ე.ი. ყველაფერი რიგზეა და სანერვიულოც არაფერი გაქვს. ბედნიერებას გისურვებ, ახალ ოჯახში".

**ლი ჰარვი ოსვალდი:**

„იქნებ, საქმროს ოჯახის წევრებისთვის თავის მოსაწონებლად დიპლომი სულაც არაა საჭირო და აუცილებელი? ჩემი აზრით, მთავარია, კარგი ადამიანი იყო, თორემ დიპლომის ქონა ბევრს არაფერს წყვეტს. წარმატებებს გისურვებ!"

**მომთმენი დედა:**

„არ ხარ ვალდებული, ქმრის მშობლებს ანგარიში ჩააბარო. რადგანაც ყველას უმაღლესი განათლება და დიპლომი აქვს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათთან შედარებით უვიცი გამოჩნდები. არაფერზე იდარდო. სად დიპლომი და სად — დიდი სიყვარული?! მთავარია, შენი მეუღლე გიყვარდეს და მასთან ერთად, ბედნიერად იცხოვრო".

**სვანის ასული:**

„მაპატიე, მაგრამ ადრე თუ გვიან, სიმართლის გამხელა მოგიწევს, ფაქტის წინაშე დადგები და თუ შეგნებული ხალხია, გაგიგებენ, თუ არადა, დიდ ხათაბალაში ჰყოფ თავს (შეიძლება, მათ ოჯახში შესვლა სანანებელი გაგიხდეს). ისე, ტვინი არც მაგისტრანტებს უსკდებათ. ეცადე, საქმროს მშობლებზე, ნათესავებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინო და დიასახლისის პროფესიით დაკმაყოფილდე".

**ლუნა:**

„დაიკო, დედამთილს ვინ ეკითხება, დიპლომი გაქვს თუ არა? ბოლოს და ბოლოს, ცოლად მას ხომ არ მიჰყვები? შენს საქმროს ისეთიც უყვარხარ, როგორიც ხარ და რადგან შენი ცოლად შერთვა გადაწყვიტა, სადარდებელიც არაფერი გქონია. საქმროს დაელაპარაკე და უთხარი, რისიც გეშინია. მერე რა, რომ დიპლომი არ გაქვს? — მათ ოჯახში ამაყად უნდა შეხვიდე და საკუთარი ადამიანობით ყველას სიყვარული დაიმსახურო. ლამაზი ოჯახის შექმნას გისურვებ!“

**გრუშინკა:**

„ამაზე მეტი სადარდებელი არ მოგცეს ღმერთმა. ნურაფერს განიცდი და გწამდეს, ადრე თუ გვიან, შენს დედამთილს ვარდენას სიძესავით შერჩები :)). და კიდევ, გაითვალისწინე, ბევრი უდიპლომო სჯობია დიპლომით თავმომწონე ადამიანებს“.

**ნიცა:**

„ამას ასე ნუ განიცდი. უბრალოდ, მათ სიმართლე უნდა უთხრა. რა იცი, იქნებ, ქმარმა გამოგიტანოს ეგ შენი დიპლომი“.

**ირმა 91:**

„ხომ გაგიგონია, — ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო. არ აჩქარდე, კარგად დაფიქრდი და თუ მათთვის შენი დიპლომი ასე მნიშვნელოვანია, სიმართლე უნდა თქვა. შეეცადე, ყველას დაანახვო, რომ ბევრ დიპლომიანს სჯობიხარ და რომ ეს საკითხი ნაკლებად გაღელვებს“.

## „თავს არ მანებებს და მემუქრება, უნდა, ქმარს გამაშოროს...“



**შაკოკო:**

„გამარჯობა. ახლა თქვენი რჩევა ძალიან მჭირდება. მე და თემური კლასელები ვიყავით. მე-11 კლასში სიყვარულში გამომიტყდა. ერთხელ, როცა მარტონი დავრჩით, ადგა და ძალით მაკოცა. ხელი ვკარი, თავიდან მოვიცილე. მას შემდეგ კუდში დამდევდა, თავს მაბეზრებდა, მაგრამ სხვა მიყვარდა და ამიტომაც, ყოველთვის უარით ვისტუმრებდი... უნივერსიტეტში გამოცდები ჩავაბარე და გავთხოვდი, ცოტა ხანში თემურიც დაქორწინდა. ახლა 2 თვის გოგონა მყავს, მას — 6 თვის ბიჭი. მიუხედავად ყველაფრისა, თავს არ მანებებს და მემუქრება. უნდა, ჩემზე შური იძიოს, ქმარს გამაშოროს. მეუბნება, — შენს მეუღლეს ვეტყვი, რომ ნებით მკოცნიდი და არა — ძალით. იმდენს მოვახერხებ, რომ მას დაგაშორებ და ბოლოს, მაინც ჩემი გახდებიო. ამ ყველაფერს ქმარს ვერ ვუმხელ, რადგან მეშინია, ჩემზე უარი არ თქვას ან თუ დამიჯერებს, ვიცი, მას მოკლავს და არ მინდა, ვიღაცის უაზრო ახირების გამო ცხოვრება დაუმახინჯდეს. თუმცა, მეც დავიღალე ამ ყველაფრით და შიშმა გამანადგურა. მირჩიეთ, როგორ დავაღწიო თავი ამ ჯოჯოხეთს ისე, რომ საკუთარ ოჯახს არაფერი ვავნო? მერწმუნეთ, თქვენს რჩევას აუცილებლად გავითვალისწინებ“.

## „ვიცი, ვერაფერს მივაღწევ, რადგან იმედები გამიცრუვდა“

**მორანი,** *20 წლის:*

„სალამი, ლიკა. ხომ ხედავ, ისევ გწერ მესიჯს და ეგ უკვე მესამედ ხდება. ცხოვრების რაღაც ეტაპზე, ყველა ადამიანს უჭირს, ზოგჯერ კი ყველაზე ძლიერებსაც უნდათ, ცრემლები აღარ დამალონ. შეუძლებელია, დავკონკრეტდე და ისე გითხრათ, თუ რა მაწუხებს. უბრალოდ, მივხვდი, რომ ცხოვრება ერთი დიდი პრობლემა ყოფილა. ირგვლივ ყველაფერი უინტერესოა და ადამიანები მხოლოდ ფორმალურად არსებობენ. ჩემი ერთი ჩვეულებრივი დღე მარტოობით იწყება და მთავრდება. მინდა, ყველას დავეხმარო, მაგრამ ამის ძალა არ მაქვს. მეც არავინ მეხმარება, დედაჩემის გარდა... ჩემი პრობლემა ისაა, რომ ადამიანებს ადვილად ვუგებ და როცა შემიძლია, ვეხმარები კიდეც, მაგრამ შემდეგ მნიშვნელოვანი არაფერი ხდება. მე თითქოს, მათთვის ყველაფერი და ამავდროულად, არაფერი ვარ. იმასაც გეტყვით, რომ ზოგჯერ, ვერ ვიტან ადამიანებს, რომლებიც ირგვლივ ტრიალებენ. ისინი თითქოს, ერთნაირები არიან. ჰო, სიყალბეც ძალიან მთრგუნავს. მაინტერესებს, ამქვეყნად არსებობს თუ არა ისეთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია, ვიღაცას ყურადღება მიაქციოს, მისი ტკივილით მართლა დაინტერესდეს და არა — ფორმალურად (ვერ ვიტან ამ ფორმალობას და რა ვქნა?!)? თქვენთან, „გზაში“ არიან კეთილი ადამიანები, მაგრამ მხოლოდ იმას ხედავენ, რისი დანახვაც უნდათ. არავის აქვს სურვილი, სულში ჩაგხედოს, რადგან ეზარებათ. აღარც მახსოვს, ბოლოს როდის გავიჩინე მეგობარი ან ვიღაცას გულახდილად როდის ველაპარაკე. მარტოობამ დამღალა. სიმართლე გითხრა, ზოგჯერ საკუთარი ასაკიც კი მავიწყდება... ეჰ, ალბათ, გაგიჭირდებათ იმის გაგება, ახლა რას ვგრძნობ. თუმცა, ეს ჩემი ბრალიცაა, მე ხომ ისიც არ ვიცი, ადამიანებს რა უნდა ვთხოვო. ნუთუ, არ შეიძლება, თითოეული ჩვენგანი უფრო კეთილი, ყურადღებიანი იყოს? ეჰ, ცხოვრებაზე უკეთესი წარმოდგენა მქონდა. ვმეცადინეობ, მიზნებიც მაქვს, მაგრამ ვიცი, ვერაფერს მივაღწევ, რადგან იმედები გამიცრუვდა. რა ვიცი, იქნებ, ცხოვრება უკეთესია, ვიდრე მე მგონია? ღმერთმა ქნას!.. მე მჯერა, რომ „გზა“ დამეხმარება!“

***P.S. მაშ ასე, თუ შაკოკოსა და მორანის წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.***




რომანი

# შეხვედრა

— მარი ხაზარიძე

ნუთუ ის მასთან მიემგზავრება? თავადაც არ სჯეროდა! უკვე 10 წელია გასული და ამ დროის განმავლობაში ხომ ბევრი რამ შეიცვლებოდა. აღარაფერს ვამბობ თავად ადამიანში მომხდარ ცვლილებებზე. ცოტა ეშინოდა კიდეც. თავში უამრავი კითხვა იბადებოდა, რომლებზეც პასუხი არ ჰქონდა. უფრო სწორად, პასუხის გაცემა მხოლოდ შეხვედრას შეეძლო, თუ, რა თქმა უნდა, ის შედგებოდა.

როდესაც ერთმანეთს დაშორდნენ, მამაკაცი სწორედ ამ მისამართიდან გზავნიდა წერილებს. ქალი რა თქმა უნდა, არ პასუხობდა. რა უნდა მიეწერა? თავისი მშვიდი, ოჯახური ცხოვრების შესახებ, რომელიც დიდი ხნით ადრე ჰქონდა დაგეგმილი? თუ იმის შესახებ, რამდენი სიახლე ნახა უცხოეთში? ემიგრაციის შესახებ მოყოლა ძნელია. ემიგრაცია თავად უნდა გამოსცადო. დასავლური ცხოვრება ყველაფერს ცვლის — ჩაცმის სტილს, საუბრისა და ფიქრის მანერას... დასავლურმა ცხოვრებამ ქალიც შეცვალა...

ემოციური, მხიარული და მიმნდობი გოგონა თავდაჯერებულ, საქმიან, პრაქტიკულ ლედიდ აქცია. კარგია ეს თუ ცუდი? ცხოვრებაში ყველაფერი ფარდობითია. ემოციებმა მეორე პლანზე გადაინაცვლა. მხოლოდ სადღაც, სულის სიღრმეში რჩებოდა ძველ გოგონად. რა მოხდა მამაკაცის ცხოვრებაში? როგორ შეცვალა წლებმა? ისინი არც ისე ახალგაზრდები, უკვე 40 წლისები იყვნენ. რაც უფრო ხშირად უკვირდები ცხოვრების აზრს, მით ცუდად გძინავს ღამით. ამ დროს მნიშვნელობა არ აქვს, სად ცხოვრობ. მთავარია, თავს როგორ გრძნობ. ქალს წარსული გაახსენდა და ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა. ეს ხომ ძალიან დიდი ხნის წინ იყო, მაგრამ ახლა, როცა ამას იხსენებს, ტანზე თითქოს ჭიანჭველები დადიანო, ისე გრძნობს. არადა, ბედნიერება შესაძლებელი იყო, მაგრამ ყველაფერი ბედმა გადაწყვიტა.

გარკვეული პერიოდის განმავლობაში ძალიან განიცდიდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა მის წერილებს კითხულობდა. შემდეგ ცოტა დამშვიდდა, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული სიმშვიდე იყო, რადგან მთელი ამ წლების განმავლობაში იმედი ჰქონდა, რომ ოდესღაც ეს შეხვედრა შედგებოდა.

ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, მამაკაცმა თავისი ხელით ჩაუწერა ბლოკნოტში მისამართი, რომელზეც საყვარელი ქალის მიერ გაგზავნილ წერილს ვერა და ვერ ელირსა. სამაგიეროდ, ახლა, ამდენი წლის განშორების შემდეგ, სიურპრიზი ელოდა. უნდოდა თუ არა მისი ნახვა წინანდებურად, უყვარდა თუ არა მთელი ამ წლების განმავლობაში, ეს მხოლოდ ღმერთმა იცოდა.

მთავარია, რომ სულ ცოტა ხანში, ისინი ერთმანეთს შეხვდებიან.

ქალის გეგმაში სიყვარულის ძებნა, მისი ოჯახის დანგრევა და მის გვერდით ყოფნა არ შედიოდა, რადგან წლებმა გრძნობის სიმძაფრე წაშალა. მხოლოდ მისი ნახვა სურდა. გზაც კი არც ისე დამღლელი ეჩვენებოდა. უბრალოდ, გაიწელა თითქოს და აღარ სრულდებოდა. ის უცნობ ქალაქში მიემგზავრებოდა, რომელიც ასე ახლობლად ეჩვენებოდა. იქ ხომ „ის“ ცხოვრობდა.

ცდილობდა, ამ ქალაქში არაფრით ყოფილიყო გამორჩეული. თუმცა, იქნებ სწორედ ეს ნაცრისფერი მოკრძალება და მისი „ინგლისური აქცენტი“ იწვევდა ინტერესს? იყო დრო, როდესაც ინგლისურად ქართული აქცენტით ლაპარაკობდა. სწორედ ეს გამოსასვლელი ტანისამოსი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, ხმამაღალი ლაპარაკი ქუჩაში, აქა-იქ წამოწოლილი, მთვრალი ბომჟები, მოქუფრული, მოწყენილი სახეები წარმოადგენდა ქართულ სინამდვილეს. არა, ის არავის დასცინოდა და არც არავის აკრიტიკებდა, ღმერთმა დაიფაროს. მას ეს თავად აქვს „გავლილი“. უბრალოდ, ახლა ყველაფერს სხვა თვალით უყურებდა და აფასებდა. უბრალოდ, გული სტკიოდა იმის გამო, რომ მისი თანამემამულეების ცხოვრება ასე



ხელოვნური ინტელექტი ბუნებრივ სისულელესთან ვერ მოვა.

ულმლამოდ მიდიოდა.

შუადღე იყო. ცხელოდა და ძილი მოერია. გადაწყვიტა, დამამშვიდებელი აბი მიეღო. ამ დღეს 10 წელი ელოდა და ათასჯერ ჰქონდა გონებაში წარმოდგენილი შეხვედრის სხვადასხვა ვარიანტი. თუმცა, ყველაფერს რა თქმა უნდა, ვერ გათვლიდა. ყველანაირი სიტუაცია ჰქონდა წარმოდგენილი, მაგრამ იმან, რაც მოგვიანებით ნახა, შოკში ჩააგდო და მისი პარალიზება მოახდინა.

დიდხანს ცდილობდა, ტაქსის დაჭერას და ბოლოს, როდესაც იმედი გადაეწურა, სკამზე ჩამოჯდა. ამ დროს რამდენიმე მაწანწალა მიუახლოვდა. სიგარეტისა და სასმლის ფულს სთხოვდნენ. დასივებული, წითელი სახეები დაჟინებით აკვირდებოდნენ... უეცრად, ერთი მათგანი ძალიან ეცნო. ის ჩუმად იდგა და თვალებში უყურებდა. შემდეგ კი წყნარად წარმოთქვა: „ვიცოდი, რომ ოდესღაც აუცილებლად მომძებნიდი. დიდხანს ველოდი ამ დღეს“.

მამაკაცს თვალი ვერ მოწყვიტა. შემდეგ თვალები დახუჭა და მათი გახელის ძალიან შეეშინდა. შეეშინდა, ხელახლა დაენახა ცხოვრებისგან გაწამებული, ასეთი ახლობელი და საყვარელი სახე. ნუთუ ისაა? მისი საყვარელი მამაკაცი... ამ ღვთისგან მივიწყებულ ადამიანებს შორის, ამ დამპალი საზოგადოების ფსკერზე...

ძალიან ეტკინა მკერდში რაღაც. თვალებს არ უჯერებდა.

რა თქმა უნდა, ყველას გვინახავს მაწანწალები და გულიც შეგვტოკებია, მათი მდგომარეობის გამო, მაგრამ ასეთი ახლობელი ადამიანის ასეთ ყოფაში ხილვა იოლი არაა. ხმამაღლა ღრიალი მოუნდა. ყველაფერი შესძულდა: თავისი ქვეყანა, უცხოეთი, თავისი გამგზავრება და ჩამოსვლა, ეს შეხვედრა და საკუთარი თავიც კი. შემდეგ თავი ხელში აიყვანა და დამშვიდდა. მიუხედავად ყველაფრისა, მისი ჩახუტება და კოცნა მოუნდა. სურდა, სადმე წაეყვანა, სადაც ძალიან ბევრს ილაპარაკებდნენ. მაგრამ მამაკაცმა შორს დაიჭირა: „შემომხედე და შენს თავსაც შეხედე. ასე სად წამოვალ? მერე რა, რომ ფსკერზე დავეშვი? წესიერი ადამიანი ვარ. არ შემიძლია, შენი შერცხვენა. ესაა ყველაფერი, რაც მე დამრჩა. მშვიდობით“. მიბრუნდა და წასვლა დააპირა.

ქალმა ვერ მოითმინა: „რას ამბობ? მე ხომ ამხელა გზა გამოვიარე, შენთან შეხვედრაზე 10 წელი ვოცნებობდი. ბევრი რამ მაქვს შენთვის სათქმელი. შენ კი ასე აპირებ წასვლას?“

კაცი ჩუმად ატირდა. არ უნდოდა, ქალისთვის თავისი ტკივილი და ცრემლი დაენახვებინა. განა მას არ ჰქონდა სათქმელი? რა თქმა უნდა, ჰქონდა.



როგორ ცხოვრობდა ამ წლების მანძილზე, როგორ გამოასახლეს საკუთარი ბინიდან, როგორ სცემდნენ გონების დაკარგვამდე, რომ რაღაც ქაღალდებზე ხელი მოეწერა, როგორ ცხოვრობდა ტყეში და შიმშილობდა, როგორ ჭამდა ფოთლებს და საბნადაც ხმარობდა, მას კი წერილებს მაინც სწერდა და თავის სიყვარულზე უყვებოდა. მეტი რა დარჩენოდა? ცხოვრებამ თავისი ანგარიში წარუდგინა და ქალისთვის სიყვარულის გარდა არაფრის მიცემა არ შეეძლო. მშვენივრად ესმოდა თავისი ოცნებების უტოპიურობა — წასულიყო სადმე შორს და სახლი აეშენებინა, წამოეყვანა ის თავისი „კარგი“ ქმრისგან და ბედნიერება ეჩუქებინა. ერთადერთი, რაც მას ამშვიდებდა, ის იყო, რომ ქალმა იპოვა. ახლა კი მის წინ დგას ასეთი ლამაზი, წარმატებული, საყვარელი...

„თავი მოიწესრიგე და 8 საათზე შევხვდეთ, ფული კი იმისთვის გამოიყენე, რისთვისაც გაძლევ“, — მკაცრად უთხრა და ხელში ქაღალდის კუპიურები ჩაუკუჭა.

„მასწავლებელივით მექცევი, — ვერ გაიგებდი, სარკაზმით თქვა თუ წყენით მამაკაცმა, — აუცილებლად მოვალ“.

ქალს თავი სიზმარში ეგონა და ვერ გარკვეულიყო, ეს ზმანება იყო თუ სინამდვილე. გონება უნდა მოეკრიბა და გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო ამის შემდეგ.

ემოციებმა ტალღასავით გადაუარა. აღარც კი ახსოვდა, როგორ დაბრუნდა სასტუმროს ნომერში. მხოლოდ წყლის ჭავლმა მოიყვანა გონზე. შხაპის ქვეშ შვება იგრძნო. „ყველაფერს ძილი ჯობია. ძილში გაცილებით იოლად გავიწყდება ყველაფერი“, — ფიქრობდა ის და სწორედ ამ ფიქრებში ჩაეძინა. ქალს არ შეეძლო სცოდნოდა, რომ მამაკაცს ათწლიანი განშორების შემდეგ პირველად და უკანასკნელად ხედავდა. ვიდრე ეს არ იცოდა, მშვიდად ეძინა.

ის შეხვედრაზე არ მივა არც რვაზე, არც ცხრაზე და არც არასოდეს...

იმ იმედით, რომ მის შესახებ რამეს გაიგებდა, ქალი იმ ადგილზე დაბრუნდა, სადაც შეხვდა. თუმცა, თითქოს ჯიბრზე, წვიმა წამოვიდა და გარეთ არავინ ჩანდა. სასტუმროში დაბრუნებულს პორტიემ წერილი დაახვედრა. ქაღალდის პატარა ნაგლეჯზე მხოლოდ ერთი სიტყვა ეწერა: „მაპატიე“.

ტირილის ძალაც აღარ შესწევდა ქალს. მხოლოდ მაშინ, როდესაც კვლავ ევროპაში მიემგზავრებოდა, თვითმფრინავში გაიფიქრა: „ალბათ ღმერთმა უკეთ იცის, როგორ უნდა გადაწყვიტოს ადამიანთა ბედი“.

●

# კარი თუ მოიწყენს...

მარი ჯაფარიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №№22-25



**დათო:** ჰოო... ავადმყოფი ლოგინში უნდა...

**დათო:** ჩაგეხუტე და გკოცნი მტკივან ყელში. ავადა ვარ, ავადააა, მოდი სანახავადააა... უნდა წავიდე...

**კატო:** წადი... „სკატერტიუ დოროგააა“... კარგი დრო გაატარე... „ნახვედი და გაიხურე კარი? სხვასაცა აქვს შენისთანა თვალებიიიიიიი“... ისე, ამ ბოლო დროს ველარ ვიჯერე შენთან ლაპარაკით გული... მომაკლდი და მომენატრე... წამალივით გამოზომილად მყავხარ.

**დათო:** ახლა არ მოაყოლო — დაივიწყე, რაც შენთვის მიკოცნიაო.

**კატო:** არ მიკოცნია და... იმას კი ვერ დავივიწყებ, რომ შემპირდი, გაკოცებოოოო...

**დათო:** მეც ჩაგეხუტე... ორშაბათამდე...

**კატო:** კარგი, დროებით. კარგი დრო გაატარე...

**10 მაისი. 10:13**

**დათო:** ყოჩაღ შენ, დილის 5 საათამდე ინტერნეტში ყოფილხარ... აბა, სხვებს არ ვეკონტაქტებიო? ეტყობა შფოთავდი და არ დაგეძინა. ნეტავ რატომ?

**კატო:** ვააა, აქ ხარ? დილა მშვიდობის...

**დათო:** ჰო, 20 წუთი დრო მაქვს, შენთან სასიყვარულო დილის გასატარებლად.

**კატო:** მოოოოდი, პატარავ...

**დათო:** მერე დედაშენი რომ შემოვიდეს?

**კატო:** შემოვა და შენ აუხსენი ყველაფერი.

**დათო:** Кто не рискует, тот не пьёт шампанское.

**კატო:** ჰო, მაშ... „რისკ ბლაგოროდნოე დელოო“... საოცრად ნასიამოვნები დავრჩი გუშინ, შენთან ლაპარაკით. მთელი 2 საათი მობილურზე მელაპარაკე...

**დათო:** ნასვამი ვიყავი.

**კატო:** კი, კარგად ჭიკჭიკებდი... ახლა, ნასვამობას ნუ დააბრალებ, რაც მითხარი...

**დათო:** რაო?

**კატო:** რა — რაო... არ გახსოვს?

**დათო:** რომელი ერთი...

**კატო:** ჰოდა, მეც ყველაფერზე ვამბობ... უფრო შემიყვარდი, ისეთი საყვარელი იყავი... ისე საყვარლად ხითხითებდი... ისაო, ესაო, 18 წლის ბიჭივით ვგრძნობ თავსო, მიყვარხარო, შენთან მინდაო, უკვე შინ მივედი, ეზოში, მანქანაში ვზივარ, ვითომ გაზეთს ვკითხულობ და შენ გელაპარაკებიო... ეს ბოლო ყველაზე მეტად მომეწონა, ორიგინალურად ამიხსენი სიყვარული...

**დათო:** შენ კი არ მომიშვი აივანთან. უნდა ამომძვრალიყავი ყვავილებით და უარი მტკიცე.

**კატო:** კარგი ახლა... ჩათვალე, რომ ეგ უკვე გააკეთე...

**დათო:** როგორ ხარ?

**კატო:** ისე რა... თავი მტკივა... ხმა ისევ დავკარგე...

**დათო:** არ მაინტერესებს, კარგად უნდა გახდე.

**კატო:** ჰო, მაშ რას ვიზამ? მტრის ჯიბრზე...

**დათო:** კარგი, მივდივარ ჩემო სიყვარულო.

**11 მაისი. 10:38**

**დათო:** ისევ მოვედი შენთან...

**დათო:** აუუუუუ!

**კატო:** აქ ვააარ!

**დათო:** როგორ ხარ?

**კატო:** კარგად, შენ?

**დათო:** ეტყობა, შენ გადმომდე, რაღაც, გაცივებულივით ვარ.

**კატო:** გენაცვალე... ხედავ, ისე მიყვარხარ, რომ ტელეფონითაც კი დაგასნეულე... :)))

**დათო:** რა მიშველის ახლა?

**კატო:** „აბი გლუკოზა“...

**დათო:** შენ რა, ფსიქიატრი ხარ?

**კატო:** ჰო...

**დათო:** ჩემი თუ საერთოდ?

**კატო:** შენი არა... შენთვის ვნებათაღელვა და სიხარული ვარ...

**დათო:** ნუ დაიწყე ახლა ჩემი გაგიჟება.

**კატო:** ჩემი ბედიც ესაა... ვიცი, ერთ მშვენიერ დღეს, რომ მოგეფერები, მაშინაც ასეთ პასუხს მივიღებ... ჰო, დავიწყე ქალური წუწუნი... რაზე ფიქრობს ნეტავ, ჩემი სიხარული?

**დათო:** შენზე. რა გეგმები გაქვს?

**კატო:** და რას ფიქრობს ჩემზე ჩემი ოცნების მამაკაცი?

**დათო:** მე რასაც ვფიქრობ, ამას პირადად გეტყვი.

**კატო:** იმედია, რასაც მეტყვი, მომეწონება.

**დათო:** შენ ახლა ურევ!

**კატო:** არააა... სულაც არა!

**დათო:** კითხვაზე რატომ არ მპასუხობ? მე შენს ნაკვალევს დავეძებ...

**კატო:** მე კი შენსას...

**დათო:** მე ხომ აქვე ვარ, შენს სახლთან და მიხარია... საერთო ჰაერით ვსუნთქავთ... როდის მოიცლი?

**კატო:** დღეს და ხვალ არააა!

**დათო:** აღარ გელაპარაკები.

**კატო:** გამებუტე?

**დათო:** ჰოოოო... მძიმე დღეები, კრიტიკული დღეები — ფარდობითი ცნებებია.

**კატო:** მერე, არ უნდა შეხვიდე ჩემს მდგომარეობაში?

**დათო:** სხვა რა გზა მაქვს, შევედი, იქ დავრჩი და თავს ვეღარ ვაღწევ...

**კატო:** მე არ ვიცი, რა გეშველება...

**დათო:** ???????

**კატო:** სულ მინდა, რომ აქ იყო და გელაპარაკო...

**დათო:** საქმე, ლაპარაკის ნაცვლად!

**კატო:** რა საქმე? ვიმუშაო?

**დათო:** კარგი ახლა, სად გაქრა შენი იუმორი?

**კატო:** ეეეჰ... და შენი მიხვედრილობააა?

**დათო:** წავედი ახლა, მეგობრებმა დამირეკეს, ლუდის ბარში არიან. თავს მივხედავ, 2 საათში ისევ მოვალ. ხომ არ დაგვეწევი?

**კატო:** სამსახურში ვააარ!...

**დათო:** მეეეეეეც!

**კატო:** ნუუუ... შენ მაგარი ბიჭი ხარ და მე ქვეშაფსია გოგო.

**დათო:** ჩაო!

**კატო:** ჩაო არა და... ყურიც ხომ არ გაქვს გახვრეტილი?

### 12 მაისი. 10:12

**დათო:** 10 წუთში მოვალ.

**კატო:** მოდიიიიი!!!

**დათო:** რაო, გუშინ? რა ყურის გახვრეტაო? თავზე — კიკინაო?

**კატო:** ჰო, რა ვიცი... ჩაოო, რომ მითხარი, წარმოვიდგინე, ხელი როგორ დამიქნიე, ნაზად და აზიზად. :)))

**დათო:** იცოდე, დაგერხევა, როცა სასტიკად დაგიმტკიცებ, რომ ნამდვილი მამაკაცი ვარ!

**კატო:** „მოი ლასკოვი ი ნეჟნი ზვერ"... ეჭვიც არ მეპარება, რომ ნამდვილი მამაკაცი ხარ... მაგაში დარწმუნებული რომ არ ვიყო, სიტყვასაც არ გადმოგიგდებდი...

**დათო:** ტელეფონს რატომ თიშავ?

**კატო:** სხვანაირად არ შეიძლება, სიხარულო...

**დათო:** მე კი შენი ხმის გაგონება მინდოდა.

**კატო:** ჩართულია... რა ვიცი, აბა...

**დათო:** დაგირეკავ 15 წუთში.

### 14 მაისი. 15:45

**კატო:** რაღაც, საეჭვოდ იქცევი. არააა?

**დათო:** გეჩვენება. შეტევა კარგი თავდაცვაა, არა?



**კატო:** ჰო, ჩემი არ იყოს, სიტყვის სასესხებლად მეზობელთან არ გახვალ...

**დათო:** მელოდები, როდის მოგწერ? აქ ხარ? აუუუუუუ!

**კატო:** კი, აქ ვარ.

**დათო:** ეტყობა, ხდება რაღაც ან ხომ არ მოხდა უკვე?

**კატო:** არა, არაფერი... რა უნდა მომხდარიყო? წეღან ველოდე შენს პასუხს და მერე გავედი... ექიმთან ვიყავი.

**დათო:** გტკივა? საუბარი ალბათ არ გსიამოვნებს. თუ გინდა, დავემშვიდობოთ ერთმანეთს.

**კატო:** არა, არა... შენთან ლაპარაკი მინდა, მომენატრე.

**დათო:** იცი, ეს რამდენიმე დღეა, ცუდ ხასიათზე ვარ. ასე მგონია, რომ რაღაც გავაფუჭეთ ურთიერთობაში.

**კატო:** რატომ? რომ ვერ ვკონტაქტობდით, იმიტომ? თუ რაღაც მოხდა?

**დათო:** მგონი ზედმეტი მომივიდა შენთან ტელეფონით საუბარი.

**კატო:** მოგბეზრდა... ან რაღაც არ მოგეწონა... ვიგრძენი... მესიჯებიც აღარ მხვდებოდა... ვერც ძველ დამოკიდებულებას ვხედავდი.

**დათო:** ხომ გითხარი, იმიტომ არ მინდოდა, შენთან შეხვედრამდე რამე რომ მცოდნოდა, შენი ყოფითი ცხოვრების შესახებ (მათ შორის არც ტელეფონი) და თუ სიმართლე გინდა, არც შეხვედრის შემდგომ (თუ, რა თქმა უნდა, შევხვდით საერთოდ).

**კატო:** თუ სურვილი არ გაქვს, ნუ შევხვდებით, არაა პრობლემა. ცოლ-ქმარი შორდებიან და ჩვენ ხომ ჯვარი არ გვაქვს დაწერილი. ბოლოს და ბოლოს, ასეთი განწყობილებით არც ღირს, ალბათ... მდაააა...

**დათო:** ასეთ პასუხს არ ველოდი. შენ თუ ჩემს დამოკიდებულებას ვერ გრძნობ შენ მიმართ, ძალიან სამწუხაროა.

**კატო:** შენს დამოკიდებულებას ვგრძნობდი... იმასაც მივხვდი, რომ რაღაც შეიცვალა...

**დათო:** როცა რაღაცაზე გული გეთანაღრება, ეს უკვე ცუდია...

**კატო:** ასეთი პასუხი იმიტომ მოგწერე, რომ არ მინდა, რამე დაგაძალო და მარტო იმის გამო შემხვდე, რომ უბრალოდ, პატივს მცემ, როგორც ადამიანს და იმ თვისებებს სცემ პატივს, რომელიც ჩემში დაინახე... არ მინდა, თავი ვალდებულად იგრძნო ჩემ გამო... მინდა, როცა განახავ, ისევ ისე გინდოდე, როგორც მაშინ... გახსოვს?

**დათო:** არ მინდა, რომ ფიზიკურ ტკივილს სულიერიც მოჰყოლოდა. ბოდიშს გიხდი, თუ რამე გაწყენინე. იცოდე, მე შენ მიყვარხარ, ჩემი ოცნების ქალი ხარ. უნდა წავიდე, ხვალ გავაგრძელოთ, თუ გცალება. იმედია, მშვიდად გაატარებ ამ ღამეს. გკოცნი მტკივან ყელში.

**კატო:** კარგი, ხვალამდე... გკოცნი. სიმშვიდის რა გითხრა, ავფორიაქდი ძალიან... ახლა რაც ყველაზე ნაკლებად მინდა, შენთან ურთიერთობის გაფუჭებაა.

### 15 მაისი. 10:04

**დათო:** როგორ ხარ, ჩემო სიცოცხლევ?

**კატო:** წუხელ მთელი ღამე გავათენე...

**დათო:** იმიტომ მოგწერე — თუ საერთოდ შევხვდებით-მეთქი, რომ აღარც კი მახსოვს, რამდენჯერ გთხოვე შეხვედრა.

**კატო:** და ჩემდა სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა...

**დათო:** მე შენ მინდიხარ შენი ინტელექტით, აზროვნებით, იუმორით, ლექსებით, ვნებით ისე, რომ არც კი ვიცი, ვინ ხარ და როგორი ხარ და ეს მომწონს და მხიბლავს ყველაზე მეტად. რითი შემიძლია დახმარება?

**კატო:** მადლობა, სიხარულო, შენ ხომ ექიმი არ ხარ... შენ ჩემი გულის ტკივილი ხარ და მაგას თუ მომირჩენ.

**დათო:** შენი ექიმიც მინდა ვიყო და შენი გულის დამპყრობელიც.

**დათო:** აბა, რა იყო, ჩემო გულის ტკივილო?

**კატო:** არაფერი. ახლა აღარ ვნერვიულობ.

**დათო:** ვერ გცნობ.

**კატო:** რატომ? მე ისევ ის ვარ, ისევ ისეთი...

**დათო:** ისევ ისეთი რომ არ ხარ, მაგას გეუბნები ზუსტად. არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება. გკოცნი. ახლა შენი ალერსი მომინდა უცებ... და ისა... მეშინია, რამე რომ გატკინო? ხელს არ შეგახებ და მხოლოდ ტუჩებით მოგეფერები, ნაზი შეხებით, ნახევრად გახსნილი ბაგით მოგეფერები თვალებზე, სახის ყველა ნაკვთზე და ბოლოს, ყელში შემოგიძვრები, მარცხენა მხრიდან...

**კატო:** ოოო... „ბოოოუე"... წარმომიდგენია, რა ტკბილი და გემრიელი იქნება ეგ პროცესი.

**დათო:** მოიცა და მარჯვენა მხრიდან ყელში ჯერ ხომ არ მოგიალერსე და მერე, პერანგის ღილიც ჯერ ხომ არ გამიხსნია? თუ გამაწვალა, ღილიანად გადავყლაპავ.

**კატო:** თუ ქალის მკერდზე არ დამხობილხარ
და ძუძუს თავზე არ გიკბენია,
ბროლივით სხეულს თუ არ გალეწავ,
სხვა, უკეთესი რა გიგემნია...
თუ თბილ თითებით თმა არ უფურჩქნე,
თუ გრძნობით ოფლი არ გიდენია,
თუ ფეხებამდე ქალს არ გალოკავ,
სხვა, უკეთესი რა გიგემნია...
თუ არ გაათევ თბილ ღამეს თეთრად,
თუ ჭირში სული არ გაგძვრენია,
თუ ქალი ოთხად არ მოგიკეცავს,
სხვა უკეთესი რა გიგემნია?
და წუთით მოსულს, ამ ქვეყანაზე,
წუთები უხმოდ დაგიხოცნია,
ჩაგიკლავს გულში უსაზღვრო ღელვა,
სთქვი, რომ ამქვეყნად არ გიცხოვრია...

**დათო:** მდაააა... ოფლმა დამასხა... სრული სიმართლეა. ბოლო სტრიქონი შენს თავს ხომ არ მიუძღვენი?

**კატო:** ეს ჩემი დაწერილი არაა, ვერ დავიბრალებ, მაგრამ მიყვარს... ამას მამაკაცი თუ დაწერდა, ქალი ასე ვერ იტყოდა...

**დათო:** გეთანხმები. უბრალოდ, ბოლო სტრიქონში შენი ღელვა წავიკითხე (შესაძლოა, ვცდები).

**კატო:** ეს ღამეები ჩემი ოცნების,
ჩუმი ოცნების ციდა განძია,
უცნობმა ხელმა გაურკვევლობის,
თეთრი, ბურუსის ფარდა ასწია,
შენ არ გინახავს, როგორ შემოდის
დასალუპავად განწირულ გემში
ზღვის წყალი? ზუსტად ასე შემოხვალ
და სიამაყეს დაანგრევ ჩემში.
მეც დაგნებდები, როგორც დანებდა,
ზღვებს უამრავი, ამაყი გემი,
ჩავიძირები გრძნობის ფსკერზე და...
შეგემატება სხეული ჩემი...

**დათო:** ეს ის შემთხვევაა, როცა ოცნებები სრულდება. მიიღე ჩემგან მადლიერება. უზომოდ ბედნიერი ვარ და ძალიან კარგად მესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა.

**კატო:** ახლა, თუ არ გეწყინება, დავწვები, შემაწუხა ძალიან ტკივილმა... ნემსის დრო მაქვს და თუ გამიყუჩდება, დავიძინებ... მთელი ღამე უნდა გავათენო ისევ, ტკივილების გამო.

**დათო:** კარგი ჩემო სიცოცხლევ, გემშვიდობები საოცრად კარგ ხასიათზე.

სამწუხაროდ, ხვალ და სავარაუდოდ ზეგ ვერ შემოვალ, რაიონში მივდივარ, ქორწილში. 2 დღე შენზე ფიქრებში გავატარებ. გისურვებ მშვიდ საღამოს და ტკბილ ძილს.

**კატო:** მადლობა... მომენატრები... მეც სახლში ვარ, ვერსად გავდივარ და შენზე ვფიქრობ... მიყვარხარ რაღაცნაირად... :)))

**დათო:** მე კი მართლა მიყვარხარ. კარგად.

**კატო:** ეს ყველაზე საუკეთესო სიტყვებია, სიტყვებს შორის... შენგან რომ მესმის, იმიტომ... გკოცნი და გელოდები...

## 16 მაისი. 09:10

**დათო:** არ შემეძლო, ამ დილით არ მომეკითხე და ისე წავსულიყავი. როგორ ხარ, ჩემო სიცოცხლევ? იმედია, ტკივილებმა გაგიარა და ჩვეულ ფორმას დაუბრუნდი.

გკოცნი ბევრს...

**კატო:** გამარჯობა... მიგრძნობდა გული... ნამდვილად მიგრძნობდა, რომ მოხვიდოდი... წუხელ ცოტა მეძინა... ცოტა მტკივა მაინც...

**დათო:** გამიხარდა, რომ მოხვედი... წუხელ მელვიძებოდა, მერე ფიქრებში გეფერებოდი და ისე ჩამეძინებოდა ხოლმე...

**კატო:** გუშინ რომ რაღაცები მომწერე, სულ ის მიტრიალებდა თავში...

**დათო:** კარგია, რომ ტკივილები შეგიმსუბუქდა. თავს გაუფრთხილდი, ახლა შენი ხელმეორედ გაცივება არაფრით არ შეიძლება, ქრონიკულში გადასვლის საშიშროებაა.

**დათო:** მთელი საღამო შენთან გავატარე...

**კატო:** უშენოდ ცუდად ვარ...

**დათო:** შენი ნახვა არ დამაკმაყოფილებს, მე შენი სიყვარული მჭირდება.

**კატო:** ხომ გაქვს, მერე...

**დათო:** გავიქეცი, ჩემო ამფორიაქებელო სულისა. უშენოდ ველარ ვძლებ. გკოცნი ბევრს.

**კატო:** კარგად. კეთილი მგზავრობა და გელოდები...

## 17 მაისი. 18:30

**კატო:** გამარჯობა, ჩემო სიხარულო. მართალია, აქ არ ხარ, მაგრამ შენთან ლაპარაკის დაუოკებელი სურვილი მაქვს და გადავწყვიტე, მოგწერო...

ასე მგონია, შენ გელაპარაკები.

მენატრები უზომოდ... დღეს კვირაა და არ მუშაობ... ამას ხვალ წაიკითხავ...

ხვალამდე ვერ დაგელაპარაკები.. ვერც დაგირეკავ...

ხვალამდე შორსაა, როცა ასე გენატრება...

მე კი მიყვარხარ და მინდოდა, მეთქვა...

შენ ხარ ჩემი ამფორიაქებელი და დამამშვიდებელი...

ის, რაც მე გამიხარდება და მეწყინება...

მიყვარხარ და ეს იაფი სიტყვა არაა...

ესაა ის, რისი თქმაც ძნელია, მაგრამ ახლა ად-

ვილია იმიტომ, რომ სიმართლეა...

ჩემი ცხოვრება შენთან ყოფნის სურვილითაა გაჟღენთილი.

ჩემი ცხოვრება შენ ხარ და შენზე ფიქრი...

ამას ჰქვია სიგიჟე...

ამას ჰქვია სისულელე...

ამას ჰქვია ბედის ირონია...

ამას ჰქვია თავგზის არევა...

მაგრამ ამას ჰქვია სიყვარული...

ესაა ის, რაც არის დღემდე, ახლა, ამ წუთში...

რა იქნება მერე, რა სახელი დაერქმევა, ეს „მერეს“ გადასაწყვეტია...

არ აქვს მნიშვნელობა, რა დაერქმევა მერე — წარსულში დარჩენილი სიგიჟე,

წარსულში დარჩენილი სიყვარული, სამუდამო განშორება, საუკეთესო, ხანმოკლე მოგონება, უფრო დიდი სიგიჟე, უფრო დიდი სიყვარული, დროებითი განშორება,

მომდევნო შეხვედრის იმედი... თუ სინანული...

მაგრამ ის, რაც ახლა ხდება, მომწონს... გულს მიფორიაქებს... სიყვარულს მოწყურებულს, წყურვილს მიკლავს...

ჩემს სრულ სიგიჟესა და სისულელეს ჩვენი შეხვედრა აკლია...

ისიც მოვა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება....

ვიცი, პასუხად რამდენიმე, მშრალ სიტყვას მივიღებ და ისიც გამიხარდება...

მამაკაცებს ხომ არ გიყვართ (მით უმეტეს, შენნაირებს) ბევრი ლაპარაკი და გრძნობების გამოხატვა, სენტიმენტალიზმი და რომანტიკა...

არ მინდა, დაგაფრთხოს ჩემმა წერილმა...

ეს ბევრს არაფერს ნიშნავს... უბრალოდ, მინდოდა მეთქვა, რომ........

მიყვარხარ...

**კატო:** იცი? მე უკვე ვიყავი ღმერთი
და მოვიგონე ეს გრძნობა ჩემთვის,
ჩემს დასაცავად და დასაღუპად
და რისხვა, გულმა რაც დააგუბა,
რაც სულს აქამდე ძალით ეკავა,
წვრილმან გრძნობების წასალეკავად,
გასასვლელს ეძებს, რომ დღეის იქით,
შენს ნაკვალევზე დიოდეს იგი,
და უსასრულოდ, დღითა და ღამით,
და თუნდაც მხოლოდ სულ ერთი წამით...
იქცეს კოშმარად და მოჩვენებად,
დაგიფრთხოს ძილი და მოსვენება,
რომ ფრთაშეკვეცილ ფრინველის მსგავსად,
აღარ შეგეძლოს გაფრენა არსად,
შენ კი გახსოვდეს, რომ ვერ მიაგნებ ხსნას ვერასოდეს,
რომ მე ვარ ჯვარიც და ეშაფოტიც,
რომ ჩემი სულის ყველა ნაფოტი
იმ კოცონისთვის გროვდება ახლა,
რომელზეც შენი სურვილით ახვალ...

**18 მაისი. 09:59**

**დათო:** მოვედი, ჩემო სიყვარულო, უშენოდ ორი დღე და ღამე ძალიან ბევრია.

დამხვდა შენი წერილები და უზომოდ მეამა. მინდა, მშვიდად გადავიკითხო, მაგრამ ამწუთას ამის საშუალება არ მაქვს. როგორ ხარ?

**კატო:** კარგად. შენ როგორ ხარ? როგორ მოიარე? მენატრებოდი.... ვიცი, ახლა ბევრი საქმე გაქვს. ცოოოტა, სულ ცოტა მომწერე...

**დათო:** მიყვარხარ!

**კატო:** ეგ ხომ ბევრზე ბევრია. ძალიან ბევრი, მაგრამ მე უფრო მეტი მინდააა!

**დათო:** გაგიარა ტკივილებმა?

**კატო:** ჯერ სრულად ვერა... თუმცა, საჭესთან უკვე ვჯდები... შენთან მინდა...

**დათო:** მერე, მოდი ჩაგეხუტო...

**კატო:** ვაი, დედა...

**დათო:** დედას ნუ ეტყვი, ინერვიულებს. წარმომიდგენია, ჩვენი შეხვედრა როგორი ამაღელვებელი იქნება ორივესთვის.

**კატო:** იმედი მაქვს, რომ მაგარი იქნება და ავისრულებ ოცნებას, რასაც შენი ალერსი ჰქვია, სახელააააად!

**დათო:** ვნება...

**კატო:** ჰო, ვნება... სურვილი... ჟრუანტელი... სიგიჟე...

**დათო:** კიდევ რას ნიშნავს ეს სიტყვა?

**კატო:** შენს თვალებში ყურებას...

**დათო:** ვნება — როდესაც ადამიანმა იცის, რომ უნდა განიცადოს ტკივილი და მაინც დაუოკებელი სურვილით მიდის ეშაფოტზე.

**დათო:** რაც შეეხება ვნებას, თვალებში ყურება სრულებით არ არის აუცილებელი. ვნების განცდა თვალებში ჩაუხედავადაც შეიძლება და დიდი სურვილი მაქვს, პირველად ნახვისას თვალები რომ გქონდეს ახვეული და ისე გეამბორო. ძლივს შევიკავე თავი, რომ ქორწილიდან შენთვის არ დამერეკა. ეს ბახუსი კი ხომ იცი, შენს თავს როგორ მანდომებს?

**კატო:** მე გუშინ გელოდი... შენს ზარს ველოდი... მეგონა, დამირეკავდი... რატომ შეიკავე თავი?

**დათო:** მეუღლესთან ერთად ვიყავი.

**კატო:** უკაცრავად...

**დათო:** დღის ბოლოა და ისე ვერ გეფერები, როგორც საჭიროა, ხალხი მყავს.

**კატო:** არა უშავს, იმედია, რომ შევხვდებით, მაშინ არ გეყოლება ხალხი და მიზეზი... ვერ გეფერებიო... :)))

**დათო:** ჰოოო... დამსწრეებს წამოვიყვან, იქნებ ფილმის კარგი სიუჟეტი გამოვიდეს. მომწერე რამე ჩემო სიცოცხლევ, თორემ წასასვლელი ვარ მალე და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მრჩება. მელოდებიან, სიყვარულო!

**კატო:** ღამით, როცა ვიძინებ მე, ილვიძებენ ჩემი



სიზმრები. მათთან ერთად შენც მოდიხარ, სასთუმალთან ოცნებასავით ჩამომიჯდები და მერე მთელი ღამე ვგრძნობ შენს თბილ ხელებს ჩემს სხეულზე... ვგრძნობ შენს ცხელ სუნთქვას... შენი ტუჩების შეხებას... დილით, როცა ვიღვიძებ, იძინებენ ჩემი სიზმრები... მათთან ერთად შენც მიდიხარ და მერე მთელი დღე ველოდები დიდი მზის ჩასვლას, რომ დავიძინო და გაიღვიძონ ჩემმა სიზმრებმა, რომ მოხვიდე შენ და მთელი ღამე ჩემ გვერდით გაატარო.

**დათო:** ჰო, მაგრამ მე ხომ შენს სურნელს ვერ ვგრძნობ ჩემს ტანზე, რომელიც შენს თავს ყოველწამს გამახსენებს და მოსვენებას დამიკარგავს?

**კატო:** სურნელს ვერც მე ვგრძნობ... და როცა ვიგრძნობ, ალბათ არასოდეს დამავიწყდება ეგ სუნი... შენ კი სურნელი რომც ჩამოიბანო, იმ ღამის მოგონებები დაგიკარგავს მოსვენებას.

**დათო:** აღარ შემიძლია უშენოდ. შენზე ფიქრითა და ოცნებით გაგიჟებულს, შინ თაფლობის თვე მაქვს....

**19 მაისი. 10:42**

**კატო:** წუხელ ალბათ კიდევ ერთი ვნებიანი ღამე გქონდა... მეც... მეც მინდოდა მქონოდა ვნებიანი ღამე შენთან... ჩემს ფიქრში ვცადე, როგორც ყოველთვის, მაგრამ... ამჯერად არ გამომივიდა... 2 ქალი ერთ-



დროულად მეტისმეტი იყო შენთვის... არ მინდოდა შენი განაწილება და დაგთმე... ისევ იმას დავუთმე შენი თავი, ვისაც შენი გული ეკუთვნის...

ჯერ არ მესიზმრება შენთან ალერსი. არადა, როგორ მინდა, რომ დამესიზმროს...

**დათო:** გაიღვიძე, ჩემო სიყვარულო, შენი ალერსი მწყურია. ჯერ გეჩურჩულებოდი და ვერ გაგაღვიძე, მერე ფეხის თითებით ვეფერებოდი შენს ფეხებს და ვერ გაგაღვიძე, მერე ხელი შემოგიძვრინე საბნის ქვეშ და ვერ გაგაღვიძე...

**კატო:** მე ხომ მეღვიძა... :))

**დათო:** თუ გეღვიძა, რატომ არ მიპასუხე ალერსით?

**კატო:** მინდოდა, გგონებოდა, რომ მეძინა და ძალიან მოგენდომებინა, რომ გამეღვიძებოდა.

**დათო:** რადგან შენ არ მპასუხობ, ახლა გავხსნი კონიაკს და 100 გრამს დავლევ.

**კატო:** ეგ გიშველის?

**დათო:** მოდი ჩემთან... მანამდე ჩაის ამიდუღებენ და კონიაკს ჩაიში ჩავისხამ და ისე დავლევ.

**კატო:** ნუთუ ჩემს ოცნებას ახდენა უწერია?

**დათო:** კითხვის ნიშანი მოაშორე. „თუ მამაკაცი ძალიან მოინდომებს, აუცილებლად მიაღწევს იმას, რაც ქალს სურს". მხურვალე ალერსის მერე შენს სადღეგრძელოს ვსვამ: სიყვარულს გაუმარჯოს, რომელიც XXI საუკუნეში ხელმეორედ მეწვია.

**კატო:** და... სადაა ჩემი ადგილი? სულში არა... არც გულში... ალბათ გონებაში... ასე რომ, შენი სხეულის დარჩენილი ნაწილებიდან ტვინს ვირჩევ! :)))

**დათო:** შენთან მინდააა! შენში კახპას გავაღვიძებ! თან იცი, როგორს? ფეხებზე რომ დაიკიდებს ყველაფერს და სექსს მიეცემა ყველგან, სადაც კი ამის მცირე შანსი იქნება.

**კატო:** და ყველასთან, ვისთანაც შანსი ექნება?

**დათო:** მაგ კითხვას არ ველოდი.

**კატო:** რა ვიცი... შენი აზრი მაინტერესებდა, შენთვის გინდივარ თუ საერთო საქმეზე ზრუნავ... არ უნდა მაინტერესებდეს?

**დათო:** აუუუ... დაგახრჩობ... საშინლად ვეჭვიანობ. მიყვარხარ! იცი? არაააა! მეზიზღები! თავგზა ამირიე, ჩემი ცხოვრება სხვა კალაპოტში გადაიყვანე, ყურადღებას ვეღარაფერს ვაქცევ. ჩემი წერა ხარ!

**კატო:** მე კი მიყვარხარ, მიუხედავად იმისა, რომ უარეს დღეში ვარ... მაინც მიყვარხარ...

**დათო:** რაო, ავადმყოფობა არ განებებს თავს?

**კატო:** ცოტა... მაგრამ ხელს არ შემიშლის...

**დათო:** რას აპირებ?

**კატო:** რას უნდა ვაპირებდე?

**დათო:** „ხელს არ შემიშლის"... :))

**კატო:** ბევრი... სამუშაო მაქვს.

**დათო:** მაიმუნი ხარ?

**კატო:** შენსავით...

**დათო:** ამ კონიაკმა ცოტა მომადუნა და ნისლში ჩამძირა.

**კატო:** მე კონიაკი არ დამილევია, მაგრამ...

**დათო:** რაღაც შეხვედრა იყო დაგეგმილი და გადავედე. თავი არ მაქვს.

შენს მკერდზე ძილი მსურს.

**კატო:** ნუუუ... მადლობის მეტი რა მეთქმის... მეც უკვე დიდი ხანია, სამსახურში უნდა ვიყო, მაგრამ შენს „ალერსს" შევყევი... ჰო, თუ დაიძინებ, თორემ მე სხვა რამის ბედი ვინ მომცა?!

**დათო:** წადი, თავი დამანებე, ნუ გამომფიტე!

**კატო:** კი არ გამოგფიტე, აგავსე, გაგაცოცხლე, აქტიური სქესობრივი ცხოვრება დაგაწყებინე... ვნებიანი ღამეები და მადლიერი ცოლი...

**დათო:** შენი დროც დადგება და ენახავთ, რეალში რისი მაქნისი ხარ.

**კატო:** აღარ დადგა ეგ დრო... ამომხდა სული მაგის ნატვრაში... შენს ნატვრაში...

**დათო:** ვისი ბრალია?

**კატო:** ჩემი...

**დათო:** ჩემთან თუ გინდა, მოხვალ კიდეც!

**კატო:** სად მოვიდე?

**დათო:** ჩემთან.

**კატო:** ადგილი, დღე, დრო...

**დათო:** 1 საათში.

**კატო:** არააა! დღეს გამორიცხე...

**დათო:** მაშინ შენ მითხარი.

**კატო:** ხუთშაბათს.

**დათო:** OK.

**კატო:** 2 ასოს მეტი ვერაფერი გამოიმეტე?

**დათო:** ორი ასო ბევრია, მე მგონი ერთიც საკმარისი იქნება და ხუთშაბათს რომელ საათზე გელება?

**კატო:** აი, ვინაა მაიმუნი... ერთს გააჩინა, ბატონო... ზოგჯერ შეიძლება ის ერთი ორს უდრიდეს, ზოგჯერ კი — ნახევარსაც არა...

**გაგრძელება იქნება**

25.06.-1.07.2009

ვნილები

მარი ხაფარიძე

# გაშვებული შანსი



ესეც ასე... გავიდა ერთი კვირა და ისევ უნდა გითხრათ: ხუთშაბათმშვიდობისაოოო! როგორ ხართ? მოიწყინეთ? თუ ვერ მოიცალეთ მოსაწყენად? მოკლედ, გაშვებული „შანსები“ ამ კვირაში იმდენი დამიგროვდა, აღარ ვიცი, რა ვუყო... წინა ნომერში განცხადება გავაკეთე, საქართველოს გადასარჩენად, პარტიის შექმნის მიზნით, სიმპათიურ, შეძლებულ მამაკაცს გავიცნობ-მეთქი და... მოკლედ, საქართველოს გადარჩენისა და პარტიის შექმნის რა გითხრათ და იმდენი სიმპათიური (როგორც თვითონ თქვეს) მამაკაცი გამომეხმაურა, ოჯახს ნამდვილად შევქმნიდი, რომ მომეწადინებინა... პოდა, გავუშვი შანსი ხელიდან და ახლა თქვენს შანსებზე ვილაპარაკოთ. ხომ იცით, როცა შენნაირი „უბედურობა“ სხვასაც სჭირს, გაცილებით იოლად გადასატანია...

## ჩავარდნილი ბიზნესი ანუ უყვარდა, მაგრამ არ უყვარდა

## არ უყვარდა, მაგრამ უყვარდა

„ის განსაკუთრებული და სხვებისგან განსხვავებული იყო. ყველაფერს სხვანაირად უყურებდა და სიყვარულიც რაღაც საოცარი და განსაკუთრებული წარმოედგინა. მუდამ ელოდა ერთადერთს, განსაკუთრებულს, გულს რომ აუფრთხიალებდა, სამყაროს რომ მოატარებდა ფეხით და უსასრულოდ გადაეშვებოდნენ ბედნიერების მორევში. მისი გაგება ძნელი იყო. მეოცნებე თვალებით იყურებოდა და უკვირდა ყველას, რას ხედავდა ასეთს, ბედნიერებით რომ უბრწყინავდა თვალები... სამწუხაროდ, ბევრჯერ ატკინეს „მეგობრებმა“ გული. მუდამ სიყვარულს უხსნიდნენ და ყველას კარგავდა. მხოლოდ ის შემორჩა — თბილი, ყურადღებიანი და მოსიყვარულე. რაც უნდა ენატრა გოგოს, ბიჭიც მაშინვე გააჩენდა ხოლმე. ერთხელ უნდოდა ეთქვა, მიყვარხარო, მაგრამ გაახსენდა გოგოს სიტყვები: „შენც რომ შეგიყვარდე, ალბათ მოვკვდები, ერთადერთი მეგობარი ხარ“ და მაშინვე გადაიფიქრა. შეეშინდა, რომ დაკარგავდა მას, როგორც მეგობარს. როგორც ქალი, ისედაც დაკარგული ჰყავდა. ერთხელ გოგონებმა უთხრეს, ბიჭს უყვარხარო და არ დაიჯერა, არ მიღალატებდაო, მაგრამ ეჭვი გაჩნდა. არ უნდოდა ეფიქრა ამაზე, მაგრამ ვერსად დაემალა საკუთარ თავს. ერთ დღეს ბიჭმა სახლამდე მიაცილა. მოულოდნელად გოგო მიუბრუნდა:

— სიმართლე მითხარი, გიყვარვარ?

— მე... მმიყვარხარ...

— რატომ მიღალატე, ხომ იცოდი, რასაც ვფიქრობდი? მე შენ როგორც მეგობარი, ისე მიყვარხარ.

— კი, მაგრამ ჩემი რა ბრალია? შემიყვარდი...

— მაკოცე!

ბიჭი დუმდა. ვერ გაბედა, გოგოს მიახლოებოდა. არადა, მისი ოცნება იყო ის, რასაც გოგო სთხოვდა... ის მისთვის იმდენად არამიწიერი და მიუწვდომელი იყო, რომ ვერ გაბედა შეხებოდა.

გოგო გაბრაზებული შებრუნდა და წავიდა. მაშინ ფიქრობდა, რომ არ უყვარდა, მაგრამ უყვარდა! თან როგორ უყვარდა! არადა, ისე ახლოს იყო სიყვარულის ლურჯი ფრინველი, ფრთებიც კი შეახო მათ, მაგრამ ვერ იგრძნეს და წავიდნენ თავიანთ გზაზე სამუდამოდ... მოუსვენარი გოგო“.

## კაზანოვა

„ამას წინათ მოვცუნცულებდი დაქალისგან... მოკლე კაბა მეცვა და ჭკუაზე არ ვიყავი. ძლივს ავფორთხდი ერთ-ერთ „სამარშრუტოში“ და მძღოლის უკან, სავარძელზე მოვკალათდი. მომდევნო გაჩერებაზე ერთი ყმაწვილი ამობრძანდა და გვერდით მომისკუპდა. გავბრაზდი, ამდენი ადგილია და რაღა აქ დაჯდა-მეთქი, ერთი აგრესიული მზერაც ვტყორცნე და ფანჯარაში დავიწყე ყურება. დიდი, სპორტული ჩანთა ჰქონდა და ლამის მუხლებზე დამადო. ერთი-ორჯერ შევიშმუშნე, ვიფიქრე, მიხვდება და გაიწევა-მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. ნუ, რაღას ვიზამდი? ისევ თბილისის ხედების თვალიერებით გავირთე თავი. რამდენიმე წუთი არ იქნებოდა გასული, რომ... ჰოი, საოცრებავ, ჩემს „მინიიუბკიან“ მუხლებზე უცხო სხეულის შეხება ვიგრძენი. თვალი ჩუმად გავაპარე და რას ვხედავ? ეს მისი ფრჩხილებდასაძრობი ხელი ჩემს მუხლზე არ დევს? თან ზემოდან ჩანთაც დაუფარებია, აქაოდა, არაფერი ხდებაო. ერთი ღრმად შევისუნთქე და ის იყო, უნდა დამეკივლა, რომ ერთმა „წვეტიანმა“ იდეამ გამირბინა „გოგრაში“. სასწრაფო წესით, ჩანთაში წინა დღით ჩაგდებული ჭიკარტი მოვძებნე და ერთი ისეთი ჩავარჭე ხელში, რომ... ეგრე არ ჯობდა? აბა, მე ისეთს რას ვიღრიალებდი, როგორც იმან იყვირა? ან ისე ოლიმპიური ჩემპიონივით ვისკუპებდი „მარშრუტკიდან“? საწყალი... ისეთი გამწარებული თვალებით შემომხედა, გოგოს მინიმუმ ერთ თვეს თვალსაც კი არ გააყოლებს... SWEET-GIRL“.

## სინანული

„ლამაზი, მაგრამ ტრაგიკული სიყვარულის ამბავი მინდა მოგიყვეთ, რომელიც პირდაპირ ეხმაურება ამ კვირის თემას. ეს ამბავი „ოდნოკლასნიკებში“ გაცნობილმა გოგონამ მომიყვა: ყველაფერი 5 წლის წინ დაიწყო. მარი 13 წლის, ძალიან თამამი ბავშვი იყო, ოღონდ არასდროს უზრდელობაში არ გადასვლია საქციელი. ერთ დღეს, რამდენიმე გოგოსთან ერთად, კინო „ახმეტელში“ იყო და შენიშნა, რომ გვერდით მჯდომი ბიჭი ფილმის მაგივრად, მას უყურებდა. ფილმი რომ დამთავრდა, ეს ბიჭი გოგონებთან მივიდა და გაცნობა სთხოვა. კონკრეტულად მარისთვის არაფერი უთქვამს. გოგონებმა გაცნობაზე უარი უთხრეს და ეს დღეც ასე მორჩა. რამდენიმე დღის მერე, მარი და მისი მეგობარი მეტროში იყვნენ, როცა ეს ბიჭი დაინახეს, ძმაკაცთან ერთად. ისე მოხდა, რომ ერთ ვაგონში აღმოჩნდნენ. ბიჭებმა კვლავ გაცნობა სთხოვეს და გოგონებსაც უარი აღარ უთქვამთ. ამ ამბიდან 1 წლის შემდეგ, ისევ კინოში, ისევ იმ ადგილზე, ისევ ის ადამიანი ზის მარის გვერდით. ბიჭმა მოიკითხა გოგონები და მარისთვის უკვე აშკარა გახდა, რომ ბიჭს მის მიმართ სიმპათიები ჰქონდა. რამდენიმე დღეში სრულიად უცხო ბიჭმა, რომლის მხოლოდ სახელი იცოდა, სკოლაში მიაკითხა. მოკლედ, ბიჭმა იმდენი მოახერხა, რომ გოგოს კლასელებს ძალიან დაუახლოვდა და ყველა დაბადების დღეზე და შეკრებაზე მათთან ერთად იყო. 2 თვეში მარის სიყვარული აუხსნა, მაგრამ გოგომ უთხრა, ჩვენ მხოლოდ მეგობრები თუ ვიქნებითო.

არაყი ცხოვრებას
ახანგრძლივებს.



იმ დღიდან მოყოლებული, „მეგობრები“ იყვნენ. არადა, მარის უყვარდა, დღითი დღე უფრო მეტად უყვარდებოდა. მისი ყველა საქციელი მოსწონდა და აგიჟებდა. ერთ დღეს ისევ უთხრა ბიჭმა, მიყვარხარო და მოსაფიქრებლად ერთი დღე მისცა. მეორე დღეს მარი სკოლაში იყო, როცა, ვიღაც დაჭრილი მხეცივით გაჰყვიროდა მის სახელს. ფანჯრიდან გადაიხედა და გიო დაინახა. სწრაფად ჩაირბინა კიბე. შუა ქუჩაში დაუკოცნა ბიჭს სახე. იმ დღიდან მოყოლებული, ერთად იყვნენ. მაშინ მარი უკვე 15 წლის იყო, გიო — 17-ის. იმ ზაფხულს თბილისში იყვნენ და მთელ დღეებს ერთად ატარებდნენ. ყველამ იცოდა მათი სიყვარულის ამბავი. იანვარში ბიჭი 18 წლის რომ გახდა, მამამ მანქანა აჩუქა და თითქმის მთელი საქართველო მოიარეს მანქანით. მალე გიოს მამამ შვილის 4 წლით უცხოეთში გაგზავნა გადაწყვიტა, სასწავლებლად. ბიჭს უნდოდა წასვლა, მაგრამ მარის გამო თავს იკავებდა. სთხოვა, წამომყევიო, მაგრამ 16 წლის ბავშვისთვის ძნელი იყო ასეთი გადაწყვეტილების მიღება და უარი უთხრა. ერთ დღესაც, გიორგიმ უთხრა, ბარგი ჩაალაგე, ხვალ მივფრინავთო. არაო, გაგიჟდა მარი. გიორგიმ კი გაოცებულმა ჰკითხა — ეს შენი საბოლოო პასუხიაო? გოგომ თავი დაუქნია და ბიჭი წავიდა... იმ დღიდან რამდენიმე თვის განმავლობაში, მარის არაფერი გაუგია გიოზე. იფიქრა, გაემგზავრაო და არც უცდია მისი მოძებნა. ერთ დღეს, ქუჩაში გიოს ბიძაშვილი დაინახა და ყვირილი ატეხა, რომ გაეგონებინა. გოგომაც მოიხედა და აშკარად დაეტყო, მარის დანახვა რომ არ ესიამოვნა. მარიმ გიოს ამბავი ჰკითხა და გოგომ უთხრა, შენთან ხვალ მოვალ, სალაპარაკო მაქვსო. როგორც იქნა, ტანჯვაწამებით გათენდა და გიოს ბიძაშვილიც მოვიდა. ისეთი ამბავი გაიგო მარიმ, რომ თავზარი დაეცა: მისგან წასული გიო იმ დღის მერე შინ აღარ მისულა. ავარია მოუხდა — დედა და პატარა ბავშვი გაიტანა. გიო ციხეში ზის და 8 წელი დარჩა. მარიმ ნაცნობების საშუალებით მოახერხა ციხეში შესვლა, მაგრამ გიომ მისი დანახვისთანავე ყვირილი და გინება ატეხა და 5 წუთიც არ გააჩერა იქ. მერე წერილებს სწერდნენ ერთმანეთს, მაგრამ გიოს სურვილით, ურთიერთობა გაწყდა. მარი დამნაშავედ გრძნობს თავს გიოს წინაშე. იცის, მაშინ ცივი უარი რომ არ ეთქვა, ახლა გიო თავისუფალი იქნებოდა. მარი ელის ყოველდღე, მაგრამ რას ელის, არც თვითონ იცის. ხვდება, რომ გიო აღარასდროს იქნება მისი. ბიჭმა რომც მოინდომოს მასთან ყოფნა, მარი ვერ გაბედავს, რადგან გარდაცვლილი დედა-შვილის ამბავი არ ასვენებს. მარი ნანობს, იცის, დაკარგა, ხელიდან კი არ გაუშვა, გაუფრინდა ბედნიერების შანსი. ეშმაკუნა“.

## გადარჩენილი

„4 წლის წინ შეგვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ თავიდანვე ტანჯვით დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. ყველაზე და ყველაფერზე ეჭვიანობდა, მერე უცებ შეიცვალა, ცდილობდა, კარგად მომქცეოდა, მაგრამ როცა ხედავდა, ვინმე გამიღიმებდა ან შემომხედავდა, ამაზეც კი სცენებს აწყობდა. ახლობლებზეც ეჭვიანობდა, არც ხალხში ერიდებოდა ჩემი დამცირება და რამდენჯერმე მცემა კიდეც. სახლში რომ დარეკავდა და არ დავხვდებოდი, მაშინვე იქ მოვარდებოდა, სადაც ვიყავი და ძალით მომათრევდა. მოკლედ, ამ რამდენიმე ხნის წინ, საზღვარგარეთ წავიდა. შემომთავაზა, ცოლად გამომყევიო, მაგრამ უარი ვუთხარი. გაბრაზებული წავიდა და აღარ მეხმიანებოდა. რამდენიმე დღის წინ დამირეკა და ისევ მთხოვა, ცოლად გამომყევიო და რომ არა ჩემი მეგობარი, რომელმაც როგორც იქნა, შეძლო და რეალობა დამანახვა, ალბათ საბოლოოდ დავიღუპავდი თავს. მან ჩემი უდიდესი მოთმინება და სიყვარული ვერ დააფასა და დაკარგა შანსი, გვერდით ვყოლოდი. არა მგონია, ჩემ გარდა ვინმემ შეძლოს მისი ასეთი ქცევების მოთმენა, მაგრამ ვერც მე შევძელი, მუდმივი ტანჯვისთვის გამემეტებინა თავი. ჩემდა სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ ის ისევ მიყვარს და ვიტანჯები“.

## „ქართველებო, თქვენი ფეხების ნაბან წყალს დავლევ“

„მარი, გამარჯობა, საყვარელო, მინდა, ჩემი გულისტკივილი გაგიზიარო. ეროვნებით ოსი ვარ. საქართველოში დავიბადე და გავიზარდე. გაჭირვებულმა ცხოვრებამ ცხრა მთას იქით გადამაგდო, ურჯულო ბერძნებთან. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ესენი ისეთი ხალხია, მარტო თვითონ იყვნენ კარგად და სხვების პრობლემა არ აინტერესებთ. ტელევიზორში აჭარულ ცეკვას უჩვენებდნენ, გახარებულმა ჩემი დიასახლისის ბიჭს ვუთხარი, ნახე, რა კარგი ცეკვები გვაქვს ქართველებს-მეთქი და ასე მითხრა, არ მაინტერესებსო. ისე ცუდად გავხდი, მთელი ღამე ვტიროდი. არც მე ვარ ქართველი, მაგრამ ქართველების ყველაფერი მიხარია. ქართველებთან გავიზარდე, ქართული სკოლა დავამთავრე, მიყვარს ჩემი საქართველო და ვინც ცუდს იტყვის ქართველებზე და არ დააფასებს, ღმერთი დასჯის და მე ამ ურჯულო ბერძენს თვის ბოლოს დავსჯი, ხელფასს რომ გადამიხდის, მის გიჟ დედას მივატოვებ. მენატრებით, ქართველებო, დამიჯერეთ, თქვენი ფეხების ნაბან წყალს დავლევ და ბერძნების თაფლიანი ჯამიც არ მინდა. ოსი ლია“.

## დახმარება

„რამდენიმე დღის წინ ექსკურსიაზე ვიყავით რაჭაში. გზაში მაგარი დრო ვატარეთ და იქიდან გელათშიც გავიარეთ. ტაძრის შესასვლელთან ახალგაზრდა ბიჭი დახმარებას ითხოვდა. ყველამ მივეცით, რაც გვქონდა. ერთ ამხანაგს, ნონას, ძალიან უნდოდა ფულით დახმარება, მაგრამ ჯიბეში ერთადერთი „გახვრეტილი“ რკინის ლარიანი ეგდო. მიუახლოვდა იქვე მჯდომს და დახმარება შესთავაზა იმ პირობით, რომ ხურდას (80 თეთრს) უკან დაუბრუნებდა. ბიჭმა გაკვირვებულმა შეასრულა მოთხოვნა და გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაგვიხადა. იმ ახალგაზრდამ უნებურად გაუშვა შანსი, 80 თეთრით მეტი ჰქონოდა. :) ყველაფერი გამიგია, მაგრამ გაჭირვებულის ასე უცნაურად დახმარება — არა. შენ, მარ? გთხოვ, დამიბეჭდე, რა, მომავალი წლიდან ნონა გადადის ამ კლასიდან, თან ახლა ზაფხული იწყება და ეს მესიჯი საჩუქრად (სახსოვრად) ჩემგან. აბეზარა“.

## „დრო მიჩვენებს“

„ეეეეჰ, მარი, მე რომ დღეში ვარ, მტერსაც არ ვუსურვებ! თქვენი მკითხველი ვარ, მაგრამ პირველად გწერთ. გამიხარდება, „გზავნილებში“ თუ ამოვყოფ თავს. :) ყოველთვის ცინიკურად ვუყურებდი ისეთ გოგონებს, „ლოვეების“ გამო ცრემლებს რომ ღვრიდნენ და დავცინოდი კიდეც ჩემს დაქალებს, მაგრამ შემიყვარდა ისეთი ადამიანი, რომელსაც ჩემი ოჯახი არ მიიღებს. ძალიან ვიტანჯებოდი, მაგრამ მისი გულისთვის ყველაფერზე თვალი დავხუჭე და იცით, რა მოხდა? ამ ჩემმა ვაჟბატონმა ისეთი პირობა წამომიყენა მასთან ყოფნის სანაცვლოდ, პირი ღია დამრჩა და ეს კერპი გოგო კინაღამ გამტეხა, მაგრამ თავს მოვერიე და მის კაპრიზებს არ ავყევი... მან კი გამომიცხადა, იცოდე, მაგარ შანსს უშვებ ხელიდანო. უკვე ერთი კვირა გავიდა, რაც ერთად არ ვართ და ძალიან მიჭირს. იქნებ მართლა გავუშვი შანსი, ბედნიერი ვყოფილიყავი? ეეჰ, ამას ალბათ მისი უდიდებულესობა დრო მიჩვენებს... მიყვარხართ. თქვენი CERRY“.




## ჩავარდნილი ბიზნესი

„ჩემმა მეზობელმა გივიმ პომიდვრის ბიზნესის დატრიალება გადაწყვიტა. ნერგების დარგვაში დასახმარებლად კი საშინლად ცელქ შვილიშვილს, ბალუს დაუძახა. დაიწყეს ბაბუამ და შვილიშვილმა ნერგების დარგვა. ბალუ ნერგს აწოდებს, გივი — რგავს. გაოცებულია ბაბუა, როგორ მორჩილად ეხმარება ბავშვი. ძლივს ჩაათავეს უზარმაზარი კვალი. დაღლილი ბაბუა წამოიმართა, შუბლი მოიწმინდა და ნერგებს გახედა. ჰოი, საოცრებავ, სადაა პომიდვრები? მხოლოდ ბოლოს ჩარგული ნერგია თავის ადგილზე. ბალუ კი აორთქლებულა. ცხადი შეიქმნა სავალალო რეალობა: თურმე ჩარგავდა გივი პომიდორს და გადაინაცვლებდა შემდეგ ორმოსთან. ამოიღებდა ბალუ ჩარგულს და იგივე ნერგს აწოდებდა დასარგავად. ასე უნდა ბიზნესი და რესურსების დაზოგვა! ასე შეიძლება, 1 ნერგით მთელი ბოსტანი პომიდორი დარგო და ბიზნესის შანსიც ხელიდან გაუშვა, ბაბუა კი ბრაზისგან წნევადარტყმული „დიდ შესვენებაზე“ გაისტუმრო. კუნა“.

## აკრძალვები

„განა შანსის გაშვება არ არის, მე რომ ღმერთმა ქრისტიანად არ გამაჩინა? რა დავუშავე? დავამძიმებდი დედამიწას, რომ ვყოფილიყავი მართლა „გრუზინკა“ გოგო? მთელი ცხოვრება აკრძალვებში მაქვს გატარებული: ძეხვი არ ჭამო, ღორის ხორცისგან არის დამზადებულიო. ცოტა რომ წამოვიზარდე, ქართველ ბავშვებთან თამაშს მიშლიდა, ისინი ქრისტიანები არიან, შენ კი — თათარიო. სახლში არ წახვიდე მათთან, საჭმელი რომ შემოგთავაზონ და ღორის ხორცით იყოს დამზადებულიო?! მერე, როცა გავიზარდე, ალკოჰოლის მიღებაც დამიშალა. შე კაი ადამიანო, აბა წვენი ვწრუპო? გულამოღებული მაისური ნუ გაცვია, შარვალი არ ჩაიცვა... ამოვიდა ყელში, რა! ნუ, მე მაინც ჩემს გემოზე ვცხოვრობ და იმას ვაკეთებ, რაც მინდა, რადგან დედაჩემი მენდობა. ძალიან მინდა, მართლა „გრუზინკა“ ვიყო. გრუზინკა“.

## დაგვიანებული სინანული

„ჩემმა მეგობარმა ისეთი შანსი გაუშვა ხელიდან, დღედაღამ მისტირის. თამო ისეთ ბიჭს უყვარდა, რომელზეც ქალი მხოლოდ იოცნებებდა. სიმპათიური, ჭკვიანი, მშრომელი, განათლებული, გამგები და ყველა კარგი თვისება ჰქონდა საბას. თამოზე აბოდებდა, ბევრჯერ ხელიც სთხოვა, მაგრამ გოგომ თავი დაიფასა და უარი უთხრა. თამოს საბას გაბრაზება უნდოდა, ურჩხული ამოირჩია, რომელსაც ცოლადაც კი გაჰყვა. ახლა ნანობს, რადგან მისი ქმარი წამალზეა შემჯდარი და დღედაღამ სცემს. მეცოდება, მაგრამ თავისი ბრალია და ვერავინ უშველის. მომთმენი დედა“.

## მოღალატე

„ოჰ, ოჰ, ოჰ, რა „არგასაშვები“ შანსები მაქვს ხელიდან გაშვებული, რომ მახსენდება, მუხლი მეკვეთება, გული მიმდის და პირდაპირ ტანში მაჟრჟოლებს, რა. თუმცა, მე ინას „გაშვებული შანსების“ ცოდვით ვიწვი. „გარიგებაში“, საბრალო მაროს პონტში დაემართა ამ უბედურსაც. მის მეზობლად ერთი ბიჭი ცხოვრობს, მესამე წელია, „ეფანატება“, მაგრამ მან არაფერი იცის. კი ვუთხარი, პირადად თუ ვერ უმხელ გრძნობას, ცოტაა, ენას რომ ვერ აჩერებს და აქეთ-იქით ნიავივით გადააქვს და გადმოაქვს ჭორ-მართალი, ადექი და ყურის ძირში რომ გყავს ჭორიკანა მეზობელი, იმასთან თქვი და თუ გიას ყურამდეც არ მივიდეს ეგ ამბავი, რაც გინდა, ის მიქენი-მეთქი. დამიჯერა? გაიგიჟა თავი, ჩემმა ძმამ რომ გაიგოს, მომკლავსო. რამდენიმე ხნის შემდეგ, ინას, როგორც ყოველ ზაფხულს, დასავლეთიდან ნათესავი ესტუმრა. მის ჩამოსვლას უბნის ბიჭები დიდი სიხარულით ეგებებიან ხოლმე. რა თქმა უნდა, გიაც. საღამოობით, ბირჟაზე, ნანას ხმამაღალ კის-

კისსა და მასზე გაგიჟებული ბიჭების ყურებას, ჭკუაზე გადაჰყავდა საბრალო გოგო. ერთ დღეს ინა გულახდილობის გუნებაზე დადგა, ნანას თავისი გულისტკივილი გაუმხილა და ბოლოს, თხოვნით მიმართა, იქნებ დაუმეგობრდე და გამიგო, თუ უყვარს ვინმეო. ნანამ თანხმობის ნიშნად გაუღიმა და ლოყაზე ხელი მოუთათუნა. გადიოდა დღეები, ინა უიმედო სიყვარულით იტანჯებოდა, გრძნობდა, რომ შეცდომა დაუშვა, იცოდა, რითიც დამთავრდებოდა ნანასა და გიას მეგობრობა. ერთ დღეს კი სიყვარულით დახუნძლული გული სამუდამოდ გაებზარა, როცა ნანასგან გაიგო, რომ გიამ სიყვარული მას აუხსნა. ლუნა".

## „მიყვარს"

„არასოდეს მითხოვია ვინმესთვის დახმარება, მაგრამ ახლა თქვენ უნდა მოგწეროთ: სიყვარულით გავთხოვდი. გათხოვების მერე აღმოვაჩინე, რომ ჩემს მეუღლეს პათოლოგიური სიმთვრალე ჰქონდა. ძალიან ბევრი რამ გადავიტანე, მაგრამ ყოველთვის ვფიქრობდი, რომ გავშორდე, ვერ გადაიტანს-მეთქი. თან მიყვარს. თუმცა, სიფხიზლეში არაჩვეულებრივი მამა და მეუღლე იყო. რამდენჯერ უთქვამთ, ამისთანა გოგო რატომ ითმენ ამდენსო. ყველას უკვირდა. არც განათლება აქვს, ერთი უბრალო მძღოლია, მაგრამ ყველას ხომ ვერ ავუხსნი, რატომ? 20 წლის ოჯახი მაქვს და დღემდე ვითვლი წუთებს, როდის მოვა სახლში. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ჩემთვის არ უღალატია. ისეთ უბანში ვცხოვრობ, ინტერნეტი არ კეთდებოდა. ძალიან ბევრი ვიწვალე და მაინც გავაკეთე. ნეტავ არ გამეკეთებინა. დაჯდა ჩემი მეუღლე ინტერნეტთან, დარეგისტრირდა და გაიცნო ვიღაც ქალი. რომ ვნახე, ვთხოვე, აღარ გაეგრძელებინა ურთიერთობა, ოჯახს საფრთხეს უქმნი-მეთქი. მიპასუხა, ვერთობოდი უბრალოდო. კაცობა დაიფიცა, აღარ განმეორდებაო. დავიჭირე მეორედაც. მაშინ ბავშვები დაიფიცა. დავიჭირე მესამედ და ამას ძალიან დიდი ჩხუბი მოჰყვა. მერე თითქოს შევრიგით. იცით, რატომ? მთვრალი დაჯდა საჭესთან და თუ არ შემირიგდები, თავს მოვიკლავო, — მითხრა. მართლა რამე რომ მომხდარიყო, თავს ვერ ვაპატიებდი. მინდა ვთხოვო მათ, ვინც ვირტუალურად ერთობა. ნუ დაუნგრევთ ოჯახებს სხვებს, სხვის უბედურებაზე ბედნიერება არ შენდება! მე დღესაც მიყვარა ჩემი ქმარი".

## მორიდებული

„ქორწილია! ქორწილი! როგორც იქნა, მეღირსა ხელის გულზე გაზრდილი ბიძაშვილის გათხოვება, მეც დიდი ხნის ნანატრი ოცნება ამიხდა და მთელი მონდომებით დავიწყე მზადება. დიდი სიხარულით გავემართე ქორწილში, მაგრამ რად გინდა? შინ ტკივილითა და სევდით „გაჯერებული" დავბრუნდი, თან — „შანსგაშვებულიც". არც მრავალსიტყვაობით და არც ცეკვა-თამაშით არ გამომიჩენია თავი, ჩემთვის მშვიდად ვიყავი და სიმართლე გითხრათ, მიკვირდა კიდეც, ბიჭები ჩემ ირგვლივ ბუზებივით რომ ტრიალებდნენ. განსაკუთრებით ერთი ყმაწვილი არ მაშორებდა თვალს. რაღა დაგიმალოთ და მეც ძალიან მომეწონა, მაღალი, თხელი, მამაკაცური სახის ნაკვთებით და რაც მთავარია, ჩემი გაყინული გულის გათბობა შეძლო. საცეკვაოდ ორჯერ გამიწვია და ორჯერვე უარით გავისტუმრე, მიუხედავად იმისა, რომ მასთან ცეკვის სურვილით ვიწვოდი. კიდევ რამდენიმეს ვუთხარი უარი ცეკვაზე. თუმცა, ერთ-ერთს, ჩემი „შავი პრინცი" რომ მეეჭვიანებინა, დავთანხმდი. თან თვალი მისკენ გავაპარე. აღარ მიყურებდა სიყვარულით. როგორც იქნა, დავასრულეთ ცეკვა. უცნობი ბიჭი ხელზე მეამბორა, მადლობა გადამიხადა, ბიჭებს ამაყად გადახედა, აქაოდა, მე მეცეკვა და თქვენ არაო. მე კი ჩემს „შავ პრინცს" ვეძებდი თვალებით. დავინახე, ჩემკენ მოდიოდა. მომიახლოვდა... სახეზე ღიმილგადაფენილმა ხელი გამომიწოდა, უნდა მეცეკვო, უარს არ მივიღებო, მითხრა. წინააღმდეგობა არ გამიწევია, თვალის დახამხამებაში მოვეშვი, მივინაბე და კინაღამ წავიქეცი. თუმცა, ისე ვყავდი ჩახუტებული, ძალიანაც რომ მნდომოდა, ვერ წავიქცეოდი. მივყვებოდით საოცარ, ჰაეროვან მუსიკის ტალღებს და ჰაერში დავფრინავდით. მისი ცხელი სუნთქვა პირდაპირ ჩემს ყელს ეცემოდა და ნაზად მელამუნებოდა. ვიცოდი, რომ ჩემი ოჯახის წევრები მიყურებდნენ, მაგრამ იმ წუთში ჩემთვის არავინ და არაფერი არსებობდა, მხოლოდ მე და ის ვიყავით. როგორც იქნა, მისი მკლავებიდან თავი გავითავისუფლე. მრავლისმეტყველად შემომხედა, ხელზე მეამბორა და სადღაც გაქრა. უკან სწორედ მაშინ დაბრუნდა, როცა ერთ ბიჭს ვეცეკვებოდი. ჩვენკენ წამოვიდა, რა ხდებაო? იკითხა. იმანაც მოკლედ უპასუხა, რა უნდა ხდებოდესო? და ცეკვა განვაგრძეთ. ქორწილიც დასასრულს მიუახლოვდა, შინ მივდიოდი, ფეხები კი უკან მრჩებოდა. მეგონა, სამუდამოდ დავკარგე. ტაქსის ველოდებოდით, რომ მოვიდა და ყველას თანდასწრებით ჩემი ნომერი მთხოვა. უარი ვუთხარი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ყველაფერი დამთავრდა. ან როგორ მიმეცა ჩემი ნომერი მთელი სანათესაოს თანდასწრებით? დამპირდა, რომ აუცილებლად მომაგნებდა... მერე ორივე სხვადასხვა ტაქსიში ჩავსხედით. ბოლოჯერ შეხვდა ჩვენი სიყვარულით ანთებული მზერა ერთმანეთს. წავიდა და ჩემი გულიც თან გაიყოლა. მშობლებისა და ნათესავების რომ არ მომრიდებოდა, მისი სიყვარულის შანსს ხელიდან არ გავუშვებდი. გაცოცხლებული თოჯინა".




## ექსკურსია

„ამას წინათ დაქალი ჩამომივიდა ბათუმიდან. სიხარულით დავათვალიერებინე თბილისის ღირსშესანიშნაობები და ბოლოს ნარიყალა-

ზე ავედით. თან ჩვენი მეგობარი ბიჭი გვახლდა... ჯერ იყო და იმ კლდეებზე ძლივს ავფორთხდით და მერე თავყბადაუღლეწავად ჩამოსვლისთვის დავიწყეთ სტრატეგიული გეგმების მოფიქრება. როგორღაც მივაგენით შედარებით მოსახერხებელ ჩამოსასვლელს. რომა ჩამოსვლაში გვეხმარებოდა... დაღმართი კი იყო, მაგრამ ვიფიქრე, ხელს თუ გამიშვებს, აწი აღარ გამიჭირდება დადგომა-მეთქი და ხელი გავაშვებინე. დადგომა კი არა, დაღმართზე ისეთი სისწრაფით დავეშვი, ლამის კედებიდან თითები გადმომიცვივდა... და ასე სიჩქარეაკრეფილი, ეკლესიისკენ მიმავალ ბიჭს მთელი ძალით მივენარცხე... ის რომ არა, მტკვარში ყვინთაობა არ ამცდებოდა, მაგრამ ისე შემრცხვა, მტკვარში ჩახტომა მერჩია. ბიჭმა სიტუაცია იუმორით განმუხტა. დიდი მადლობა პატრულს კი არა და დააათოს... SWEET-GIRL“.

## კარატისტი

„მხედრიონელების“ დროს თიკა XI კლასში სწავლობდა. ერთხელ ისე მოხდა, რომ სახლში მისვლა შეაგვიანდა. უკვე ჩამობნელებულიყო და იგი შინისკენ მიმავალ გზას მიუყვებოდა. უეცრად, ჰორიზონტზე ორი, აშკარად ნარკომანი ბიჭი გამოჩნდა. ისინი თიკასკენ გამოემართნენ. გოგონას შიშისაგან მუხლები აუკანკალდა, საშინელებას მოელოდა და აი, უკვე მის წინ დგას ორი დაბოლილი მხეცი. შიშის მომენტმა პიკს მიაღწია. უეცრად, თიკამ ჩანთა მოისროლა, ქურთუკი გაიხადა და ისეთ პოზაში დადგა, თითქოს კარატისტი იყო და ჩხუბის დაწყებას აპირებდა (არადა, კარატესი არაფერი გაეგებოდა უმწეო გოგოს). ნარკომანები ფუნქციადაკარგული ტვინებით ვერ მიხვდნენ, რომ მათ წინ უსუსური არსება იდგა. ეს ვის გადავეყარეთ, კარატისტი ყოფილაო და მოძუძგეს. თიკაც მათი მიმართულებით გაიქცა, რადგან სახლი იქით ეგულებოდა და შინ შეღწევა სურდა. თან კარატისტივით წიოდა. ნარკომან კურდღლებს ეგონათ, ჩვენ მოგვდევსო და ისეთი სიჩქარე განავითარეს, ნებისმიერ სპორტსმენს შეშურდებოდა. ასე გაუშვეს პატარა გოგონათი გართობის შანსი ხელიდან. P.S. დღეს თიკა მსახიობია. არცაა გასაკვირი, არა? თათუ“.

## მოტაცება

„დღევანდელი თემის მთავარი გმირი, არც მეტი, არც ნაკლები, ჩემი მეზობელი, გურული ქალბატონი, სუპერდიასახლისი და მეოჯახე, ხალასი იუმორის პატრონი და კარგი მოქეიფე, ლამაზი და მადის აღმძვრელი ფორმების პატრონი ეკაა. ათიოდე წლის წინ, აგვისტოს ცხელ დღეს ეკას, რომელიც საავადმყოფოში მუშაობდა, პაციენტის ქმარმა მიაკითხა სახლში და ცოლის გასასინჯად წაყოლა სთხოვა. ეკა გამოიპრანჭა და წავიდა. განუყრელი შლაპითა და ღრმა დეკოლტეთი მიიჩქაროდა პაციენტისკენ. უეცრად, სად იყო და სად არა, ავტომობილი შეჩერდა მათ სიახლოვეს. იქიდან თავი გადმოყო უცნობმა მამაკაცმა და ეკას თანმხლებს მიესალმა. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ კი თავაზიანმა ნაცნობმა დანიშნულების ადგილზე მიყვანა შესთავაზა. რაღა თქმა უნდა, მზის ცხელ გულზე სიარულს, მანქანით „მისისინება“ ჯობდა. ამიტომ ეკუნას დიდხანს არ უფიქრია, ჩაუჯდა უცნობებს მანქანაში და კმაყოფილებით აღვსილმა, ბიჭებს ღიმილით უთხრა: „თქვენ გეიხარეთ, რავა გადამარჩინეთ მზის დარტყმას ამ 40-გრადუსიან სიცხეში“. რა იცოდა ეკამ, რომ პატივნაცემი და გადარჩენილი კი არა, არც მეტი, არც ნაკლები, მოტაცებული იყო. ასე და ამგვარად, კურიოზულად ამოყო თავი ეკამ გურიის ერთ-ერთ მაღალმთიან სოფელში. არ შემიძლია არ მოვყვე, თუ როგორ განვითარდა მოვლენები ავტომობილში. ნუ, მოკლედ, იქ ამბავი იყო, როგორც იტყვიან, დედა შვილს არ „აწიკავდა“ ხელში. როგორც კი ეკა მიხვდა, რაც ხდებოდა მის თავს, ატეხა წივილ-კივილი. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ტრადიციულ საპროტესტო ნოტაზე გაჰკიოდა მოტაცებული „ლეგენდა“ ქალი და გვერდით მჯდომ უცნობ, ტანმორჩილ მამაკაცს, რომელიც სასიძო ყოფილა, ჩაფრენოდა ქოჩორში და გამეტებით ანჯღრევდა. ერთმა „გამტაცებელმა“ იფიქრა, გავაკავებ გაავებულ პატარძალსო და სწორედ აქ შეცდა მწარედ. ეკამ უზარმაზართვლიანი ბეჭდით დამშვენებული მარჯვენა ხელი მოუქნია არამკითხე მოამბეს და ისეთი „სინიაკი“ დაახატა მარცხენა თვალზე, რომ კარგა ხანს ამშვენებდა მის სიმპათიურ სახეს. დანიშნულების ადგილზე მისულებმა კი გაკერპებული და შეუვალი ეკა მანქანიდან რის ვაივაგლახით გადმოსვეს. რა არ უთხრეს, როგორ არ სცადეს მისი დაყოლიება, მაგრამ ვერა და ვერ მოტეხეს პოტენციური სარძლო. რამდენიმესაათიანი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, ეკამ ტუალეტში გასვლა ითხოვა, მეთვალყურედ კი სასიძოს მამიდაშვილი გოგო გააყოლეს, რომ არ გაპარულიყო, მაგრამ ჩვენს სიძეს, ასე რომ იწვოდა და იდაგებოდა ეკას სიყვარულით, მოღალატე იქ ჰყოლია ჩასაფრებული, სადაც ყველაზე ნაკლებად ელოდა. მამიდაშვილმა ეკა გააპარა. აბა, ახლა კაცს ასეთი ნათესავი რომ გეყოლება, მტრის ყოლა რაღა აუცილებელია? ეკა უკანმოუხედავად გაიქცა. თავი უცნობ ოჯახს





„მძიმე ჯვარს“ ატარებს

შეაფარა და მათაც სხვენში დამალეს გამოპარული ქალი. უპატარძლოდ დარჩენილ სიძეს კი მალე ეკას ნათესავები და ახლობლები ესტუმრნენ და კაი გემრიელად შემოსცხეს ზედმეტი გამბედაობის გამო. რა თქმა უნდა, ეკა სახლში დაბრუნდა. იმის მერე კი უკვე მოგახსენეთ, რამდენი წელიც გავიდა, მაგრამ ჩვენი ეკა ჯერ კიდევ სახლში ზის გაუთხოვარი და თავის შიოლას ელოდება. არადა, ნეტავ ვიცოდე, სად აქვთ ამ კაცებს ტვინი და თვალები, ასეთი სუპერქალი მარტო რომ დაიარება, ახლა უკვე რუსთავის ქუჩებში. ეკუ, უზომოდ მიყვარხარ და ვიცი, არ გაწყენინე ამ მესიჯით. იკუშკები“.

## თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები.

„ჩემს მეზობელს კარი ჩაეკეტა და მეზობელ გიოს დაუძახა (გიო სვანია), მოდი, აივნიდან გადმოძვერი და კარი გამიღეო. გიო აივნიდან გადავიდა, მართლაც გაუღო კარი და უკან ისევ იმავე გზით დაბრუნდა, როგორც მოვიდა ანუ აივანზე გადაცოცდა. ჩუპი“.

„მგზავნელებო, დედაჩემმა გაუშვა შანსი ხელიდან, რომ მარი ჯაფარიძე გაეცნო. აი, ასე იყო ყველაფერი: როგორც იცით, მე დასავლეთში ვცხოვრობ. ჩემი სახლი ცენტრალურ ტრასასთან ახლოსაა. თურმე დედა ჩემს გიოს ასეირნებდა და გზაზე მანქანა გაჩერებულა, მანქანიდან კი ქალი გადმოსულა და გზის მეორე მხარეს, ჭიქით ხელში, წყლის დასალევად გადაცუნცულებულა. დედას მარი მხოლოდ სურათში ჰყავს ნანახი, მაგრამ მაინც უცნია. თუმცა, შეეჭვდა და ახლოს ვერ მივიდა, რომ ეკითხა, მარი ხართ ჯაფარიძეო? მოკლედ, ამ მანქანის ნომერი დაიმახსოვრა დედამ და მითხრა. მე მარის მოვახსენე ყველაფერი და მართლაც არ დაემთხვა? თურმე მარი ყოფილა. ორივემ ცალ-ცალკე ინერვიულა, დედამ — რატომ არ მივედიო, მარის კი გული დაწყდა და მითხრა, დედაშენს უსაყვედურე მსუბუქად, რატომ არ მოვიდა და არ გამომეცნაურა, თან „გზავნილშვილსაც“ გავიცნობდი, მაგრამ რომ მოსულიყო და ეთქვა, თქვენ მარი ხართ ჯაფარიძეო, მერე გენახა ჩემი გაოცებაო. ასე იყო ეს ამბავი და მარი, დამიბეჭდე, რაა! ელისო“.

„ცოლი რომ მოვიყვანე, ცხონებულ ბებიას ბრიუს ლის ფილმები ახალი ნანახი ჰქონდა და თავს დაგვესხა, თავისი განუყრელი ბამბუკის ჯოხით. ხან აქით იქნია, ხან იქით, ხან ჰაერში ახტა, ხან მიწაზე გაგორდა, მაგრამ ჩვენ რომ ვერა დაგვაკლო, ძმაკაცები მოიკითხა, სად არიანო და როცა აღმოაჩინა, რომ 2 მათგანი გვერდით ედგა და მათ ხელს იყო დაყრდნობილი, იქ ამბავი ატყდააა... ბებია ცალკე დაფრინავდა, ბამბუკი და ძმაკაცები — ცალ-ცალკე. ბებიის გაშვებული შანსი კი ის იყო, რომ ისინი არ ამოხოცა. ბებია ნახევარი წლის წინ გარდაიცვალა და მის პანაშვიდზე მოიოხეს გული ძმაკაცებმა. ის იცინის, ვინც ბოლოს იცინისო. სანთელი“.

„შანსი მქონდა, საყვარელ ადამიანს ცოლად გავყოლოდი, მაგრამ რადგან ახალგამომცხვარი შეყვარებულები ვიყავით, უარი ვუთხარი. შემდეგ ჩვენი გზები გაიყო და ახლა მიხარია, ეს შანსი რომ გავუშვი, რადგან ამ ადამიანს დიდხანს ვერ გავუძლებდი და ოჯახი დამენგრეოდა... P.S. ჩემი გულის ნაწილი მას ახლაც უკავია, მაგრამ მასზე უკეთესი ვიპოვე. ელია“.

„მამიდა ლატარიის ბილეთებს ყიდულობდა. 5 ცალი უნდოდა, გვერდით მდგომ კაცს კი — 1. ბილეთები მეტი არ იყო, ჰოდა, 1 ცალი დაუთმო და იმ კაცმა მანქანა მოიგო. აი, გაშვებული შანსი. კუნა“.

„ჩემი სიდედრის გაშვებული შანსი იყო, ჩემი ყოფილი შეყვარებულის ჩინელ ბიზნესმენზე მითხოვება რომ უნდოდა და ცხვირწინ ავაცალე და მე შევირთე. მაშინ უნახავთ მის სახეზე ცისარტყელას ფერები მონაცვლეობით, მაშინ აუღია ხელში მახვილი და ვიდოდა წინაშე ჩემსა, სახითა მრისხანითა. თუმცა, გადავრჩი და დღეს შენ გწერ ამას. სანთელი“.

***„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „ერთხელ მეც ვჭამე სირცხვილი“. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“, ამჯერად კითხვა ასეთია — „როგორ დავიწყებდი პუტინისადმი მიწერილ წერილს?“***



# ექიმის მოციქული

დასაწყისი — „გზა", №38-25

მარი ჯაფარიძე

ანდრო ჩემთან მოვიხმე და ვთხოვე, ცოტა ხანს დარჩენილიყო. სკამზე ჩამომიჯდა და ღიმილით შემომხედა. მიხვდა, რომ მასთან ლაპარაკი მინდოდა.

— ანდრო, ქართული სახელი ვინ დაგარქვა?

— დედამ.

— დედა ქართველი გყავს?

— არა, რუსი. მამა მყავდა ქართველი და დედამ ქართული სახელი შემირჩია იმ იმედით, რომ იქნებ ჩემზე გული არ აეყარა.

— სად არის ახლა მამაშენი?

— არ ვიცი, ის არასდროს მინახავს და როგორც ვიცი, არც მას გასჩენია ოდესმე ჩემი ნახვის სურვილი. ერთადერთი, რაც ვიცი, ისაა, რომ დედამ მითხრა, მამაჩემის დედას რუსი რძალი არ სდომებია და მამაჩემს ამიტომ უთქვამს ჩვენზე უარი.

— ე.ი. შენ და დედა დარჩით უმამოდ?

— არც დედა მყავს, ბავშვთა სახლში გავიზარდე.

— გარდაიცვალა?

— არა, რატომღაც ასე მიიჩნია საჭიროდ, რომ ცხოვრების გაგრძელებაში ხელს შევუშლიდი და უკეთესი იქნებოდა, თუ ბავშვთა სახლში მიმაბარებდა.

— მაშასადამე, მძიმე ბავშვობა გქონდა, არა?

— შემეცოდა.

— ჰო, მაგრამ ახლა უკვე ყველაფერი დამთავრდა და აღარც კი მახსოვს, რომ ოდესღაც გულჩათხრობილი და საცოდავი ბავშვი ვიყავი. თმაგადახოტრილი, „ზელიონკით" დაფარული ლოყებითა და შუბლით.

— ამას წინათ მითხარი, რომ ციხეში იჯექი, არა?

— ჰო, როდესაც 18 წლის გავხდი, ბავშვთა სახლიდან გამომიშვეს. დედას მისამართი ვიცოდი და მივადექი. აბა, რა უნდა მექნა? ქუჩაში ხომ ვერ დავრჩებოდი? დედაჩემს 1-2 წელიწადში ერთხელ ვნახულობდი ხოლმე და ასე თუ ისე, ვიცოდი, როგორი იყო. როდესაც შინ მივაკითხე, მივხვდი არ ესიამოვნა ჩემი ნახვა. სახლში შემიშვა და მომისმინა კიდეც, მაგრამ მერე მითხრა, ერთი ოთახი მაქვს და რა ვქნა, აქ ერთად როგორ ვიცხოვრებთო? წამოვედი იქიდან და იძულებული გავხდი, ღამე სადგურზე გამეთია. ასე ვიცხოვრე კარგა ხანს. ამასობაში ცუდ წრეში მოვხვდი და ავარდნილ ბიჭებს ავყევი. აბა, თავის რჩენა ხომ მინდოდა და რა უნდა მექნა? ეს იყო ფულის შოვნის ყველაზე იოლი ხერხი.

— რა? რა იყო იოლი ხერხი?

— საღამოს, გვიან, ფეხით მიმავალ ადამიანს ავეკიდებოდით ხოლმე და როგორც კი შესაფერის მომენტს ვნახავდით, მაშინვე ვართმევდით ფულსა და ოქროს ნივთებს. მერე დაგვიჭირეს და ციხეში მოვხვდი. იქ ერთი კარგი ადამიანი გავიცანი. 40 წლის მამაკაცი იყო, ქურდი. პირველივე დღეს დამიბარა და ყველაფერი დაწვრილებით მომაყოლა ჩემ შესახებ. ყურადღებით მისმენდა, ჩუმად... ლაპარაკი რომ დავამთავრე, შევნიშნე, თვალზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი. ადგა და გავიდა, რათა ცრემლი არ დამენახა. მერე ციხეში მოინდომეს ჩემი დაჩაგვრა. მათამაშეს და ცოტა ფული წავაგე. იმის ყურამდე მივიდა. დამიბარა და მკითხა, როგორ აპირებ თავანის ჩაბარებასო? კიდევ ვითამაშებ, მოვიგებ და ჩავაბარებ-მეთქი. თავში წამომარტყა და სასტიკად ამიკრძალა კარტთან და კამათელთან მიკარება. ის თავანი თვითონ ჩამიბარა და ყველა გააფრთხილა, რომ ჩემთან აღარ ეთამაშათ. ერთ დღეს მკითხა, რა პროფესიას აირჩევდი, ამის შანსი რომ გქონდესო? ამაზე წინათ არასოდეს მიფიქრია და პასუხი ვერ გავეცი. ვთხოვე, დავფიქრდები და მერე გეტყვი-მეთქი. თავი დამიქნია თანხმობის ნიშნად. რამდენიმე დღის შემდეგ ერთი პატიმარი ავად გახდა და ექიმი მოიყვანეს. იმ პატიმარს ასთმა ჰქონდა და ლამის მოკვდა. ვუყურებდი, როგორ იბრძოდა ექიმი იმისათვის, რომ მკვლელისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა და

**ვუყურებდი, როგორ იბრძოდა ექიმი იმისათვის, რომ მკვლელისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა**

ლამის გავგიჟდი. მეორე დღეს იმ კაცს ვუთხარი, ექიმობას ავირჩევდი-მეთქი. პატიმრებში ისეთი ადამიანები მოძებნა, ვინც იმ საგნებში ერკვეოდა, რაც სამედიცინოზე ბარდებოდა. საჭირო წიგნები მოატანინა ჩემთვის და დავიწყე მეცადინეობა. სულ 7 წელი მქონდა მისჯილი. მეუბნებოდა, ამ 7 წლის მანძილზე ისე უნდა ისწავლო ყველა საგანი, მისაღებ გამოცდებზე ხუთიანები მიიღოო. მთელი გულისყურით ვმეცადინეობდი. ფაქტობრივად, სწავლა ნულიდან დავიწყე. მერე ისევ იმან იჩალიჩა, რომ ვადაზე ადრე გავეთავისუფლებინე და როგორც ვიცი, სოლიდური თანხაც გადაიხადა. 4 წლის მერე გამომიშვეს. წამოსვლისას მითხრა — მე შემეძლო, უფრო ადრე გამეშვი, მაგრამ სწავლაზე ხელს აიღებდი, აქ კი ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ იყავი და ვერაფერს გამომაპარებდიო. თავისი სახლის მისამართი მომცა, სადაც დედამისი ცხოვრობდა და წერილიც გამატანა. ასე გამიჩნდა ჭერი და 2 თვის შემდეგ საბუთებიც შევიტანე სამედიცინო ინსტიტუტში. საუკეთესო შედეგები ვაჩვენე და ჩავირიცხე კიდეც. როდესაც სიები გამოქვეყნდა და გავიგე, სტუდენტი გავხდი, პირდაპირ ციხეში წავედი და ვაცნობე ჩემს მფარველს. სიხარულისგან ფეხზე აღარ იდგა. მეხვეოდა. ამჯერად ცრემლებს აღარ მალავდა. ასე გავხდი სტუდენტი და ინსტიტუტი წითელ დიპლომზე დავამთავრე. ესაა ჩემი თავგადასავალი. ჰო, იმის თქმა დამავიწყდა, რომ დედაჩემი გარდაიცვალა. ახლა იმ ბინაში მე ვცხოვრობ.

— იმ შენს მფარველს რა ბედი ეწია? ან ვინ იყო? სახელი მითხარი, აუცილებლად მეცოდინება.

— პოვარა.

— რაა? — გამიკვირდა.

პოვარა ის კაცი იყო, ჩემი მშობლების მკვლელებზე შურისძიებაში რომ დამეხმარა.

— ახლა სადაა? — გადავამოწმე, ყოველ შემთხვევაში.

— ახლა ლენინგრადის ციხეზე ზის და კვირაში ერთხელ მის სანახავად დავდივარ.

— ძალიან დიდი სიკეთე გაუკეთებია მაგ კაცს, — დავფიქრდი და რაღაცნაირად შემშურდა, რომ მე ასეთი რამის გაკეთება ვერ მოვახერხე, — რომ გამოვკეთდები და ფეხზე ავდგები, აუცილებად წამოვალ შენთან ერთად.

— ვიცი, რომ იცნობთ მაგ კაცს. სანამ თქვენ ავად იყავით, რამდენჯერმე ვინახულე და მოვუყევი თქვენი ამბავი. გული დაწყდა — კარგი ბიჭია და დამენანება, რომ ვერ გამოჯანმრთელდესო, — ამბობდა და თქვენს ამბავს სულ კითხულობდა. ახლა წავალ, ვეტყვი, რომ მალე კარგად იქნებით და გავახარებ.

— ისეთი შთამბეჭდავი ამბავი მომიყევი, რომ კარგა ხანს გამყვება მაგაზე ფიქრი.

ანდროს რაღაცნაირად, საყვარლად გაეღიმა.

— იცი, რა მინდა გკითხო? — წამოვიწყე ჩემთვის საინტერესო თემაზე ლაპარაკი.

— არა, მე ნურაფერს მკითხავთ, ყველაფერს თქვენები მოგიყვებიან, — უცებ მომიჭრა სიტყვა.

— კარგი, როგორც გინდა, — ნაწყენმა მივაბრუნე თავი.

— იცით, როგორ შემშურდა, როცა დედათქვენი მოვიდა და გავიგე, რომ თურმე გაუშვილებიხართ? ყველაფერი დაწვრილებით ვიცი ამის შესახებ და მიხარია, რომ მშობლებს არასოდეს დავიწყებიხართ.

— ჰო, მაგ მხრივ გამიმართლა, — გაღიმება ვცადე.

უეცრად კარი გაიღო და ქალი და მამაკაცი შემოვიდნენ.

— ვააა, დათო? — გამიკვირდა ჩემი თბილისელი მეგობრისა და თანაკლასელის დანახვა. — აქ როგორ მოხვდი?

— აქ შენთან ჩამოვედი, ერთი თვის წინ, მაგრამ თურმე ავად ყოფილხარ, ჰოდა, ველოდით, როდის მორჩებოდი, — გადამეხვია დათო და თბილად ჩამიკრა გულში. — ეს ჩემი მეუღლეა, გაიცანი, — ქალს გზიდან ჩამოეცალა და საშუალება მისცა, ჩემთან ახლოს მოსულიყო.

იმან ხელი ჩამომართვა და სახელი ისე ხმადაბლა წარმოთქვა, რომ ვერც კი გავიგონე.

ულმერთოდ ლამაზია, — გავიფიქრე და თვალი ავარიდე.

— შენ კი ნაღდად არ გელოდი აქ, — სიხარულს ვერ ვმალავდი, ისე გამიხარდა დათოს დანახვა.

საავადმყოფოში მნიშვნელოვანი აღარაფერი მომხდარა. 2 კვირის მერე ფეხზე ადგომის უფლება მომცეს, კიდევ 2 კვირის შემდეგ შინ გამიშვეს.

საავადმყოფოდან ისე გავეწერე, მელანო არ მინახავს. რაღაცნაირად, მენატრებოდა თითქოს და ერთი სული მქონდა, შინ როდის მივიდოდი, რომ მენახა.



**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



# მობილი-ზაცია

*იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.*

## ქალები



1. გავიცნობ სიმპათიურ, ყურადღებიან, ფინანსურად ძლიერ მამაკაცს, ყველაფრით უზრუნველყოფილს. ვარ 36 წლის, სასიამოვნო გარეგნობის, ვცხოვრობ თბილისში.

2. ვისაც სურს, ჰქონდეს თბილი ოჯახი! გავიცნობ დასაქმებულ, ბინით უზრუნველყოფილ მამაკაცს, თუნდაც ქვრივს, 50 წლამდე. ვარ ახალგაზრდა, 47 წლის მანდილოსანი.

3. მაინტერესებს „მობილიზაციაში“ მე-9 მესიჯის ავტორის, ზურას ნომერი.

4. ვარ ქვრივი. გამომეხმაუროს 35 წლამდე ნორმალური, დამოუკიდებელი მამაკაცი, ვისაც ნამდვილად უნდა ოჯახის შექმნა.

5. ვარ განათხოვარი ქალი, 33 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მამაკაცს, 45 წლამდე. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ.

6. გავიცნობ სერიოზულ, დასაქმებულ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ ქვრივი, 40 წლის, სიმპათიური, ბავშვით, ბინით. ქეთი.

7. ვარ 29 წლის, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, გასათხოვარი გოგონა. ვეძებ ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფილ ადამიანს.

## მამაკაცები



8. მსურს, გვერდით მყავდეს სიცოცხლით და სიყვარულით სავსე მანდილოსანი, რომელიც დამაფასებს და რომელსაც დავაფასებ!

9. „გზა“ №25, მე-5 მესიჯის ავტორის ნომერი გამომიგზავნეთ.

10. გავიცნობ ჭკვიან, მიზანმიმართულ, დამოუკიდებელ ქალბატონს, 30-38 წლამდე. სასურველია, ცხოვრობდეს საბერძნეთში.

11. ვარ 40 წლის, უცოლო, ნორმალური გარეგნობის მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-36 წლამდე, ქალაქში ბინით და მატერიალურად უზრუნველყოფილ ქალბატონს. იყოს თუნდაც განქორწინებული ან ქვრივი და ჰყავდეს ერთი მცირეწლოვანი შვილი, სასურველია, გოგონა. ვარ წესიერი და ზრდილობიანი ადამიანი. გელოდებით!

12. გავიცნობ 25-35 წლამდე ქალბატონს. სასურველია, საბერძნეთში მცხოვრებს. მსურველები გამომეხმაურეთ. ირაკლი.

13. ვარ 38 წლის. გავიცნობ 31-34 წლის მანდილოსანს, ჭეშმარიტ მართმადიდებელს, პატიოსანს, წესიერს, ერთგულს, სანდოს, კეთილ ადამიანს, რომელიც გაალამაზებს ჩემს ცხოვრებას.

14. გავიცნობდი 40 წლამდე ასაკის, მშვენიერ მანდილოსანს, რომელმაც იცის ოჯახის ფასი. ვარ განქორწინებული. მხოლოდ ნაზები და ერთგულები გამომეხმაურონ. სათამაშოდ არავინ შეწუხდეთ.

15. სატრფო არ მყავს, ფულიც არ მაქვს, დარდი მაქვს და რაც ვარ, ეს ვარ, ამიტომაც სხვაზე მეტი, სამჯერ მეტი უნდა შევსვა. მხოლოდ ერთი გამეცანით. გიო.

## ვეძებ



16. ვეძებ ჩემს ძველ მეგობარს, კოტე ლამბაშიძეს, რომელიც 2-3 წლის წინ ყინვალჰესზე დირექტორად მუშაობდა. თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ, გამომეხმაურეთ ჟურნალის მეშვეობით და მომაწოდეთ საკონტაქტო ნომერი. გიგი.

17. ვეძებ ტექნიკური უნივერსიტეტის 1990 წლის კურსდამთავრებულს, სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანში მცხოვრებ ნონა გურაშვილს. ნონა, ძალიან მომენატრე, გთხოვ, გამომეხმაურე. შენი ჯგუფელი, ადიგენიდან.

18. ვეძებ მეგობარს დიმა (ბაჩი) ჯავახიშვილს, უკვე 4 წელია, უშედეგოდ. იქნებ „მობილი-ზაციაში“ დაიბეჭდოს ეს მესიჯი. სად აღარ ვეძებე. 4 წლის წინ ნახალოვკაში ცხოვრობდა, 25 წლისაა. ჩემი

მეჯვარე უნდა ყოფილიყო და დავკარგე.



## სხვადასხვა

• როგორ ხართ, მგზავნელებო? რა ღალატი, სიკვდილ, არ გრცხვენია? ლიმონ, ჩემი, პაწია ანგელოზი ხარ! ჩუპი, ლორე, ეშმაკუნ, მის რეალ, მიყვარხართ და მთელი მგზავნილ იორკიც. დუჩი.

• პრივეტ, ხალხო! 1 წელი იქნება, რაც ამ, ჩემთვის №1 ჟურნალს ვკითხულობ. დამესიჯებას ვერ ვბედავდი, მაგრამ ერთმა გულკეთილმა ადამიანმა, სულ ორიოდე სიტყვით დამიყოლია.

• არსებობს, იმისთვის, რომ მემეგობრება, იმისთვის, რომ სასიამოვნო განწყობას მიქმნის და ცხოვრების ხალისს მმატებს, იმისთვის, რომ მის გამო ყოველი საღამო ლამაზია.

• ლუუნ, მართალია არ გიცნობ, მაგრამ ძალიან მაინტერესებს, მთვარე ხარ, შოკოლადი ლუნა, თუ უბრალოდ, ლამაზი გოგოს შესაფერისი ნიკი გაქვს?

• გამარჯობა, მარი და მგზავნელებო. მაპატიეთ, მაგრამ ძალიან ვწუხვარ, აქ რაც ხდება. იქნებ ერთმანეთის განსჯას, ერთმანეთს სიყვარულით მოვეფეროთ. მგზავრი.

• ჩემო სულო, თურმე შენს ტვინზე ჭორაობ და გასაღებიც შენ ყოფილხარ. სიმწრით ღრიალი მინდა და თან მეცინება, ამ აბსურდულ ბრალდებებზე. ღმერთო, დაგვიფარე. ტირიფი73.

• ოლეგარიო, ვ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ! კაკუ.

• ტირიფი73, გვინდა, კამელიამ, ლუნამ და მე იუბილე, 26 ივნისი მოგილოცოთ. ტირიფო, ძალიან გვიყვარხარ და შენ როგორც გინდა, ისეთი ბედნიერი იყავი, ჩვენთან ერთად. გრუზინკა.

• საინტერესოა, როდის გამათხოვეთ და ქმარმა უკან როდის გამომაგდო? იქნებ, ამიხსნა? გასათხოვარ გოგოს სახელს რატომ მიტეხთ? მარი, რატომ ბეჭდავ ასეთ მესიჯებს? ერთი ლორე გამოათხოვეთ და მეორე — მე! გრცხვენოდეთ! სიბოროტეს აჯობებს, სიკეთე თესოთ. მაღალი ღმერთი მაღლიდან იყურება... რას გადამეკიდეთ, რა ენებს იფხანთ? არც გავთხოვილვარ და მით უმეტეს, არც არავის გამოუგდივარ. ისე, ახლო მომავალში, ძვირფასო გასაღებო, ჩემს გრანდიოზულ ქორწილში დაგპატიჟებ და არა მარტო შენ, მთელ მგზავნელებს, მარის თამადობით, პატივისცემით, თქვენი განათხოვარ-გამოგდებული დუჩი.

• ბერბიჭას და ენიგმას უღრმესი მადლობა. ჩემი სათქმელი ამათ რომ გითხრეს. არა მარტო ჩემი. ჯიგრები ხართ. ბიჭებო, იქნებ დაუკმაყოფილოს ვინმემ ქალური ამბიციები და დაოკდეს!

• მე-2 წელია, აქ ვამესიჯებ. ასეთი შეურაცხყოფა ჩემთვის რომ მოეყენებინათ, მით უმეტეს ბიჭებს, „გზის" ფურცლებზე საერთოდ არ გამოვჩნდებოდი... დუჩი.

• სიკვდილ, ნიბუ, დედიკო მყავს ქსნის ხეობიდან, მეც შემოგიერთდებით და მივასიკვდილოთ რუსებიც და ზოგიერთი, ბოლმით, შურით და გესლით გატენილი ჭორიკანებიც... დუჩი.

• მარი და მგზავნელებო, მაპატიეთ აგრესიული მესიჯის გამო, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო. გავბრაზდი. ასეთ შეურაცხოფას არავის ვაპატიებ! პასუხს გასაღებს აღარ გავცემ.

• კიდევ, გრუზინკას ფაქტობრივად არ ვიცნობ და საინტერესოა, საიდან მოიტანა ეს იდიოტობა? და თუ ვინმე ჭორაობს, აჯობებს ყველა ჭორიკანამ თავის წარსულს გადახედოს. დუჩი.

• ოლე, შენ ხომ მაინც მიცნობ, მე მართლა მინდა, აქ სითბო, სიმშვიდე, მეგობრობა და სიყვარული დამკვიდრდეს, თორემ ხომ ხედავ, 18 წლის ბავშვი, 40 წლის ქალის წარსულით გამომაჭენეს. მიყვარხართ ყველა და გაფასებთ. მეტი აგრესიული სმს აღარ იქნება ჩემგან, გპირდებით. დუჩი.

• სოფი19, ძაან საყვარელი ხარ. ერთმანეთზე ცუდ რაღაცებს რატომ წერთ, ვერ ვხვდები. კარგი რა, ამოვიდა ყელში სულ კამათი, შეწყვიტეთ! ოლე, ძმა, რავა ხარ? სესი.

• უცნობო, ჩარჩი ძველ დროში, მე კი ცხოვრებას სიყვარულით ვაგრძელებ. გამაცინე. დათო, ცნობისმოყვარეს უთხარ, ვინ ხარ, თორემ ცუდადაა ეჭვებისგან. ლუნა.

• პრივეტები ყველას. მეც თქვენი ფარული მეგობარი გავხდი. ძალიან მიყვარხართ, მგზავნილებო. მარი, შენ ხომ საოცრება ხარ. იმედია, ჩემს სმს დამიბეჭდავ. მოკითხვა ყველას.

• ოლე, ძამი, შენ იელოველი ხომ არ ხარ, საყოველთაო ანუ მგლის და ცხვრის სიყვარულზე „საგუშაგო კოშკში" წერენ ხოლმე, სამოთხე 2 კაცმა დაკარგა და შენ აქ გინდა იპოვო?

• მამებელი, გრუზინკა, გასაღები: აჩვენეთ ეს ქალი (თუ ქალები) მსოფლიოს და ომი აღარ იქნება! ესეც წლის ანეკდოტი, „ალქაიდას" გზა ხომ არ მიგასწავლოთ? მაგათ „ჯიხადი" იციააან?

• დიდი ხანია, თვალს გადევნებთ, ჩემო კარგებო. ძალიან საყვარლები ხართ ყველანი. დუჩი და ჩორი-ჩორი მენატრება განსაკუთრებით. გენაცვალეთ ყველას. ცუნცულა.

• მარ, ძალიან საყვარელი ხარ, კამელია სად დაიკარგა ნეტავ? ბავშვებო, ნუ კამათობთ, გთხოვთ, ერთმანეთს მოვეფეროთ და ერთმანეთი გვიყვარდეს. ცუნცულა.

• ჩემო საყვარელო მგზავნელებო, მაპატიეთ, რომ ვეღარ გეხმიანებით. სახელმწიფო გამოცდისთვის ვემზადები. როგორც კი ჩავაბარებ, თქვენთან ვარ, მეგობრებო. გკოცნით. იკუშკები.

• ნიბუ, მე ჩემს ლაგატკას წამოვიღებ. GREEN GIRL, რუკა, დალშე იცი. :-) თაისს ვეთანხმები, რაღაცას ან ვიღაცას იქამდე უნდა დაანებო თავი, სანამ მობეზრდები. სიკვდილა.

• არ მინდა ცუდად მოწერა, მაგრამ ნერვებმა მიმტყუნა. უცნობო, ენიგმა ჭლექიანი არაა. შენ კი ტვინით დაუნი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ. ენი, გაკოცე. თავისუფალი ჩიტი.

• ჩემი ჯანმრთელობის მაძიებლებს: ჭლექისთვისაც გამიმეტეთ? გაწყნარებთ — ჭლექი არასდროს მქონია და მასზე არც ოპერაცია კეთდება და ვაფშე, აუდეთ, რაა. აცხა, კუდიანებს. ენიგმა.

• კობა გუგუტიშვილო, ნეტავ არასდროს დაფიქრებულხარ წარსულზე? ღმერთმა გადაგიხადოს ამ ტკივილისთვის.

აქამდე კაცი მეგონე. შენ მანდ უნდა დალპე.

• გამარჯობა მარიკუდა. რავა ხარ? ეჰ, მაგ „ჟურლმულიორკის" პირველი ბინადარი მგონი მე ვარ... მარ, ამ ბოლო დროს ისედაც ორ კინკილა გზავნილს მოგწერ ხოლმე და იმასაც არ მიბეჭდავაავ? SWEET-GIRL.

• აუ მარ, როგორ მომანატრე „გზის" ფურცლებზე ჩემი მესიჯების წაკითხვა.

• ყველაზე მეტად მამას ვენდობოდი. ვერასდროს ვიფიქრებდი, სახლში თუ დაჯდებოდა და დედას მოუხდებოდა სამუშაოდ საქართველოდან წასვლა და 4 შვილის დატოვება. თაისი.

• მარიამულო, მენატრები. იცი, როგორ მიყვარხარ? ძალიან, ძალიან, ძალიან. მინდა, კარგად იყო. შენ ხომ ჩემი კეთილი ფერია ხარ. გკოცნი უსასრულოდ. მუდამ შენი ლუნა.

• ლუნა, სალოლ შენ... შინაბერა2 სულ სხვა ტიპის წარმომედგინა... ენიგმა, ბერბიჭა ნუთუ მართლა შენ ხარ? გადავირიე ადამიანი, ამდენ იდუმალებას არსად შევხვედრივარ... ბელო.

• „მობილი-ზაციაში" დამესიჯებას აღარ ვაპირებდი (გარკვეული მიზეზების გამო), მაგრამ ბერბიჭას წასვლამ იმდენად იმოქმედა... მინდა ვუთხრა, რომ მის ნიჭს პატივს ვცემ.

• საღამო მშვიდობის, მარი! სამშობლოს მონატრებას თქვენი „გზის" საშუალებით ვცდილობ. ახლა კი გადავწყვიტე, შეგეხმიანოთ და ხმამაღლა ვთქვა, რომ საქართველო განუმეორებელია.

• დღეს კბილის ექიმთან ვიყავი და მთელი სამი საათი პირი ღია მქონდა. უჰ, რა ვიტირეე... მერე ლაპარაკის თავი აღარ მქონდა. სახლში კი უკვირდათ, ჩუმად რომ ვიყავი. გზავნილებზე და სტომატოლოგიურ კლინიკებზე შეყვარებული აბეზარა.

• 9717, მეც მიკბინა ძაღლმა, არ ინერვიულო, გაგივლის. კარგად მახსოვს 1 თვე სკამზე ნორმალურად ვერ ვჯდებოდი. უ, რა მწარე იყო?! ახლაც მახსოვს იმ ძაღლის გამოხედვა. ბედნიერი ჩანდა და იცი, რატომ? ყველაზე მაგარ ადგილს დაეტაკა საკბენად. რომ ვიხსენებ, საჯდომი ისევ მტკივა. უკარება.

• დიდი სიყვარულით მოვიკითხავ უკარებას, მის რეალს, ბალის, კახელ სალომეს, კახელოს, იარმორკელს, ლიმონას, ნიკოლს, ბაო-ბაოს, გრეენ გირლს, ნონსტოპს, აფხაზეთის პრინცესას, იკჩო-სიხჩოს, იკუშკებს, კანიბალკას, ლელუჩიას, ლორელაის, ილინს, პარიჟანკას, მამაც თოჯინას, კაჭკაჭს, სოფი18-ს (მაგარი ჯიგარი ჩანხარ) ცრაზყ გირლს, კამ-კამას, აბეზარას, კიკო და ბუბუსიკა დაბრუნდით, ტო... კიიდო 1307-ს, ვარდენას, ბოტოტას, ასჰლეყს (სად ხარ?), სესის, ჩორი-ჩორის, ცოცხალას კი არა და სიკვდილას, მგელოს, პატარა მავნეს, ნერტისს, შეწირულს და კლეოპატრას დაბრუნებას მივესალმები. სხვებიც დაბრუნდით, რააააა. ნუ, ამ ვიღაც გასაღებმა თუ დასტამბომ ყველას ჩაუტარა, რა... მაგარია, ტო. მოკითხვაში თუ ვინმე გამომრჩა, თქვენ ჩემთან ბოდიში. 9717.

• მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ, რაც გადის დრო და ხანი, მე უფრო მეტად მიყვარს შენი პატარა ტანი. შენი შავი თმის ბუჩქი, ეგ თეთრი შუბლის სერი, თვალები გიშრისფერი, ლოყები ვარდისფერი. შენი თითები მიყვარს, ორი პატარა თათი, ო, იცი როგორ მიყვარს, ოდნავ შეხებაც მათი? ო, იცი როგორ მიყვარს, გამოუთქმელი ენით? შენი გრძნობების სიღრმე, სულის სიმაღლე შენი. მე დარდიც მიყვარს შენი, შენი ღიმილიც ფართო, მე ცრემლიც მიყვარს შენი, შენი კისკისიც მართობს. მე შუქი მიყვარს შენი, რა არის მისი ფასი, მე ჩრდილიც მიყვარს შენი, მზის დაბნელების მსგავსი. შენთვის მივწვდები მწვერვალს, დიდების ყველა მნათობს, დიდებას დავთმობ შენთვის, შენთვის მწვერვალებს დავთმობ. შენი ოცნებით ვხარობ, შენს დარდს ვატარებ დარდად, მე სხვა სურვილი არ მაქვს, შენი სურვილის გარდა. მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ, მწვავს შენი ტრფობის ალი, მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ, მთელი გრძნობით და ძალით. აი, ამხელაზე მიყვარხარ, ჩემო პატარა ანგელოზო. 9717.

• რისი გეშინია? შენი აჩრდილია, დაგდევს და სურვილი აწვალებს. შენი კოცნა უნდა? არც გასაკვირია, მას კოცნა აკვანში ასწავლეს. 9717.

• ბერბიჭავ, გთხოვ, ნუ წახვალ, ნუ მიგვატოვებ თუნდაც დროებითი იყოს ეს. უსაზღვროდ შეგვაყვარე თავი და შენგან ნაფერებ მგზავნელებს ნუ მიატოვებ. ვინ ვარ, ჩემი თხოვნა რომ მიიღო, მაგრამ სხვებს მაინც ნუ დასწყვეტ გულს. შენს მეგობრებს და კეთილმოსურნეებს. თუ მაინც წახვალ, გზას დაგილოცავ და გთხოვ, მალე დაბრუნდი. თოლია

• მარ, პრივეტ. არ ვიცი, რა არის შემდეგი ნომრის თემა. არც ის ვიცი, „ჟურლმულიორკი" მოიწონეს თუ არა. დილიდან სამსახურში ვარ გამოკეტილი. ნეტავ, ჟურლმულიორკში ხომ არ დამაბრუნებენ? არა, არ მინდა. გპირდებით, ხვალ აუცილებლად ვიყიდი „გზას". გეხუტუნეთ. კლეოპატრა.

• მარი, გთხოვ რა, ასეთი საშინელი, ერთმანეთის მლანძღველი და არასასიამოვნო მესიჯები აღარ დაბეჭდო, თორემ მობილიზაცია ასათიანის კლინიკას დაემსგავსა. ვინც გაბრაზდება, ონკანში ცივი წყალი დიდი რაოდენობით მოდის. ბერბიჭავ, ლიმონ, ლანკა, კამი, იდუმალი ქალი მიყვარხართ. ძველები სად არიაან? თოლია.

• მარი, ახლა უკვე „გზის" ყველა ნომერს ვყიდულობ. მართალია, 1 კვირის დაგვიანებით (საქართველოდან იტალიაში 1 კვირაში ჩამოდის) და თან ევრონახევრად, მაგრამ რას ვჩივი. ენიგმას პასუხს ველოდი. უბრალოდ, მეგობრობა მინდოდა. აზრების, ფიქრების გაზიარება. ალბათ არ დაინტერესდა ჩემით. ნამდვილად არ მინდა, პირდაპირ დამეწერა ნომერი. იმედი მქონდა, შენი საშუალებით დამიკავშირდებოდა. ახლა ეს ნომერი მაქვს. მარიამულ, უბრალოდ სითბო მჭირდებოდა. ადამიანური, მამაკაცური სითბო, გაგება, რჩევა და მეტი არაფერი. ენიგმა, გელოდები. პასუხი მაინც დაბეჭდე. მიყვარხართ, ქართველებო.

• განუმეორებელი და გამორჩეულია. მენატრებით ყველა ქართველი და მადლობა თქვენ, რომ არსებობს „გზა" და მგზავნელები. გფარავდეთ ღმერთი. მარია. მადლობა მარი, წინასწარ.

• ბანკეტების ბუმია და წლევანდელ ბოლო ზარზე მინდა, ჩემი აზრი მოგახსენოთ. მერე ამ ჩემი მესიჯის ავტორს ანუ მე, გინდა აღშფოთებული უწოდეთ და გინდაც, ჩვე-

ნი მეგობარი ქვეყნებივით — შეშფოთებული. ერთ-ერთი სკოლის ბოლო ზარს შევესწარი. არა, კი ვიცოდი, რომ ამბობდნენ, სკოლაში ბავშვი აღარ დარჩა გასათხოვარიო, მარა რაც ვნახე, ეგ მაინც ნამეტანია. უმეტესობა ქმარ-შვილთან ერთად იყო მოსული. ნუ, ვინც არ იჩქარა, ეტყობოდა, ორსულად იყო. მხოლოდ 2 გოგო დადიოდა ეულად და იმათაც დამამშვიდეს, ბანკეტიდან ვიპარებითო. მაგათი ბანკეტი იქნება სერიოზული: ჯერ შვილიანები წავლენ, ბავშვებს ეძინებათო, მერე ორსულები — დავიღალეთო, მერეც ის 2 გოგო აიწკაპნება და დარჩნენ მარტო ბიჭები. ნუ, რა ვიცი, ან მე დავბერდი (18-ის ვარ ჯერ), ან ესენი იყენებენ პირველივე შანსს, იმის შიშით, რომ მეორე აღარ ექნებათ. P.S. გონზე არ ვარ! ფეშენა.

• ხუთშაბათს ჟურნალი შევიძინე, ჟურნალი, ნახატი ყალმისანი, მისი მესიჯნი და „გზავნილები“ პარასკევს გამიხდა საფიცარი. შაბათ დღეს მესიჯი გავაგზავნე და თავს მოსაკლავად ვიმეტებდი, ჩემი ისტორია გავაგზავნე, ჩემი ეჭვები და იმედები. კვირა დღეს დასტავლენოს მოველოდი, ვაი ჩემო ბედო უკეთურო, ენა არ გიჭრისო სამწუხაროდ, ლექსიკას მიხედეო, უბედუროო. თეთრად გავათენე ორშაბათი, სამშაბათს ფიქრებში ვინაპირე, თავმოჭრილივარ-თქო დავასკვენი, ოთხშაბათს თავის მოკვლა დავაპირე. მოვიდა შემდეგი ხუთშაბაოი, WOW! გზავნილი დაბეჭდილა, თანაც ორი, ელვამ დამიარა კოჭებამდე, კალამი გამიხდა თანატოლი. არა, მე ახლა თავის მომკვლელი ვარ? როგორმე უნდა ვძლიო სხვის კრიტიკებს, მე ვიცი, რაცა ოხერი ვარ, ლექსებს დავწერ და ვიტიკტიკებ. ღმერთია ჩემი მწყალობელი, მე კი ამ ჟურნალის მგალობელი. ლიმონა.

• ქალთან უხამსი თამაშით ვინც კი დაარღვევს წესებსა, არსთა გამრიგე მაშინვე ამ სასჯელს დაუწესებსა. ჰოდა, გაფრთხილდით კაცებო, ვისაც არ გიყვართ წაგება, გქონდეთ უფალის რიდი და მანდილოსანის გაგება. ლიმონა.

• პრივეტ მარი, როგორ ხარ? კარგად უნდა იყო, იმიტომ, რომ ამ სამყაროს მოვლა უნდა, გენაცვალე. ასე შეაყვარე ხალხს თავი და ახლა რომ მიატოვო, დაიკარგება ამდენი ხალხის სიყვარული. გაიხარე... კარგი ადამიანები ხართ, მგზავნელებო, ვხალისობ თქვენ მიერ გამოგზავნილი ისტორიებით... იცით, რა მიხარია, მგზავნელებო? ის, რომ ასეთი გაჭირვების დროს, ქართველებს იმის ძალა და იუმორის გრძნობა გვაქვს, რომ ერთმანეთს სიყვარულსა და მეგობრობას ვთავაზობთ. რაც შეეხება ახალ მგზავნელებს, რომელიც არ მოსწონს ზოგს და ძველები დავბრუნდეთ და გადავარჩინოთ „გზაო“ ამბობთ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. მეც ახალი ვარ და სხვებიც. ძველებმა თუ ჩვენზე მეტი იცით და მეტი გამოცდილება გაქვთ, გვითხარით და გვასწავლეთ, როგორ ჯობია, რომ მოვიქცეთ... რაც არ იცი, სხვას როგორ ასწავლი? რა თქმა უნდა, ყველას არ ეხება. კარგად იყავით და გაიხარეთ... უშნო ბიჭი.

• ჯურღმულიორკის ბინადრობა უკვე სასტიკი განაჩენი და ცხოვრების შავი ლაქაა. ჩემი მოკრძალებული აზრით გამოსასწორებელი, ყვითელი ბარათიც იკმარებს. ნახეთ, მერე ყველა როგორ დატკბეს უცებ. ვინც პირობებს არ აკმაყოფილებს და წყალს ამღვრევს, გაქრება თავისთავად. სვანის ასული.

• მადლობას გიხდი მარ, მოქალაქეობის დაბრუნებისთვის. იმედია, ჯურღმულიორკში აღარასოდეს დავბრუნდები. იქ ანტიმარიამული ბუდობს და მსხვერპლსაა ჩასაფრებული. კლეოპატრა.




## მიყვარხარ



• ჩემო გულნატკენო ადამიანო, ნინიკო, ძალიან მენატრები და მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად. გთხოვ, რაც გაწყენინე, ყველაფერი მაპატიე, თუ შეგიძლია. შენს დაკარგვას სიკვდილი მირჩევნია.

• ჩემო მონატრებულო ადამიანო, ქუთაისელო ნინო ჯანელიძე, მენატრები სიგიჟემდე და მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად და მეყვარები მთელი ცხოვრება. გკოცნი და გეფერები.

• აგნეს, მენატრები, ჩემო კარგო. შენთან მინდა, შენთან. სულ შენზე ვფიქრობ. მინდა, ქვეყანამ გაიგოს, როგორ მიყვარხარ და ნურავინ ეცდება ჩადგეს ჩვენ შუა. შენი თამო.

## მილოცვა



• ჩვენს საყვარელ დეიდაშვილს, ვახო ეძგვერაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ სიხარულს, ბედნიერ მომავალს და უფლის წყალობას. გია, კახა, დათო ღალანიძეები, ხონიდან.

• ნონ, ჩემო კარგო და ლამაზთვალებავ, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ შენი ყველაზე დიდი სურვილის ასრულებას და უფლის მადლს. სიყვარულით, მგზავრი.

• ვახო ეძგვერაძეს: დაბადების დღის იმ ლამაზ ღამეს, შენი აკვნისთვის ღმერთს უკოცნია, დიდხანს სიცოცხლე ცოტაა შენთვის, დიდი სიცოცხლე მიბოძებია. გკოცნი. დათო ღალანიძე.

• ჩემს საყვარელ დედიკოს მალვინა ბალდავაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. დედიკო, რომ გავიზრდები, ჩემით იამაყებ შენ და მამიკო, გპირდები. შენი შვილი, საბა ბალდავაძე.

• ზაზა პავლიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ თავისუფლებას და ბედნიერებას, ოჯახთან ერთად.

• მამაჩემის ბიძაშვილს, მურ-

მან კაპანაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 30 ივნისს. მურო, გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და მამობას. ღმერთი გფარავდეთ. ვლადიმერი.

• ქუთაისში თამუნა მორჩაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ბედნიერ და ლამაზ ცხოვრებას გისურვებ, ლაშასთან ერთად. ზღვა სიხარული და სიყვარული არ მოგაკლოთ ღმერთმა. გკოცნით და მენატრებით. მცინარა.

• მარი მონასელიძეს ვულოცავ დებადების დღეს, 25 ივნისს. ღვთის წყალობა და მადლი არ მოგკლებოდეს, შენს შვილთან ერთად. შენი დედიკო.

• ნინო, დიდი სიყვარულით მინდა მოგილოცო შვილიშვილის შეძენა. ღმერთმა ჯანმრთელი გაგიზარდოთ. თამი.

• დაიკოს, ჟანა კოხრეიძეს ვულოცავ 20 ივნისს, იუბილეს. გისურვებ ლამაზი ოჯახით გახარებას. მიყვარხარ, მენატრები. გკოცნი, ეკა ფურცხვანიძე.

• მინდა, დიდი სიყვარულით და მონატრებით ჩემს საყვარელ მაკუნას მივულოცო დაბადების დღე. ვუსურვო ბედნიერი და ლამაზი ცხოვრება, მის საყვარელ მშობლებთან ერთად. გეფერება და გიგზავნის უამრავ კოცნებს მანანა ბებო.

• ჩემს საყვარელ შვილს, მარი მონასელიძეს: შვილო, გილოცავ დაბადების დღეს, 25 ივნისს. გისურვებ ულევ სიყვარულს და სიხარულს. დედა.

• გიო (აპოლონ) გილოცავ დაბადების დღეს, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. უკარება.

• ციცო კარანაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 22 ივნისს. ჯანმრთელობა, სიხარული და სიყვარული არასოდეს მოგკლებოდეს. წელთა სიუხვე არ მოგკლებოდეს, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. ძალიან მიყვარხარ და გეფერები. ნანა (პატარა ქალი).

• სოფელ წითელხევში 22 ივნისს მინდა დაბადების დღე მივულოცო ნინო წიქორიძეს. გისურვებ ჯანმრთელობას, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. უფალი გფარავდეს. გკოცნი, ლელა.

• 24 ივნისს ჩემს მონატრებულ შვილს, თემურ დევიძეს დაბადებიდან 8 წლის იუბილეს დედა, ნატო დევიძე ვულოცავ. გკოცნი ბევრს.

• თბილისში, პატარა ნინი ხამისაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 20 ივნისს. ჩემო უცნობო და საყვარელო ნინი, ჯანმრთელობა, სიხარული, სიყვარული არ მოგაკლოს უფალმა. უცნობი მზია ბებო.

• ნიკა ჯანელიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ულევ სიხარულს და ჯანმრთელობას. მუდამ გახარებული მენახე. შენი დედიკო.

• ქალბატონ გულნაზისა და ნინო მუშკუდიანს ვულოცავ შვილიშვილისა და ძმისშვილის შეძენას. ღმერთმა ჯანმრთელი და საამაყო ვაჟკაცი გაგიზარდოთ. სიხარულით და ბედნიერებით აღსავსე დღეები არ მოგაკლოთ ღმერთმა. გამრავლდით და გაიხარეთ. ნანა ფანცულაია.

• დიდი სიყვარულითა და მონატრებით დაბადების დღეს ვულოცავ გაგა ლელაძეს. დაესწარი მრავალს, შენს ოჯახთან ერთად. ულოცავს სიდედრი, ციცო.

• დათო ბუთხუზს ვულოცავ დაბადების დღეს, 12 ივნისს. ჯანმრთელობა, სიხარული, სიყვარული და ბედნიერი დღეები არ მოგაკლოს ღმერთმა, შენს ცოლ-შვილთან ერთად. უზომოდ მიყვარხარ. შენი სიდედრი, თინა ფერხული.

• რამაზ ჯანგირაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ცხრათვალა მზეს, მზის შუქის ყველა ფერს, სიხარულს, სიყვარულს ბევრს და მაინც ერთს — უზომოდ უყვარდე ღმერთს. მიყვარხარ და ძალიან მენატრები. დეიდა თინა.

• მონატრებული სიყვარულით მინდა დაბადების დღე მივულოცო შვილიშვილს, ზურა აფრიამაშვილს. სიხარულით და სიხარულით სავსე ცხოვრება გქონდეს, ჩემო სიხარულო. გკოცნის შენი თინა ბებო.

## ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.



# ფოტო, რომელსაც წარწერა დაკარგა




•„ბიჭო ეგრე ნუ უყურებ ჩემს მუშტებს, სუფთა „ადიდასის“ ფირმისაა“. ვახუშტა.

•„აი, ამ მუშტს ხომ ხედავ? ჰოდა, თუ დაგადე, ველარ დაინახავ“. ლა-ლოლა.

•„გინდა, გაგემო სიდედრის ნაგემოვნები მუშტი?“ მისტერ.

•„ამ მუშტსა დათვი ჰყავს მოკლული, ესა კიდენა შენ მოგიგრეხს კისერსა“. მწარე.

•„რას მიპარჭყავ ხელებსა და რატომ მიშლი ნერვებსა? ჩემებს თუ დავუძახე, დაგამტვრევ მაგ ხელებსა“. მწარე.

•— „რას ფიქრობ ჯონდი? ვითომ მაგ მუშტით შევაშინებთ მიშას?
— კაცი იმედით ცოცხლობს და შენ არა, ტო?“ გრუზინკა.

•„ჯონდი: ახლა თუ არ წამოხვალ დალაქთან და არ გადაიპარსავ მაგ თავს, ნუ ამ მუშტს ხედავ? ჰოდა, ველარ დაინახავ“. გრუზინკა.

•„გია: მიმიქარამს კანდელაკი“. გრუზინკა.

•„ჯონდი: იცი, რატომ არ ვთმობ?
გია: რატომ? მუშტის იმედი გაქვს? ახლა ენა გააჩუმე, თორემ თუ გაგცხე, არააა“... მომთმენი დედა.

•„აი, ამ მუშტსა ტარი კი არ სძვრება“. მომთმენი დედა.

•„სააკაშვილი თუ კიდევ გაახურებს, შევახსენებ, რომ ძველი ბოქსიორი ვარ და“... ბუტია.

•„გია: ჯონდი, მუშტებს რად მიღერებ, ნუთუ გახდი ჩემი მტერი? მრავალჟამიერს გიმღერებ, ტაშს დაგვიკრავს ყველა შტერი...
ჯონდი: ადრე კრივზე დავდიოდი, შენ რაღად გაქვს სახე კუშტი? გადი იქით, გამეცალე, სანამ მოგხვდა ყბაში მუშტი“. სევდიანი ქალი.

•„ალპინისტობა არ კმარა, „უდარი“ ვიცი ზუსტი, ხელისუფლებას ორივემ ცხვირ-პირში ვთხლიშოთ მუშტი“.

•„აუ, ჯონდ, პატენტი რემბო ხარ, რა“...

•„თფუ! თფუ! ბა-ბააახ!!! ვაა, შენ რა, მართლა არაფრის გეშინია? ააა, თუმცა კრედიტს ფარავ და რისი უნდა გეშინოდეს“.

•„ჯონდი: მოდი, უფასოდ გაგისწორო ეგ გალუნული ცხვირის ძგიდე“. სვანის ასული

# სიმართლე ექიმების შესახებ



უწოდებენ. ყველაზე „საშიში“ ექიმები არიან და ყველა უფრთხის მათთან კონტაქტს.

### ოკულისტი

არც მათ მოსწონდათ „სახელწოდება“ და ახლა ოფთალმოლოგებს უწოდებენ. ყოველთვის უნდათ, ხედავდეთ იმას, რასაც თავადაც ვერ ხედავენ. მაგალითად, მხედველობის ტესტის ყველაზე ქვედა ხაზს.

### გინეკოლოგი

ამ ექიმებს ორჯერ ნაკლები პაციენტი ჰყავთ, ვიდრე დანარჩენებს. საოცარი ფაქტია, რომ გინეკოლოგებს შორის მამაკაცები თითქმის არ არიან. ან გინეკოლოგია, ან — მამაკაცი. აბა, სცადე და წელიწადში 61320 საათის განმავლობაში ყველაზე საინტერესო ადგილს უყურე. გარანტიას გაძლევ, რომ მალე დაკარგავ ინტერესს ქალის მიმართ. ჰობი და პროფესია ერთმანეთში არ უნდა აურიო.

### აკუშერი

ყველაზე პატივცემული ექიმია. სწორედ ის უზრუნველყოფს დანარჩენი ექიმების მუშაობას.

### ვენეროლოგი

ერთადერთი ექიმია, რომელთან შეხვედრაც წარსულის სასიამოვნო მოგონებებს აღძრავს. ყველაზე კეთილსინდისიერი ექიმია. ერთადერთია, ვისაც სიამოვნების გამო ფულს უხდი. მერე რა, რომ ეს სიამოვნება მას არ მოუნიჭებია?

### ნევროლოგი

თეორიულად ყველაფრის მკურნალობა შეუძლია, მოტეხილობის გარდა, რადგან ყველა დაავადება ნერვების „ბრალია“. შეუძლია გითხრას — „არ ინერვიულო“, მაგრამ შენ, ისევე, როგორც თვითონ, აზრზე არ ხარ, ამას როგორ უნდა მიაღწიო.

### ანესთეზიოლოგი

სასარგებლო ექიმია. ზრუნავს იმაზე, რომ არაფერი იგრძნო. თუ რამე შეუშლება, უკეთესიცაა, მართლაც ვერაფერს იგრძნობ.

### ტრავმატოლოგი

სპორტის მოყვარული ექიმია. სპორტის ყველა სახეობა უყვარს, ჭადრაკის გარდა.

### თერაპევტი

ეს ექიმი კი არა, მენეჯერია. აზრზე არაა, როგორ უნდა გიმკურნალოს, მაგრამ შეუძლია, გითხრას, ვინ გიმკურნალებს. მიუხედავად იმისა, რომ მედიცინა წინ წავიდა, როცა ავადმყოფი აკითხავს, ის მაინც ღმერთის იმედზეა.

### ქირურგი

ქირურგი გამნაღმველივითაა, მხოლოდ ერთხელ უშვებს შეცდომას. თუმცა, სხვაობა მაინცაა, რადგან გამნაღმველი ერთხელ ცდება თავის ცხოვრებაში, ქირურგი — შენს ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, ქირურგის შეცდომის შემდეგ სიცოცხლეს შეინარჩუნებ თუ არა, მაინც სიცოცხლეს აზრი არ ექნება, რადგან ხეიბრად დარჩები. ქირურგი ინტუიციას ეყრდნობა და ესეც იმედია, რადგან მედიცინაში ინტუიცია საიმედო დასაყრდენია.

### ოტორინოლარინგოლოგი

ამ ექიმებს აშკარად არასრულფასოვნების კომპლექსი აქვთ. ადრე მათ „ყელყურცხვირს“ ეძახდნენ, რაც არასერიოზულად ეჩვენებოდათ. ახლა ლოგოპედებთან გაერთიანდნენ, რადგან მათი დახმარების გარეშე, თავის „სახელწოდებას“ ვერ წარმოთქვამენ.

### სტომატოლოგი

იმისთვის, რომ მათი ამოცნობა ხანდახან ვერ მოხერხდეს, საკუთარ თავს დანტისტებს


პასუხისმგებელი რედაქტორი — მარი ჯაფარიძე. პრადი ტელ: 8.77.45.68.61

# ძია ავთანდილის ანდერძი აჭარიდან

ჯაბა ანანიძე

ძია ავთანდილმა ვერა და ვერ დაიძინა იმ ღამით: პოლიტიკოსები, გორგოლაჭებიანი ტყავის სავარძლები და მეუღლე ციალასგან ასევე ქებული, ბანკომატთან მდგომი პარლამენტარი ელანდებოდა. ისე ეჩხუბა იმ დღეს ციალა, შემყურე რომ ჰყოლოდათ ვინმე, იფიქრებდა, მათ გაყრას ევროპა-ამერიკიდან ჩამოსული შეშფოთებული დამკვირვებლებიც კი ვერ უშველიანო, მაგრამ ციალამ მაინც მეუღლის გვერდით ჩაიძინა და ისეთი გემრიელი ხვრინვა ამოუშვა, რომ ბათუმის პორტში მომრავლებული ამერიკული ხომალდები გაახსენდა ავთანდილს.

ჩხუბით აქამდეც არაერთხელ უჩხუბია ცოლ-ქმარს და, რა თქმა უნდა, ამ წყვილის უთანხმოების მთავარი მიზეზიც უფულობა გახლდათ, მაგრამ იმ დღეს მთლად გაცოფდა ციალა:

— შავ მიწაში ისეც კი ჩავწვები და ოქროს ქვიშაზე მაინც მომსწრებოდა გავლა, თუნდაც მოხარშული სიმინდებით ხელში. ხომ ხედავ, არავის უნდა მიწაში თავის ჩაყოფა. სხვა დროა ახლა, ყველა სავარძლიზა ბზრიალებს და ვარგებული კაცი რომ იყო, ერთ კაი სკამს რაფერ ვერ დაეუფლებოდი?!

ცხარე დებატებს მონატრებული ციალა ასე იწყებდა ხოლმე ყოველ საღამოს პოლიტიკურ მიმოხილვას. საღამო კი მისთვის მაშინ იწყებოდა, როცა ყველა სერიალის საპნის ბუშტი დამაინტრიგებლად სკდებოდა და პოლიტიკური ტყუილ-მართლის ეპოქა იწყებოდა ტელეეკრანზე.

ვერც გაამტყუნებდი ციალას: სკოლაც ხუთებზე დაამთავრა თავის დროზე და ავთანდილს, „ვეფხისტყაოსნის“ თინათინივით რომ არ მოეტაცა, პარლამენტარი თუ ვერა, პარლამენტარების მკურნალი მაინც გამოვიდოდა, მაგრამ ხომ თქვა ჯორდანო ბრუნომ, ეს ქვეყანა მოუწყობელიაო?! ჰოდა, ახლა სახვალიო დაპირებებით გადაღლილმა და აქცია-მიტინგებზე სირბილ-კივილით ჩამომხმარმა ციალამ ახალგაზრდობაში შეკვეცილი ფრთების გაშლა მოიწადინა. ისე ნათლად და მადისაღმძვრელად დაუხატა ქმარს პოლიტიკოსობა, „ასეირნა“ „მერსედესით“ და წამოაგორა ოქროს ქვიშაზე, რომ ავთანდილმა ერთი კი აიქნია ხელი, — რას მაბლაყუნებ, ქალო, ჰა, წევდე, ვის მივადგე, რომელი პოლიტიკური პარტიაა მოსაწონარი, ისიც ვერ გამირკვევიაო! — მაგრამ შემოანათა თუ არა მზემ ულამაზესი სოფლის ფერდობებზე, ავთანდილი მაშინვე ქალაქის გზას დაადგა სანატრელი პოლიტიკური სავარძლის საპოვნელად. ციალამ ლოგინი რომ ნახა ცარიელი, სიხარულით შეკივლა, — მგონი, მეშველაო!

ავთანდილმა ტრადიციას არ უღალატა და ქალაქში მორახრახე ავტობუსით ჩასული, თავდაპირველად ბაზარში მივიდა. კარტოფილი და თაფლი დილის პირობაზე სარფიანად ჩააბარა და გაუდგა გზას.

ბევრი აღარ უვლია, რადგან ბაზრის გამოსასვლელთან მზესუმზირის გამყიდველი ქალი ხმამაღლა ედავებოდა მოხუც მეთუთუნეს, — გინდა თუ არა, კომუნისტებს დემოკრატია სჯობიაო.

— თქვენ მეცოდვებით, ამფერ დღეში რომ ხართ, თორემ მე რაღაი, — თუთუნით სავსე დახლის უკან თუთუნს მოკრძალებულად ეწეოდა მოხუცი.

— რა ხეირი დამაყარა მაგ კომუნისტებმა? უცხოეთში ვერ გედეიჭინებდი წესიერად და სიტყვას ვერ იტყოდი, ცეკას უმფროსობას რომ არ გიეგო. ხომ ხედავ, დემოკრატიამ რაფერ ააყვავა გერმანია, ამერიკა. ჩვენც დაგვადგება საშველი. მთავარია, ჭკვამოსაკითხავი ხალხი ევირჩიოთ თავრობაში, — არ ცხრებოდა მზესუმზირის გამყიდველი ქალი.

— ჰოდა, იარეთ, ბატონებო, წინ და უკან თურქეთში, გზა ხსნილია. ჩემს ოჯახში რამე რომ აღარ დარჩა თურქიზა მისაყიდი, ახლა რძალი თურქის ბერს უარებს, ვითომ მე 16 წლის ვიყო...

— შენ რა მოგახუცებს, ხუსეინ ბაბუა? თუთუნს რომ არ აჭმევიებდე თავს, 200-წლიანი ხარ, — გაეღიმა ქალს.

დადუმებულმა მზესუმზირის გამყიდველმა ქალმა მზისკენ გააპარა თვალი, მოხუცმა — თუთუნის კვამლისკენ.



ავთანდილმა ერთი-ორი ნაბიჯი გაიარა და პირისპირ მდგომ სათვალიან მამაკაცს ჰკითხა, — თუ ძმა ხარ, მითხარი, „პოლიტიკის კაცებს“ სად ვნახავო? სათვალიანმაც, თითქოს ბაზარში ავთანდილის გზის მისაგნებად მისულიყო, სულ დეტალურად მოთვალა პოლიტიკური პარტიების ბათუმური მისამართები და დააყოლა, — ლეიბორისტები სჯობია, მე თუ მკითხავ, ყველასო.

ავთანდილიც ადგა და ჯერ ლეიბორისტები მოიკითხა, შემდეგ „კონსერვატორულ“ ოფისში დალია ყავა, თუთუნი „რესპუბლიკელებთან“ გააბოლა და ნინო ბურჯანაძის პარტიულ ოფისშიც დასვა ერთადერთი და განუმეორებელი თხოვნა, — თქვენ გვერდით მიგულეთ, პარლამენტარობა მინდა და რამენაირად შემიწყვეთ ხელიო.

ყველგან ისე დააიმედეს ავთანდილი, რომ ციალას გაბადრულ სახეს ხედავდა, პოლიტიკოსთა ნაცვლად, მაგრამ საღამოს ქალაქში მარტოდ დარჩენილი მიხვდა, რომ ვერაფერიც ვერ გაარკვია: არ იცოდა, რა იყო პიარი, რა — ისტებლიშმენტი და მეგაფონიც, ციალასაგან განსხვავებით, პირველად დაინახა...

ჩავლილი არჩევნები მოაგონდა ავთანდილს, როცა სოფლის ორღობესთან ყველა გამვლელ-გამომვლელს ეკითხებოდა: გამაგებიეთ, რომელ პარტიას მივცე ხმა, რომელი დიგვიდგება გვერდითო?.. თითოეული მაშინ, თავისი პოლიტიკური ფავორიტის უპირატესობაში არწმუნებდა ავთანდილს და ისიც, თავბრუდახვეული მივიდა არჩევნებზე და ბიულეტენში ყველა პარტიას გადაუსვა ორი ხაზი. ეს ამბავი მაშინ ციალასთვის არ მოუხსენებია, მაგრამ ახლა რა ექნა?.. სოფლის ავტობუსი წასულიყო, რომც ყოფილიყო, შინ „უტარიელოდ“ ისედაც ვერ დაბრუნდებოდა. არცთუ ბევრი ფიქრის შემდეგ, ავთანდილმა მეუღლეს ძლივძლივობით აკრებილი, მოკლე ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა.

ციალას ტელეფონზე სალაპარაკო თანხა არ ჰქონდა, თორემ აქამდე როგორ არ შეგვახსენებდა თავს?.. გვიან საღამოს მის ტელეფონში მესიჯის მოსვლის მაუწყებელი ბრაზილიური მელოდია აჟღურტულდა...

„ქალბატონო ციალა, თოხით მუშაობა კი მერჩია ამდენ პოლიტიკოსთან ლაყლაყს, მარა რომ არ მეისვენე, ახლა აღარც მე მოვისვენებ და ვივლი, სანამ ოქროს ქვიშაზე არ წამოგაწვენ. ამფრათ ხომ ვერ დავბრუნდები უკან?!. გაარკვიე, თუ ქალი ხარ, რას ნიშნავს სიტყვები: „პიარი“, „ისტებლიშმენტი“ და დანარჩენი მე ვიცი. გლეხი მიწაზე სამოთხეს აშენებს და პოლიტიკას რაფერ ვერ უნდა დუუყენო საშველი, ვითომ?! მიმიხედე ეზო-კარს, ძროხა არ დიმიტიო მშიერი და ყანობაზე შეიძლება, „მერსედესითაც“ ქი ამოვსრიალდე შენთან“, — იუწყებოდა ავთანდილი, რომელმაც რამდენიმე წუთის შემდეგ, პირველს მეორე მესიჯიც მოაყოლა: „თუ ახალი ციალაც მეყოლება გვერდით მოჯენილი იმ „მერსედესში“, კივილი და შეცხადება არ იყოს, იცოდე. შენი ნათქვამია, პოლიტიკისთვის ღალატი და „გადაგდება“ ისე მოსულა, რაფერც სერიალში ქმრის ან ცოლის გამოცვლაო... მარა ხომ იცი, არ მიყვარს ბრაზილიური სერიალები“.

— კიდევ კაი, — ამოიხვნეშა ციალამ და თავისთვის ჩაიბურტყუნა: ანდერძი დუუწერია ამ საწყალს. ის თუ წუუკითხავს ნეტავ, სიცრუე და ორპირობა რას ავნებსო?!.

# საოცარი ნიჭით დაჯილდოებული და უხილავი ძალის რჩეული

თამუნა კვინიკაძე



**35 წლის დავით ქობალია უცნაური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანია და როგორც თავად ამბობს, თავში 200000 წლის კალენდარი აქვს. თუ თქვენ წელს, თვესა და რიცხვს დაუსახელებთ, ის წამებში გიპასუხებთ, რა დღე იყო. დათოს მონაცემები ლონდონში, გინესის რეკორდების წიგნში შესასვლელად კომისიას უკვე გადაეგზავნა. კაცი კალენდარი, როგორც მას ნაცნობები ეძახიან, ინტერვიუზე სიამოვნებით დამთანხმდა.**

## „ჩემს მეხსიერებაში 200000 წლის კალენდარი ინახება“

**— დათო, რამდენი წლის იყავი, როცა აღმოაჩინე, რომ უცნაური ნიჭი გქონდა?**

— 4 წლის ასაკში უხილავი ძალისგან მივიღე ინფორმაცია, რომ ჩემს გონებაში კალენდრები უნდა შემოსულიყო.

**— ეს როგორ?**

— ამის სიტყვებით ახსნა ცოტა რთულია. ჩემს მეხსიერებაში სხვადასხვა წლის კალენდარი თანდათანობით შემოდიოდა.

**— ამ დროს რას გრძნობდი?**

— როცა კალენდარი ჩემს გონებაში შემოსვლას იწყებდა, კონტაქტი არავისთან უნდა მქონოდა. სკოლაში სწავლა მიჭირდა, რადგან მთელი ჩემი გონება ამაზე იყო გადართული. ზოგჯერ, მეხსიერებაში ამა თუ იმ წლის კალენდრის შემოსვლა, გაკვეთილის დროს ხდებოდა. ამიტომაც, კლასიდან ხშირად გავდიოდი. ჩემი უცნაური ქცევის გამო, მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც გაკვირვებულები იყვნენ, მაგრამ ის მეუბნებოდა...

**— ვინ ის?**

— ის უხილავი ძალა, რომელსაც ჩემს გონებაში კალენდრები შემოჰყავდა, მეუბნებოდა, რომ ამაზე არ მენერვიულა, — შენ იმის ნიჭი გაქვს, რის გაკეთებასაც სხვები ვერასდროს შეძლებენო...



1 წლის კალენდარს 1 საათში ვწერ, 1 საუკუნისას – 25 დღეში.

**— ნერვიულობდი?**

— არა, მშვიდად ვიყავი.

**— მშობლებს შენი ფენომენის შესახებ როდის უთხარი?**

— ერთი პერიოდი, მინდოდა, სკოლიდან გამოვსულიყავი, მაგრამ მშობლებმა ამის ნება არ დამრთეს. როცა დავაპირე, დედაჩემისთვის კალენდრების შესახებ ყველაფერი მეამბნა, იმ უხილავმა ძალამ დამიშალა: — რას აკეთებ? ჯერ შენს გონებაში კალენდრები სრულად არ შემოსულა და ამის თქმის უფლება არ გაქვსო... როცა სხვა ადამიანებთან ერთად ვიჯექი და ვსაუბრობდი, უხილავი ძალა კალენდრების შემოშვებამდე მაფრთხილებდა, რომ ხალხისგან განვმარტოებულიყავი.

**— გონებაში კალენდრის შემოსვლა რა ფორმით ხდებოდა?**

— ჯერ კვირის დღეები იწერებოდა, შემდეგ — რიცხვები, თავზე კი თვის დასახელება ეწერებოდა. 12 თვის შემოსვლის შემდეგ, დიდი ასოებით იწერებოდა, თუ რომელი წლის იყო ეს კალენდარი.

**— ამ ყველაფერს ხედავდი?**

— დიახ, ამ კალენდრებს ახლაც ვხედავ. ჩემს მეხსიერებაში 200000 კალენდარი ინახება — 100000 ახალი და 100000 ძველი სტილით.

**— როცა შენს მეხსიერებაში კალენდრები შემოდიოდა, ვინმე რომ დაგლაპარაკებოდა, პასუხს ვერ გასცემდი?**

— იმ დროს ლაპარაკი მესმოდა, მაგრამ პასუხის გაცემა არ შემეძლო. ნახევრად გათიშული ვიყავი. მასწავლებლები მეუბნებოდნენ, რომ კლასში ბოლო მერხზე დავმჯდარიყავი, რადგან უმეტესობას გიჟი ვეგონე. ყველაზე დიდი ხნით 4 საათი ვიყავი გათიშული.

**— მაშინ რა მოხდა?**

— გონებაში 199800 წლის კალენდარი მიყოლებით შემოვიდა.

**— ამ დროს შენი ოჯახის წევრები სად იყვნენ?**

— მშობლებთან ერთად, ეზოში ვიყავი, მაგრამ უხილავმა ძალამ მითხრა, სახლში დავბრუნებულიყავი. ბუნებრივია, მას დავემორჩილე. ვგრძნობდი, გონებაში კალენდრების შემოსვლა უნდა დაწყებულიყო. 4 საათის განმავლობაში უძრავად, ძეგლივით ვიდექი, სხეულიც გარდაცვლილი ადამიანივით გამიქვავდა, მხოლოდ იმას ვგრძნობდი, როგორ შემოდიოდა კალენდრები ჩემს მეხსიერებაში. ეს პროცესი დამთავრდა თუ არა, მდგომარეობიდან გამოვედი.

**— როცა შენს მეხსიერებაში კალენდრები შემოდიან, რაიმე უჩვეულო ხმაც ხომ არ ჩაგესმის?**

— ხმა არ ჩამესმის, მაგრამ როგორც ლაპარაკისას ვამოძრავებთ პირს, თითქოს ჩემი ტვინიც ისე მოძრაობს. ახლა შემიძლია, ნებისმიერი წლისა და საუკუნის კალენდარი დაგიწერო. 1 წლის კალენდარს 1 საათში ვწერ, 1 საუკუნისას — 25 დღეში.

**— და-ძმა გყავს?**

— 3 და მყავს.

**— ფენომენური ნიჭით ისინიც ხომ არ არიან დაჯილდოებულები?**

— არა.

**— როგორი ბავშვი იყავი?**

— კარგი მეხსიერებით გამოვირჩეოდი.

— **უხილავმა ძალამ როდის დაგრთო ნება, რომ შენი უჩვეულო ნიჭის შესახებ გელაპარაკა?**

— როცა ჩემს მეხსიერებაში 100000 წლის კალენდარი შემოვიდა, თავად ვკითხე, — ახლა მაინც თუ შეიძლება, ამ თემაზე ვილაპარაკო-მეთქი? ნება დამრთო, ოღონდ, პირველად საიდუმლო იმისთვის უნდა გამემხილა, ვინც ამ თემაზე ლაპარაკს თავად დამიწყებდა. ასეთი ადამიანი კი ჩემი მეგობარი აღმოჩნდა. როცა ყველაფერი ვუამბე, გაოცებული დარჩა.

— **შენს და უხილავ ძალას შორის დიალოგი როგორი ფორმით მიდის?**

— რასაც გავიფიქრებ, ყველაფერს ხვდება. თუ რამეს ვკითხავ, მისი პასუხი გონებაში შემომდის. თავად მითხრა, — საუკუნიდან დაწყებული, რამდენი ადამიანიც მსოფლიოში დაბადებულა, არც ერთის ხასიათი არ მომეწონა, მათ შორის, შენ გამოგარჩიე და ამ ნიჭით დაგაჯილდოეო. თუმცა არ ვიცი, რით გამომარჩია.

— **უხილავ ძალასთან კონტაქტი ბოლოს როდის გქონდა?**

— 1996 წელს, როცა 4 საათი გათიშული ვიყავი.

— **ეკლესიურად თუ ცხოვრობ?**

— მოძღვარი არ მყავს, მაგრამ ღმერთის მწამს!

— **როგორც ვიცი, შენი ფენომენით პატრიარქიც დაინტერესდა.**

— დიახ, პატრიარქთან შეხვედრაზე ვიყავი, მომისმინა და თქვა — ასეთი რამ არასდროს მსმენია, ეს ღვთის ნება არისო. 2600 წლის კალენდარი დავუტოვე და დამპირდა, — დაგიბეჭდავო. ერთხელ, ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსსაც შევხვდი.

— **წარმოშობით აფხაზეთიდან ხარ?**

— გალიდან ვარ. ამჟამად კი ხაშურში ვცხოვრობ. 19 წლის ვიყავი, როცა გალი დავტოვე და ლტოლვილი გავხდი. აფხაზეთიდან გამოძევებულმა თავი ხაშურის რაიონს, დედულეთს შევაფარეთ.

— **1993 წლის 27 სექტემბერი რა დღე იყო?**

— ორშაბათი. ეს აფხაზეთის დაცემის დღეა.

— **როგორც ვიცი, შენი მონაცემები ლონდონშიც გაიგზავნა.**

— მინდა გინესის რეკორდების წიგნში შევიდე. ვიდრე ლონდონში მონაცემებს გადაგზავნიდნენ, კომპიუტერს შემაჯიბრეს. 150 შეკითხვას უშეცდომოდ ვუპასუხე. ჩემს გამოცდას არაერთი ადამიანი ესწრებოდა, მათ შორის — ფსიქოლოგები და ჟურნალისტებიც. ფსიქოლოგებმა აღიარეს, — ჩვენს პრაქტიკაში მსგავს ადამიანს არასდროს შევხვედრივართო.

— **შეცდომით არასდროს გიპასუხია?**

— ამ შეკრებაზე მითხრეს, — I საუკუნის 1-ელი წლის, მარტის თვის კვირადღეების რიცხვები დაგვისახელეო. 6 13, 20, 27-მეთქი, — ვუპასუხე. მონიტორზე დაიწერა, რომ პასუხი არასწორი იყო. გავაპროტესტე, — სწორად გიპასუხეთ-მეთქი. ბოლოს, გაირკვა, რომ შეცდომით, მარტის ნაცვლად კომპიუტერში ოქტომბრის თვე იყო გატარებული. სხვათა შორის, ისტორიულ წიგნებშიც არაერთი შეცდომა აღმოვაჩინე.

— **მაგალითად?**

— 1121 წლის 21 აგვისტოს, როცა დიდგორის ბრძოლა მოხდა, პარასკევი დღე იყო და არა — ხუთშაბათი, როგორც ეს წიგნებში წერია.

— **ის უხილავი ძალა მხოლოდ კალენდართან დაკავშირებით გეკონტაქტება?**

— ერთხელ ვინატრე: ნეტავ, სხვა ინფორმაციასაც მომაწვდიდეს-მეთქი. — შენ ყველაფერი გინდა, გაიგოო, — მივიღე მისგან პასუხად.

— **არ გეშინია, შენი მეხსიერებიდან რაიმე სერიოზული ინფორმაცია რომ „წაიშალოს“?**

— ვიცი, არ „წაიშლება“! ახლა ჩემი მიზანი გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრაა და იმედია, ამას მოვახერხებ. ■



# ერთი ვინმე ფაფლანიშვილი



ვაჟა გიგაშვილი

დასაწყისი იხ. „გზა“ №18-25

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

— იცანით, ბატონო იორამ? იცანით?

იორამი ისევ მოიფუშა, თვალები გაუშტერდა, ჩამქრალი, მოყოყმანე ხმითა თქვა:

— არაა, არ ვიცი. თითქოს მეცნო თავიდან, მაგრამ...

— ბიჭიკო ფსუტური! სამი მოყვანა! ჰა? ბატონო იორამ, გაბედულად! ნუ ყოყმანობთ! — აღგზნებულად მიაყარა ჯუმბერმა.

იორამი გაღიზიანდა:

— რას ჰქვია, ნუ ყოყმანობ, ყმაწვილო? აბა, უყოყმანოდ დავადო კაცს ხელი?! თუ სრულიად დარწმუნებული არა ვარ?! ავიღო და დავადო?! თუ მაგას არ უქნია, მერე რა ვქნა?!

პოლიციელმა მოიწყინა, ხელი ჩაიქნია.

— ეეჰ, ბატონო იორამ! თუ გგონიათ, ეგ მამა აბრამის ბატკანია?! მაგას, თუ თქვენთან არა, სხვასთან და სხვანაირად სამიოთხი აქვს ჩადენილი. ვიცით ჩვენ! უბრალოდ, ჯერჯერობით ფაქტზე ვერ მოხერხდა გაქაჩვა. ხვალ და ზეგ კიდევ ვის გაამწარებს, ვინ იცის?! მაგისი ჩაჯდომა საზოგადოებისათვის სასარგებლოა და თანაც ეს საქმეც დაიხურებოდა.

იორამი გაკვირვებული მიაჩერდა პოლიციელს:

— როგორ? თქვენ მთავაზობთ, ამ ტიპს, რახან მაინც შემჩნეული და საეჭვოა, შევტენოთ ეს საქმე?

— როგორ გეკადრებათ?! რა შეტენვა, რის შეტენვა?! თუ გეცნობათ, ავიყვანთ, დავკითხავთ. თუ ეგაა გამკეთებელი, გამოვტეხავთ.

— გამოტეხავთ?! ცემა-ტყეპით? აღიარებს, რომ მაგან მგლიჯა თავში? აღარა აქვს მნიშვნელობა, მართლა ეგ იყო თუ ვიღაც სხვა?

პოლიციელ ჯუმბერს უცებ გამოეხატა აღშფოთება:

— კარგი რა, ბატონო იორამ! თქვენც რა სპეკულანტი პოლიტიკოსებივით მელაპარაკებით! სადღაა მაგ ამბავი? ვინ გაცლის! დაგადგება თავზე ათასი ორგანიზაცია და რაღაცა... ის ერთი დიდი, მეშოკივით ქალი როა და თან ერთი სიფათგაბრტყელებული კამბეჩი ახლავს ყოველთვის, მოცვივდებიან, ატეხენ ისტერიკას: თითი არ დააკაროთ! არაფერი ჰკითხოთ! არ გაბედოთ დამუქრება! და თუ ორმოცდარვა საათში ბრალდებას არ წაუყენებ, სასწრაფოდ უნდა გაუშვა! ჩვენ ჩაგრულების დამცველები ვართო! — გაყვირიან, შემოგისევენ ამ გათახსირებულ ტელე და გაზეთის ჟურნალისტებს. იწყება შეჯიბრება, ვინ უფრო თავგადადებული დამცველია „ჩაგრულების“! ვინაა ჩაგრული? ნაბიჭვარი, დამპალი ფსუტური?! ვისაც ეგ თავებს უტეხს, ჯიბეებს აჭრის, სპიცებს ურჭობს, ის ვიღაა, გამაგებინეთ?! ამ პრესტუპნიკებმაც ხელდახელ ისწავლეს თავიანთი „უფლებები“. თუ სასწაული მოხდა და როგორმე სასამართლომდე მიათრიე, დაიქირავებენ ვინმე ნაბიჭვარ, ნაძირალა ადვოკატს და სასამართლოზე ყვირიან: გვცემეს, დაგვკიდეს, დენი შეგვიერთეს და ისე გვათქმევინეს აღიარებაო! შეუძლებელი გახდა დამნაშავის დასჯა! მერე თვითონვე აქვთ წივილ-კივილი: კრიმინალმა წაგვლეკა! რას აკეთებს პოლიცია?! თვითონ არიან შეკრული ბანდიტებთან, იფარავენო! რა ვქნათ ჩვენ? რა ფოკუსი გავაკეთოთ?! საერთოდ, რანაირად შეიძლება კიდევ პოლიციაში მუშაობა!

იორამი გაკვირვებული უყურებდა. წყნარად, მაგრამ მაინც გესლიანად შეეკითხა:

— ჰოდა, მაშ რატომღა მუშაობთ?

პოლიციელი ჯუმბერი კრიჭაშეკრული მიაჩერდა, თვალებში შეკავებული ბრაზი უელავდა. მოულოდნელად წყნარად თქვა:

— ჰოო, აი ეგ სწორი შეკითხვაა! ყველა უნდა წავიდეს პოლიციიდან! თვითონ გადავიდნენ ქურდობაზე, ყაჩაღობაზე. რაღა საჭიროა ეს პოლიცია?! დაიჭერ ვინმეს? — სადისტი ხარ! არ დაიჭერ? — მშიშარა ხარ, ქურდებთან შეკრული და კორუმპირებული! ისედაც და ასედაც პოლიცია ხალხის მტერია! ჰოდა, რაღა საჭიროა ეს პოლიცია? გავაუქმოთ!

ამ აღგზნებული მონოლოგებით დაინტერესებული ზეინაბიც ოთახში შემობრუნდა, ჩუმად, თვალებგაფართოებული უსმენდა. იორამი დაბნეული ჭუტავდა და აფახულებდა თვალებს, ეტყობა, იმოქმედა პოლიციელის ლოგიკამ და ახლა სწორ პასუხს ეძებდა. ზეინაბმა თქვა:

— მე როგორც მივხვდი, ბატონო ჯუმბერ, აქ ლაპარაკია იმაზე, რომ დაისაჯოს ის, ვინც ჩაიდინა და დაისაჯოს ზუსტად იმისათვის, რაც ჩაიდინა. ალბათ, ესაა, ხომ?

— დიახ, ქალბატონო! ესაა სწორედ და მეტი არაფერი, მაგრამ ეგაა იდეალი! ჩვენში კიდევ ტუფტა თეორიაა, რომელსაც პრაქტიკაში განხორციელება არ უწერია! ვთქვი წეღან რატომაც და როგორაც.

გაჩუმდა. ცოტა შეწუხებული მზერა მოატარა გარშემო, თითქოს უკვირდა, ამდენი რატომ ვილაპარაკეო. ცოლ-ქმარიც მდუმარედ მისჩერებოდა, თითქოს ელოდნენ, კიდევ რას იტყვისო, და იმანაც უკვე წყნარი, გატეხილი ხმით დაამატა:

— ჰოდა, მაგ ყველაფერს მივამატოთ უმნიშვნელო, ყოფითი დეტალებიც! ისა, რომ ორი თვეა, ჩვენი მათხოვრული ჯამაგირიც არ მიგვიღია; ისიც, რომ ყოველდღე გემუქრებიან დაპანღურებით — საქმე ან უნდა გაიხსნას, ანდა მოისპოს და დაიხუროსო, — უცებ მწარედ გაიცინა, — იმასაც დავამატებ, რომ ჩემი სამი წლის ბიჭი დარწმუნებულია, რომ „სნიკერსი“ მხოლოდ ნაძვის ხესთან, ახალ წელიწადს იჭმება. ამას წინათ, მეზობელს ეჩუქებინა და გაკვირვებულმა მომიტანა, რა ვქნაო? ასეა, ბატონო, ეს ამბავი!

იორამი ჩუმად იჯდა, მოფუყული,

ფიქრობდა. მერე ყრუდ თქვა:

— ესე იგი, მაგ ფსუტურს თუ ხელი დავადე, საქმე გაიხსნება?

— გაიხსნება, თუ აღიარებაც მოხდება და ნივთმტკიცებაც აღმოჩნდება.

— და საქმეც დაიხურება?

— არა, ბატონო! მსვლელობა მიეცემა. წარმოების მოსპობა და დახურვა სხვა რამეს ჰქვია.

— აბა, დახურვა რაღას ჰქვია?

— დახურვა, ბატონო, — როგორღაც შეცბუნდა და შეყოყმანდა ჯუმბერი, — დახურვა... დახურვა იმ შემთხვევაში მოხდება, თუ თქვენ მისცემთ ჩვენებას, რომ თავდასხმას ადგილი არ ჰქონია, რომ რაც შეგემთხვათ, ყოფითი ტრავმაა და ესე იგი, კრიმინალს ადგილი არ ჰქონია.

იორამი უცებ წამოიყალყა, თვალები დაექაჩა და გაცეცხლებით ალაპარაკდა:

— ესე იგი, თქვენ მე მთავაზობთ, ან იმ ფსუტურს დავადო ხელი, ანდა ჩვენება მოგცეთ, რომ მე თვითონ მივარტყი თავი კედელს და თავდასხმაც და ნივთების გატაცებაც მე გამოვიგონე?!

უეცრად დამფრთხალი პოლიციელი თითქმის ყვირილზე გადავიდა:

— არა, ბატონო, ვინ გაკადრათ?! მე არაფერი შემომითავაზებია! მე თქვენს შეკითხვაზე გიპასუხეთ! რის შეთავაზება, რა შეთავაზება! აი, შარი!

ამ დროს დერეფანში ზარი გაისმა და ზეინაბი წავიდა გასაღებად.

— ჩემო კარგო ჯუმბერ! — მძიმედ, დამარცვლით თქვა იორამმა. — კარგი ახალგაზრდა ბრძანდებით, მაგრამ მე თუ ნამდვილად დარწმუნებული არ ვიქენი, ისე კაცს ხელს არ დავადებ! ჩვენებასაც, რაღა თქმა უნდა, არ გადავთქვამ! მოვიტყუო, რომ ადრე ვიცრუე და ახლა სიმართლეს ვამბობ-მეთქი? კიდევ მოვიტყუო, არაფერი გაუტაციათ, მოვიგონე-მეთქი?!

პოლიციელს ხმაში გაიძვერა ინტონაცია შეეპარა:

— თეორიულად შეიძლება დავუშვათ, რომ სანამ გათიშული იყავით, ვინმე მაწანწალამ ხელს გააყოლა. ნივთების არსებობა კი უტყუარია. მაგას მეგრელი გაბელია ადასტურებს. თანაც თქვენი და მისი ჩამონათვალიც ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს.

იორამი აფეთქდა:

— როგორ? გაბელიას რომ არ დაედასტურებინა, ჩემი ნათქვამი სიცრუე იქნებოდა?!

ჯუმბერმა შეშფოთებითააქნია ხელები:

— როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათ! ბატონო იორამ! მეცნიერი კაცი ბრძანდებით, მკვლევარი, ანალიტიკოსი! კარგად მოგეხსენებათ, რა მნიშვნელობა აქვს ფაქტის მრავალმხრივ დადასტურებას. ხომ ასეა, ბატონო იორამ? — თითქმის ხვეწნით ეკითხებოდა.

— მართალია, მართალია. მაგაში სწორი ბრძანდებით! — ჩაიბურტყუნა იორამმა. — მაგრამ...

ამ დროს ზეინაბმა დერეფანში შემოუშვა ნოდარ ყაფლანიშვილი. ისევ მარკეტის ბოხჩებით დატვირთული. ნოდარი სამზარეულოში შევიდა, იქ დაალაგა ბოხჩები, ზეინაბს აკოცა და თავი დიდი ოთახისაკენ გააქნია.

— ვინაა, გამომძიებელი?

— ჰო! იცნობ?

— მაგას არა! მაგრამ მაგათ პაროდას კილომეტრზე ვცნობ, — მერე ხმადაბლა უთხრა ზეინაბს, — რუსტამასთან კონტაქტი დამყარებულია. მაგარ აპეკაში ჰყავს პოლიცია. უმაგათოდ ვერ მიეკარები. ჰოდა, ვინც მაგას აპეკუნობს, ორიდან ერთი, ჩემი დოსტია. ისე რომ, თბილისში იქნება თუ ჯანდაბაში, მე ვერსად დამემალება. მაგისი დარდი აღარ გქონდეს!

— ესე იგი, რა? — ჩუმად იკითხა ზეინაბმა.

— ესე იგი, ის, რომ მაგისი დარდი აღარ გქონდეს. მაზეგ იქნება თუ მაზეგის სწორს, ეგ ფული დაგიბრუნდებათ. ახლა, მაგასთან დაკავშირებული რაც დოკუმენტაცია გაქვთ, გამატანე. დანარჩენი მე ვიცი...

— გაგატან, ოღონდ იორამმა არაფერი შეამჩნიოს.

— იორამისთვისაცა მაქვს ამბავი! მერე ერთად გეტყვით.

ზეინაბი მიაჩერდა დაინტერესებული, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ შეტრიალდა და ბოხჩების ამოლაგება დაიწყო.

— რად გინდოდა ამდენი რაღაცა? იორამი თითქმის არაფერს ჭამს. ასე იქნება, ვიცი, სანამ ღვინის სმის ნებას არ დართავენ.

— ჩვენ შევჭამთ, ჩემო ზეინაბო, ჩვენ შევჭამთ! მშიერი ვარ, ჭამა ვერ მოვასწარი. ჰოდა, გავშალოთ კაი სუფრა. როგორც მახსოვს, არც შენ უჩივი მადას. ჰოდა, რო შემოგვხედავს, იქნება მაგანაც გაანძრიოს ღრანჭი! დასალევიც ხომ გვაქვს?

— იმ დღეს რომ ვისკი მოიტანე, მანდაა, მაცივარში.

— იმ დღეს ვიფიქრე, რას მოვათრევდი ამ ვისკის, კაცს არაფერი ესმება-მეთქი, მაგრამ ჩვენც ხომ ცოცხალი ხალხი ვართ, ხო?! დასალევიც გვინდა და კიდევ სხვაც.

ბოლო სიტყვებზე ზეინაბი უსიამოვნოდ შეიშმუშნა, სახე ცივი და უკარება გაუხდა, მაცივრისაკენ შეტრიალდა.

— ვისკის მაინც დავლევ, სულ ისტერიკა რომ დაემართოს ჩემს ძმაკაცს! მოითმინოს, ხომაა ვაჟკაცი! რამდენიმე დღეც და, მორჩა! მერე მაღარიჩზე კაი ადგილებში უნდა გაგაგულაოთ! ახლა ამ პოლიციელზე რას იტყვი? დავიტოვოთ თუ გავაპანღუროთ?

— არა! რა დააშავა?! — თქვა ზეინაბმა.

დიდ ოთახში გრძელდებოდა ლაპარაკი. იორამს „მაგრამ"-ის შემდეგ გაუგრძელდა პაუზა. გამომძიებელი ყურადღებით ელოდა...

— მაგრამ ზოგჯერ ინტუიციაც თამაშობს გადამწყვეტ როლს, — ისე, თავისთვის ჩაიბურტყუნა, თითქოს არც უნდოდა, ჯუმბერს გაეგონა.

— კი ბატონო, მაგრამ ინტუიციას ვერ დაეყრდნობი, ვერც მეცნიერებაში და ვერც გამოძიებაში. შეიძლება, ძალიანაც გჯეროდეს კაცის, მაგრამ თუ მტკიცებულებები არ ექნა, არა გაქვს უფლება, შენს პირად განწყობილებას, შენს დამოკიდებულებას დაეყრდნო. ხომ ასეა, ბატონო იორამ, ხომ მეთანხმებით?!

— კი, ბატონო! გეთანხმებით! ეგ ცნობილი ჭეშმარიტებაა და აბა, არ დაგეთანხმებით?

— ჰოდა, ბატონო იორამ, რა არის საწყენი იმაში, რომ მოვლენა სრულიად განყენებულად განვიხილოთ? ვცადოთ, ჰა? — შეეხვეწა ჯუმბერი და პასუხს აღარ დაელოდა, განაგრძო. — ვთქვათ ასე! პიროვნება „იქსი" ნაპოვნია უგონო მდგომარეობაში, კეფაზე ბლაგვი საგნით მიყენებული ტრავმის შედეგად. „იქსი" აცხადებს, რომ გაჰყვა ვინმე გრძელკეპიანს, რომელმაც შემფასებელ აბრამთან მიყვანა შესთავაზა (ასეთი პიროვნება ბაზრობაზე არ აღმოჩნდა)... მერე? მერე ამ მოფარებულ ჩიხში გრძელკეპიანი გაქრა და „იქსმა" მიიღო დარტყმა თავში და ადგილზე გაითიშა. გამოფხიზლების შემდეგ აღმოჩნდა გაძარცული. წაღებულია აბგა, გასაყიდად გამოტანილი



ვერცხლის ნივთებით.

ვალდებული ვართ, გადავსინჯოთ ყველა შესაძლებლობა: პირველი — ყველაფერი ისე მოხდა, როგორც „იქსი“ აჩვენებს; მეორე — „იქსი“, არა მთვრალი, არამედ ნასვამ მდგომარეობაში (ამას ადასტურებენ სასწრაფოს ექიმები), საკუთარი გაუფრთხილებლობის გამო იღებს ტრავმას და ითიშება. მერე კი ამბობს, რომ ჰქონდა ვერცხლისნივთებიანი აბგა, რომელიც აღარაა. შეიძლებოდა, აბგაც და თავდასხმაც „იქსის“ გამონაგონად ჩაგვეთვალა, მაგრამ აბგის არსებობას ადასტურებს მოვაჭრე გაბელია, ასახელებს კიდევაც ვერცხლის ნივთებს, რომლებზეც ივაჭრეს და ვერ მორიგდნენ. „იქსი“ წავიდა. გრძელკეპიანი? გაბელია ადასტურებს, რომ შორიდან, ხალხის მასაში, თვალი მოჰკრა, რომ „იქსი“ მართლაც დაელაპარაკა ვიღაც გრძელკეპიანს, რომლის სხვა რაიმე აღწერილობას ვერ იძლევა, რადგან ამ სუბიექტის დაბალი ტანადობის გამო, კეპის მეტი არაფერი დაუნახავს. ამ ტიპის აღწერილობიდან ორმხრივად დადასტურებული გვაქვს მხოლოდ კეპი და დაბალი ტანადობა. გაბელიას არც ის დაუნახავს, „იქსი“ და კეპიანი ერთად წავიდნენ თუ ცალ-ცალკე. ამგვარად არსებობის უფლება აქვს ამ ვერსიასაც — თავდასხმა არ ყოფილა, მაგრამ ვერცხლეულის აბგა კი იყო და ვიღაც მაწანწალამ ხელს გააყოლა მანამ, სანამ დაზარალებულს მოქალაქეთა ჯგუფი აღმოაჩენდა. დახმარების აღმომჩენები ვერ მოახერხებდნენ აბგის მითვისებას ერთმანეთის თვალწინ. ეს არის რვა, სრულიად სხვადასხვა პირი, რომელიც დაიკითხა პოლიციის მიერ. აქედან ორი — მოხუცი მოვაჭრე დედაკაცია, ერთი — შუახნის ქალბატონი, მყიდველი; სამი — ბაზრობაზე მოქმედი ახალგაზრდა პოლიციელი, ორიც — იქვე მუდმივად მომუშავე მტვირთავი.



ამ გრძელი მსჯელობის დროს კარში გამოჩნდა ნოდარი, მაგრამ მყისვე შედგა და ისე, რომ მოსაუბრეთ არ შეემჩნიათ, უსმენდა.

— რომელ ვერსიაზე ლაპარაკობთ? — იკითხა მოღუშულმა იორამმა.

— სათადარიგოზე... რომ თავდასხმა არ ყოფილა. ჩანთა კი ნამდვილად დაიკარგა.

იორამი ისევ აფეთქდა:

— რაებს მელაპარაკებით?! თქვენ გინდათ თქვათ, რომ მე ვტყუი?

ხელები გაასავსავა პოლიცელმა, შეშფოთებისაგან ყვიროდა:

— არავითარ შემთხვევაში, არავითარ შემთხვევაში! მხოლოდ სათადარიგო ვერსია დავასახელეთ! ჩვენ ხომ თქვენს ვერსიაზე ვმუშაობთ. ვეძებთ თქვენ მიერ დასახელებულ და აღწერილ გრძელკეპიანს! ჯერჯერობით ვერ ვპოულობთ! თქვენც არავის ადებთ ხელს!

იორამიც აყვირდა:

— ჰოდა, ეძებეთ და იპოვეთ! როცა იპოვით, უეჭველად ვიცნობ, რაც გინდა, ის ეხუროს! ჰოდა, ხელსაც დავადებ!

— აბა რას ვაკეთებთ, ბატონო იორამ! გადავყევით მაგის ძებნას! მე მხოლოდ ისა ვთქვი, რომ ობიექტურად არსებობს ამ სხვა ვერსიის შესაძლებლობაც-მეთქი.

— ჰოდა, მერე რა, რომ არსებობს?

— არაფერი! მაგ ვერსიის დადასტურების შემთხვევაში ძებნა წყდება, საქმე იხურება და თქვენ პოლიციისაგან მიიღებთ დანაკარგის კომპენსაციას. არის ასეთი პრაქტიკა.

იორამი პირდაღებული მისჩერებოდა და სახეზე ჯერ გაოცება, მერე თანდათან ბრაზი გამოეხატა. ამ დროს კართან შერჩენილმა ნოდარმა შემოაბიჯა.

— გამარჯობათ! გამარჯობათ! — ხელი ჩამოართვა ორივეს, იორამის ხელი ხელში ჩაიტოვა, საყვირლად წამოფოფრილი შეაჩერა და ჯუმბერს მიუბრუნდა. — ყმაწვილო, გასაგებია, საით ღუნავთ! საქმის დახურვის სანაცვლოდ — ზარალის კომპენსაცია. გარიგება, ხომ?

ჯუმბერმა უცებ დაკარგა კორექტულ-დელიკატური ტონი და გაავებულმა შეუტია:

— თქვენ! რას ჰქვია, ვღუნავ?! რას ჰქვია — გარიგება?! შენ...

ნოდარსაც უმალ შეეცვალა ხმა და ხისტად და უხეშად გააწყვეტინა:

— შენ, ბიჭო! „ყმაწვილო“ გითხარი! ხო არ მითქვამს ცუდი არაფერი?! ხო არ მითქვამს, ლაწირაკო-მეთქი და სხვა რალაცა.

პოლიციელს ინსტინქტმა უკარნახა, რომ ვიღაც „სახიფათოს“ გადააწყდა. მისჩერებოდა ბრაზით წამოპარპალებული, მაგრამ სათქმელი დააცალა.

— შენ ბაჯოს იცნობ, ბიჭო?!

ჯუმბერი უცებ ჩაქრა და დაიბნა:

— ბაჯოს?! ბაჯოს?! პოლკოვნიკ შოთა წურწუმიაზე მეკითხებით? ჩვენი სამმართველოს უფროსი...

ისევ გააწყვეტინა ნოდარმა:

— ჰოდა, ახლა რო მიხვალ, გადაეცი, ვიფიქრებთ მაგ წინადადებაზე-თქო, ნოდარ ყაფლანიშვილმა თქვათქო. შენ კაი ბიჭი ჩანხარ! საწყენი ხო არ გვითქვამს არაფერი? — პასუხი არ დააცალა. — ჰოდა, არც აწი ვაწყენინებთ ერთმანეთს არაფერს. პასუხს ხვალ გეტყვით! დარეკე ტელეფონზე თორმეტამდე! შენ იცი და შენმა კაცობამ!

ფეხზე წამომდგარ ჯუმბერს გვერდით ისე დაუდგა, რომ უნებურად კარისკენ მისცა მიმართულება. პოლიციელმაც სწრაფად წამოკრიბა თავისი რამეები, „დიპლომატი“ დაკეტა და სწრაფად წავიდა გასასვლელისაკენ.

იორამმა მოასწრო წამოყვირება:

— რა მოფიქრებაზე ლაპარაკობ, თუ ძმა ხარ?!

— მაცალე, იორამ, მაცალე! გეტყვი ყველაფერს! — და ჯუმბერს გამოუდგა დერეფანში გასაცილებლად. ოთახის კართან თეფშებით დატვირთულ ზეინაბს შეეფეთნენ.

— მიდიხართ? ჯერ საუზმეზე დაგვეწვიეთ! — უთხრა ჯუმბერს.

— დიდი მადლობა, ქალბატონო! ისედაც ნახევარი დღე შეგაწყინეთ თავი! საათს რომ შევხედე, გული გამისკდა! სამმართველოში უნდა გავჩნდე სასწრაფოდ! დიდი მადლობა! კარგად ბრძანდებოდეთ! — ჩვეული თავაზიანობით უპასუხა ჯუმბერმა.

გაისმა იორამის ყვირილი:

— რა მოფიქრება?! რა გარიგება?! რაშია საქმე?! მე აღარ მეკითხებით?

ნოდარი, დამნაშავე ბალღივით, მასხრულად გამოცუხცუხდა და იორამის გვერდით სავარძელში ჩაეფერთხა.

— გეკითხები, აბა არ გეკითხები? მაშ, აქ რისთვისა ვარ?!

ზეინაბმა სუფრა გაშალა, დაალაგა ნოდარის მოტანილი დელიკატესები. ნოდარი ისევ წამოხტა:

— თუ არ გეწყინება, ერთი ვისკი უნდა ვხუხო! შენთვის რომ არ შეიძლება, იმიტომ გებოდიშები, — სამზარეულოში გავიდა.

იორამმა დაადევნა:

— რას მებოდიშები?! შენ თუ დალევ, მე რატომ უნდა მეწყინოს? რა ახალ-ახალ

სისულელეს აფრქვევ ზედიზედ?!

ნოდარმა სამზარეულოში, ოთხკუთხა ჭიქაში ორი თითის დადებაზე დაისხა ვისკი და იქვე გადახუხა, მერე ნახევარზე დაასხა, ყინულებით შეავსო და წამოიღო. ზეინაბი მაშინვე მიბრუნდა, ვისკის ბოთლიცა და ყინულიანი ჯამიც გამოიტანა და მაგიდაზე დადგა.

ნოდარი ისევ ჩაეფლო სავარძელში და ყინულიანი ვისკი მოსვა.

— აი, ახლა კი მზადა ვარ! შემეკითხეო, ხომ მითხარი? გეკითხები ძმურად, ჩვენს ვარიანტში; გინდა თუ არა, ამ ნაბოზრებს — იქითაც და აქეთაც — აბაროტი ავუღოთ?

— მოიცა, ვერ გავიგე, რა აბაროტი? სად იქითაც და აქეთაც? — თქვა დაღლილმა და გაღიზიანებულმა იორამმა.

— ორივე მხარე ნაბოზარია, გესმის? აქეთ — პოლიცია, იქით — ქურდი და ყაჩაღი.

— ვერ გავიგე! ამიხსენი, რას ამბობ? ვერ გავიგე, რისი თქმა გინდა!

— რა და... ხო ნახე, პოლიცია რას გთავაზობს? საქმის დახურვას და სანაცვლოდ კომპენსაციას. ეგეც, იცი, რატომ? კისერზე აწევთ ეგ საქმე... მაგათაც თავიანთი ჩასაფრებულები ჰყავთ. შენს ადგილას ვინმე ყუმსა და ნაჩალიჩარს ისე დააშინებდნენ, რომ თვითონ ახვეწნინებდნენ, დავხუროთო. შენთან ანაზღაურებას კისრულობენ. ჰოდა, ჩემი რჩევაა: დაეთანხმე! ეგენი მაინც არავის დამჭერები არ არიან! ეგენი ვისაც დაიჭერენ, შენ ხელს არ დაადებ და შეიძლება, უსიამოვნებაც გამოვიდეს! ერთი სიტყვით, რაც მალე გაწყვეტთ ურთიერთობას, ორივესთვის ჯობია. დამიჯერე! გამოართვი კომპენსაცია და მოიშორე თავიდან, თორემ რაც უფრო გაჯანჯლდება, შეიძლება ისე შემოაბრუნონ, რომ აქეთ დაგიწყონ რაღაცების დაბრალება.

— რაებს ლაპარაკობ, ნოდარ! მეორეჯერ მომივა ტვინის შერყევა! ვერაფერი ვერ გავიგე!

ზეინაბიც აფორიაქდა:

— მართლა რა ხდება? ვერც მე გავიგე ვერაფერი!

— კარგი! ახლა მეორე ნახევარსაც გეტყვით და გაიგებთ! — გულის ჯიბიდან ამოიღო, გაასწორა და მაგიდაზე დაალაგა სამი ასდოლარიანი. — აი, ესაა შენი ნივთების საფასური! თვითონ ნივთებს ვეღარ მივუსწარით, მაგრამ საფასური დავადებინეთ.

— ვისა, კაცო?! — ძლივს ამოღერღა იორამმა.

— ვისა და ვინც მოგტაცა, იმას!

— რა?! მიაგენი?! თუ მიაგენი, პოლიციას რატომ არ ჩააბარე?!

— დედის მაგათისამ! მაგათ მაგივრად მე ვიძალლო?! მე მივართვა მაგათი დასაჭერი? მერე ვუყურო, რას იგოთვერნებენ? თვითონ მოძებნონ და თვითონ დაიჭირონ, თუ დაჭერა უნდათ, — არხეინად თქვა ნოდარმა.

ლაპარაკის განმავლობაში ნოდარი სულ იღეჭებოდა. დანანებით თქვა:

— უჰ, ბიჭო! რა მომივიდა! ლუდი! როგორ არ წამოვიღე? ცივი ლუდი უნდა ამ საჭმელს! აქ ახლოს არი რამე? მარკეტი, რაღაცა?

— არის აქვე, კი. ორმოცდაათ ნაბიჯშია. ჩავალ, ამოვიტან, არ მეზარება! — თქვა ზეინაბმა.

— აჰ, როგორ შეიძლება! ეგ მაკლია, ჩემი ლუდი გათრევინო კიბეზე.

— რა მოხდა? სტუმარი ხარ, მე — მასპინძელი.

— არა! ტელეფონი მინდა მაგათი.

— რა ვიცი მაგათი ტელეფონი, არასოდეს დამჭირვებია... — მერე დაამატა: — მოიცა, ქიქოძეებს ვკითხავ. — გავიდა დასარეკად, მალევე შემობრუნდა, აპარატითა და ქაღალდის ნაგლეჯით ხელში, ნოდარს წინ დაუწყო. ნოდარმა დარეკა:

— თქვენა, ქალბატონო, გენაცვალეთ! ლუდი რომელი გაქვთ ყველაზე კარგი? „კასტელი“? უკეთესი არაფერია? ჰო, იყოს „კასტელი“! მომისმინე: მანდ გეყოლებათ ვინმე! აქვე, ოცდაექვს ნომერში, მესამე სართულზე, შათირიშვილების ბინა... ათი ბოთლი, ოღონდ კაი გაყინული, ხო იცი...

გადადო აპარატი და იორამს მიუბრუნდა:

— იორამ, ერთი სიტყვით, ჩვენი საქმე მოვათავეთ და გავასწორეთ. ახლა ამ პოლიციასთან უაზრო ვალაკიტის გაგრძელება აღარ შეიძლება. აქაც უნდა გავასწოროთ და მოვათავოთ. მიაშავე ის ჩვენება, გამოართვი კომპენსაცია და აღარ გაიკარო ახლოს.

— რას მთავაზობ, ნოდარ! მაგას როგორ ვიზამ?!

— ნუ იზამ, ბატონო! ატარე გაუთავებელი დისკუსიები ჯუმბერასთან. უყურე კინოებს. კიდევ მოგიტანს, ალბათ! გარეთ რო გამოხვალ, ჯუმბერა კი აღარ გეახლება. იქ დაგიბარებენ და ივლი განყოფილებაში. ალბათ, ბაჯოსაც გაიცნობ. ერთი უზრდელი უფროსი ჰყავთ მაგათ.

— იქნება იჭერენ იმ ტიპს? იქნება ხვალვე იჭერენ? — თქვა ზეინაბმა.

— კი, როგორ არა! გრძელკეპიანი თუ გამოჩნდა სადმე, ვინმე, ხო? ვა-ხა-ხა-ხა! გინდაც ხვალვე დაიჭირონ, გინდაც იორამმაც ხელი დაადოს. სასამართლოზე რა მოხდება, ეშმაკმა უწყის! შეიძლება, ვერც დაუმტკიცონ. დემოკრატიაა, გენაცვალე! მაშ, აბა როგორ?

— აბა, ის სჯობდა, ცეკადან დარეკვით რომ გამოჰქონდათ განაჩენი? — ისევ ზეინაბი.

— კაი, თუ ძმა ხარ! მაშინ ის მაინც იყო ცნობილი, რო ცეკადან წყდებოდა. ახლა მამალი ეშმაკი ვერ დაადგენს, რა, საიდან, რანაირი დარეკვით, შეტანით თუ გამოტანით თუ რა ჯანდაბით რა ხდება. მაგისი თავი გაქვს შენ, იორამ? ამ ჯუმბერ-ბაჯოებთან სიარულის... სასამართლოში თრევის, გადადება-გადმოდების... ათასი კლიაუზის... კიდე კაცმა არ იცის, რაში გაგსვრიან, რას წამოგაძახებენ, რას გაწყენინებენ! არა ხარ შენ სამაგისო კაცი!

ამ დროს კარზე ზარი დაირეკა, ზეინაბმა წამოიწია, მაგრამ ნოდარმა დაასწრო:

— ლუდი იქნება!

გააღო გარე კარი და შემცბარი მიაჩერდა ვიღაც მაჯლაჯუნას. სქელი, ტუმბოს მოყვანილობის, მსუქან ლოყებზე მეჩხერი წვერითა და მუწუკებით, ტიპი იდგა და ნოდარს უცინოდა. ჭუჭყიანი თმის ბღუჯებზე გრძელკეპიანი გოლფის ქუდი ჰქონდა წარბებამდე ჩამოფხატული.

— ვინა ხარ?! — ჰკითხა უნებურად.

— ლუდი მოგიტანე! — გაიცინა გახარებულმა მაჯლაჯუნამ და ზურგის უკნიდან ცელოფანის დიდი ბოხჩა გამოაჩინა. ნოდარმა ფული მიაჩეჩა და ჩანთა ჩამოართვა. ტიპმა ფული გაშალა, დათვალა, დაალაგა, დაკეცა და გახარებულმა ხმამაღლა გაიცინა. თავის ქნევითა და ბარბაცით უკანუკან წავიდა.

— ეს ვინ გამოგზავნეს, კაცო! — თქვა შემობრუნებულმა ნოდარმა.

ზეინაბს გაეცინა:

— ბოლა ჰქვია. ამ უბნის ერთ-ერთი დებილია. სულ მაგ მაღაზიის საფეხურებზე ზის.

ნოდარი იორამს მიუბრუნდა:

— ისე, ხო ნახე! ესეც გრძელკეპიანი იყო! — და გააგრძელა: — ტელეფონში იმისთანა ცუგრუმელა ხმა ჰქონდა იმ გოგოს, ვიფიქრე, ვინმე ამისთანა ცუგრუმელას გამოგზავნიან-მეთქი.

იორამი თავზე ხელებშემოწყობილი, დაღვრემილი იჯდა. ხელი აიქნია და სიცილის გარეშე, გაღიზიანებულმა თქვა:

— კაი, თუ ძმა ხარ! ლუდი გინდოდა? ხომ მიიღე?! ეს ცუგრუმელები რაღას აიტეხე ნეტავი.

ზეინაბმა მოიტანა ლუდის მაღალი სასმისები. ნოდარმა დაასხა.

— კაი გაცივებულია მართლა! — თქვა კმაყოფილმა და იორამს უპასუხა. — რა სჯობია, ბიჭო, კაი ლუდს კაი გოგოც რო მოგიტანს! მადას მაინც არ გაგიფუჭებს.

— მეტი არაა ჩემი მტერი, მაგისთანა რამემ გაგიფუჭოს შენ მადა. შენ თუ რამე გინდა! — თქვა იორამმა და ისევ თავზე შემოიწყო ხელები დიდი მაიმუნივით. იჯდა მოღვენთილი, სასოწარკვეთილი სახით. ხელისგული დაჰკრა უცებ მაგიდაზე და წამოიძახა:

— არ მჯერა მე მაგ ამბავი!

— რა ამბავი?

— რა და, რომ შენ ის კაცი ნაპოვნი გყავს და რომ ეს ფული მისთვისაა ჩამორთმეული! ხედავ ამ გასაჭირს და შენი ფული მომიტანე დასაწყნარებლად! არ ვარ მაგ ფულის ამღები!

ნოდარმა დადგა დაცლილი ჭიქა, ტუჩები შეიმშრალა და სრულიად მშვიდად, დავისა და კამათის გარეშე თქვა:

— კაი, ბატონო! — გადაიხარა და მაგიდაზე დაწყობილი ასდოლარებიანები აკრიბა, გაკეცა და ჯიბეში ჩაიწყო. — ამას ახლა წავიღებ და როცა დაგიმტკიცებ, ისევ მოგცემ. შენი თვალით რო ნახავ, ხო დაიჯერებ? მაშინ ხო აიღებ? საკუთარი ფული ხო უნდა აიღო, აბა რა უნდა ქნა? მაშ, აბა როგორ?

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# გონების სავარჯიშო

## „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

## (კითხვები)

**ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ**

## „პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. რა არის შიმალი?
2. მანქანის დაგორებისა და სანაპიროდან არხში გადავარდნის შემთხვევაში, ზოგიერთი ამსტერდამელი მძღოლი, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, ავტომობილის სალონში დარჩენას ამჯობინებს. რატომ?
3. რა არის შიმშერი?
4. ვის ეკუთვნის სიტყვები: „თავისუფალი რომ იყო, კანონებს უნდა ემონო“?
5. რა არის მიმრქმელი?
6. ამ ფრანგ მსახიობს ერთ-ერთ ფილმში იმ ქმრის როლი უნდა შეესრულებინა, რომელსაც ცოლი ღალატობს და როცა შინ დაბრუნებული მას საყვარელთან წაასწრებს, სახეზე საშინელი სინანული, ტანჯვა უნდა აღბეჭდვოდა. ათიოდე დუბლის გადაღების შემდეგ, უკმაყოფილო რეჟისორმა მსახიობი თოვლით სავსე თასში, ფეხშიშველი ჩააყენა და მისი სახის გამომეტყველება დააფიქსირა. მოგვიანებით, მსახიობმა ამ კადრებს მის მიერ ნათამაშები ერთ-ერთი საუკეთესო ეპიზოდი უწოდა. დაასახელეთ მისი სახელი და გვარი.
7. რომელ ქვეყანაში ცხოვრობს ყველაზე მეტი მუსლიმანი?
8. რომელი ქვეყნის საელჩოა განთავსებული ბერიას ყოფილ საცხოვრებელ სახლში?
9. ღორის ხორცი კალორიულობით მეორე ადგილზეა. რომელი ცხოველის ხორცია უფრო კალორიული?
10. არტურ ბლოხის აზრით, რა არის სამყაროში სხვა ცივილიზაციათა არსებობის ყველაზე უტყუარი დადასტურება?
11. რა არის ოფიდიოფობია?
12. დაასრულეთ პაბლო პიკასოს სიტყვები: „მომეცით მუზეუმი და მე...“
13. ეს დიქტატორი (თუ ნადიქტატორალი) დარწმუნებულია, რომ ბრწყინვალედ ერკვევა მეცხოველეობაში. ამერიკაში ყოფნისას, მესაქონლეობასა და მეწველი ძროხების ჯიშებზე მასპინძლებს 3-საათიანი ლექციაც კი წაუკითხა. დაასახელეთ იგი.

# ანეკდოტები

* * *

პოლიციელს თხა მიჰყავს.

— სად მიგყავს მაი ძაღლი? — ეკითხება გურული.



— ეს ძაღლი კი არა, თხაა!

— მე შენ კი არა, თხას ვეკითხები.

* * *

რძალ-დედამთილი რაიონში მიემგზავრება. ვაგზალზე მათ ორი ახალგაზრდა სთხოვს, — მეგობარი გარდაგვეცვალა და დაგვატირებინეთო. ქალებს შეეცოდებათ და წაჰყვებიან. ბიჭებმა ისინი ბინაში მიიყვანეს და გააუპატიურეს. შერცხვენილი რძალ-დედამთილი სახლში ბრუნდება.

— ეს რა გვიყვეს, კაცო, რა პასუხი გავცეთ ჩვენს ქმრებს?! — ამოიოხრა დედამთილმა.

— შენი არ ვიცი და, მე ორმოცზე ისევ უნდა ჩამოვიდე! — პასუხობს რძალი.

* * *

რაჭველი მატარებლის ვაგონში, ფანჯარასთან დგას და ახლომდებარე მთის ფერდობზე შეფენილ ცხვრებს ითვლის.

— ქვე შენი ჭირიმე ერთი, ქვე შენი ჭირიმე ორი, ქვე შენი ჭირიმე სამი...

მოვიდა გურული:

— რას შობი, ძამა?

— ცხვრებს ვითვლი.

— აჰ, მასე როის იქნება! მაცალე პაწა, ახლავე გადავითვლი, — უთხრა გურულმა და თვალები მოწკურა. — აჰა, მზად არის. მაგ მთაზე ზუსტად 840 ცხვარია.

— რას ამბობ, შე კაცო?! იმ მეორე მთაზე?

— იმაზე 725!

— ეგრე ჩქარა რაფრა დათვალე, თუ კაცი ხარ? — გაუკვირდა რაჭველს.

— უჰ, რა უნდა, ძამა, დათვალე ფეხები და გაყავი ოთხზე.

* * *

ერთი გურული მეორეს ეუბნება:

— ამ არაყმა თავი ამატკივა!

— აპა, ძამა, 100 გრამ ჭკუას რომ 300 გრამ ჭაჭას გადაასხამ, კაი რა დაემართება?!

* * *

გურული ჭიშკარს მიადგა:

— მასპინძელო!

— მობრძანდით!

— შენს გახარებას, წყალი დამალევინე, თორემ ისე მშია, ღამე სად გავათიო, არ ვიცი...

* * *

კომუნისტების ეპოქაა. ზუგდიდში ამერიკელი ბიზნესმენი ჩამოვიდა, რომელიც ვერ შეეგუა ღომს და სულუგუნს და ქუჩაში თავი ცუდად იგრძნო.

— სად არის აქ ტუალეტი? — ეკითხება ძუკუს.

— აუჰ, მაგი არ იცით, თქვენ, მაგალითად? ა, წახვალთ ახლა წინ, მარჯვნივ 2-სართულიანი შენობა შეგხვდებათ — ეგი მილიციაა და არ შეხვიდეთ, მერე მოუხვიეთ მარჯვნივ, სადაც 3-სართულიანი შენობაა, ეგ ბიბლიოთეკაა და არც იქ შეხვიდეთ. მოკლედ, გაუხვევ მარცხნივ, დაინახავ მრგვალ შენობას, ეგ კინოთეატრია, იმასაც გასცდები...

— აღარ შემიძლია! მოკლედ მითხარი, რას მაწვალებ?!.

— ხოხ, თქვენ რომ ზანგებს აწვალებთ!..

* * *

გურულ ბავშვს მასწავლებელი ეკითხება:

— რამდენია ხუთჯერ რვა?



— მაგი, ჯვარი აქოურობას და, ორ-მოცია, მასწავლებელო.

* * *

ძუკუ ჰყვება:

— ვზივართ რესტორანში, ჩვენი „სასტავი“, კანტიკუნტად, დაახლოებით, 15 კაცი. გაიღო კარი და შემოვიდა ჯგრო — 3 სვანი. იქ ჩხუბი აიწია, მამა შვილს ვერ ცნობდა. ხან ისინი იყვნენ ზემოდან, ხან ჩვენ ვიყავით ქვემოდან. ვულიტეთ, ვულიტეთ და დავრჩით ბოლოს სამი — სამზე. გავეკიდე ერთს... გარბის, მივდევ... გარბის, მივდევ... მოვიხედე და ვხედავ, მეწევა. ამოვიღე ხანჯალი და დავარტყი ფერდში. არ გჯერა? აგერ, ა, რამხელა „შრამი“ დამრჩა! — პერანგი აიწია ძუკუმ.

* * *

— გული მიკვდება, როცა ამ დასპირტულ ცხოველებს ვხედავ!



— რას ამბობთ, აქ ხომ სულ 3 ბაყაყია!

— საქმეც ეგ არის — 3 ბაყაყია, სპირტი კი 10 ლიტრამდე მაინც იქნება.

* * *

ზესტაფონის სადგურზე გაჩერებული მატარებლიდან მგზავრი სასადილოდ ჩამოვიდა. ცოტა ხანში მატარებელი დაიძრა, მგზავრი კი გაეკიდა.

— ჩქარა, ჩქარა, არ დარჩე! — უყვირის გამცილებელი.

სადგურზე მყოფმა მოხუცმა მხრები აიჩეჩა:

— დარჩეს, ბატონო, რა მოხდა მერე, აქანე არა ვართ ჩვენ სულე?!

* * *

— ნახე, იმ ტიპს როგორი მიჭყლეტილი ცხვირი აქვს.

— აუ, მაგას ვიცნობ, ქალების აბანოში მუშაობს მინების მწმენდავად.

* * *

მთვრალი ქვაფენილზე წევს. თავზე პოლიციელი დაადგა.

— მოქალაქევ, ადექით!

— სად ვარ?

— ზოოპარკის ჭიშკართან.

— აუ, დახურე, რა, მიბერავს!..

* * *

ღამეა. კაცი სახლში ბრუნდება. გზად სასაფლაო უნდა გაიაროს. მიდის და შიშით გული უსკდება. ხედავს, ვილაც მოხუცი კაცი საფლავის ქვას ამაგრებს.

— უჰ, როგორ შემაშინეთ! მანდ რას აკეთებთ?

— ჩემს შვილს ჩემი წლები არასწორად დაუწერია და ვასწორებ.

* * *

პროვინციაში 2 ასაკოვანი ქალბატონი მანქანით მგზავრობს. მათ სატელეგრაფო ბოძზე აცოცებული 2 ხელოსანი შენიშნეს.

— იდიოტები, — ამბობს საჭესთან მჯდომი, — მაგათ ჰგონიათ, პირველად ვზივარ საჭესთან!

## ცოდნის საგანძური

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. ახალგაზრდა ხე.
2. ამ შემთხვევაში ავტომობილის არხიდან ამოთრევის ხარჯებს ქალაქის მუნიციპალიტეტი ფარავს, მაგრამ თუ მანქანაში არავინაა, მეპატრონეს საკუთარი ავტომობილის ამოყვანა საკმაოდ სოლიდური თანხა უჯდება, ხოლო მანქანის წყალში ჩატოვებისა და არხის დანაგვიანების უფლება არავის აქვს.
3. „შიმშერი“ და „მახვილი“ სინონიმებია.
4. მარკუს ტულიუს ციცერონს.
5. „მიმრქმელი“ და „ნათლია“ სინონიმებია.
6. ჟან გაბენი.
7. ინდონეზიაში.
8. ტუნისის საელჩო.
9. კურდღლის ხორცი.
10. ის, რომ ჩვენთან დაკავშირება დღემდე არავის უცდია.
11. გველების შიში.
12. „...შევავსებ მას“.
13. ფიდელ კასტრო.

## ჩვენი ფოტო გალერეა



შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

# ერიდეთ მატყუარებს...

**მას მაცდურ მამაკაცს უწოდებენ და მისი ამოცნობა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. მას გამუდმებით გარს ახვევია ახალგაზრდა გოგონების მრავალრიცხოვანი არმია, რომელთანაც მხოლოდ პლატონური ურთიერთობები აკავშირებს. ფლირტი მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ქუჩაში აუცილებლად აყოლებს მომნუსხველ მზერას ყველა საინტერესო მანდილოსანს და მზადაა მათ მოსახიბლად. მის გვერდით თავს მშვიდად ვერასდროს იგრძნობთ. სამაგიეროდ, უსიამოვნებები არასოდეს გამოგელევათ.**



ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ამ ტიპის მამაკაცები გულის სიღრმეში საშინელი ქალთმოძულენი არიან. სწორედ ამიტომაც წარმოადგენს მათი ცხოვრების ძირითად მიზანს ყველა ქალის გულის დაპყრობა. ამით თითქოს შურს იძიებენ სუსტი სქესის წარომადგენლებზე და სასურველი მიზნის მისაღწევად უკან არაფერზე იხევენ.

ყველა ქალი, რომელიც მაცდურის კლანჭებში მოხვდება, აუცილებლად დაიტანჯება. ეს გარდაუვალია. როგორც უნდა ეცადოს, რაც უნდა მოიმოქმედოს, მის გულს ვერ მოინადირებს, ვერ დაარწმუნებს, რომ სწორედ თვითონაა ის ერთადერთი და განუმეორებელი, რომელიც მას გააბედნიერებს. რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ზრდასრული ადამიანის ხასიათის შეცვლა თითქმის შეუძლებელია. ამიტომ, თუ უთანასწორო ბრძოლაში არ აპირებთ ჩაბმას და ზედმეტი ნერვიულობა არაფერში გჭირდებათ, ჯობს, ყველანაირად დაალწიოთ თავი მაცდურის ხიბლს. დაივიწყეთ ის, როგორც ცუდი სიზმარი.

აუცილებლად გაითვალისწინეთ — მამაკაცი, რომელიც სიამოვნებით ადევნებს თვალყურს, როგორ იბრძვის რამდენიმე ქალი მის გვერდით „ღირსეული" ადგილის მოსაპოვებლად, არ იმსახურებს არც ერთის, მით უმეტეს — თქვენს სიყვარულს. თანაც ცხოვრება ისედაც რთულია და ხელოვნურად შექმნილი პრობლემები, ვფიქრობ, არაფერში გჭირდებათ. გახსოვდეთ და გჯეროდეთ: თქვენ უკეთესს იმსახურებთ! ■


აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

www.elva.ge

| გამოცემის დასახელება | 1ეგზ. ფასი | 3 თვე |
|---|---|---|
| 1. ИТОГИ | 3.00 | 39.00 |
| 2. НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА | 2.00 | 117.00 |
| 3. ЛИЧНОСТЬ. КУЛЬТУРА. | 32.00 | 32.00 |
| 4. КАРАВАН ИСТОРИЙ | 8.00 | 24.00 |
| 5. НОВАЯ ГАЗЕТА | 1.50 | 39.00 |
| 6. ВОКРУГ СВЕТА | 9.00 | 27.00 |

პრესის და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"

ტელ: 38-26-73; 38-26-74

ფაქსი: 38-26-74

აგრეთვე ნებისმიერი სხვა გამოცემა

E-mail: elva@kvirispalitra.com




# რატომ იმტვრევა ფრჩხილები

ფრჩხილების მტვრევა უამრავი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული: ჰიპოვიტამინოზი (1 ან რამდენიმე ვიტამინის ნაკლებობა), ნივთიერებათა ცვლის მოშლა, მავნე ქიმიურ და ფიზიკურ ფაქტორთა ზემოქმედება...

დერმატოლოგები ფრჩხილებს ჯანმრთელობის სარკედ მიიჩნევენ — მათი უჩვეულო ფორმა, ფერი, სისქე და სხვა მახასიათებლები ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიურ პროცესებზე მიუთითებს.

ფრჩხილების ქსოვილი მეტისმეტად მგრძნობიარეა ფიზიკურ და ქიმიურ ფაქტორთა მიმართ. ძალიან ცხელ წყალში რეცხვა უარყოფითად მოქმედებს ზედაპირული შრის უჯრედებზე — ისინი ზიანდება და იფიტება. ფრჩხილების დაზიანებას ხშირად სარეცხი საშუალებებისა და უხარისხო ლაქის გამოყენებაც იწვევს.

თუკი ფრჩხილებთან დაკავშირებული პრობლემები გაწუხებთ, ლაქის ხშირად წასმას არ გირჩევთ. ფრჩხილებს სუნთქვის საშუალება უნდა მისცეთ და გამაღიზიანებელ ფაქტორებთან კონტაქტს მოერიდოთ. ამ მიზნით კოსმეტოლოგები სპეციალური დამცავი ლაქის გამოყენებას გირჩევენ.

**გაითვალისწინეთ:**

- ხელი გლიცერინის შემცველი საპნით დაიბანეთ. მიიღეთ ვიტამინების და მიკროელემენტების შემცველი კომპლექსი.
- დღეში ორჯერ (დილა-საღამოს) მარილწყლის აბაზანები გაიკეთეთ; ან აიღეთ 1 ჩ/კ თბილი წყალი, დაუმატეთ 3-4 წვეთი იოდის ხსნარი და ამ ნარევში 15-20 წუთი გააჩერეთ თითები (ფრჩხილის შემცველი ფალანგები ბოლომდე უნდა იფარებოდეს წყლით). ასეთი აბაზანა ამაგრებს ფრჩხილებს.
- ძილის წინ, თითები 10 წუთით ქაცვის ნაყენის აბაზანაში გააჩერეთ. აბაზანის შემდეგ, თითებზე შერჩენილი ზეთი ინტენსიური მასაჟით, კანში შეიზილეთ და ისე დაიძინეთ. ■

# როგორ შევარჩიოთ თმის საღებავი

**თუკი თმის ფერის შეცვლა გადაწყვიტეთ, ბუნებრივია, არჩევანის წინაშეც დადგებით: რომელი საღებავი უნდა აარჩიოთ სასურველი შედეგის მისაღწევად, თანაც ისე, რომ თმა არ დაიზიანოთ? თანამედროვე ტექნოლოგია საღებავი საშუალებების ფართო არჩევანს გვთავაზობს: გამძლე (მედეგი) საღებავები, ბალზამები და შამპუნები, რომლებიც თმას გარკვეულ შეფერილობას აძლევს.**



*თმას ჯერ კიდევ უძველესი დროიდან იღებავდნენ. ძალზე პოპულარული იყო ინა. მისი დახმარებით შეიძლება სტაფილოსფრიდან ბრინჯაოსფრამდე ნებისმიერი შეფერილობის მიღება. სხვადასხვა შეფერილობის მისაღებად ინაში ურევენ ინდიგოს, ნიგვზის ნაჭს ან გვირილას.*

*თმის თანამედროვე საღებავები შეიძლება სამ ტიპად დაიყოს:*

## გამძლე საღებავები

ისინი შეიცავს წყალბადის ზეჟანგსა და ამიაკს ან მის შემცველ ამინებს. ასეთი საღებავი მთლიანად ცვლის თმის ფერს და კარგად ღებავს ჭაღარას.

საღებავი უშუალოდ შეღებვის წინ უნდა მომზადდეს — მისი შენახვა ყოვლად დაუშვებელია. საღებავის ჩამობანა ინსტრუქციაში მითითებულ დროზე ადრე არ შეიძლება. საქმე ის არის, რომ საღებავის მოლეკულების სინთეზი რამდენიმე სტადიას გადის და საღებავის ვადამდე ჩამობანის შემთხვევაში, საგრძნობლად აზიანებს თმას. სამაგიეროდ, ლოსიონი ნაკლებად გამძლეა.

პროფესიონალების რჩევით, საღებავი მხოლოდ დასაბან თმაზე უნდა წაისვათ, რადგან კანის ცხიმოვანი ფენა თავის კანს საღებავის მავნე ზემოქმედებისგან იცავს. შამპუნი ამ ფენას ანადგურებს, ამიტომ სუფთა თმის შემთხვევაში, საღებავმა შეიძლება კანი გააღიზიანოს.

## ფერადი საშუალებები

თმის ტიპისა და საღებავის ხარისხის შესაბამისად, ამგვარი საღებავები 4-8 ჩამობანას უძლებს. ასეთი საღებავებით თმის გაღიავება ვერ შეძლებთ, ისინი თმას მხოლოდ უფრო ინტენსიურ შეფერილობას ანიჭებს. ამასთან, ამგვარი საღებავი არც ამიაკს შეიცავს და არც წყალბადის ზეჟანგს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი სრულიად უვნებელია. ამიტომ იმ შემთხვევაში, თუ მიღებული ფერი არ მოგეწონათ, თამამად შეგიძლიათ მისი შეცვლა.

## ნახევრად გამძლე საღებავები

თუ ვერ გადაგიწყვეტიათ, რომელ ფერზე შეაჩეროთ არჩევანი, უმჯობესია, ნახევრად გამძლე საღებავებს მიმართოთ. ასეთი საღებავი ჩამობანის შემდეგ თანდათან უფერულდება და შეღებილ და შეუღებავ თმას შორის მკვეთრი განსხვავება არ შეიმჩნევა. ეს იმის შედეგია, რომ ასეთი საღებავები წყალბადის ზეჟანგს მცირე რაოდენობით შეიცავს, ხოლო ამიაკი მათში საერთოდ არ არის. ასე რომ, ბუნებრივი პიგმენტები არ ნადგურდება, ამიტომ საღებავის მოლეკულები თმის ღერის სიღრმეში ვერ აღწევს. მაგრამ ასეთი საღებავებით ჭაღარა არ იღებება.

**რამდენიმე რჩევა:**

*შერჩევისას ზუსტად უნდა იცოდეთ, როგორი ფერისა და გამძლეობის საღებავი გინდათ. ამის საფუძველზე შეიძლება საღებავის ტიპის შერჩევა. თმის შეღებვისას აუცილებლად უნდა დაიცვათ თანდართული ინსტრუქცია. თუ გსურთ, უფრო დიდი ხნით შეინარჩუნოთ ფერი, თავი შეღებილი თმისთვის განკუთვნილი სპეციალური შამპუნით უნდა დაიბანოთ. და კიდევ: ნურასოდეს გექნებათ იმის იმედი, რომ ზუსტად ისეთსავე ფერს მიიღებთ, როგორიც საღებავის კოლოფზეა გამოსახული.*

**ხარისხიანი თმა რომ გქონდეთ:**

- ძილის წინ, 5-10 წუთის განმავლობაში, ჯაგრისით ან ხის სავარცხლით, ყველა მიმართულებით ივარცხნეთ;
- რაციონში აუცილებლად შეიტანეთ სტაფილო, მაწონი, ხაჭო, ვაშლი, კომბოსტოს მწნილი;
- შამპუნი თმაზე წასმამდე ხელისგულზე აიქაფეთ.

**თმას არ უყვარს:**

- ძალიან ცხელი და ცივი წყლით დაბანა;
- რაციონში ბევრი ტკბილეული და უშუხუნა სასმელი;
- არასწორად შერჩეული შამპუნი;
- სხვადასხვა სახის რეზინითა და სამაგრით მჭიდროდ შეკვრა;
- ღამით დაბანა, რადგან ამ პერიოდში თავის კანი ჟანგბადით ნაკლებად მარაგდება. ■

## სალათა „ბალტიკა“



**მასალად საჭიროა:**

60 გ ბრინჯი;
30 გ ვაშლი;
ნახევარი კილო პომიდორი;
ნახევარი კილო კიტრი;
ოხრახუში, კამა, მარილი, შავი პილპილი — გემოვნებით.

**მომზადების წესი:**

მოხარშეთ ბრინჯი და გადაიტანეთ თუშფალანგზე (წყლისგან ბოლომდე უნდა დაიწრიტოს). შემდეგ შეურიეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში, კამა, მარილი და შავი პილპილი. ვაშლი და პომიდორი დაჭერით წვრილად, კიტრი კი — მოგრძო ნაჭერებად. ბრინჯი გადაიტანეთ სასალათე თასზე, გვერდებიდან მოუწყვეთ პომიდორი, ვაშლი და კიტრი. სუფრაზე მიტანის წინ არაჟანი (ან მაიონეზი) მოასხით. ■

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა



# წითელი ფეხსაცმელი

სვეტა კვარაცხელია

**ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით**

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №23-25

ნია ერთიანად ცახცახებდა. ისე მივიდნენ სასტუმრომდე, არც ერთს სიტყვა არ დასცდენია. გიგიმ დუმილი ამჯობინა, რათა გოგონა არ დაეფრთხო. ნიამ კი არ იცოდა, ასეთ დროს რაზე უნდა ელაპარაკა. შეგნებულად გადადგა ეს ნაბიჯი, არავის დაუძალებია. რატომ აკეთებდა ამას? ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა. ეს სწორედ ის შემთხვევა იყო, როცა გულიც და გონებაც შეთანხმებულად მოქმედებდა...

რა ლამაზი ყოფილა აქაურობა! ნიას არ ეგონა, თბილისში ევროპული დონის სასტუმროები თუ არსებობდა. ასეთი კეთილმოწყობილი ნომერი ერთხელ ნახა ცხოვრებაში, ისიც — თურქეთში, სადაც ორი თვე გაატარა ყველაზე ახლობელ ადამიანთან ერთად. უჭირს იმ პერიოდის გახსენება, ყველაზე დიდ ტკივილს აყენებს, რადგან არაჩვეულებრივად გატარებული დღეები საშინელი ფინალით დასრულდა...

— თავი ისე იგრძენი, როგორც საკუთარ სახლში, — თავბრუდამხვევი ღიმილით მიუალერსა გიგიმ ქალს და სააბაზანოში მიიმალა.

ნია საწოლზე ჩამოჯდა და ირგვლივ მიმოიხედა. გულის გამალებულ ფეთქვას საფეთქელთან გრძნობდა. აი, გამოვა ახლა და დაიწყება... რას აკეთებს, რას! აანალიზებს მაინც, რით დამთავრდება ეს შეხვედრა და მერე როგორ გაგრძელდება მისი ცხოვრება? ჰო, როგორ არა, ყველაფერი გააზრებული აქვს. რაც არის, არის, ასეთი ყოფილა მისი ხვედრი. ის არც პირველია და არც უკანასკნელი. ბევრი მისნაირი ქალი დგამს მსგავს ნაბიჯს. იცის ნიამ, გიგის ცოლობაზე ოცნებაც რომ ეკრძალება, რომ აქამდე არასდროს მივა საქმე, მაგრამ მაინც თანახმაა. რაღაც უხილავი ძალა იზიდავს მისკენ და თავს ვერაფერს უხერხებს. თითქოს მოჯადოებულია. უნდა, რომ მამაკაცმა აკოცოს. მთელი სხეული უთრთის, არა მარტო შიშისგან, სურვილისგანაც. და იმდენად ძლიერია ეს სურვილი, რომ დაძაბულობისგან ყველა კუნთი დაეჭიმა...

გიგიმ ნელა, ძალიან ნელა გამოაღო კარი და ნიასკენ წამოვიდა. წელს ზევით შიშველი სასიამოვნო სანახავი იყო. ფართო, დაკუნთული მხრები, განიერი მკერდი, შეწეული მუცელი, ხარბი გამოხედვა და ძალიან, ძალიან სექსუალური ტუჩები... გოგონამ მის ვნებიან მზერას ვეღარ გაუძლო და თვალები დახარა...

გიგი ძარღვებში სისხლის შხუილს გრძნობდა. აცდუნო მომხიბვლელი ქალი — მისთვის ერთ-ერთი ყველაზე აზარტული სიამოვნება იყო და ისევე წარმატებით გამოსდიოდა ეს, როგორც საკუთარი ბიზნესი. კარგად ხვდებოდა, როდის უნდა ელაპარაკა და როდის გაჩუმებულიყო, როდის ემოქმედა და როდის მოდუნებულიყო... რა დროს ჩაეხედა თვალებში და რა დროს ეკოცნა... რაც მთავარია, იცოდა, როგორ გაეღვივებინა პარტნიორში სურვილის ნაპერწკალი... მაგრამ ახლა ყველაფერი სხვანაირად იყო. იგი ახალბედა არ გახლდათ ქალებთან ურთიერთობაში, მაგრამ ისეთი რაღაც ემართებოდა ამ ქალთან შეხებისას, არასდროს რომ არ დამართვია.

ჩაიჩოქა და ქალს ცალ ფეხზე ფაქიზად გახადა. ნიამ თვალები წამით მილულა და თავი ოდნავ უკან გადააგდო. მსგავსი რამ არასდროს განუცდია. თითქოს მიწა ეცლებოდა ფეხქვეშ. მის ამ ჟესტს გიგიმ ისეთი მოწყურებული მზერით უპასუხა, გოგონას თავბრუ დაეხვა.

მამაკაცი თავდავიწყებით კოცნიდა ქალს და ვერაფრით აეხსნა, რა ემართებოდა. ჯერარგანცდილ სიამოვნებას იღებდა ყოველი შეხებისას და ამ სიამოვნებას ვერაფერს ადარებდა. მისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა ის, რასაც განიცდიდა, ვერ ძღებოდა ნიას ალერსით. განსაკუთრებით მის სახეზე აღბეჭდილი განცდა აგიჟებდა — შიში და სიამოვნება ერთდროულად იკითხებოდა ნიას ლამაზ, წყლიან თვალებში. ის იყო, მამაკაცმა წელზე ხელი მოხვია და ლოგინზე წამოაწვინა, რომ გოგონამ ხელი ჰკრა და წამოხტა.

— არა, არ შემიძლია, — სუნთქვაგახშირებულმა უკუსვლით გასასვლელისკენ დაიხია.

— რა დაგემართა? — დაბნეული გიგი ლოგინზე წამოჯდა და გაოგნებული მიაჩერდა.

— ძალიან გთხოვ, არაფერი მითხრა.

— არც ვაპირებ. არის მომენტი, როცა სიტყვები საჭირო არ არის. რატომ გეშინია, მოდი ჩემთან... — ჩურჩულით წარმოთქვა აღგზნებულმა, წამოდგა და ხელები წინ გაიშვირა.

— არ მომეკარო! — იყვირა მოულოდნელად ნიამ, შეტრიალდა და კარს მთელი ძალით დაეჯაჯგურა.

— ღიაა, დაბლა ჩამოსწიე, — სრულიად მშვიდად გაისმა მამაკაცის ხმა.

მისკენ ზურგშექცევით მდგარი გოგონა წამით გაქვავდა, არ ელოდა ასეთ რეაქციას, სხეული მოადუნა და ნელა შემოტრიალდა.

— მაპატიე, არ შემიძლია, — ნიკაპი აუკანკალდა.

— ვიცი.

— უნდა წავიდე, გთხოვ.

— წადი.

— არ ვიცი, რატომ მოვედი აქ, მე არ ვარ მზად ამ...

— გასაგებია.

ისეთი მშვიდი ტონით პასუხობდა ახვლედიანი, გაოგნდა. ეგონა, შეეხვეწებოდა, მუხლებში ჩაუვარდებოდა, დარჩენას სთხოვდა. მან კი... არ იცოდა, რა მოემოქმედებინა. ერთი წუთის წინ თუ გაქცევას ლამობდა, ახლა უკვე იმაზე ფიქრობდა, რა მოემიზეზებინა, რომ დარჩენილიყო.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— შენ იცი, როგორია სიჩუმე? — გიგიმ ალერსიანად გაუღიმა.

— სიჩუმე?

— ჰო, აი, ეს სიჩუმე, — და ირგვლივ მიმოიხედა.

— ვიცი... სამარისებური, — ნიამაც გაიღიმა.

— არა, უხერხული. არ დამეხმარები მის განმუხტვაში?

— უნდა დავბრუნდე, — ჩაიჩურჩულა ქალმა და მზერა აარიდა.

— დიანასთან აპირებ დაბრუნებას?

— მე-ე? არა, არა... შენ? — დაბნეულმა არ იცოდა, რას ლუღლუღებდა.

— არც მე. შენ?

— ახლა არ მკითხე?

— ჰო, დამავიწყდა, — გაეცინა გიგის, — ხედავ, როგორ ამიბნიე თავგზა? შენ კი არც გეცოდები. ახლა შენთან მოვალ

და არ გამექცე, — ფრთხილად შეაპარა.

მოულოდნელად ნიას ჩანთაში მობილური აწკრიალდა. ორივე შეკრთა. ნიამ აცახცახებული ხელით ამოიღო აპარატი და დახედა.

— დიანაა, — ჩაიჩურჩულა გაფითრებულმა და მწვანე ღილაკს თითი დააჭირა, — ჰო, დიკო, აქვე ვარ, ახლოს, ახლავე მოვალ, ცოტა ხნით გავედი. მოვდივარ...

— დაბრუნება გადაწყვიტე, არა?

— ასე გამოდის. რამეს ხომ არ დამაბარებდი? — ნაღვლიანად გაიღიმა.

— ჰო. აკოცე ჩემ მაგივრად ან რამე ასეთი...

— კარგი... წავედი, — ჩამქრალი ხმით ჩაილაპარაკა და გავიდა...

არ ახსოვს, როგორ ჩავიდა დაბლა, როგორ გაირბინა ვესტიბიული და ქუჩაში აღმოჩნდა. დიანასთან მიბრუნება არც უფიქრია, ტაქსი გააჩერა და მძღოლს სახლის მისამართი უკარნახა. თავიდან ვერ მიხვდა, რატომ უყურებდა ხანში შესული მძღოლი თვალებგაფართოებული, მაგრამ როცა ტანზე დაიხედა, ყველაფერი დღესავით ნათელი გახდა — იგი ფეხშიშველი იყო...

კვირას მთელი დღე ცხვირი არ გამოუყვია შინიდან. არც არაფერი გაუკეთებია, იწვა და გაუნძრევლად ჭერს მიშტერებოდა. დღე ისე მიილია, თვალი ვერ მოხუჭა. საღამოს კი განცდებისგან დაღლილს, მკვდარივით ჩაეძინა და დილამდე ფეხი არ გაუქნევია. კინაღამ დააგვიანდა სკოლაში. უკვე შინიდან გასვლას აპირებდა, რომ ვიღაც ბიჭი მოადგა, — ამანათია თქვენს სახელზეო. ლამაზად შეფუთულ ყუთს გამომგზავნის მისამართი არ ეწერა. გაუკვირდა, ამანათი არასდროს არავისგან მიუღია, მაგრამ ახლა ნახვის დრო არ ჰქონდა, ამიტომ ყუთი მაგიდაზე დადო და სასწრაფოდ გავარდა სამსახურში.

ძლივს მიუსწრო გაკვეთილს. მოსწავლეების ჟრიამულმა უსარგებლო ფიქრებს დროებით მოსწყვიტა. მაგრამ მხოლოდ დროებით. მათი გამოკითხვის და ახალი მასალის ახსნის თავი არ ჰქონდა, ამიტომ თემა დააწერინა — წითელქუდას მოკლე შინაარსი ინგლისურად. ზოგს გაუხარდა, ზოგი აბუზღუნდა, მაგრამ წერას მაინც ყველა შეუდგა.

ზარი დაირეკა თუ არა, აფორიაქებული გამოვარდა საკლასო ოთახიდან, სამასწავლებლოში შევიდა, თამრიკოსთან ცოტა წაიჭორავა წუხანდელ საღამოზე და თავის ტკივილის მომიზეზებით, სასწრაფოდ დატოვა იქაურობა.

შინისკენ მიმავალი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რა კოშმარულად შემოუტრიალდა კოლეგის ჯვრისწერა, რა ცუდად დამთავრდა გუშინდელი დღე. როგორ შეძლო, ასე მოქცეულიყო? კინაღამ თავი დაკარგა! კიდევ არ სჯეროდა, რომ ასე ადვილად შეძლო მინდობოდა უცხო მამაკაცს, მაგრამ... იქნებ ჯობდა, ცოტა ხნით მაინც დარჩენილიყო? უხეშად გამოუვიდა. ხომ იცოდა, რაც მოჰყვებოდა გიგისთან სასტუმროში წასვლას? რატომ გაჰყვა? ან თუ გაჰყვა, რატომ გამოიქცა? არ იყო კარგი საქციელი მისი მხრიდან. შინაგან ხმას ყური რომ დაუგდო, მიხვდა, რომ მისგან გამოქცევას ნანობდა. არა, სწორად მოიქცა. უარეს ხასიათზე დადგებოდა, დილით მის გვერდით რომ გაეღვიძა. ვერასდროს აპატიებდა ამას საკუთარ თავს. არადა, გამუდმებით მასზე ფიქრობდა. ვერაფრით წარმოიდგენდა, ასეთ ძლიერ შთაბეჭდილებას თუ მოახდენდა მასზე სულ ორჯერ ნანახი მამაკაცი.

პირველი, რაც შინ შესულმა შეამჩნია, ამანათი იყო. მისი არსებობა ახლაღა გაახსენდა. ვის უნდა გამოეგზავნა? ცნობისმოყვარეობა აღეძრა. ვარდისფერი ლენტები შემოაცალა მუყაოს ყუთს და გახსნა... საჩუქრის დანახვაზე სუნთქვა შეეკრა. ფეხსაცმელი... „დიორის“ ფირმის წითელი ფეხსაცმელი... მაღალქუსლიანი... თანაც ზუსტად მისი ზომა! ღმერთო! ვინ? საიდან? რატომ? ნუთუ გიგიმ? ჰო, აბა სხვა ვინ? ამის გაფიქრებაზე დაფეთდა. ყუთში ჩაიხედა, იქნებ ბარათი ეპოვა, თუმცა მის გარეშეც ხვდებოდა, ვისგანაც იქნებოდა. როგორც იქნა, იპოვა ლამაზყდიანი ბარათი, რომლის ერთ მხარეს ორქიდეები ეხატა, მეორე მხარეს კი გაკრული ხელით ეწერა: „ჩემთან დატოვებული ფეხსაცმლის სანაცვლოდ“. იქვე ტელეფონის ნომრები იყო წაწერილი — მობილურის და ქალაქის. რას ნიშნავს ეს? რატომ გამოუგზავნა ასეთი ძვირად ღირებული საჩუქარი? ამით რისი თქმა სურს? ამცირებს ნიას? აიძულებს, რომ თავი იაფფასიან მეძავად იგრძნოს? ეს იმ წუთების საფასურია, მის მკლავებში რომ გაატარა? სექსუალური მომსახურების საფასური? უკვე თავის საყვარლად დაიგულა? ნიას წამითაც არ ეპარება ეჭვი, რომ გიგი არაჩვეულებრივი საყვარელი იქნება, მაგრამ ეს არაფრით ცვლის იმ ფაქტს, რომ ისინი სრულიად სხვადასხვა სამყაროს წარმომადგენლები არიან. რა ჰგონია პატივცემულ ბიზნესმენს, რომ ნია მადლიერებით აღსავსე სიტყვებით მიიღებს ამ საჩუქარს?.. თავიდან გადაწყვიტა, უკანვე გაეგზავნა ამანათი ახვლედიანისთვის, მაგრამ მერე გადაიფიქრა. ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ მობილური მოიმარჯვა და ნომერი აკრიბა.



— ნია, რა სიურპრიზია! — გაისმა თავაზიანი ხმა, სანამ ნია რამეს იტყოდა.

როგორ მიხვდა? მას ხომ ხმა არ ამოუღია? არც თავისი ნომერი მიუცია მამაკაცისთვის. დარწმუნებული იყო, რომ დაურეკავდა?

გიგის ხმა ტელეფონში უფრო სექსუალურად ჟღერდა, ვიდრე ელოდა, რამაც მთლიანად მოშალა. გაახსენდა მისი ვნებიანად ნათქვამი „მოდი ჩემთან“ და ალმური წაეკიდა.

— ვწუხვარ, რომ იმავეს ვერ გეტყვი... მე ფეხსაცმლის თაობაზე ვრეკავ... — შეეცადა, ოფიციალური ტონით ელაპარაკა.

— იმედია, მოგეწონა... ზომა ვარაუდით შევარჩიე, მაგრამ ჩვეულებრივ, ასეთ რამეებში შეცდომას არ ვუშვებ, კარგად გამომდის. მოგეწონა?

ჩვეულებრივო? გაბრაზებულმა თავი ძლივს შეიკავა, არ აფეთქებულიყო.

— ზომაზე არ მაქვს ლაპარაკი. უბრალოდ, შენ არ გქონდა უფლება, ჩემთვის საჩუქარი გამოგეგზავნა! ეს ჩემთვის შეურაცხმყოფელია!

— შეურაცხმყოფელი?

— სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ შენს საქციელს? მომსახურების საფასური გადამიხადე? ჩვენ შორის ისეთი არაფერი მომხდარა, რომ ასე დახარჯულიყავი. დღესვე ფოსტით უკან გამოგიგზავნი!

— ეგ არც მიფიქრია, ნია. აქედან ფეხშიშველი რომ გახვედი, ძალიან შევწუხდი. ისე დავიბენი, ველარც გაგაცილე. ამიტომ, ვიფიქრე, დანაშაულს გამოვისყიდიმეთქი...

— უკაცრავად, მაგრამ შენი საჩუქრები არ მჭირდება. არც ისეთი სულელი ვარ, შენთან დავწვე. მართალია, წუხელ მივქარე, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. რაც უნდა გამომიგზავნო, არაფერს მივიღებ, იცოდე. არ მინდა, დავალებული ვიყო შენგან.

გიგი გაოცებული უსმენდა. მას აქამდე არ ჰქონია შემთხვევა, რომელიმე ქალს უარი ეთქვა მის საჩუქარზე, მით უმეტეს, თავი შეურაცხყოფილად ეგრძნო. მის ყველა ქალს მოსწონდა, როცა მათი სიამოვნებისთვის ფულს ხარჯავდა. ამან კი რა მოუხია?! არა, ამისთვის არ გამოუდვია თავი. მას, უბრალოდ, უნდოდა მიენიშნებინა ნიასთვის, რომ იგი მზად იყო შემდეგი შეხვედრისთვის. ამიტომაც წაუწერა ნომრები ბარათზე.

— რატომ გგონია, რომ საჩუქრის მიღებით ჩემგან დავალებული იქნები? — გულწრფელი გაოცება შეინიშნებოდა მის ხმაში.

კარგა ხანია, ქალს ასე არ გაუგიჟებია. არა, აუცილებლად უნდა დაითრიოს ეს გოგო, რათა ვნებათაღელვა ჩაიცხროს. რამდენიმე შეხვედრის შემდეგ ალბათ გადაუვლის ის ჟინი, მისი შეხებისას რომ წამოუვლის. რა თქმა უნდა, ასეც იქნება, თუ ნია ამის შანსს მისცემს.

— იმიტომ, რომ ასეა, — ქალი ჯიუტად იდგა თავისაზე.

— ამიტომ გამექეცი წუხელ?

— შეიძლება არ დამიჯერო, მაგრამ მე არ ვარ ის ქალი, პირველსავე შემხვედრს რომ უგორდება ლოგინში. არ ვიცი, რამ წამომიარა, როცა გამოგყევი... მაგრამ მინდა იცოდე, რომ ეს პირველი შემთხვევა იყო და იმედია, უკანასკნელი.

— პირველი შემთხვევა, რისი? — ეშმაკურად დაეკითხა ახვლედიანი.

— მცდელობის. შენთან დაწოლის მცდელობის. თავადაც არ ვიცი, რა დამემართა. გარწმუნებ, ამიერიდან ჩემი არსებობით არასდროს შეგაწუხებ.

გიგის ჩაეღიმა. სწორედ ამაში ეპარებოდა ეჭვი. საკმარისია, გაიხსენოს, როგორ მილულა ქალმა თვალები, როცა შეეხო, როგორ ილტვოდა მისკენ აცახცახებული, როგორ ხარბად კოცნიდა ტუჩებში... ამ ყველაფრის შემდეგ რას გულისხმობს, როცა ამბობს, არ ვიცი, რა დამემართაო? მასთან შეხვედრას შეცდომად მიიჩნევს?

— თუკი არ გჭირდება ჩემი ნაჩუქარი ფეხსაცმელი, თავად მოიტანე, რა საჭიროა მისი ფოსტით გამოგზავნა? — შემპარავი ტონით იკითხა.

— მოგიტანო? — ნიამ ტუჩები მოიკვნიტა.

— ჰო, ხვალ, საღამოს, სასტუმროში დაგხვდები.

— რაში გჭირდება ეს, გიგი?

— დიანაზე მინდა დაგელაპარაკო. მეტი არაფერი.

— დიანაზე? რა შუაშია აქ დიანა?

— საქორწინო საჩუქარი მინდა შევურჩიო. შენ მას კარგად იცნობ, იცი, რა უფრო გაუხარდება. ამიტომ დახმარება მჭირდება.

ნიამ არ იცოდა, რა ეპასუხა.

— აბა? რა გადაწყვიტე? — დააჩქარა მამაკაცმა.

— საჩუქარი აქამდე არ გაგიკეთებია? — თავის დაძვრენას შეეცადა გოგონა.

— სამწუხაროდ, ვერ მოვასწარი. წინა კვირას იტალიაში ვიყავი და მათი ამბავი მხოლოდ ჩამოსვლისას შევიტყვე.

კი, როგორ არა! დაიჯერა! აბა, ის ვინ იყო, ჯვრისწერის ხარჯები რომ დაფარა? არა, ნია ასე ადვილად არ მოტყუვდება. მას უნდა, რომ თავისთან მიიტყუოს და საწადელი აისრულოს. ან კი სხვა რა ინტერესი უნდა ჰქონდეს მისნაირ გოგოსთან?

— ვფიქრობ, ჩემი რჩევა არაფერში გამოგადგება, არც ისეთი გემოვნებით გამოვირჩევი, რომ...

— თქვენ ხომ მეგობრობთ, ჩემთვის ეს საკმარისია. ხომ იცი, რაც სჭირდება? — ისე დაჟინებით ითხოვდა გიგი მის დახმარებას, ნიას გააჟრჟოლა.

თავადაც უნდოდა მასთან შეხვედრა, სურვილისგან სხეული უხურდა, მაგრამ ასე ადვილად დანებება არ სურდა...

— კარგი, მოვალ, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ ამანათი დაგიბრუნო.

— ოღონდ მოდი და ყველაფერზე თანახმა ვარ, — შვებით ამოისუნთქვა მამაკაცმა.

ნიამ გულისფანცქალით შეაღო შუშის ბზრიალა კარი და ვესტიბიულში შეაბიჯა. მთელი ძალით ცდილობდა ნერვიულობის დაფარვას. ამწუთას არაფერი ახარებდა, არც ახვლედიანის სიმდიდრე და არც ფეშენებელური სასტუმრო, რომლის კარი ღია იყო მისთვის. დანამდვილებით იცოდა, რომ გიგის იგი მხოლოდ ჟინის მოსაკლავად სჭირდებოდა, თავისი სექსუალური კოლექციის გასამდიდრებლად, ამიტომაც იკავებდა თავს, დასთანხმებოდა მის წინადადებას. რატომ უნდა წამოაძახონ, სხვისი ნათრევი ქალი ხარო? რა სჭირს სამაგისო? ოდესმე ხომ გამოჩნდება ვინმე, მისი ტოლი და სწორი, რომელიც შეიყვარებს, პატივს სცემს, ცოლად შეირთავს და ოჯახურ სიმყუდროვეს შეუქმნის? რატომ მიექანება უფსკრულისკენ? სხვის ნაფერებს მერე ზედაც არავინ შეხედავს... და მთელი ცხოვრება საყვარლების გამოცვლა მოუწევს. „რა საშინელებაა!“ — დაზაფრულს სახე დაემანჭა.

პორტიეს თავისი ვინაობა მოახსენა, მან კი უთხრა, რომ ბატონი გიგი უკვე ელოდა. ჭაღარა მამაკაცი წინ გაუძღვა და პირველსავე სართულზე, მუხის მასიურ კართან შეჩერდა.

— მიბრძანდით, — თავაზიანად გაუღიმა პორტიემ.

ნიამ კარი ფრთხილად შეაღო... გიგი მაშინვე შეამჩნია. იგი ყავისფერი ფილებით მოპირკეთებულ ბუხართან იდგა და თვითკმაყოფილი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. ნეტავ რა უხარია? ალბათ ფიქრობს, რომ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა.

გოგონას შეაკანკალა. დროდადრო მამაკაცის ღიმილი აშინებდა კიდეც. მისი თვალები ისე ცივად და ალმაცერად მისჩერებოდა, ნიას ტანში უსიამოვნოდ გასცრა.

— მე... ფეხსაცმელი მოვიტანე, როგორც შეგპირდი, — ეს იყო, რისი თქმაც მოახერხა და ყუთი მაგიდაზე დადო.

— ვხედავ, — თავი დააქნია გიგიმ.

ახლა მართლაც უხერხული სიჩუმე ჩამოწვა და ნიამ იმაზე დაიწყო ფიქრი, რა მოემიზეზებინა, რომ სასწრაფოდ გასცლოდა აქაურობას.

— არ გინდა დაჯდე? ფეხსაცმელზე მოგვიანებით ვილაპარაკოთ.

— სალაპარაკო არაფერია, მე ყველაფერი გითხარი.

— მაინც დაჯექი. დალევ რამეს?

არა, დალევა არ უნდოდა, დაჯდომა — მით უმეტეს. ერთადერთი, რაზეც ოცნებობდა, რაც შეიძლება ჩქარა წასულიყო აქედან. მიუხედავად ამისა, იქვე მდგარ დივანზე ჩამოჯდა და სკოლის მოსწავლესავით, ხელები მუხლებზე დაიწყო. თვალი მოავლო თუ არა ამ ბრწყინვალე, ელეგანტურ, მდიდრულად მორთულ კაბინეტს, კიდევ ერთხელ დაასკვნა, რომ მისი აქ ყოფნა სრულიად უადგილო იყო. ტანსაცმელიც კი არ ეცვა შესაფერისი. განსაკუთრებულად არც არასდროს სცმია. ამისთვის ფულს ვერასდროს იმეტებდა. ძვირად ღირებული სამოსი მისთვის უცხო ხილი იყო, თუმცა ყოველთვის ცდილობდა, კოხტად მოერგო ტანზე ის, რაც ჰქონდა, მაგრამ არა — გამომწვევად. მართალია, დღეს შეეძლო უფრო ეფექტურად ჩაეცვა და მაკიაჟიც განსაკუთრებული გაეკეთებინა, მაგრამ შეგნებულად არ მოიქცა ასე. არ უნდოდა, მამაკაცს ეფიქრა, რომ საგანგებოდ მისთვის გამოიპრანჭა.

— არა, დიდი მადლობა. ყავა უკვე დავლიე.

— ყავაზე არც გეპატიჟები. კონიაკი ხომ არ გინდა, ან ვისკი, ან ბრენდი? გარეთ ცივა, ცოტას გაგათბობს.

გულის სიღრმეში გიგის ეეჭვებოდა კიდეც, სპირტიან სასმელს რამე სარგებელი მოეტანა. არ ელოდა ამ პატარა „ყინულის ნატეხისგან“ ასეთ სიცივეს. როგორც ჩანს, გოგონას არც ის იზიდავს და არც მისი სიმდიდრე... მაგრამ დაინახა თუ არა, მაშინვე მიხვდა, როგორ მონატრებია, როგორ ელოდა თურმე მის გამოჩენას. სიამოვნებით შეჰყურებდა მის შეცბუნებულ სახეს, დიდრონ, დამფრთხალ თვალებს, ლამაზად ჩამოშლილ, მბზინავ თმას. არა, რადაც უნდა დაუჯდეს, უკან არ დაიხევს. როგორმე უნდა მოარჯულოს ეს ჭირვეული ბავშვი, როგორმე უნდა ჩაიგდოს ხელში. მანამდე ვერ მოისვენებს, სანამ მისი არ გახდება. ასეთები მოუთვინიერებია?!

— არ მინდა დალევა, ნუ შეწუხდები, — გაუბედავად თქვა და წამოდგა.

— კარგი. მაშინ, მოდი, ფეხსაცმელზე ვილაპარაკოთ.

ნია შეიშმუშნა და ნირწამხდარი ძალაუნებურად კვლავ დივანზე ჩამოჯდა.

— სათქმელი არაფერი მაქვს.

— მოიზომე მაინც? მოგერგო?

ყურებამდე გაწითლებულმა გოგონამ თვალები დახარა. არ უნდოდა, მამაკაცს სიმართლეში გამოსტყდომოდა. რა თქმა უნდა, სულმა წასძლია და მაშინვე ჩაიცვა. ზუსტად მოერგო, თანაც ისე მოუხდა, აღფრთოვანებული დარჩა, მაგრამ არაფრის დიდებით არ ეტყვის ამას!

— საქმე ის როდია, მომერგო თუ არა თქვენი გამოგზავნილი ფეხსაცმელი...

გიგის გულზე მოხვდა, გოგონა „თქვენობითზე" რომ გადავიდა. ყოველივე იმის შემდეგ, რაც მათ შორის მოხდა, ეს ნამდვილად გასაკვირი იყო.

— გიგი, მე გიგი მქვია, — ცოტა არ იყოს, უხეშად შეაწყვეტინა, — მგონი, საკმარისად ახლოს ვიცნობთ ერთმანეთს, ასე რომ, წესით, შინაურულად უნდა მომმართო.

ზურმუხტისფერი თვალები შეშინებული მიაჩერდა მამაკაცს.

— ჩვენ საერთოდ არ ვიცნობთ ერთმანეთს! — აღშფოთდა ნია, — და ასე ნუ მელაპარაკებით! არ გაქვთ უფლება, მიუხედავად იმისა, რაც ჩვენ შორის მოხდა. ტელეფონში უკვე გითხარით, რომ საჩუქრის მიღება არ შემიძლია. რაც იყო, იყო... ახლა აჯობებს, დავივიწყოთ ყველაფერი.

— დაწყნარდი, რატომ ბრაზობ? ნუ მებრძვი. როგორც გინდა, ისე მოიქეცი, ოღონდ ერთი თხოვნა შემისრულე, კარგი? — ხმა დაურბილდა გიგის.

გოგონამ დამფრთხალი მზერა შეავლო.

— ჩაიცვი, — თქვა მამაკაცმა, მაგიდას მიუახლოვდა, ყუთს თავსახური ახადა და ფეხსაცმელი გაუწოდა.

— მე...

— რა ხდება, ნია?

— ვერ ჩავიცვამ!

— რატომ, შენი სტილი არ არის? ფერი არ მოგწონს?

— რატომ მაძალებ ამას?

— იმიტომ, რომ ასე მინდა.

ნია მიხვდა, რომ სულელურად იქცეოდა. განა რა დაშავდება, ჩაიცვას? რატომ ჯიუტობს? რა მოხდება, მისი თხოვნა შეასრულოს? ხომ მაინც არ აპირებს საჩუქრის მიღებას, ამიტომაც არაფერი უჭირს, თუ მოიზომებს.

ზლაზვნით წამოიმართა დივნიდან, მამაკაცს ფეხსაცმელი გამოართვა, უხალისოდ ჩაყო შიგ ფეხები და გაიმართა. ამწუთას ისე ახლოს აღმოჩნდა გიგისთან, რომ ყურის ბიბილოები გაუხურდა. მა-



მაკაცმა მის ფეხებს დახედა, ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა და ქალს მხრებში ჩაავლო ხელები. მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა. გიგის თვალებში სურვილის ისეთი ცეცხლი გიზგიზებდა, გოგონას მუხლები მოეკვეთა.

ახვლედიანი თვალს ვერ აშორებდა მის ოდნავ მთრთოლვარე ტუჩებს. რომ შესძლებოდა, კოცნით სულს ამოხდიდა ამ ჯიუტ არსებას, მაგრამ შეეშინდა, უარესად არ დაეფრთხო იგი. თუმცა... არც ისეთი ცივი ჩანს, როგორც თავს აჩვენებს. მგონი, არც კი გაუწევს წინააღმდეგობას. არა, მაინც არ აკოცებს. ამჯერად თავშეკავება მართებს, რაც მეტად გაწელავს დაახლოების პროცესს, მით უფრო ადვილად მიაღწევს მიზანს. ძალიან მალე, ნია გატყდება და თავისი სურვილით დაუწვება. ამაში ორი აზრი არ არსებობს. მამაკაცმა შეძლო თავის ხელში აყვანა, გოგონას ხელი შეუშვა და ორი ნაბიჯით უკან დაიხია. ძალიან, ძალიან უხდებოდა ფეხსაცმელი, ამიტომაც უარი არ უნდა თქვას საჩუქარზე.

— შეხედე... — ამ სიტყვებით ქალი კედელთან დაკიდებულ სარკესთან მიიყვანა და ჩაახედა.

უამისოდაც იცოდა ნიამ, როგორ მოხდენილს აჩენდა საჩუქარი მის ისედაც კოხტა ფეხებს, მაგრამ თავისი ნათქვამის უკან წაღება არ უნდოდა. სარკეს მოშორდა, ფეხსაცმელი გაიხადა და კვლავ ყუთში ჩადო.

— უნდა წავიდე... მართლა.

— იმ პირობით გაგიშვებ, თუ საჩუქარს თან წაიღებ. მინდა, რომ დაიტოვო, — გიგის სურვილისაგან თვალები დანისლოდა.

— არა.

— კი, ნია, კი. ის მე შენთვის შევიძინე და მინდა, ატარო.

წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა, მაინც ვერ გადაათქმევინებდა მამაკაცს.

— რა გაეწყობა, რახან არ იშლი... გმადლობ, მაგრამ საერთოდ... მამაკაცებისგან ძვირად ღირებულ საჩუქრებს არ ვიღებ.

— ესე იგი, მე პირველი ვარ? შესანიშნავია. ჰო, მართლა... შეყვარებული გყავს? ხვდები ვინმეს?

გოგონა დაბნეული მიაჩერდა.

— არა.

— მით უკეთესი. მაშინ ხვალ ვახშამზე გეპატიჟები. რვის ნახევარზე ჩემი მძღოლი გამოგივლის, რომ არ იწვალო. ერთად გავატაროთ საღამო.

— რა საჭიროა?

— ნუ მეთამაშები, ნია. მშვენივრად იცი, რატომაც დაგპატიჟე.

ქალს თვალები აენთო. მიხვდა, საითაც უმიზნებდა მამაკაცი.

— კი არ დამპატიჟე, მიბრძანე!

— ჩემთვის სულერთია, როგორ გაშიფრავ ჩემს ნათქვამს. მინდა, რომ ხვალ საღამოს, როცა მძღოლი გამოგივლის, მზად დახვდე. გასაგებია?!

აი, ახლა კი გამოაჩინა ახვლედიანმა თავისი ნამდვილი სახე! ცხადზე ცხადია, რომ ყველა ქალს ასე ეპყრობა. ისიც მიჩვეულია, ყველგან და ყველაფერში თავისი გაიტანოს. ამ კაცისთვის ალბათ სიტყვა „არა" არ არსებობს.

— საკმარისად გასაგებად გამოხატე შენი სურვილი, გიგი, მაგრამ ვერავინ მაიძულებს, გამაკეთებინოს ის, რაც მე არ მსურს. გასაგებია? — თავი ამაყად ასწია და თვალებში თამამად შეხედა.

გიგიმ სიცილი ვერ შეიკავა. გოგონა დაიზაფრა. რა დასანანია, რომ ცხოვრების კინოფირივით უკან დატრიალება არ შეიძლება. არავითან შემთხვევაში არ გაჰყვებოდა ამ თვითკმაყოფილ იდიოტს სასტუმროში და არც სალაპარაკო ექნებოდა რამე. ახლა კი თავს დავალებულად გრძნობს. საჩუქარი ხომ მიიღო?

ნია თავის დასაცავად მოემზადა, მაგრამ, მისდა გასაოცრად, მამაკაცი უეცრად დაყაბულდა.

— კარგი, როგორც გინდა, არ გაძალებ. თუმცა იცოდე, რომ ჩემთვის ყოველთვის სასურველი სტუმარი იქნები — სასტუმროშიც და კაზინოშიც.

ნიამ უსიტყვოდ დაუქნია თავი, ყუთს ხელი დაავლო და კაბინეტიდან ლამის თავქუდმოგლეჯილი გავარდა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# ლუციუს კორნელიუს სულა — პირველი დიქტატორი





სულას შემოსვლა რომში

***რომაელი ისტორიკოსი სოლუციუსი წერდა: ბერძნული და ლათინური ლიტერატურის ცოდნაში ეს ადამიანი ტოლს არ უდებდა თავისი ეპოქის უგანათლებულეს ადამიანებს, გამოირჩეოდა დიდი გამჭრიახობითა და გამძლეობით, განთქმული იყო თავისი სიხარბით, მომხვეჭელობით, სახელისა და დიდებისკენ სწრაფვით. მტრების თქმით, მის სხეულში ერთდროულად ორი ცხოველი იყო ჩასახლებული — ლომი და მელა და აუცილებლად დასძენდნენ, რომ ეს უკანასკნელი, ლომზე გაცილებით სახიფათო არისო.***

თემურ ივანიძე

რომის პირველი დიქტატორი ლუციუს კორნელიუს სულა დაიბადა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 138 წელს ძველ პატრიციანულ ოჯახში. მას მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იზიდავდა ხელოვნება და თავისუფალ დროს სიამოვნებით ატარებდა ბოჰემურ წრეში. ახალგაზრდა რომაელი პოლიტიკოსისათვის აუცილებელ სამხედრო სამსახურს სულა შედარებით გვიან, 30 წლის ასაკში შეუდგა. მან ბრწყინვალე დიპლომატიური ნიჭი გამოავლინა, როდესაც დაარწმუნა მავრიტანიის მეფე, რომისთვის გადაეცა საკუთარი სიძე, მხედართმთავარი იუგურთა. მაგრამ კონსულმა მარიუსმა, რომელსაც სულა სამსახურებრივად ექვემდებარებოდა, არ ისურვა, საკუთარი ტრიუმფი ახალგაზრდა პატრიცისათვის გაეზიარებინა. ეს გახდა სულასა და მარიუსს შორის უთანხმოების მიზეზი, რაც შემდგომ ღია კონფლიქტში გადაიზარდა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 92 წელს სულა გახდა კილიკიის პრეტორი. მან მოხერხებული აქცია ჩაატარა პონტოს მეფის, მითრიდატეს წინააღმდეგ, როდესაც პონტოს ტახტზე რომის წარმომადგენელი დასვა. 89 წელს სულა კონსული გახდა. მას უნდა გაელაშქრა პონტოს მეფის წინააღმდეგ, მაგრამ დემოკრატებმა, რომლებსაც სულა არისტოკრატების წარმომადგენლად მიაჩნდათ, გადააყენეს ახალგაზრდა კონსული და მის ნაცვლად ხანში შესული მარიუსი დანიშნეს. შექმნილ ვითარებაში რომის ლეგიონებმა სულას დაუჭირეს მხარი და პატივმოყვარე მხედართმთავარმა თავისი ერთგული არმია რომის წინააღმდეგ მიმართა.

მარადიული ქალაქი პირველად თავისი არსებობის მანძილზე რომაული არმიის მიერვე იქნა აღებული. სულამ დედაქალაქში არისტოკრატიის ძალაუფლება დაამყარა, რის შემდეგაც აღმოსავლეთისკენ დაიძრა და სამი წელი საბერძნეთისა და მცირე აზიისათვის ბრძოლას მოანდომა. 85 წლის აგვისტოში სულამ სამხედრო ისტორიაში პირველად გამოიყენა საველე სიმაგრეები მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების წინააღმდეგ და ბრწყინვალედ გაიმარჯვა მითრიდატე პონტოელზე.

40-ათასიანი არმიითა და უზარმაზარი ნადავლით სულა იტალიაში დაბრუნდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა მისი არყოფნით ისარგებლეს და ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს. სულა კანონგარეშედ გამოაცხადეს და სასჯელიც შეუფარდეს. სულა რომში შევიდა და ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი წამოიწყო. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 82 წელს რომი კვლავ აიღეს. ამჯერად გამარჯვებას არნახული ტერორი მოჰყვა. პირველივე დღეს 6 ათასი ტყვე სიკვდილით დასაჯეს. მთელ იტალიაში სადამსჯელო რაზმები მოქმედებდნენ. ზოგიერთ ქალაქში მთლიანად ამოწყვიტეს მამაკაცები. სპეციალურად შედგენილ პროსკრიპციებში (ერთგვარ სიებში) რეჟიმისათვის არაკეთილსაიმედო პოლიტი-



კოსები და მათი ახლობლები შეჰყავდათ. მათზე ხელის დაფარება დანაშაული იყო და დამნაშავე სიკვდილით ისჯებოდა, მის შვილებსა და შვილიშვილებს კი მოქალაქეობის უფლება ერთმეოდათ. ქონების მასობრივი კონფისკაცია დიქტატორის მომხრეების დაჯილდოების საშუალებად იქცა. სულა და მისი გარემოცვა განუზომლად გამდიდრდა.



სულას მონეტა

სისხლიანი ანგარიშსწორებით დაშინებულმა სენატმა სულა განუსაზღვრელი დროით გამოაცხადა დიქტატორად. მანამდე ამ თანამდებობაზე მხოლოდ ნახევარი წლით ინიშნებოდნენ და ისიც მხოლოდ ომის საშიშროების შემთხვევაში.

მიაღწია რა განუსაზღვრელ ძალაუფლებას, სულამ გაატარა რეფორმები, რომლებიც მიმართული იყო სენატის გასაძლიერებლად და სახალხო ფორუმის ძალაუფლების შესაზღუდავად. ძველი წელთაღრიცხვით 79 წელს უსასტიკესმა დიქტატორმა ლუციუს კორნელიუს სულამ, ყველასათვის მოულოდნელად თავისუფალი არჩევნები დანიშნა და ნებაყოფლობით დათმო ძალაუფლება. ეს ნაბიჯი ისტორიკოსებისთვისაც დღემდე გამოცანად რჩება.

სულა, რომელმაც უზარმაზარი გავლენა შეინარჩუნა რომის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, თავის შორეულ მამულში, პუტეოლიში დასახლდა. თავს ნადირობითა და მემუარების წერით ირთობდა. სიცოცხლის უკანასკნელ დღეს იგი მეგობრებისა და ახლობლების გარემოცვაში შეხვდა. უკურნებელი სენიც კი (ნადიქტატორალს კანის მძიმე დაავადება სჭირდა) ვერ ჩრდილავდა იმ კმაყოფილების, ჰარმონიისა და აღსრულებული ვალის გრძნობას, რომელსაც სულა თავისი განვლილი ცხოვრებისა და მიღწეული მიზნების გამო განიცდიდა.

გარდაცვალების შემდეგ სულა მარსის მოედანზე, მეფეთა გვერდით დაკრძალეს და იქვე მისი ქანდაკებაც აღმართეს. საფლავის ქვაზე კი მისივე ანდერძის მიხედვით ამოკვეთეს სიტყვები: „ამქვეყნად არავის გაუკეთებია მასზე მეტი სიკეთე საკუთარი მეგობრებისათვის და მასზე მეტი ბოროტება — საკუთარი მტრებისათვის.“ ■

# საფირმო კროსვორდი



**შევსების წესი:** **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

**გ**. უკრაინული ხალხური ცეკვა; **ზ**. ზღვის დიდი მტაცებელი თევზი; **ა**. მთავარი არტერია, რომელიც არტერიული სისხლით კვებავს სხეულის ყველა ორგანოს (ფილტვების გარდა); **გ**. პატარა ძაღლი; **ზ**. მედიდური, ქედმაღალი, ამაყი, ამპარტავანი; **ი**. დაცინვითი შინაარსის ლექსი; **ს**. საქართველოს მაღალმთიანი კუთხე; **თ**. უროს მცემელი სამჭედლოში; **ვ**. ჯარის უფროსი ძველ რუსეთში; **ი**. ცალკე პირის ან დაწესებულების რომელიმე წლისთავი და ამ წლისთავთან დაკავშირებული ზეიმი; **ს**. თავის კანი თმიანად, რომელსაც ინდიელები მოკლულ მტერს აჭრიდნენ; **ა**. განთიადის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში (მისი სახელი რუსებმა თავის დროზე ერთ მურდალ კრეისერს უწოდეს); **ო**. რა ერქვა ხევისბერი გოჩას შვილს; **მ**. ინგლისელი მწერალი, რომელმაც თავის რომანში „მთვარე და ექვსპენსიანი“ ფრანგი მხატვრის, პოლ გოგენის ცხოვრება აღწერა; **კ**. ყელზე შემოსახვევი ქსოვილი, ყელსახვევი; **ი**. უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; **თ**. რა ცხოველი იყო ამალთეა, რომელმაც საკუთარი რძით გამოკვება ჩვილი ზევსი; **ხ**. მოყავისფრო მწვანე ფერის ერთგვარი ქსოვილი; **ვ**. რა ერქვა გერმანიის რესპუბლიკას 1918-1932 წლებში; **ე**. ლეგენდარული პორტუგალიელი ფეხბურთელი; **ლ**. ინგლისის მეფის, რიჩარდ I-ის თიკუნი; **ი**. სოფელი კასპის რაიონში, რომლის გავლისას მძღოლები ტრასაზე ხურდა ფულს ყრიან; **ს**. ქართული კერძი, რომელსაც ძირითადად დღესასწაულებზე ამზადებენ; **თ**. ირანის დედაქალაქი; **ვ**. ადვოკატი; **ი**. გრძნობათა მცდარობის შედეგად სინამდვილის დამახინჯებულად, მცდარად აღქმა; **ს**. იტალიელი კომპოზიტორი, რომელიც გადმოცემის თანახმად ფარულად მტრობდა მოცარტს; **ა**. რა ერქვა პიპინია ერისთავის ნაბოლარა შვილიშვილს მხატვრულ ფილმში „არაჩვეულებრივი გამოფენა“; **ო**. კანადის დედაქალაქი.

**„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**ა**. აფთარი; **რ**. რეალი; **დ**. დავითი; **ა**. არმადა; **გ**. გუდუნა; **ა**. აკაკი; **ვ**. ვაბანკი; **ი**. იალაღი; **წ**. წნორი; **ყ**. ყაბახი; **დ**. დიანა; **ე**. ედმონი; **ს**. სეტერი; **გ**. გლაზგო; **ზ**. ზენიტი; **ი**. ილიადა; **ს**. სუმო; **შ**. შიოლა; **ე**. ენდემი; **ძ**. ძერა; **ე**. ეკიპაჟი; **ნ**. ნიკოლო; **ა**. ავაზა.

**გამუქებულ უჯრედებში იკითხება:**
**თავმდაბლობამ ტანი მოდრიკა**

# პატარაობაში დაჩაგრული მოდელი, მოპარული დღიურები და მოგზაურის ხიფათით აღსავსე ცხოვრება

**გრძელი და „საცობებით“ სავსეა მოგზაურის გზა, მაგრამ ბატონი ჯუმბერ ლეჟავა სიძნელეებს არ უშინდება, მუდამ წინ მიიწევს და ამბობს, რომ არ არსებობს დაბრკოლება, რომლის დაძლევაც მოგზაურის ძალებს აღემატება.**



## „ხშირად მესხმოდნენ თავს, მაყაჩაღებდნენ და ჩემი მოწამვლაც სცადეს“

*თიკო კალანდაძე*

— წლინახევრის ვიყავი, როცა მამა გარდაიცვალა. დედა მუშაობდა და მე და ჩემი და სახლში მარტოები ვრჩებოდით ხოლმე. ჩვენ გვიწევდა პურისა თუ ნავთის რიგში დგომა. ხშირად, ვიღაცები პატარებს გვჩაგრავდნენ, პურს ძალით გვართმევდნენ და შინ ხელცარიელი ვბრუნდებოდით.

— **როგორი ბავშვი იყავით?**

— ფიზიკურად ძალიან სუსტი ვიყავი, ხშირად ვავადმყოფობდი და ამ ფაქტის გამო, გადავწყვიტე, ვარჯიში დამეწყო. სასურველ შედეგს მალევე მივაღწიე და ფიზიკური სისუსტე დავძლიე. მეზღვაურობაზე ვოცნებობდი, მაგრამ ოჯახის წევრებმა ამის ნება არ მომცეს. მეუბნებოდნენ, — ზღვაში წახვალ და დაიკარგებიო. მათ აზრს ანგარიში გავუწიე... სკოლაში სწავლის პერიოდში, ოჯახს მატერიალურად ძალიან უჭირდა. ამიტომაც, მუშაობა ვორონცოვის ქუჩაზე მდებარე სამოდელო სახლში დავიწყე — საბავშვო ტანსაცმლის თარგს ჩემი აღნაგობის მიხედვით ჭრიდნენ. მოკლედ, ჯერ კიდევ ბავშვობაში ვიყავი მოდელი, მაგრამ ზოგიერთივით თავი ვარსკვლავად არ მიმიჩნევია (*იცინის*).

— **სწავლის პარალელურად მუშაობა არ გიჭირდათ?**

— არა, არ გამჭირვებია. სხვათა შორის, სკოლა ვერცხლის მედალზე დავამთავრე. ვიყავი საკავშირო ლაურეატი მათემატიკაში, საქართველოს ჩემპიონი — მათემატიკაში, ხაზვაში... მოკლედ, კარგ მოსწავლედ მივიჩნეოდი. სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა მოსკოვის მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში განვაგრძე, მაგრამ სამწუხაროდ, თბილისში დაბრუნება მალევე მომიხდა — დედა გარდაიცვალა და დას ვერ მივატოვებდი. მოგვიანებით, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩავაბარე გამოცდები და კიბერნეტიკის ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. სწავლის დამთავრების შემდეგ, ბატონ ილია ვეკუას მეთვალყურეობის ქვეშ, ჩემი სპეციალობით დავიწყე მუშაობა. მინდა აღვნიშნო, რომ ბატონი ილიას დახმარებით დიდი გამოცდილება შევიძინე. და კიდევ, საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე ვმუშაობდი.

— **მაღალ თანამდებობაზე მუშაობისას, „საცობში“ ხშირად ხვდებოდით?**

— როდესაც მუშაობა „ცეკავშირში“ დავიწყე, კომპიუტერიზაცია დანერგილი არ იყო. მე შევქმენი გამომთვლელი ორგანიზაციების ქსელი, რაც თითოეული სამსახურისა თუ თანამშრომლის გამჭვირვალე მუშაობას უწყობდა ხელს. მაგრამ მოულოდნელად, ძალიან დიდი „საცობი“ შემექმნა — აღნიშნული ქსელი „ცეკავშირის“ ზოგიერთ თანამშრომელს, ფულის არაკანონიერი გზით მოპოვებაში უშლიდა ხელს. ხშირად მემუქრებოდნენ, მაგრამ არასდროს არავისი შემშინებია, პირიქით — მუდამ ჩემი ეშინოდათ.

— **მოგზაურობა რატომღა გადაწყვიტეთ?**

— ერთხელ, ვარჯიშის დროს ფიზიკურად ძალიან დავიტვირთე და ჯანმრთელობა შემელახა — მუცლის ღრუს განგრენა დამემართა. ექიმები ოპერაციას არ მიკეთებდნენ, — მაინც ვერ გადარჩებაო. ბოლოს, მეგობარმა ექიმ-



**ექიმები ოპერაციას არ მიკეთებდნენ, – მაინც ვერ გადარჩებაო.**

მა, ზაურ ცხაკაიამ გადაწყვიტა, ჩემი სიცოცხლისთვის ებრძოლა. მისი აზრით, 2 დღეც რომ მეცოცხლა, ოჯახის წევრებისათვის ეს ბევრს ნიშნავდა. როდესაც ოპერაცია გამიკეთეს, დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ როგორ გამოვჯანმრთელებულიყავი და ამისთვის ფსიქოლოგიურად მოვემზადე. ვფიქრობდი: უნდა ვიცოცხლო,

რადგან ჩემი ცხოვრება ძალიან ლამაზ ფაზაში შევიდა — მყავს შვილები, შვილიშვილები და უმშვენიერესი მეუღლე; კარგად უნდა გავხდე, რათა ბევრი კარგი საქმე გავაკეთო-მეთქი... მართლაც, შევადგინე გეგმა, რომლის ძირითადი პუნქტები იყო: გამოჯანმრთელება, სამსახურში სიარული, ფიზიკური ძალების აღდგენა და მოგზაურობა მსოფლიოში. ნელ-ნელა ამ ურთულესი გეგმების განხორციელება დავიწყე და მიზანსაც მივაღწიე.

**— ბატონო ჯუმბერ, როგორ ფიქრობთ — თქვენთვის მიუღწეველი არაფერია?**

— ნებისმიერი ადამიანი, თუ ის მიზანს სწორად დაისახავს, მას აუცილებლად მიაღწევს. მთავარია, არ შეშინდე. ვეთანხმები გამოთქმას: ყოველმა ადამიანმა ხელი უნდა მოჰკიდოს ისეთ საქმეს, რაც მისთვის შესაძლებელია და რაც მას ეკადრება. მაგალითად, მე ვიცი, რომ შემიძლია, მოვხსნა გინესის რომელიმე რეკორდი, ადამიანებს ვასწავლო და ვუჩვენო, რომ შესაძლებელია, მომაკვდავიც გამოჯანმრთელდეს, მაგრამ არასდროს ვიტყვი — მე პრეზიდენტი გავხდებიმეთქი. თუ საჭიროება მოითხოვს, ამასაც შევძლებ, მაგრამ ეს არაფერში მჭირდება. მირჩევნია, ჩემი საქმე ვაკეთო კარგად, ვიდრე სხვისი — ცუდად. დაჯილდოებული ვარ დიდი ნებისყოფით და დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტი რომ ვიყო, მუდამ ჩემი სამშობლოსათვის ვიშრომებდი, მაგრამ ეს ჩემი საქმე არაა. მე მიყვარს სიმართლე და „საცობი“ ხშირად ამიტომაც მექმნება. მოგზაურობისას დღიურებს ვწერდი, მაგრამ მათი უმეტესობა მომპარეს.

**— თქვენს დღიურებს ვინ იპარავდა და რა მიზეზით?**

— მპარავდნენ სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურის თანამშრომლები, მაგრამ მიზეზებზე ლაპარაკი არ მსურს. ჩემთვის უდიდესი ბარიერია ის ფაქტი, რომ არ მაქვს საშუალება, გამოვცე წიგნები, რომელიც დაახლოებით, 50-ტომეული მაინც იქნება.

**— მოგზაურობა როდის დაიწყეთ?**

— ექიმების დაუდევრობის გამო, ახალგაზრდა მეუღლე გარდამეცვალა. გადავწყვიტე, სამოგზაუროდ წავსულიყავი და მოგზაურობა მეუღლის ხსოვნისთვის მიმეძღვნა. თავდაპირველად, მატერიალურად ჟიული შარტავა მეხმარებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ის ჩემი მოგზაურობის დაწყებიდან 2 თვეში გარდაიცვალა და სპონსორის გარეშე დავრჩი. თუმცა, მეხმარებოდა თემურ მაისურაძეც.

**— გზაში ალბათ, უამრავ დაბრკოლების გადალახვა გიწევდათ...**

— რა თქმა უნდა! ხშირად მესხმოდნენ თავს, მაყაჩაღებდნენ და ჩემი მოწამვლაც სცადეს, მაგრამ ეს დაბრკოლებები გადავლახე. ერთხელ შევხვდი კაცს, რომელმაც მოგზაურობა ოჯახური კონფლიქტის შემდეგ გადაწყვიტა. რაღაც მანძილი ერთად გავიარეთ და როდესაც ჩვენი გზები უნდა გაყრილიყო, მან თავისი მისამართი მომცა. მითხრა, — როცა ადელაიდაში ჩახვალ, ჩემს მეუღლესთან მიდი და ღამე იქ გაათიეო. რა თქმა უნდა, ადელაიდაშიც ჩავედი, მაგრამ მის სახლში მისვლა მეუხერხულა და გადავწყვიტე, ღამე სხვაგან გამეთია. მოულოდნელად, საბურავი დამეშვა. ერთ-ერთ მაღაზიასთან მივედი, სადაც გამოკრული იყო განცხადება: „უახლოეს 3 დღეში არ გაიღება!..“ ჩამოვჯექი კიბეზე და დღიურის წერა დავიწყე. ღამის ქუჩაში გათევის უფლება პოლიციამ არ მომცა და რადგანაც სასტუმროს ფული არ მქონდა, ადელაიდელი ნაცნობის მეუღლეს ვესტუმრე, რომელიც შესანიშნავი მასპინძელი აღმოჩნდა.

**— სამშობლოს ნოსტალგია არ გქონდათ?**

— რა თქმა უნდა, ჩემი სამშობლო ძალიან მენატრებოდა და როდესაც საქართველოს საზღვრებს მოვუახლოვდი, საოცარი განცდა დამეუფლა... მოგზაურობიდან დაბრუნებულს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ფულადი კომპენსაცია დამინიშნა და ბინაც მაჩუქა. თუმცა, მერე ეს ბინაც და ჰონორარიც ჩამომართვეს, იმ მოტივით, რომ არ მეკუთვნოდა. სასამართლოში საქმის აღძვრის შემდეგ ბინა დავიბრუნე, ახლა კი ვცდილობ, კუთვნილი ჰონორარიც მივიღო, რათა შრომა წყალში არ ჩამეყაროს და წიგნები გამოვცე.

**— სამომავლოდ ახალ მოგზაურობას ხომ არ გეგმავთ?**

— ჩემი უდიდესი სურვილია, დავიპყრო ანტარქტიდა და ველოსიპედით პოლუსზე გავემგზავრო. მე და უკრაინელმა მოგზაურმა — მიკულამ შევიმუშავეთ სპეციალური პროექტი (ჰერმენტულად დახურული პინგვინის ფორმის ხელსაწყო, სადაც დამონტაჟებული იქნება 2 ველოსიპედი) და გვსურს, სიცივისა და მაგნიტური პოლუსი დავიპყროთ. ჯერჯერობით, ამ პროექტის განხორციელებას ვერ ვახერხებთ. უკრაინამ შემომთავაზა: — თუ მხოლოდ ჩვენი დროშით გაემგზავრებით, ჩვენ დაგაფინანსებთო, მაგრამ უარი ვუთხარი. ასევე, ვერ განვახორციელე პოლარულ წრეზე წასვლის პროექტი და ამ შემთხვევაშიც, „საცობი“ უსახსრობის გამო შემექმნა... ■



**ჩემი უდიდესი სურვილია, დავიპყრო ანტარქტიდა და ველოსიპედით პოლუსზე გავემგზავრო.**

საინფორმაციო პორტალი
ამბები.GE
შემოიარეGE!
www.ambebi.ge

# მამაკაცებმა სექსუალურებად რომ იგრძნონ თავი...

დები ოლსენების პოპულარობის ფენომენს ახსნა არ მოეძებნება: გოგონები დიდი ხანია, ფილმებში აღარ თამაშობენ, ალბომებსაც აღარ უშვებენ და მთლიანად მოდის სამყაროში გადაეშვნენ, მაგრამ პოპულარული გამოცემები მაინც რიგში დგას, რათა მათი ინტერვიუ მოიპოვონ და ფოტოსესიის ჩატარება შეძლონ.





მამაკაცთათვის განკუთვნილი ჟურნალის — V Man magazine შავ-თეთრი ფოტოსესიისთვის ეშლი ოლსენი ნაწილობრივ გაშიშვლდა. ფოტოგრაფმა სურათების ნაწილი მბჟუტავი ნათურის შუქზე, ბნელ სარდაფში გადაიღო და ეშლი „პირქუში პრინცესის“ სახით წარმოადგინა. ერთადერთი „ნათელი“ კადრი ის ფოტო აღმოჩნდა, სადაც ეშლი მზის სხივებით განათებულ ფანჯრის რაფაზე ზის.

როდესაც ჟურნალისტმა ეშლის ჰკითხა, — დების მოდურმა ბრენდმა — The Row მამაკაცის სამოსის გამოშვება რატომ დაიწყოო? — ეშლიმ უპასუხა: „საოცრად სასიამოვნოა, როდესაც ეხები მამაკაცს, რომელსაც ფუმფულა სვიტერი, შესანიშნავი ჟაკეტი ან რაიმე ამის მსგავსი აცვია! მინდა, მამაკაცებს საშუალება მივცე, რომ თავი სექსუალურ და მოდურ ადამიანებად იგრძნონ...“ ■





# მერაია ქერი ახალ სიმღერას ემინემს უძღვნის

მერაია ქერიმ გამოუშვა სინგლი — Obsessed („შეშინებული“), რომელიც მის ახალ ალბომში — Memoirs of An Imperfect Angel შევა.

ემინემისადმი მიძღვნილი ახალი კომპოზიცია გახლავთ პასუხი ემინემის სიმღერაზე — Bagpipes From Baghdad (ალბომი Relapse), რომელშიც მან მერაიასა და მის მეუღლეს, ნიკ კენონს „გადაუარა“. სლიმ შეიდისა და მერაიას შორის ომი რამდენიმე წლის წინ დაიწყო. 2003 წელს ემინემისა და მერაიას ხანმოკლე რომანის დასრულების შემდეგ, მათ შორის შავმა კატამ გაირბინა. რეპერმა მერაიას მიერ ავტომოპასუხეზე დატოვებული პირადი შეტყობინება გამოაქვეყნა, რამაც ქერის სამართლიანი რისხვა გამოიწვია. მან განაცხადა, რომ ავტომოპასუხეზე ჩაწერილი ხმა მისი არ იყო და მას რეპერთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია. ქერის მენეჯერმა კი ჰიპ-ჰოპის ვარსკვლავის მისამართით რამდენიმე არცთუ ისე სასიამოვნო სიტყვა თქვა... მოგვიანებით, 2006 წელს ემინემმა მათი განხეთქილების მიზეზი ახსნა: „ის, რაც მას იზიდავდა, მე არ მაინტერესებდა. ერთმანეთს ხასიათით ვერ შევეწყვეთ“. ახლა, ემინემის მორიგი გამოხდომის შემდეგ, მერაია მას ახალ სინგლში უსვამს ლოგიკურ კითხვას: „რატომ ხარ ჩემით ესოდენ შეპყრობილი?“ ■





M K

## ალეკ ბოლდუინი თვითმკვლელობის ზღვარზე იყო

ქალიშვილთან სატელეფონო საუბარმა ალეკ ბოლდუინი კინაღამ თვით-მკვლელობამდე მიიყვანა. 2002 წელს მსახიობი კიმ ბესინჯერთან სკან-დალურმა განქორწინებამ ღრმა დეპრესიაში ჩააგდო. ქალიშვილზე მეურ-ვეობის საკითხი ბოლდუინისთვის მეტისმეტად მტკივნეული აღმოჩნდა, რადგან კიმი მას ერთხანს, ბავშვთან ლაპარაკის უფლებასაც კი არ აძლევდა. ყოფილი ცოლ-ქმარი შვილის გვერდით ყოფნის უფლების მოსაპოვე-ბლად, 3 წელზე მეტ-ხანს იბრძოდა. მას შემდეგ, რაც ინტერ-ნეტით გავრცელდა ალეკ ბოლდუინის სატელეფონო საუბ-რის ჩანაწერი, სა-დაც მის მიერ შვი-ლის მისამართით ნათქვამი, აშკარად მუქარის შემცველი ფრაზებია, მსახიობს ლამის მთელი ქვეყ-ნიერება აუმხედრდა.





მამა სასტიკად შეურაცხყოფდა 11 წლის შვილს იმის გამო, რომ გოგონა მის სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა. ამან ბოლდუინს იმის შეგრძნება გაუღვივა, რომ მისმა სიცოცხლემ აზრი დაკარგა...

მსახიობმა საკუთარი საქციელი მოინანია, მაგრამ საზოგადოებამ დაშ-ვებული შეცდომა არ აპატია, რამაც ბოლდუინი სულიერ აშლილობამდე მიიყვანა. 51 წლის ბოლდუინმა ცოტა ხნის წინ ჟურნალისთვის — People მიცემულ ინტერვიუში გულახდილად თქვა, რომ უკაცრიელ ადგილას წასვლასა და თვითმკვლელობას აპირებდა.

ბოლდუინს კრიზისის დაძლევასა და მდგომარეობიდან გამოსვლაში პროფესიონალები დაეხმარნენ. „უამრავ სპეციალისტს მივმართე და ისინი დამეხმარნენ. თავი რომ მომეკლა, იფიქრებდნენ, რომ საზოგადოებამ დამამარცხა", — განაცხადა მან.

კიმ ბესინჯერმა და ალეკ ბოლდუინმა ერთმანეთი ფილმის — „დაქორ-წინების ჩვევა" — გადაღებებზე გაიცნეს და 1993 წელს იქორწინეს. მათ დიდი ხნის განმავლობაში ჰოლივუდის ერთ-ერთ სანიმუშო წყვილად მიიჩნევდნენ. ■

## ბეიონსი მომჭირნეობას კრიზისის დროსაც არ იჩენს



შავკანიანი ვარსკვლავი ბეიონსი ტანსაცმელზე ეკონომიის გაკეთებას ეკონომიკური კრიზისის დროსაც კი არ აპირებს. მისი ახალი ჟაკეტი, ფრანგული ბრენდის — Balmain, საგაზაფხულო კოლექციის მშვენება, 11 ათასი დოლარი ღირს! დეკორატიული „სამხრეებითა" და ღილებით შემკუ-ლი, სადა შავი ჟაკეტი ე.წ. „მილიტარის" სტილს მოგაგონებთ. მხილველს თვალს სჭრის Swarovski-ს კრისტალების ელვარება. Balmain-ის ქმნილებას დამ-ატებით ორიგინალობას ასიმეტრიული თარგი და მოდაში ახლახან შემოსული, მაღალი მხრები სძენს.

მოდურმა ბრენდმა Balmain აბსურდულად მა-ღალი ფასებითაც გაითქვა სახელი: მისი მაი-სურები ხშირად, რამდენიმე ათას დოლარად იყიდება. ამას წინათ პაპარაცებმა Balmain-ის სამოსში გამოწყობილი, მუსიკალური ინდუს-ტრიის კიდევ ერთი ვარსკვლავის ფოტოსურათ-ის გადაღება შეძლეს. მაიკლ ჯექსონი საზოგა-დოების წინაშე Balmain-ის საგაზაფხულო კო-ლექციის ნიმუშში — ქალის მაისურში გამოწ-ყობილი წარდგა... ■

## პოლ მაკარტნი ბითლომანიის საწყისებს უბრუნდება

სერ პოლ მაკარტნის მიერ წლევან-დელი წლისთვის დაგეგმილ 3 მუსი-კალურ მოვლენას კიდევ ერთი დაემა-ტა. „ბითლზის" ყოფილი წევრი ნიუ-იორკში დაგეგმილი 2 მასშტაბური კონცერტის ნაცვლად, სამს გამართავს. ლეგენდარული მუსიკოსის შოუ ახ-ალაშენებულ სტადიონზე — Citi Field 17, 18 და 21 ივლისს გაიმართება.

ორგანიზატორთა თქმით, პირველი ორი კონცერტის ბილეთები რამდენიმე წუთში გაიყიდა. ამიტომ პოლს კიდევ ერთის ჩატარება სთხოვეს. მუსიკოსმა გაიხსენა Shea Stadium-ის (რომელიც ახალი სტადიონის ადგილას იდგა) გან-საკუთრებული როლი „ბითლზის" ცხოვ-რებაში და დათანხმდა.

როგორც ცნობილია, შოუბიზნე-სის ისტორიაში „ბითლზი" პირვე-ლი ჯგუფი იყო, რომელმაც სტადი-ონზე კონცერტი ჩაატარა. 1965 წელს,



როცა ბითლომანიამ ქვეყანა მოიც-ვა, Shea Stadium-ზე ჩატარებული კონცერტით ჯგუფის მეორე ამერიკუ-ლი ტურნე დაიწყო. კონცერტს იმ დროისთვის მსმენელთა რეკორდუ-ლი რაოდენობა — 55,5 ათასი ად-ამიანი დაესწრო.

პოლ მაკარტნი სტადიონზე გამა-რთულ უკანასკნელ შოუშიც მონაწ-ილეობდა, რომელიც შარშან ზაფხულში გაიმართა. მაშინ მუსი-კოსმა შოუზე — Last Play At Shea — ბილი ჯოელთან ერთად, რამდენიმე სიმღერა შეასრულა. ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე მაკარტნის მეოთხე გამოსვლა 11 ივლისს კანა-დის ქალაქ ჰალიფაქსში შედგება. 66 წლის მუსიკოსი უახლოეს ხანებ-ში სხვა გამოსვლებს არ გეგმავს. პოლ მაკარტნის საკონცერტო რეპ-ერტუარს The Betles-ისა და Wings-ის რამდენიმე სიმღერა, აგრეთვე სოლო კომპოზიციები და ტრეკები შეადგენს, რომელიც მან The Fire-man-ის ფსევდონიმით ჩაწერა. ■

# ჯემალ ღაღანიძის მხიარული ქალთმოყვარეობა

**„თუ კლასში ლამაზი მასწავლებელი შემოვიდოდა, ბიჭებს თვალები გვიფართოვდებოდა და მას ვეპრანჭებოდით კიდეც“, — მითხრა საოცრად მხიარულმა და გულწრფელმა მსახიობმა, ბატონ-მა ჯემალ ღაღანიძემ, რომელმაც მშვენიერი ქალბატონის გული, პირველ რიგში, სამსახიობო ნიჭითა და გარეგნობით დაიპყრო. როგორი იყო ქალებზე დაგეშილი თაობის ცხოვრება, როგორ ერთობოდნენ ისინი და რაზე ჭორაობენ კაცები? — ამ და სხვა კითხვებზე პასუხს თავად მსახიობისგან შეიტყობთ.**



მაშინ კარგ ბიჭად ის მიიჩნეოდა, ვინც კარგად იყო აღზრდილი, წიგნს კითხულობდა, თეატრში დადიოდა

## ანუ ქალებზე დაგეშილი თაობა და 33 წლის ასაკში დაწყებული „თოხნა“

ლიკა ქაჯაია

— თავიდან კლასში გოგონები და ბიჭები ერთად ვსწავლობდით, მაგრამ როცა მეხუთე კლასში გადავედით, ქალ-თა და ვაჟთა სკოლები დაარსდა და ცხადია, ჩვენც დაგვაშორეს ერთმანეთს. დღემდე მაწუხებს კითხვა — ნეტავ, ბიჭებმა ასეთი რა დავაშავეთ?..

**— ალბათ, თქვენი თაობის ბიჭე-ბი გოგონებს ძალიან აწუხებდით...**

— (*იცინის*) ჰო, ბიჭებს შორის რაიმე კონფლიქტი თუ ხდებოდა, მხოლოდ ამ პატარა გოგონების გამო. მაშინ კარგ ბიჭად ის მიიჩნეოდა, ვინც კარგად იყო აღზრდილი, წიგნს კითხულობდა, თეატრში დადიოდა. სხვათა შორის, იმ პერიოდში მოზარდების 80% სწორედ ასეთი იყო. ყმაწვილკაცობაში ტელევი-ზორიც კი არ გვქონდა და განათლებ-ის მიღებას ოჯახურ სიტუაციაში ვცდი-ლობდით, ქართულ ტრადიციებზე ვიზრდებოდით, ბიბლიოთეკასა და თე-ატრთან ვმეგობრობდით.

**— დავიჯერო, ქუჩაში დგომის და „ბირჟაობის“ სურვილი არ გიჩნ-დებოდათ?**

— რა თქმა უნდა, ქუჩაშიც გავ-დიოდით. ისე, სხვაგან სად უნდა წავ-სულიყავით?.. ეზოში ჩავდიოდით და ფეხბურთს ან ისეთ რაღაცებს ვთამა-შობდით, რომლის სახელსაც ახლა ვე-ღარსად გაიგონებთ.

**— მაგალითად?**

— „ჩირკაჯოხობანა“, „გრძელი ვირი“ და ა.შ. „შავები“ მაშინაც ყველა უბანში იყვნენ, მაგრამ მათთან ახლოს მისვ-ლაც კი ძნელი გახლდათ. ისინი თავი-ანთ საქმიანობასა და სახელს ბორო-ტად არ იყენებდნენ, პირიქით — ყოველთვის იმას ცდილობდნენ, რომ ჩვენც მათი გზა არ აგვერჩია. მოკლედ, მაშინ „კარგ ბიჭს“ მართლა კარგ ად-ამიანს ეძახდნენ, ახლა კი ასე მათაც მიმართავენ, ვინც ამ ჭაობში ბავშვებ-ის ჩათრევას ცდილობს... ერთმა ბრძენ-მა კაცმა თქვა: უძლიერესი ის ადამიანია, რომელიც თავის თავს ფლობსო. აბა, საიდანაც დაგისტვენენ, იქით რომ გაიქცე, აუცი-ლებლად დაიღუპები... ის კაცი რის მაქნისია, ვინც ღვინოს არ სვამს, მაგრამ გადამეტებული არც ალკო-ჰოლის მიღება ვარგა — შეიძლება, გალოთდე. ად-ამიანმა ყველაფრის ზომა-წონა და თეთრის შავისგან გარჩევა უნდა იცოდეს. ეჰ, მაშინ ჩხუბიც სხვანაირი ვიცოდით.



საბავშვო ბაღში (წინა პლანზე — ჯემალ ღაღანიძე)

**— მაშინ მხოლოდ საკუთარი მუშტების იმე-დი გქონდათ და დანის გამოყენება არაკაცობად მი-იჩნეოდა, არა?..**

— უჰ, დანას ვინ გამ-ოიყენებდა, კაცო! დანა კი არა, ვიდრე ჩხუბს დავიწყებდით, ერთ-მანეთს ჯიბეებს ვუსინჯავდით, რათა ვინმეს ქვა არ გამოეყენებინა. ჩხუბს თითქმის ყოველთვის, შერიგება ახ-ლდა თან და ვამბობდით: როგორც გოგო იტყვის, ყველაფერი ისე იქნე-ბა-თქო. მოკლედ, საბოლოო სიტყვა ქალს უნდა ეთქვა და პატარა გოგო ვისკენაც გაიშვერდა ხელს, მისი თავიც იმას ეკუთვნოდა.

**— მას შემდეგ, რაც გოგონებს ჩამოგაშორეს, ბიჭების ცხოვრებაში რა შეიცვალა?**

— როცა გოგონებთან ერთად ვუსხედით მერხებს, მეტი ხალისი იყო. პატარა გოგო-ბიჭებმაც იციან, რომ სხვადასხვა სქესის წარმომადგენლე-ბი არიან და ძალაუნებურად, ერთმა-ნეთს ეპრანჭებიან ხოლმე, ეს კი ად-ამიანის ცხოვრებას ალამაზებს. როცა ვაჟთა სკოლაში გადაგვიყვანეს, თავი კოლონიაში გვეგონა. ჩვენი ერთად-ერთი ნათელი წერტილი მოზარდ მაყ-ურებელთა თეატრი გახლდათ, სადაც არა მარტო სპექტაკლის სანახავად, არამედ გოგონებთან შესახვედრადაც მივდიოდით.

**— ბატონო ჯემალ, ხშირად გიყ-ვარდებოდათ?**

— თურმე, მეხუთე კლასში ყოფნი-სას შემყვარებია ჩემი კლასელი, ამა-ლია და როცა წამოვიზარდეთ, ის თა-ვად შემეხმიანა. მითხრა, — მე ის ამა-ლია ვარ, რომელსაც თავის დროზე წერილი მისწერე: „ისე მიყვარხარ, როგორც საკუთარი და“. ამ სიტყვების ქვემოთ კი გული მიგიხატავს, რომელ-შიც ისარი იყო გაყრილიო. აი, ხომ ხედავ, მაშინ როგორი გულუბრყვილოე-ბი ვიყავით (*იცინის*)... საკურორტო რო-მანებიც მქონია. არდადეგებისას გაც-ნობილ გოგონებს თბილისშიც ვხვდე-

ბოდი, მაგრამ როგორც კი სწავლა დაიწყებოდა, ეს სიყვარული სადღაც ქრებოდა. ისე, არის შემთხვევები, როცა საკურორტო რომანი ქორწინებით მთავრდება... ისე, რაებზე მალაპარაკებ, ამ ბებერ კაცს, რა (*იცინის*)!..

**— მე მოხუცი თინეიჯერებიც მინახავს, თქვენ კი მშვენიერ ფორმაში ხართ და ვერაფრით ვიტყვი, რომ დაბერდით...**

— გმადლობთ, კომპლიმენტისთვის (*იცინის*)!

**— ქალისთვის ლექსი ან სიმღერა ხომ არ მიგიძღვნიათ?**

— უკვე აღვნიშნე, რომ მათ წერილებს ვწერდი, მაგრამ ლექსი არასდროს არავისთვის მიმიძღვნია. ამ საქმეში ქალები უფრო აქტიურობდნენ, მეტიჩრობდნენ. აი, სიმღერით კი ბევრისთვის მიმღერია — „ჩემო ჩიტუნია, ლაჟვარდთვალა ია, შენთვის მომიძღვნია ეს გულიიი"... „ფლირტაობა" იყო მაშინ მოდაში და ფაქტობრივად, ასე ხდებოდა ერთმანეთისთვის სიყვარულის ახსნა.

**— საქეიფოდ ხშირად იკრიბებოდით?**

— რა თქმა უნდა და სხვათა შორის, საქეიფოდ ღამის 12 საათზე, რომელიმე მეგობრის სახლში ვიკრიბებოდით. ღამის თევა გვეხალისებოდა, დილით კი ყველანი ე.წ. არტოს ბაღში მივდიოდით და სამახსოვრო სურათებს ვიღებდით.

**— მშობლები საქეიფოდ, თანაც — ღამისთევით უპრობლემოდ გიშვებდნენ?**

— მათ იცოდნენ, ვის ოჯახში ვიყავით და ისიც იცოდნენ, რისი გამკეთებლები გახლდით. ამიტომაც, არაფრის ეშინოდათ. თუ დავთვრებოდით, იმის თავიც აღარ გვქონდა, რომ ქუჩაში გვებორიალა და იქვე ვიძინებდით.

**— ღვინოს გემო რა ასაკში გაუსინჯეთ?**

— მეშვიდე კლასში ვიყავი, როცა პირველად დავთვერი და ჩემ გარშემო ყველაფერი დატრიალდა (*იცინის*).

**— მშობლებს როგორი რეაქცია ჰქონდათ, როცა შინ მთვრალი მიხვედით?**

— გამაფრთხილეს, — ბევრი არასდროს დალიოო. ისე, მაშინ ჩემს დასათრობად 3 ჭიქა ღვინოც საკმარისი იყო. მამაჩემი მოქეიფე კაცი გახლდათ. თუ დაინახავდა, რომ ფეხზე ძლივს ვიდექი და ჩემთვის დაწოლა უარესი იქნებოდა, სკამზე დამსვამდა და მელაპარაკებოდა მანამ, ვიდრე ცოტათი მაინც არ გამოვფხიზლდებოდი.

**— თინეიჯერი ბიჭებისგან გამიგონია, — წამოდით, გოგონების გარეშე „ვიგრიალოთო"... ქალების გარეშე ქეიფსაც აქვს თავისებური ხიბლი?**

— ახალგაზრდობაში მათ გარეშე იშვიათად გვიქეიფია, მაგრამ ახლა, ასეთი რაღაცებიც ხდება. აბა, რამდენჯერაც კაცებს დათრობა მოგვინდება, ცოლებიც თან რომ ვიახლოთ, გალოთდებიან. როცა სუფრასთან თუნდაც, ერთი ქალი ზის, ქეიფს სხვაგვარი ხიბლი აქვს, მაგრამ ამავდროულად, თავს ისე თავისუფლად ველარ ვგრძნობთ.



პიონერთა ბანაკში, ქვიშხეთში შევხვდი გურამ საღარაძეს, რომელიც ხელმძღვანელად დაგვინიშნეს

**— მანდილოსნები ხელს რაში გიშლიან?**

— (*იცინის*) კაცები ქალებზე უარესი ჭორიკანები ვართ და მათი თანდასწრებით ხომ არ ვილაპარაკებთ სხვადასხვა „საჭირბოროტო" თემაზე?!.

**— ბატონო ჯემალ, როგორი მოსწავლე იყავით?**

— ფრიადოსანი არა, მაგრამ კარგი მოსწავლე გახლდით — სამიანიც მიმიღია, ოთხიანიც და ხუთიანიც (ფიზკულტურაში, ხატვაში და მსგავს საგნებში). ვაჟთა სკოლაში სწავლისას, ჩვენი სკოლის დირექტორი გახლდათ პროფესიით მათემატიკოსი — მელაძე, რომელმაც თითქმის ყველა მოსწავლეს შეაყვარა მათემატიკა. ის ამბობდა: ნოდარი (*ბატონი ჯემალის უფროსი ძმა. — ავტ.*) ჩემი მოწაფეა, ჯემალი კი ველარ გავიგე, ვინ არის; მიეცით მას ხელში ფანდური, აკორდეონი და გაუშვითო. მან სწორად იწინასწარმეტყველა, — ჩემი ცხოვრება სულ ცეკვა-თამაშში გავატარე (*იცინის*).

„ქეიფის შემდეგ სამახსოვრო სურათებს ვიღებდით"...



**— მაშინ უკვე მსახიობობა გადაწყვეტილი გქონდათ?**

— ამაზე ყოველთვის ვოცნებობდი... მინდა, ერთი ამბავი გავიხსენო. ერთხელ, პიონერთა ბანაკში, ქვიშხეთში შევხვდი გურამ საღარაძეს, რომელიც ხელმძღვანელად დაგვინიშნეს. სწორედ გურამი გახლდათ ის პირველი მსახიობი, რომელსაც ხელით შევეხე.

**— და ეს თქვენთვის რას ნიშნავდა?**

— მსახიობს ხელი რომ ჩამოვართვი, თავი უბედნიერეს ადამიანად ვიგრძენი. ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავდა. მაშინ გურამი თეატრალური ინსტიტუტის ბოლო კურსის სტუდენტი გახლდათ, მე კი ისიც არ ვიცოდი, ეს სასწავლებელი ტერიტორიულად სად მდებარეობდა. როდესაც ქვიშხეთიდან თბილისში ჩამოვედით, გურამმა თავის სადიპლომო სპექტაკლზე მიმიწვია. ასე რომ, პირველად სწორედ მისი წყალობით შევდგი ფეხი „თეატრალურში" და უკვე 52 წელია, რაც მე და ბატონი საღარაძე კოლეგები ვართ.

**— ამბობენ, ამ სფეროში წარმატებას რომ მიაღწიო, იღბალი უნდა გქონდესო...**

— ვერ დაგეთანხმები. ჩემი აზრით, თუ ადამიანი ნიჭიერი არაა, მას არაფერი გამოუვა. შეიძლება, ერთხელ გაგიმართლოს, მაგრამ მეორედ და მესამედ მსგავსი შანსი არ მოგეცემა. მე იღბალმა მართლაც წამკრა ხელი და რუსთაველის თეატრში მოვხვდი. ჩემი პედაგოგი გახლდათ გიგა ლორთქიფანიძე და როდესაც ის ქუთაისის თეატრის მთავარ რეჟისორად მიიწვიეს, მან ჩვენი ჯგუფის წაყვანაც გადაწყვიტა. სწორედ იმ პერიოდში მოვიდა ბატონი მიხეილ



ეზოში ჩავდიოდით და ფეხბურთს ან ისეთ რაღაცებს ვთამაშობდით, რომლის სახელსაც ახლა ვეღარსად გაიგონებთ

თუმანიშვილი (აცხონოს ღმერთმა) და მან მე და ზინაიდა კვერენჩხილაძეს (რომელიც ჩემი კურსელი გახლდათ) შემოგვთავაზა: რუსთაველის თეატრში სპექტაკლს ვდგამ, როლები უკვე გავანაწილე და მინდა, მასში თქვენც დაგაკავოთო. ეს იყო 1956 წელს, როცა ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი... დღესდღეობით კი მოგეხსენებათ, ბატონ რობერტ სტურუასთან ვთანამშრომლობ და ესეც დიდი ბედნიერებაა, რადგანაც ის არაჩვეულებრივი რეჟისორია.

**— სკოლიდან „შატალოზე“ ხშირად მიდიოდით?**

— როგორ არა! „შატალოს“ იმიტომ ვაწყობდით, რომ კინოში წავსულიყავით და საზღვარგარეთიდან შემოტანილი ფილმები გვენახა. ერთხელ, როდესაც სკოლიდან გავიპარეთ და „ამირანში“ რაღაც ფილმს ვუყურებდით, მისი ჩვენება შეწყდა, შუქი აინთო და სცენაზე დავინახეთ ჩვენი სკოლის დირექტორი, რომელიც ჩვენკენ იშვერდა ხელს. მან იძულებით, სკოლაში დაგვაბრუნა.

**— დღევანდელ მოზარდებს კომპიუტერის თაობად მოიხსენიებენ...**

— ეს ძალიან მაღელვებს. კაცო, როგორ შეიძლება, 48 საათი კომპიუტერთან იჯდე? სხვა თუ არაფერი, ეს ჯანმრთელობისთვის არაა სასარგებლო. მესმის, რომ კარგია, გონებას ავითარებს და ინფორმაციას გაწვდის, მით უმეტეს, რომ ახლა წიგნების კითხვა ყველას ეზარება, მაგრამ მეტისმეტი არაფერივარგა. ახალი თაობა ნევროზითაა დაავადებული, ეს კი ძირითადად, უძილობის ბრალია. ისე, შეიძლება, ნევროზი გაუთხოვრობამ ან ცოლის გარეშე ყოფნამაც დაგმართოს (*იცინის*). დღევანდელ ახალგაზრდებს უნდათ, ყველაფერი ერთდროულად გააკეთონ და წარმატებას მალევე მიაღწიონ.

**— თქვენ ამის სურვილი არ გქონდათ?**

— მე ჯერ ვისწავლე, დიპლომი ავიღე, მუშაობა დავიწყე და ყველაფერს ნაბიჯ-ნაბიჯ მივაღწიე. ამათ კი სულ პატარა ასაკში უნდათ, ბევრი ფული იშოვონ და მანქანა იყიდონ. კაცო, ჩემი თაობის ბევრი ღირსეული წარმომადგენელი ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, არც კი იცოდა, მანქანა რა იყო. ესენი სულსწრაფები არიან. ახალგაზრდებო, მერწმუნეთ, — ვინც იჩქარა, იმან ყოველთვის წააგო...

**— ბატონო ჯემალ, მასწავლებლებს ხშირად აბრაზებდით?**

— „ვრედნი“ ბავშვი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ზომიერების ფარგლებში ნამდვილად ვცელქობდი. ჩემი კლასის დამრიგებელი გახლდათ ქალბატონი ელენე აბაშიძე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ძალიან კარგი ქალი. ერთხელ, რაღაც დავაშავე (მაშინ დაახლოებით, მეშვიდე კლასში ვიყავი) და კლასიდან გამაგდო. გასვლისას „დავემუქრე“: მოვა დრო, როცა ჩემს სპექტაკლზე დასასწრებად, ბილეთების რიგში გიხილავთმეთქი. გავიდა დრო და გავხდი არტისტი. ერთხელ, თეატრში დავდგით „ხანუმა“. ამ სპექტაკლზე დასასწრები ბილეთების შოვნა ყოველთვის ჭირდა და მას მხოლოდ გადამყიდველებისგან თუ შეიძენდით. ქალბატონი ელენესთვის მის შვილს უთხოვია: ჯემალი ხომ შენი მოსწავლე იყო? ჰოდა, მიდი, იქნებ რაიმე გაგვიხერხოსო. — მე მასთან ვერაფრით მივალო, — უთქვამს ჩემს ყოფილ პედაგოგს. მერე, რა თქმა უნდა, ქალბატონი ელენე სპექტაკლზე დავპატიჟე...

**— პატარაობაში მასწავლებლებს არ ეპრანჭებოდით?**

— თუ კლასში ლამაზი მასწავლებელი შემოვიდოდა, ბიჭებს თვალები გვიფართოვდებოდა და მას ვეპრანჭებოდით კიდეც. აბა, რა გვექნა, გოგონებს მოწყვეტილები ვიყავით და არჩევანი არ გვქონდა. ერთხელ, ჩვენს კლასში გერმანულის მასწავლებელი, ძალიან ლამაზი გოგო — ხეჩუბავა ნინო (საწყალი, დღეს ცოცხალი აღარაა) მოკლე კაბით შემოვიდა და... ჩვენი გულებიც დაიპყრო (*იცინის*). სკოლის დამთავრების შემდეგ, კლასელები ხშირად ვიკრიბებოდით და ე.წ. ბანკეტს ვაწყობდით. ერთ-ერთი ასეთი შეკრებისას ქალბატონი ნინო მეუღლესთან ერთად გვესტუმრა. მე თამადა გახლდით და წამოვიძახე: ქალბატონო ნინო, როცა პირველად შემოხვედით... მან სიტყვა არ დამამთავრებინა, სიცილით მითხრა: გაჩუმდი, ბიჭო, ახლა მაინც ქმართან ერთად ვარო (*იცინის*). რაც მართალია, მართალია, ქალებზე დაგეშილები ვიყავით.

**— მათ გამო სიგიჟეები თუ ჩაგიდენიათ?**

— საყვარელი ადამიანის ფანჯრებთან ყვავილებს ვდებდით და ამის გამო, ზოგჯერ, ძალიან მაღალ სართულზეც გვიხდებოდა ასვლა. ქალების სარკმლის ქვეშ ვდგებოდით და ვმღეროდით.

**— თქვენი მეუღლე სად გაიცანით?**

— თვითონ გამიცნო. ლენამ ერთ-ერთ სპექტაკლში მნახა და ისე მოვეწონე, რომ თეატრში სიარულსაც მოუხშირა. მერე მისმა მეგობარმა გამაცნო და მას შემდეგ ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს. ერთხელ მანქანით გავასეირნე და შევთავაზე: მოდი, საჭის მართვა უნდა გასწავლო-მეთქი, შემდეგ ნელ-ნელა გადავაჩოჩე მისკენ ხელები და მერე, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ხდება ხოლმე.

**— რამდენი წლის იყავით, როცა დაქორწინდით?**

— სხვათა შორის, „თოხნა“ საკმაოდ გვიან, 33 წლის ასაკში დავიწყე. ლენა კარგი ქალი იყო.

**— ახლა ცუდია?**

— არა, არა, ახლაც ძალიან კარგია (*იცინის*).

**— მაშინ ქალბატონ ლენას სვირინგი და პირსინგები რომ ჰქონოდა, მოგეწონებოდათ?**

— არა, გენაცვალე, რას ამბობ?! მარტო მე კი არა, მაშინ სხვებიც იტყოდნენ, — გიჟიაო. ეგ ახლაა მოდაში, იმ დროს კი მხოლოდ ის ვიცოდით, სვირინგი რა იყო და მისი გაკეთებაც იმდენად მტკივნეული გახლდათ, რომ ტანის მოხატვას იშვიათად თუ გარისკავდა ვინმე — ხორცს გაგლეჯდნენ, რა. ახლა გოგო-ბიჭები დახეული ტანსაცმლითაც დადიან, ჩემს ახალგაზრდობაში კი ეს სირცხვილად მიიჩნეოდა. და კიდევ, თეატრში წასასვლელად, ხალხი ტანისამოსს სპეციალურად იკერავდა, ახლა კი ამას არავინ აქცევს ყურადღებას. თუმცა, მთავარი მაინც ისაა, რომ ახალგაზრდებმა თეატრში სიარულს მოუხშირეს და დღესდღეობით, ჩვენი მაყურებლების 80% მოზარდი თაობის წარმომადგენელია. მადლობა მათ ამისათვის. ■



ჯემალ ღაღანიძე დედასთან და მეუღლესთან ერთად

დასაწყისი იხ. გვ. 14

ჩვენში ზოგს გავლილი აქვს, მაგალითად — რატისა და მაკას (დუეტი „ჯორჯია“). მომღერალმა უნდა იცოდეს, ბგერასთან როგორ „მივიდეს“; სიმღერა მოხრილ მდგომარეობაში არ შეიძლება, რადგან ამ დროს სახმო მილი იკეტება. მომღერალს საათივით აწყობილი რიტმი უნდა ჰქონდეს, რომ ყველა საფეხურზე დაუბრკოლებლად გადავიდეს. ასე რომ, საკმაოდ რთული სავარჯიშოებია. ამ ყველაფერს კი ცოდნა და განათლება სჭირდება.

— **როგორ გგონიათ — რატომ მოუნდათ მათ, ვინც ეს წესები ნაკლებად იცის, სცენაზე ასვლა?**

— ახლა რასაც ვიტყვი, შეიძლება, ვიღაცას ეწყინოს, მაგრამ დღეს ბევრი იჩემებს პედაგოგობას...

— **2003 წლიდან შეწყვიტეთ სცენაზე გამოსვლა და ვოკალის პედაგოგობა დაიწყეთ...**

— ესეც შემთხვევით მოხდა. ამაზე ადრე არ მიფიქრია. ერთ მშვენიერ დღეს, მაია ბარათაშვილმა (უკვე ცნობილი მომღერალი იყო) დახმარება მთხოვა: „გამღერება“ (ყელის „მწყობრში ჩადგომა“, მოთელვა) მჭირდებაო... ამას მოჰყვა ის, რომ მერე მეზობელმა მომიყვანა ბავშვი სამეცადინოდ. უარი ვერ ვუთხარი და აქედან დაიწყო ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობაც... სასიხარულო ის იყო, რომ ჩემს მოსწავლეებს წარმატებები ჰქონდათ. მივხვდი, რომ სწორად ვმუშაობდი. ყოველ ახალ მოსწავლესთან მუშაობა ჩემთვის საინტერესო იყო, რადგანაც თითოეული მომღერლის ყელი ინდივიდუალურია.

— **ვიცი, რომ ცნობილი მომღერლებიდან, თქვენთვის კიდევ ბევრს მოუმართავს დასახმარებლად...**

— მართალია. მე მათ სიმღერას კი არა, სიმღერისთვის საჭირო ბაზას ვაძლევ. იმისათვის, რომ ინდივიდუალობა არავის დავაკარგვინო, ჩარჩოში არასდროს ვსვამ. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ საიდან მოდის ბგერა. როდესაც მომღერალი „ყელიდან მღერის“, ის არა მარტო ყელს იზიანებს, არამედ შეიძლება, სხვადასხვა დაავადებაც გაუჩნდეს, რადგანაც მას ამ დროს რაღაც ბალანსი დარღვეული აქვს. ბგერა აბსოლუტურად თავისუფალი უნდა იყოს.



პედაგოგი თავის მოსწავლეებთან ერთად

— **მაინც, ვის დახმარებიხართ?**

— ცოტა ხნის წინ თიკა ფაცაციამ მომაკითხა...

— **აჩიკო მეფარიძესაც ხომ ეხმარებოდით?**

— არა, აჩიკო ჩემი მეგობარია. ჩვენ „არტ-იმედის“ პერიოდში, „ჯაზქორალის“ მსგავსი გუნდის ჩამოყალიბება გვინდოდა, მაგრამ იქ რაღაც, აირია სიტუაცია და ეს საქმე არ გამოგვივიდა... შემიძლია, დავასახელო — ვერიკო ტურაშვილი, ია ჩანტლაძე, სალომე დოლიძე, ვისაც ჩემთვის დახმარებისთვის მოუმართავს...

— **მაკა და რატი ახსენეთ... ისინიც დადიოდნენ თქვენთან?**

— სანამ „იმედში“ მივიდოდნენ, ერთ-ერთმა მოსწავლემ ჩემთან რატი მოიყვანა. გაკვეთილზე დასწრების შემდეგ რატი აღფრთოვანდა. თქვა: თქვენთან მეც უნდა ვიაროო... ეს ის პერიოდი იყო, როდესაც რატი და მაკა „ტუკანში“ მღეროდნენ. მერე მაკაც მოვიდა. ერთ მშვენიერ დღეს კი დამირეკეს და მითხრეს: „იმედის ტალღაში“ მონაწილეობა გვინდა და „გამღერება“ გვჭირდებაო. დავიწყე მათთან მუშაობა. ვამღერებდი ცალკეც და ერთადაც, რადგანაც ერთად სიმღერა რაღაც, სხვა ენერგეტიკას იძლევა. „იმედში“ მათ წარმატებას მიაღწიეს. მერე ამ დუეტის „იურმალაზე“ გამგზავრებაც გადაწყდა... რაც იქ მოხდა, ეს უკვე ყველამ იცის.

რატი დურგლიშვილი ლალი ბერაძესთან ერთად



— **პირადად თქვენ რა განიცადეთ, როდესაც მათ „იურმალაზე“ გაიმარჯვეს?**

— უდიდესი სიხარული. საერთოდ, ჩემი წინათგრძნობისა თუ ინტუიციის ყოველთვის მჯერა და დანამდვილებით ვიცოდი, რომ ისინი გაიმარჯვებდნენ!..

— **გული რაზე გტკივათ?**

— ბევრი კარგი მუსიკოსი გვყავს, რომელიც სხვადასხვა მიზეზით, ჩრდილში დგას და საკუთარი თავის რეალიზაციას ვერ ახერხებს...

— **დღეს რამდენს შეიძლება, მომღერალი ვუწოდოთ?**

— იცით, იმდენად მაღიზიანებს ზოგიერთის მოსმენა, რომ ტელევიზორს ვთიშავ ხოლმე. შეიძლება, ასე არ უნდა ვიქცეოდე, რადგანაც წარმოდგენა მაინც ხომ უნდა მქონდეს, რას აკეთებს თითოეული, მაგრამ მათი მოსმენა არ შემიძლია. ის კი არა და, როდესაც ადამიანი დაძაბულია ანუ არასწორი პოზიციიდან ლაპარაკობს, იმავეს განვიცდი და, უფრო მეტიც — მეც ვიძაბები და ყელში სპაზმი მაწვება... თითქოს ყველაფერი ჩემზე გადმოდის...

— **მომღერლებთან მუშაობისას მკაცრი ხართ?**

— კი...

— **რას უკრძალავთ მათ?**

— პირველ რიგში, ყელს უნდა გაუფრთხილდნენ. არ უნდა გაიცივონ. არ შეიძლება გაყინული წყალი, არც — მეტისმეტად ცხელი... საოცარია, მაგრამ ზოგი, გარდა იმისა, რომ „ყელით მღერის“, ასევე ლაპარაკობს კიდეც — ყბას ჭიმავს. ამიტომ ვცდილობ, ეს პრობლემა მოვუხსნა... მკაცრი ვარ სავარჯიშოების შესრულებისას. თუ იმ საქმეში, რომელსაც აკეთებენ, ენერგია არ დახარჯეს, არაფერი გამოვა. პატარებს, რომლებიც ახლა იწყებენ სიმღერას, სცენის სიყვარულს ვასწავლი, ვაჩვევ ცოცხლად სიმღერას. ბავშვმა ფონოგრამით არ უნდა დაიწყოს სიმღერა. ცოცხლად სიმღერას რომ მიეჩვევა და გამოცდის, მერე ფონოგრამით სიმღერა აღარც მოუნდება... ■

# ახალი „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი“ გარდაუვალია?!.

## ისტორია გვასწავლის, რომ რუსეთსა და გერმანიას შორის იმედისმომცემი ურთიერთობები – კონფლიქტის უტყუარი ნიშანია

**ყოველ ომს წინ უსწრებს მომენტი, რომლის შემდეგაც კონფლიქტი გარდაუვალი ხდება და კარს მომდგარი ხოცვა-ჟლეტის შეჩერება უკვე არანაირ მოლაპარაკებასა თუ კომპრომისს აღარ ექვემდებარება...**





მეორე მსოფლიო ომის შემთხვევაში, ეს მომენტი 1939 წლის 21 აგვისტოს, შუაღამისას დადგა. ამ დროს ბერლინის რადიომ მუსიკა შეწყვიტა და მსმენელს აუწყა, რომ „რაიხისა და საბჭოთა მთავრობები თავდაუსხმელობის პაქტის დადებაზე შეთანხმდნენ“. მას მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი ეწოდა და ორ დღეში ხელიც მოაწერეს. ჰიტლერმა ამ გზით ძირითადი საშიშროებები მოხსნილად და აღმოსავლეთის ფრონტი უსაფრთხოდ დაიგულა. 8 დღის შემდეგ კი ევროპაში ნამდვილი ხოცვა-ჟლეტა დაიწყო...

გერმანია-რუსეთის კონფლიქტებს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. დროდადრო კი ამ ქვეყნებს შორის ისეთი ხანმოკლე თანამშრომლობის „შემოტევებიც“ იყო, როგორიც მაგალითად, 1922 წლის რაპალის ხელშეკრულება და 1939 წლის მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი იყო. თუმცა ეს მხოლოდ დიდი კონფლიქტების ზღურბლზე, ორმხრივი სტრატეგიული აუცილებლობით გამოწვეულ იმ ხანმოკლე და ანგარიშიან ქორწინებას ჰგავდა, რომლებიც ყოველთვის გაყრით, ხშირად კი უსასტიკესი განქორწინებითაც მთავრდებოდა.

დღემდე ისტორია „თანამიმდევრული“ იყო: გერმანია და რუსეთი ახლო მეგობრები არასდროს ყოფილან და ყოველი მათი მოჩვენებითი დამეგობრება კონფლიქტის მოახლოების უტყუარი ნიშანი გახლდათ.

ამ ცოტა ხნის წინ, რუსეთში თავისი ვიზიტის დროს, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „რუსეთი გერმანიისა და ევროკავშირის შეუცვლელი მოკავშირეა“ და ხოტბა შეასხა „გერმანულ-რუსულ თანამშრომლობას, როგორც იმ ურთიერთქმედების მოდელს, რომლითაც, პოტენციალის გაერთიანების შემთხვევაში, ორივე მხარე მოიგებს“.

შტაინმაიერის განცხადებებმა ისტორიაში ჩახედული ადამიანები სერიოზულად უნდა შეაშფოთოს. ამიტომაც, „ვერაფრით შეედავები დანარჩენ ქვეყნებს, თუ შტაინმაიერის გამონათქვამებს ისინიც ერთგვარი შეშფოთებით განიხილავენ“, — ამბობენ სააგენტო Stratfor-ის ანალიტიკოსები. მათი აზრით, „გერმანია-რუსეთის პოტენციალის ბოლო გაერთიანების შედეგი — 1939 წლის მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი იყო, რომელმაც აღმოსავლეთ ევროპა საბჭოთა კავშირსა და მესამე რაიხს შორის გაანაწილა“. ამგვარად, შეშფოთების საბაბი ნამდვილად არსებობს.

საქმე ისაა, რომ სადღეისოდ, რუსეთ-გერმანიის ურთიერთობის ფორმირება მსოფლიო სცენაზე ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ჯერაც სათანადოდ შეუფასებელი ტენდენციაა. ნაკლებმნიშვნელოვანი არც ისაა, რომ რუსეთსა და გერმანიას შორის ურთიერთობის აყვავება ამერიკულ-გერმანული ურთიერთობის მსხვრევის პარალელურად მიმდინარეობს. ბოლო თვეების მანძილზე, ამერიკასა და გერმანიას შორის დაძაბულობა და წინააღმდეგობა სხვადასხვა საკითხის — ავღანეთში ომის, მსოფლიო ფინანსურ კრიზისთან ბრძოლის, გუანტანამოს ტუსაღებისა თუ რუსეთთან ურთიერთობის გამო გაჩნდა. ეს განხეთქილება განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა მიმდინარე თვის დასაწყისში, როცა პრეზიდენტი ბარაკ ობამა ეწვია გერმანიას (უფრო სწორად კი — საფრანგეთში მიმავალმა, გზად შეიარა), სადაც ტურისტივით უფრო მოიქცა, ვიდრე პრეზიდენტივით: დრეზდენში გაისეირნა (ბერლინში საერთოდ არ შეუვლია) და მხოლოდ მცირე ხნით შეხვდა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს.

ერთი სიტყვით, აქ ზედაპირულ და ხანმოკლე უთანხმოებაზე აღარაა ლაპარაკი. ეს უკვე ევროპის გეოპოლიტიკური ტექტონიკური ფილების დიდი ხნის მანძილზე მიმდინარე იმ ძვრების შედეგია, რომლებიც 1989 წელს, გერმანიის გაერთიანებით დაიწყო და სადღეისოდ ლამისაა პიკს მიაღწია.

ბოლო 20 წელი გერმანიამ ევროპაში (და მთელ მსოფლიოშიც) საკუთარი რეპუტაციის განახლებასა და თავისი, როგორც კონტინენტის ეკონომიკური, სამხედრო, დემოგრაფიული და გეოპოლიტიკური ლიდერის პოზიციის განმტკიცებას მოახმარა. Stratfor-ის ანალიტიკოსების აზრით, ბერლინსა და ვაშინგტონს შორის არსებული უთანხმოება „გრძელვადიანი ტენდენციის — ევროპაში გერმანიის მთავარ პოზიციაზე დაწინაურების სიმპტომია“.

ბერლინის დომინირებული მდგომარეობა ევროპაში ამერიკის ინტერესებს ასუსტებს. Stratfor-ი წერს: „მესამე რაიხის დამარცხების შემდგომი, თითქმის 65-წლიანი დიპლომატიური ისტორიის მანძილზე, ევროპაში აშშ-ის საკვანძო სტრატეგიას წარმოადგენდა მისი ინტერესების საწინააღმდეგო, მძლავრი გეოპოლიტიკური სუბიექტის გაჩენის თავიდან აცილება. 2009 წლის გერმანია კი შტატების წინაშე სწორედ ასეთი სუბიექტის პირველი ნიშნების დემონსტრირებას ახდენს“. გერმანიის გადაწყვეტილება — თუნდაც ამერიკის შეშფოთების ხარჯზე იქონიოს რუსეთთან ურთიერთობა — იმის ნიშანია, რომ ევროპაში ერთპიროვნული, მძლავრი პოლიტიკური სუბიექტი გაჩნდა!

რუსეთს ეს რეალობა სრულად აქვს შეგნებული და ამის შესაბამისადაც მოქმედებს. ამერიკისგან განსხვავებით, კრემლი ევროპის ისტორიას ანგარიშს უწევს და იმასაც კარგად ხედავს, რომ გერმანიამ ევროპის დომინანტი სახელმწიფოსა და ბუნებრივი ლიდერის პოზიცია აღიდგინა.

ბერლინთან მჭიდრო ურთიერთობის გაბმით, რუსები კარგ პირობებს ქმნიან იმ პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ სუბიექტთან კავშირისთვის, რომელიც ევროპის მომავლის განმსაზღვრელი იქნება. დღეს ვაშინგტონი უწინდებურად სვამს კითხვას, რომელიც ერთხელ უკვე დასვა ჰენრი კისინჯერმა: „როცა ევროპაში დარეკ-

ვა მინდა, ვის უნდა დავურეკო?“ კრემლმა შესანიშნავად იცის ამ კითხვაზე პასუხი და სწორედ ამიტომაც აქვს პირდაპირი კავშირი ბერლინთან!..

მოსკოვს ამერიკულ-გერმანულ ურთიერთობებში გაჩენილ ნაპრალებზეც ასევე კარგად მოეხსენება და ამიტომაც, ყველანაირად ცდილობს, ვაშინგტონი რაც შეიძლება მეტად დააშოროს ბერლინს. ამ მხრივ, თუნდაც „ოპელთან“ დაკავშირებული ამბავი რად ღირს?! „ოპელი“ ამერიკული კომპანია „ჯენერალ მოტორსის“ ევროპული ქვედანაყოფია. ბოლო დრომდე, ისევე, როგორც ამერიკაში მისი სათავო კომპანია, „ოპელიც“ კრახის პირას იყო მისული, რაც როგორც გერმანიის ეკონომიკის ზოგიერთ რგოლზე („ოპელის“ ქარხნებში ათასობით გერმანელი მუშაობს), ასევე მეორე ვადით არჩევის მომლოდინე კანცლერ ანგელა მერკელის პოლიტიკურ მომავალზეც, სერიოზულ გავლენას მოახდენდა. მიუხედავად იმისა, რომ ბერლინმა დახმარება არაერთხელ ითხოვა, ვაშინგტონს „ოპელის“ გადარჩენის სიმბოლური მცდელობაც კი არ ჰქონია და ამით გერმანიის შეშფოთების სრული იგნორირება მოახდინა. აი, რუსეთი კი ამ მხრივ, ბევრად უფრო დაუზარელი აღმოჩნდა: კრემლმა ხელსაყრელი მომენტი ხელიდან არ გაუშვა და გერმანიას ბოლო წამს ისეთი გარიგება შესთავაზა, რომელმაც „ოპელიც“, ათასობით გერმანელის სამუშაო ადგილიცა და შესაძლოა ანგელა მერკელის პოლიტიკური მომავალიც გადაარჩინა. „კრემლისგან ბოლო წამს მიღებული დახმარება შეიძლება, იმ ახალი პოლიტიკური ალიანსის პირველი ნიშანი იყოს, რომელიც ევროპაში ყალიბდება“, — წერს Stratfor-ი.

და ეს მართლაც ასეა, თუმცა ასეთი ალიანსის პირველი ნიშანი მსოფლიომ ჯერ კიდევ შარშან აგვისტოში დაინახა, როდესაც რუსეთმა საქართველო მიწასთან გაასწორა, გერმანიას კი ამის პასუხად წარბიც არ შეუხრია. ჩვენი გამოცემის რედაქტორი ჯერალდ ფლერი მაშინ ამის თაობაზე წერდა: „მიმაჩნია, რომ სავსებით შესაძლებელია, საქართველოზე რუსეთის თავდასხმის გეგმის შესახებ გერმანიას წინასწარაც კი სცოდნოდა!..“

შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ამ განცხადების სისწორე დაადასტურა. მაგალითად, იანვარში, როცა რუსეთმა უკრაინაში ბუნებრივი აირის მიწოდება შეწყვიტა, გერმანიამ კრემლის მხარე დაიჭირა. ახლა რუსეთი, გერმანიაში ჩასვლითა და „ოპელის“ გამოსყიდვით, თავაზიანობაზე თავაზიანობით პასუხობს(!).

გარდა ამისა, სააგენტო „სტრატფორტის“ აზრით, ძალზე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ყოველთვის, როცა რუსეთი ან გერმანია ამერიკას ხვდებიან, ამ შეხვედრებს მოკლე ხანში აუცილებლად მოსდევს ბერლინსა და მოსკოვს შორის შეხვედრაც. პუტინთან და მედვედევთან შტაინმაიერის ბოლო შეხვედრა ობამა-მერკელის დრეზდენში შეხვედრიდან ერთი კვირისთავზე შედგა. მერკელი და მედვედევი ივლისშიც, მედვედევობამას შეხვედრიდან სულ მოკლე დროში, კვლავ შეიყრებიან. „ამ განრიგის სისტემა იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთისა და გერმანიის ლიდერები ვაშინგტონთან ყოველი მნიშვნელოვანი კონტაქტის შემდეგ, ერთიან ფრონტს წარმოადგენენ“, — მიაჩნიათ ანალიტიკოსებს.

ტენდენცია აშკარაა: რუსეთი და გერმანია თავიანთ ურთიერთობას პრაქტიკულად, აშშ-ის წინააღმდეგ აშენებენ! და იმის სწორი ახსნა, თუ რით დამთავრდება ეს, მხოლოდ ისტორიას თუ შეუძლია: რუსეთსა და გერმანიას შორის შეთანხმება იმის უტყუარი ნიშანია, რომ ამ ქვეყნებიდან ერთ-ერთი (ანდა ორივე) იმპერიალისტური, ძალადობრივი მოქმედებებისთვის ემზადება. ყურადღებით მიადევნეთ თვალი გერმანია-რუსეთის ურთიერთობებს: როგორც ჩანს, კიდევ ერთი „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი“ გარდაუვალია. უფრო მეტიც — როგორც ჯერალდ ფლერიმ შარშან დაწერა, შეიძლება, მსგავსი შეთანხმება უკვე მიღწეულიცაა: როგორც ჩანს, გერმანია და რუსეთი უკვე გაერკვნენ თავიანთ გადაუდებელ უთანხმოებებში... „ვფიქრობ, რომ გერმანიის ხელმძღვანელობა უკვე მზად იყო, მიეღწია შეთანხმებისთვის რუსეთთან და ჰიტლერ-სტალინის თანამედროვე პაქტი დაედო, რომლის თანახმადაც, გერმანია და რუსეთი ერთმანეთში ქვეყნებსა და აქტივებს იყოფენ. ეს შეთანხმება მათ სხვა მიზნებზე მზერის მიპყრობის საშუალებას მისცემს“.

ეს საკმაოდ გაბედული ვარაუდია. თან აღსანიშნავია, რომ ის მანამდე გაკეთდა, სანამ გაზის „უკრაინული კრიზისის“ დროს გერმანია რუსეთის მხარეს დადგებოდა, აშშ-სა და გერმანიას შორის ურთიერთობების გაფუჭება დაიწყებოდა და სანამ რუსეთი გერმანიას „ოპელის“ გამოსყიდვით დაეხმარებოდა. დრო და მოვლენები გვიჩვენებს, რომ ბატონი ფლერი მართალი იყო!..

*TRUMPET, აშშ.*

*მოამზადა რუსუდან ლებანიძემ*



# რატომ აირჩია უფალმა მაინცდამაინც თორმეტი მოციქული და რატომ მოიხმო ამ მისიისთვის უბრალო ადამიანები

უკვე ერთ კვირაზე მეტია, მორწმუნენი პეტრე-პავლობის მარხვას შეუდგნენ, რაც სამოციქულო მარხვის სახელწოდებითაცაა სახელდებული, რადგანაც ის წმინდა ეკლესიამ, მოციქულთა პატივსაცემად, მათი ღვაწლის მოსახსენიებლად დააწესა, რათა მაგალითად გვეხადოთ წმინდა მოციქულთა ცხოვრება. მოგვწოდებს პავლე მოციქული: „მობაძავ ჩემდა იყვენით, ვითარცა მე ქრისტესა". მოციქულები უბრალო, ღარიბი ებრაელები გახლდნენ. როდესაც წმინდა იოანე ოქროპირი ქრისტეს მოციქულებს იხსენიებს, ბრძანებს: „წარმოიდგინეთ, ღარიბი კაცი, რომელიც ქალაქიდან გამოვიდა და გზას დაადგა. მას ცალ ხელში ჯოხი უჭირავს, მეორეში – 2-3 წიგნი. რომ მივიდეთ და ვკითხოთ, ვინ არის და სად მიდის, გვიპასუხებს: მე მქვია პეტრე და რომის ასაღებად და დასამორჩილებლად მივდივარო; ამ პასუხის მოსმენისას იფიქრებ, სიზმარშია ან ჭკუიდან შეშლილა, რადგან როგორ შეუძლია ულაშქროს და უიარაღო კაცს მსოფლიოს მბრძანებელი ქალაქის აღება? მაგრამ მისი ლაშქარი და იარაღი – იესო ქრისტეს სახელი და „სახარებაა"; მართლაც, გაივლის მცირე დრო და პეტრე და პავლე, უბრალო მეთევზენი, მოისხანე რომს სიტყვით დაიმორჩილებენ და ისიც მუხლმოდრეკილი, თაყვანს სცემს მათგან ქადაგებულ ჯვარცმულ იესოს... არა მარტო პეტრემ და პავლემ, არამედ თითოეულმა მოციქულმა იესო ქრისტეს სახელითა და „სახარებით" დაიმორჩილა მთელი მსოფლიო... გვესაუბრება არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე).



შორენა მერკვილაძე

**— პირველად, პეტრე-პავლობის მარხვას შევეხოთ. ვიცი, რომ ამ მარხვას სამოციქულო მარხვაც ეწოდება...**

— პირველ ყოვლისა, განვმარტოთ, რატომ არის ეს მარხვა სხვადასხვა ხანგრძლივობის. ის სულთმოფენობის დღესასწაულიდან ერთი კვირის შემდეგ იწყება, სულთმოფენობა კი, თავის მხრივ, აღდგომის დღესასწაულზეა დამოკიდებული — აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს იდღესასწაულება, რადგან სწორედ უფლის აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს გარდამოვიდა მოციქულებზე სულიწმიდა. ამ მარხვას ძველად „ერგასის შემდგომსაც" უწოდებდნენ. სამოციქულო მარხვა, 12 ივლისს, მოციქულების — პეტრესა და პავლეს ხსენებით გვირგვინდება. ამიტომაც, სახელიც მათი ეწოდა და ხანგრძლივობაც ამ თარიღზეა დამოკიდებული. ეს მარხვა ყველაზე მეტხანს — 42 დღეს გასტანს, ყველაზე მცირე — 9, პირველ საუკუნეებში კი მხოლოდ ერთი კვირა გრძელდებოდა. მისი შენახვა სულთმოფენობის შემდგომ, ესპანეთის 517 და ტრულის 582 წლის II საეკლესიო კრებებზე განაწესეს. როდესაც წმინდა პეტრესა და პავლეს ხსენება მსოფლიოში ერთსა და იმავე დღეს დააწესეს, მარხვის ხანგრძლივობაც გაიზარდა და დადგინდა, რომ მათი ხსენების დღემდე — 12 ივლისამდე გაგრძელებულიყო. ქრისტეს მოწაფეებმა აქტიური სამოციქულო მოღვაწეობა სულიწმიდის გარდამოსვლის, სულთმოფენობის შემდგომ დაიწყეს. გახსოვთ ალბათ, ჯერ კიდევ სულიწმიდის გარდამოსვლის დღეს, პეტრე მოციქულმა იერუსალიმში, სიონის მთაზე რომ იქადაგა და 3 ათასზე მეტი ადამიანი მოექცა. შემდგომში უკვე, დაიწყო მათი აქტიური, სამოციქულო მოღვაწეობა. ლოგიკურიც იყო, რომ თავის დროზე, ეკლესიამ ეს მარხვა სწორედ ამ პერიოდში — სულთმოფენობის დღესასწაულის შემდგომ დააწესა. მოციქულები მაცხოვრის უახლოესი მოწაფეები, უახლოესი ადამიანები იყვნენ და უფალმა მოიხმო ისინი. მამები ბრძანებენ, რომ საკუთარი ნებით მხოლოდ იუდა ისკარიოტელი მივიდა იესო ქრისტესთან. უფალმა მასაც მისცა მოციქულებრივი ღვაწლი, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ იუდა გასცემდა მას. როდესაც ჩვენ ვამბობთ, — უფლის თორმეტი მოციქული, მათ რიცხვში იგულისხმება არა იუდა ისკარიოტელი, არამედ მის ნაცვლად არჩეული — მატათა მოციქული. თუმცა, როცა მაცხოვრის ჯვარცმამდელ პერიოდზე ვსაუბრობთ, მათ შორის იუდაც უნდა ვიგულისხმოთ.

**— მოციქულთა ღვაწლზეც ვისაუბროთ...**

— მოციქულეობრიობა იმ პერიოდში, როდესაც ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება დაიწყო, იყო ერთადერთი საშუალება ადამიანის მაცხოვნებელი სწავლებისა. თავად მოციქულები იმდენად იყვნენ განმტკიცებულნი უფლის რწმენასა და სიყვარულში, რომ ყოველივე გასაჭირს, რაც მრავლად ხვდებოდათ მიწიერი ცხოვრების ჟამს, არად დაგიდევდნენ: მიატოვეს სახლები, ახლობლები, სამშობლო და განუწყვეტლივ დევნას განიცდიდნენ... ამას აკეთებდნენ ჭეშმარიტი ღმერთისთვის. მათ შეიტყვეს და შეიმეცნეს საუკუნო ჭეშმარიტება და სურდათ, ეს სხვებისთვისაც ეხარებინათ. ჩვენ ვიცით, რომ თავად მოციქულების სიცოცხლეშიც კი ქრისტიანობა იყო მძლავრი რელიგია და მათ მიერ ნაქადაგები სარწმუნოება უამრავმა ადამიანმა მიიღო. რაც შეეხება სულიერ მხარეს — ეს იყო ერთადერთი მაცხოვნებელი სარწმუ-

ნოება. მოციქულების ქადაგებისა და სიმტკიცის წყალობით უამრავი ადამიანი მოექცა, ბევრმა კი თავადაც დაიწყო მოციქულებრივი საქმიანობა. ასე, ჯაჭვური რეაქციით ხდებოდა ქრისტიანობის გავრცელება. ცნობილია, რომ ვიდრე პეტრე და პავლე საქადაგებლად რომში შევიდოდნენ, იქ უკვე არსებობდა ქრისტიანული თემი. ჭეშმარიტების გარდა, ასე სწრაფად, ადამიანის მიერ მოგონილ ვერც ერთ სწავლებას ვერ გაავრცელებ. როდესაც მოციქულებმა ქადაგებას მიჰყვეს ხელი და მათ იუდეველებმა დევნა დაუწყეს, სინედრიონზეც დადგა მათი დასჯის საკითხი. სწორედ მაშინ, გამალიელმა ასეთი აზრი გამოთქვა: ვაცადოთ და თუკი ესენი ღვთისგან არ არიან, თვითონვე განქარვდებიან. თუ ღვთისგან არიან, უფალს წინ ვერ აღვუდგებითო. გამალიელის სიტყვები მართლაც, აღესრულა: ვერაფერმა — ვერც მაცხოვრის ჯვარცმამ და მიწიერი თვალით დანახულმა სიკვდილმა, ვერც მოციქულების სიკვდილით დასჯამ ვერ შეაჩერა მათ მიერ ნაქადაგები სწავლების გავრცელება, რომელმაც საბოლოოდ, მთელი მსოფლიო მოიცვა.

— **რატომ აირჩია უფალმა მაინცდამაინც თორმეტი მოციქული?**

— მამათა სწავლებით, უფალმა მოუწოდა თორმეტ მოციქულს — იმდენს, რამდენ ტომადაც იყოფოდა ისრაელიანთა ერი, რათა „ახალი აღთქმისთვის“ გამორჩეულ ხალხსაც ჰყოლოდა თორმეტი სულიერი წინაპარი. მათ უწოდა მოციქულები ანუ — „სახარების“ საქადაგებლად წარგზავნილები. ყველა მათგანი — ისრაელიანი, ებრაელი იყო, რათა სწორედ აბრაამის შთამომავლებისგან გავრცელებულიყო საუკუნო ჭეშმარიტება მთელ მსოფლიოში.

— **რატომ ინება უფალმა მოციქულებად უბრალო ადამიანების არჩევა?**

— ის ადამიანები, რომლებიც იმ პერიოდში ებრაული ღვთისმეტყველების ელიტას წარმოადგენდნენ — ფარისევლები და მწიგნობრები — ჭეშმარიტების გზას აცილებულნი იყვნენ. ამიტომაც, შეუძლებელი გახლდათ, რომ ისინი მაცხოვრის მოციქულები გამხდარიყვნენ. მეორე მხრივ, ნაკითხ და საღვთისმეტყველო ცოდნით აღჭურვილ ადამიანებს რომც დაეწყოთ ქადაგება, ეს ისეთი სასწაულებრივი არ იქნებოდა, როგორც უბრალო ადამიანების შემთხვევაში მოხდა. ყველამ იცოდა, რომ მათ განათლება არ ჰქონდათ მიღებული, მაგრამ უდიდესი ღვთისმეტყველები გახდნენ. სამყაროს აღსასრულამდეც კი საღვთო საქმეთა და საღვთო სწავლათა შემცნობი მათზე დიდი ადამიანი დედამიწაზე არ იქნება. ამასთანავე, მოციქულები იყვნენ რჩეული ჭურჭელნი ღვთისა — სწორედ მათ შეეძლოთ, ადამიანებს შორის ყველაზე მეტად, სულიწმიდის მადლის მიღება. ამ ყველაფრის გამო გამოარჩია ისინი უფალმა.

— **უფლის მოციქულთა ნათელ კრებულს მხოლოდ იუდა ისკარიოტელი აბნელებს. ბრძანეთ — მაცხოვარმა იცოდა, რომ იუდა გასცემდა, მაგრამ მაინც მისცა მოციქულებრივი მადლი და უფლება იმისა, რომ კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ღალატი, უდიდესი ცოდვა ჩაედინაო. ამით ხომ ფაქტობრივად, იუდა განკაცებული უფლის მკვლელი გახდა...**

— უფალი წინასწარ არასოდეს მიაგებს ადამიანს იმისათვის, რაც შემდგომში უნდა ჩაიდინოს. მან ისიც უწყოდა, რომ პირველი ადამიანები



შესცოდავდნენ და წინასწარ უწყოდა თითოეული ადამიანის მომავალი ცოდვების შესახებ. „ბიბლიაში“ ვკითხულობთ: „თქვა ღმერთმა, ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა“. წმინდა მამები, როდესაც ამ ადგილს განმარტავენ, ბრძანებენ: ამ თქმაში სამყაროს ყველა პროცესი იყო გააზრებულიო. თითოეული ჩვენგანის აზრიც კი, რომელიც გონებაში გვიდევს, ამ დროს განსჯილი იქნა წმინდა სამების მიერ. იცოდა, რომ: პირველი ადამიანები შესცოდავდნენ; დედამიწაზე წარღვნა მოხდებოდა; თავად განკაცებულ ღმერთს ჯვარს აცვამდნენ; ადამიანი შეიქმნებოდა ანტიქრისტე, ეშმაკის სრულყოფილი ჭურჭელი და მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ქმნა კაცი, უსაზღვრო სიყვარულის გამო — თუნდაც, ერთი ადამიანი რომ ცხონებულიყო, ერთ ადამიანსაც რომ განეცადა ის უსაზღვრო, მარადიული ნეტარება, რომელიც კაცს სასუფეველში ელოდებოდა... უფალი არც ერთ ადამიანს არ ქმნის წარწყმედისთვის, თითოეული მათგანი ცხონებისთვის, სამოთხისთვისაა გაჩენილი. ეს არის მიზანი ადამიანის დედამიწაზე მოსვლისა, მაგრამ ყველა ადამიანი თავისუფალი ნებით, თვითონ ირჩევს — ცხონების გზას დაადგეს თუ წარწყმედისას. თუმცა, უფალი ყველანაირად ცდილობს და ხელს უწყობს იმაში, რომ ცხონდეს. მან იცოდა, იუდა შესცოდავდა, მაგრამ მაინც, მის მოქცევას ცდილობდა. იცოდა, მპარავი იყო და ქისა მას ჩააბარა, რათა სხვებისთვის არ მოეპარა და მისი ვერცხლისმოყვარეობაც დაკმაყოფილებულიყო... როდესაც მაცხოვარმა 5 პურით 5 ათასი კაცი დააპურა, კიდევ იმდენი დარჩა, რომ 12 გოდორი გაივსო. თითო მოციქულს თითო გოდორი აჰკიდა, მათ შორის, იუდასაც, რათა მას მუდამ ხსომებოდა სასწაული. საიდუმლო სერობის დროსაც ამხილა იგი... ბოლოს, როდესაც იუდაში არც ამის გამო გაჩნდა სინანული, ასე მიმართა, — წადი და გააკეთე, რასაც აკეთებო... ამით უფალი აძლევს შანსს, ცდილობს, სინანულით მოაქციოს... როდესაც იუდა მღვდელმთავრებთან, ფარისევლებთან და შეიარაღებულ რაზმთან ერთად გეთსამანიის ბაღში მიდის და ამბორს ჰყოფს იესოს, მაცხოვარი მიმართავს: ნუთუ, ამბორით გასცემ ძესა კაცისასა?.. აქაც აძლევს დაფიქრებისა და მოქცევის საშუალებას, მაგრამ იუდა მაინც არ მოექცა... ვიცით, რომ ისკარიოტელი მოგვიანებით მიხვდა თავის დანაშაულს და ის 30 ვერცხლი, რომელიც მაცხოვრის გაცემის სანაცვლოდ მიიღო, უკან მიიტანა, მიუყარა მღვდელმთავრებს და ფარისევლებს, მაგრამ სინანულში მაინც არ მოვიდა — თავისი უდიდესი ცოდვის გამო, წავიდა და თავის ჩამოხრჩობას შეეცადა. მას ტოტი ჩამოუტყდა და ძირს დავარდა. ამის შემდეგ, რამდენიმე დღე კიდევ იცოცხლა. იუდას გული დაკეტილი იყო სინანულისთვის. სინანულის შემთხვევაში კი, უფალი მიუტევებდა.

*P.S. „გზის“ მომდევნო ნომერში მოგითხრობთ უფლის მოციქულებზე, რომელთა დასიც იუდას ნაცვლად არჩეულმა მატათა მოციქულმა შეავსო.*

# ბურთზე შეყვარებული არგენტინელი ვუნდერკინდი და ფეხბურთის თამაშისას გარდასახული მესი

**მორიდებული, თავშეკავებული, პატარა — ასეთია ლეო მესი, რომელიც მთელ თავის ექსპრესიას საფეხბურთო მინდორზე ტოვებს. შეიძლება, სწორედ ესაა მისი მთავარი საიდუმლო. იგი ხომ მსოფლიო ფეხბურთის ახალი გენიაა და სწორედ იმ გუნდის („ბარსას“) ლიდერია, რომელმაც 2008-2009 წლების სეზონში ერთბაშად, 3 ტიტული — ესპანეთის ჩემპიონატი, სამეფო თასი და ჩემპიონთა ლიგა მოიგო.**



## „ის უფრო მომწიფებულია, ვიდრე მის ასაკში მარადონა იყო...“

*ალექსი რეხვიაშვილი*

ლეო მესი როსარიოში (არგენტინა), 22 წლის წინ დაიბადა. ის ერთი ციცქნა იყო, როდესაც სეზონში 100 გოლის გატანას ახერხებდა. დღესდღეობით, იგი „ბარსას“ და არგენტინის ეროვნული ნაკრების წამყვანი მოთამაშე და ისეთი გოლებს ავტორია, რომლებიც აუცილებლად შევა ფეხბურთის ისტორიაში. ბურთის გარეშე, რომელიც თითქოს, ფეხზე აქვს მიწებებული, მესის ცხოვრება წარმოუდგენელი იქნებოდა.

„ბარსას“ ფორვარდის, სამუელ ეტოოს თქმით, მოედანზე მესის ხილვა იგივეა, რაც ნახატი ფილმის ყურება. ტიერი ანრი არ მალავს, რომ მესისთან ერთად მინდორზე ყოფნისას, ნებისმიერი ფეხბურთელისთვის მაყურებლის როლში ყოფნის რისკი იზრდება: „რასაც ის აკეთებს, წარმოუდგენელია. სიფრთხილე უნდა გამოვიჩინო, რათა მის მხარეს არ ვიყურო და ბანალურ მდგომარეობაში არ აღმოვჩნდე“. ლეოს ოსტატობით აღფრთოვანებულია მისი თანაგუნდელი (არგენტინის ეროვნულ გუნდში) გაბრიელ მილიტო: „მასზე არგენტინაში შევიტყვე და ნაკრების პირველივე თამაშზე ვიცოდი, რომ ის ყველასგან გამოირჩეოდა. დიდებულ ფეხბურთელებთან ერთად მითამაშია, მაგრამ ლეოს ვერავინ შეედრება“. ცოტა ხნის წინ, ფეხბურთის ცნობილმა სპეციალისტმა, იტალიელმა ფაბიო კაპელომ მესისა და კრიშტიანუ რონალდუს შედარება მოახდინა: „მართალია, პორტუგალიელი უმაღლეს დონეზე თამაშობს, მაგრამ გენიოსი სწორედაც რომ მესია“. ასეთივე მოსაზრებისაა ლეგენდარული ალფრედო დი სტეფანოც: „მესი მსოფლიოში №1 ფეხბურთელია. იგი არა მარტო არაჩვეულებრივად თამაშობს, არამედ სხვებსაც აიძულებს, რომ კარგად ითამაშონ. მესი თანაგუნდელებისთვის თავად ქმნის საგოლე მომენტებს და სხვების მიერ წამოწყებულ კომბინაციებსაც წარმატებით ასრულებს. ეჰ, ის რომ მადრიდის „რეალში“ იყოს...“



მინდორზე მესი მართლაც, ნიჭიერებისა და ენერგიულობის ეტალონია, მაგრამ ჟურნალისტთან საუბრისას უჩვეულოდ სიტყვაძუნწია. ის ბევრს არასოდეს ლაპარაკობს, გულუბრყვილობით გამოირჩევა და ისე იქცევა, თითქოს, ვერ ხვდებოდეს, რატომ სურთ მისგან ინტერვიუს აღება. ლეო მუდამ იმ აუცილებელ, მინიმალურ სიტყვებს წარმოთქვამს, რაც საკმარისია იმისთვის, რომ უკმეხი არ გამოჩნდეს. ამასთანავე, უბრალო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს — მის სხეულზე ვერ ნახავთ თვალში საცემ სვირინგს, არასოდეს გამოირჩევა ვარცხნილობითა და ჩაცმულობით. ლეოს არაფერი აქვს საერთო დევიდ ბექჰემთან ან თუნდაც, კრიშტიანუ რონალდუსთან, რომლის თამაშის ყურებისას ისეთი შთაბეჭდილება გეუფლება, თითქოს, სამყარო მის გარშემო ტრიალებდეს. რამდენიმე თვის წინ, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, 40 მეტრის მანძილიდან „პორტუს“ კარში გატანილი შთამბეჭდავი გოლის შემდეგ, პორტუგალიელმა ვარსკვლავმა განაცხადა: „ეს ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო გოლია. ვფიქრობ, ფანტასტიკური დარტყმა იყო და ერთი სული მაქვს, როდის ვიხილავ მას DVD-ზე“.

კრიშტიანუ რონალდუს წითელი „ფერარი“ ჰყავს, რომელიც ხალხს შოკში აგდებს და ეს პორტუგალიელის ცხოვრების სტილია. როდესაც მას გოლი გააქვს, ფოტოგრაფების წინაშე პოზირებისთვისაც იცლის და ისე იქცევა, თითქოს, ფეხბურთელი კი არა, როკვარსკვლავი იყოს. გარდა ამისა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ უკვე ყოფილ ნახევარმცველს ძალიან უყვარს წელზევით გახდა და ათლეტური ტორსის დემონსტრირება. კრიშტიანუ ხომ თავად ბუნებამ დააჯილდოვა — მაღალია, ძლიერი, სიმპათიური, ლეო კი დიდი ფეხბურთელი რომ არ იყოს, ყველასთვის შეუმჩნეველი დარჩებოდა.

მიუხედავად ამისა, ჭეშმარიტი ძალა მაინც მესის მხარესაა. ის სიძნელეებს არასდროს უშინდება და ბურთს ითხოვს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მის წინ რამდენიმე მცველი დგას. მესი ყოველგვარი შიშისა და ეგოიზმის გარეშე, თავდაუზოგავად თამაშობს, მხოლოდ გუნდის წარმატებაზე ფიქრობს და ეს სტადიონის ტრიბუნებზე მსხდომი 90000, და კიდევ, ტელეეკრანებს მიჯაჭვული მილიონობით ადამიანის წინაშე ხდება.

თავად ლეო მესი, თურმე, მის მიერ გატანილი გოლების ყურებით არასდროს ტკბე-

ბა: „ფეხბურთს ტელევიზორში არ ვუყურებ. მე თამაში და ვარჯიში მომწონს, მაგრამ ამ ყველაფრის ყურება არასოდეს მიზიდავდა“.

ალბათ, სწორედ ამაშია მესის განსაკუთრებული გენიაც — ის კი არ უყურებს, არამედ, მოქმედებს. როდესაც მესი თამაშში არ მონაწილეობს და მას უბრალოდ, თვალს ადევნებს — თითქოს, სადღაც უჩინარდება...

„როდესაც ფეხბურთს თამაშობდა, მასში გარდასახვა ხდებოდა. ის ყოველთვის განსაკუთრებული იყო და როდესაც ვუყურებდით, ვამბობდით, — შეხედეთ ლეოს, ის ხომ მუდამ ბურთთან ერთადაა. მესი მშვიდი და ისეთივე მორიდებული ბიჭუნა გახლდათ, როგორიც ამჟამადაა, მაგრამ ბურთის თამაშისას სულ სხვა ადამიანად გარდაიქმნებოდა ხოლმე და მისი ეს ცვლილება გვაკვირვებდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფეხბურთის თამაშისას ის ყოველთვის ბრწყინავდა“, — ამბობენ ვარსკვლავის ახლობლები.

დღესაც, როდესაც ლეო „ბარსელონისა“ და არგენტინის ეროვნული ნაკრების ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია, ბურთის გარეშე თავს არასრულფასოვან ადამიანად მიიჩნევს და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს, მას სიცოცხლისთვის აუცილებელი რომელიმე ორგანო აქვს ამოკვეთილი. „თუ გინდა, ლეო გააბედნიერო, ბურთი მიეცი. როდესაც მისი ტრავმის შემდგომი ადაპტაციით ვარ დაკავებული, აუცილებლად ბურთი მიმაქვს, რადგან მის გარეშე, თითქოს, არასრულყოფილი ადამიანია. ბურთი ნამდვილად, მისი საუკეთესო მეგობარია. ლეომ საღამოს თუ ვერ ითამაშა, მეორე დღეს აფორიაქებულია და ასეთი დღე, როგორც წესი, მისთვის ყოველთვის წარუმატებელია... ჯერ კიდევ პატარა იყო, როდესაც გარშემო მყოფთა დიდი სიმპათია დაიმსახურა. ის ყოველთვის უბრალოებით გამოირჩეოდა და ვარსკვლავს არასოდეს ჰგავდა. ასეთია დღესაც. ლეო მესი ამჟამად, მსოფლიო ფეხბურთის სახე და არსია. მოედანზე ისეთ რაღაცებს აკეთებს, რაც სხვა ფეხბურთელებისთვის მიუწვდომელია. მიუხედავად ამისა, თავშეკავებულ ბიჭად რჩება. მისი სამყაროს ცენტრი — ოჯახია და იმავე ადამიანებთან მეგობრობს, ვისთანაც წლების წინ მეგობრობდა. არ უყვარს პრივილეგიები, არასდროს ივიწყებს ნაცნობებს, ქუჩაში ხალხს არ ერიდება და ამ დროს, თავს უსაფრთხოდ გრძნობს. ის ყოველთვის მზადაა უცხო ადამიანებთან ფოტოს გადასაღებად ან ავტოგრაფის მისაცემად“, — ასე ახასიათებს არგენტინელ ვუნდერკინდს „ბარსელონის“ ფიზიოთერაპევტი, ხუანხო ბრაუ.

2005 წელს, აზიაში, „ბარსელონის“ ტურნეს მსვლელობისას, ახალბედა ლეოს ძირითადად, სათადარიგოთა სკამზე უხდებოდა ჯდომა. ერთ-ერთი მატჩის მსვლელობისას, მესი მთელი 2 ტაიმის განმავლობაში, გაშმაგებით ურტყამდა ბურთს სათადარიგოთა სკამის წინ, მუხლების დონეზე აღმართულ კედელს და თითქოს, ეს პროცესი მისთვის ერთადერთი შვება იყო.

ლეო მესის განსაკუთრებულად უყვარს ბებია, რომელსაც ყოველთვის დიდი სიყვარულით იხსენებს. სწორედ მარადონას ამ დიდმა თაყვანისმცემელმა ქალმა მიიყვანა ის ფეხბურთზე და მწვრთნელები აიძულა, როსარიოს საბავშვო გუნდში მიეღოთ, სადაც თითქმის ყველა მოთამაშე მასზე 2 წლით უფროსი იყო. საერთოდ, თავის ასაკთან შედარებით, ლეო ყოველთვის ტანმორჩილად გამოიყურებოდა. მიუხედავად ამისა, ვუნდერკინდზე უფროს და მაღალ ბავშვებს, მისი შეჩერება მხოლოდ წესის დარღვევით თუ შეეძლოთ. თუმცა, ამის გამო ლეო არასოდეს წუწუნებდა და ასეთია იგი დღესაც.

როსარიოს „გრანდოლინიდან“ მესი პროფესიონალურ გუნდ „ნიუელს ოლდ ბოიზში“ გადავიდა და იქ 5 წელიწადი გაატარა. სწორედ იმ პერიოდში ექიმებმა ზრდის ჰორმონის დეფიციტი დაუდგინეს, რის გამოც, მას ბუნებრივად განვითარება არ შეეძლო. ლეოს ყოველდღიური ინიექციები გამოუწერეს, მაგრამ ძვირად ღირებული სამედიცინო პროცედურისთვის საჭირო თანხა არც მის მშობლებს ჰქონდა და არც იმ კლუბს, სადაც თამაშობდა. ამის გამო, მამამისმა — ხორხემ 2000 წელს, ბარსელონაში გადაბარგება გადაწყვიტა, რათა კატალონიურ



გრანდს საკუთარ თავზე აეღო ლეოს მკურნალობისთვის საჭირო სახსრების გაღება.

მესი 13 წლის იყო, როდესაც „ბარსელონაში“ შემოწმება გაიარა. მისი ბედი პირველი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, კარლეს რექსაჩმა გადაწყვიტა, რომელსაც მხოლოდ 7 წუთი დასჭირდა, რათა ხელოვნურ მოედანზე მობურთალი პატარა არგენტინელი შეეფასებინა. 2000 წლის 3 ოქტომბერს, მესი ასაკით უფროს ბიჭებთან პაექრობაში საკუთარი ნიჭის გამოვლენას ცდილობდა. რექსაჩს უკითხავს, — ვინ არის ეს? — ეს მესია, — უპასუხია ვიღაცას მისთვის. — Collons, l'hem de fitxar ara mateix! (მასთან სასწრაფოდ უნდა გავაფორმოთ კონტრაქტი!) — უთქვამს მესის თამაშით აღტაცებულ მწვრთნელს.

ლეოს მამა — ხორხე მესი როსარიოში მდებარე მეტალურგიულ ქარხანაში, ცვლის უფროსად მუშაობდა, მაგრამ იძულებული გახდა, საცხოვრებლად ბარსელონაში გადასულიყო, რადგანაც იქ მისი ვაჟიშვილის ბედი წყდებოდა, მაგრამ ლეოს დედა, სელია კი სამშობლოში დარჩა. რამდენიმე თვის შემდეგ, მშობლებმა მესი არჩევანის წინაშე დააყენეს: დაბრუნებულიყო სახლში, სადაც ორად გაყოფილი ოჯახი კვლავ გაერთიანდებოდა, ან დარჩენილიყო კატალონიაში. 13 წლის ლეო ბარსელონაში დარჩა, რათა წლების შემდეგ, გუნდთან ერთად, დიდი გამარჯვებები ეზეიმა.

ლეო მესი საზოგადოებამ 2006 წელს (როდესაც „ბარსელონამ“ ესპანეთის ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა) გაიცნო, დღეს კი მას ესპანეთსა და არგენტინაში მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ აღიარებენ და მიიჩნევენ, რომ იგი ისეთ ფეხბურთელებს ჩამოიტოვებს უკან, როგორებიც ზიდანი, რონალდო, რონალდინიო არიან და რომ თვით პელესა და მარადონას გვერდით დაიმკვიდრებს ადგილს.

გასულ წელს, თავად მარადონამ მესი ლამის პარაზიტიზმში დაადანაშაულა, მაგრამ გავიდა დრო და არგენტინის ეროვნული გუნდის თავკაცმა ლეოს მიმართ შეხედულება შეიცვალა. „ნეტავ, მესიმ ჩემზე მეტს მიაღწიოს“, — განაცხადა ცოტა ხნის წინ „ფეხბურთის ღმერთმა“, რომელიც „ბარსელონის“ ვუნდერკინდს არგენტინის ნაკრების მთავარ ფიგურად მიიჩნევს.

„თუ სწრაფი ხარ, არგენტინაში შენზე იტყვიან, რომ უკან რაკეტა გიყენია, მესის კი კიდევ ერთი რაკეტა აქვს — თავში. ის აზროვნების, ფიზიკური და ტექნიკური სისწრაფით გამოირჩევა. როგორც წესი, მის წინააღმდეგ მწვრთნელები 3 მცველს აყენებენ, რადგან ერთი ვერაფერს გახდება. ის პირდაპირ მეტოქის ფეხებში აკეთებს ფინტს, რადგანაც მოწინააღმდეგეზე სწრაფი აქვს ფეხებიც და გონებაც. თანაც, ამ დროს ჰორიზონტს უყურებს და არა — ბურთს ან მეტოქეს. ამ ყველაფერთან ერთად, როცა მოწინააღმდეგეს ატყუებს, ზუსტად იცის, თუ სად დგანან მისი თანაგუნდელები და გათვლილი აქვს, რომელი უფრო ხელსაყრელ სიტუაციაში იმყოფება. მეჩვენება, რომ მესი იმავე მასშტაბის მოთამაშეა, როგორისაც მარადონა ან პელე. თუმცა, ის უფრო მომწიფებულია, ვიდრე მის ასაკში მარადონა იყო. 21 წლის დიეგომ ესპანეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე თითქმის ვერაფერს მიაღწია, მაგრამ თავისი ისტორია მომდევნო 10 წლის განმავლობაში შექმნა. თუმცა, იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ მარადონას არასოდეს უთამაშია ისეთ შთამბეჭდავ გუნდში, როგორიც ამჟამინდელი „ბარსელონაა“. ამ მხრივ, მესი პელესთან უფრო ახლოსაა, რომელიც 1970 წლის ბრაზილიის ნაკრებში ასპარეზობდა“, — ამბობს 1986 წლის მუნდიალის კიდევ ერთი ტრიუმფატორი და არგენტინის ნაკრებში მარადონას ყოფილი თანაგუნდელი, ხორხე ვალდანო.

ლეო მესიმ „ბარსას“ მაისურით უკვე ბევრი რამ დაამტკიცა, მაგრამ გავა კიდევ ერთი წელიწადი და იგი არგენტინის ნაკრებთან ერთად, მსოფლიოს მორიგ ჩემპიონატში ჩაებმება, რათა ახალ გამოწვევას უპასუხოს და ყველაზე მაღალ საფეხბურთო მწვერვალზე ავიდეს. ■

# პრემიერა „ბრავოს“ სცენაზე



**ფსიქიატრიულ საავადმყოფოში პირველობისთვის იბრძვიან. მართვის სადავეებს ხელში ყველაზე „ჭკვიანი გიჟი“ ჩაიგდებს, მაგრამ ნიჭიერ ადამიანს სიალალე ღუპავს... — ახალგაზრდა რეჟისორმა ლაშა ნოზაძემ ცნობილი ფილმის — „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“ სიუჟეტი (ოღონდ — ქართულ რეალობაზე მორგებული) სცენაზე გადაიტანა და კლუბურ თეატრ „ბრავოში“ დადგა სპექტაკლი, სახელწოდებით — „ვინ — სახლიდან, ვინ — სახლში, ვინ — გუგულის ბუდეში“.**

## ანუ ქართულ რეალობას მორგებული „გუგულის ბუდე“

*ეთო ყორღანაშვილი*

**თათია სულუაშვილი**, *მსახიობი:*

— დიდი სურვილი მქონდა, ამ სპექტაკლში რაღაც როლი მეთამაშა — თუნდაც, სცენაზე ცოცხით გამერბინა ან ბუჩქის როლში ვყოფილიყავი. ადრე ლაშა ნოზაძეს არ ვიცნობდი და მაინტერესებდა, თუ როგორი იყო მასთან მუშაობა. ყველაფერმა საინტერესოდ ჩაიარა, რაც ლაშას დამსახურებაა. სპექტაკლში მთავარი მედდა — გნუსენი განვასახიერე.

— **რეპეტიციებზე თბილისიდან რუსთავში სიარული არ გაგიჭირდა?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ როცა რაღაც ძალიან გინდა, წინააღმდეგობებს აუცილებლად გადალახავ.

*თეატრ „ბრავოს“ მსახიობი —* **დავით ჭელიძე** *მთავარი მედდის „თანამზრახველის“ — საზიზღარი ვაშინგტონის (როგორც თავად მსახიობმა აღნიშნა) როლს ასრულებს.*

— რომ არ დაგიმალოთ, როლის მორგება ძალიან გამიჭირდა. ჩემი გმირი რთული და საზიზღარი ადამიანია. მას გიჟები წნეხში ჰყავს მოქცეული, მათზე დიდ ზეგავლენას ახდენს. იმავდროულად, მშიშარაცაა და მას გნუსენი მართავს... ძველი „ბრავოდან“ მოვდივარ და კიდევ ბევრ საინტერესო რაღაცას გავაკეთებ — ჯერ „შენების“ პროცესში ვარ.

*ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტების — ჩესვიკისა და ელისის როლების შემსრულებლები სპექტაკლის შემდეგაც თავიანთი პერსონაჟების ფრაზებით ლაპარაკობდნენ. ხმა ამოვიღე თუ არა, ჯერ ჩესვიკმა (ალეკო ილარიონმა) „მამხილა“ და თქვა, — კიდევ მე ვტყუი, მეგობრებოო? შემდეგ კი ელისმა (გაგა გულიაშვილმა) მკითხველებს „მისცა რჩევა“: „თვალები დახუჭეთ, თორემ სულში ჩაგიძვრებიან“.*

**გაგა გულიაშვილი:**

— ელისი დანარჩენი გიჟების სამყაროს მოწყვეტილია. ჰგონია, რომ თუკი თვალებში ჩახედავენ, სულში ჩაუძვრებიან. სულ ეშინია — არავის ენდობა.

**ალეკო ილარიონი:**

— ფილმისგან განსხვავებით, სპექტაკლში ჩესვიკი სხვანაირია. შევეცადე, სცენაზე რადიკალურად განსხვავებული პერსონაჟი ყოფილიყო და მგონი, ეს მოვახერხე კიდეც.

— **გიჟების როლის მორგება არ გაგიჭირდათ?**

— გიჟის როლის თამაში ძალიან რთულია. ბევრი ვიშრომეთ და შედეგიც სახეზეა — ხომ ხედავ, ხალხი აღფრთოვანებულია!

**გაგა:**

— ჩემი აზრით, გიჟის როლის თამაში ცხოვრებაში უფრო ადვილია, ვიდრე — სცენაზე (*იცინის*). თუ კარგად დააკვირდებით, ამ სპექტაკლში ბევრი რამ ცხოვრებისეულია: პოლიტიკაა და თან, გიჟებიც არიან...

**ლაშა ნოზაძე**, *რეჟისორი:*

— როცა კენკიზის და მილოშ ფორმანის ძალიან დიდ რომანს „შევეჭიდე“, ჩემმა პედაგოგმა — რობერტ სტურუამ მირჩია: ეს უკვე გენიალურადაა გაკეთებული და ამ საქმესთან ძალიან ფრთხილად უნდა იყოო. ასაკის, გამოუცდელობის ან ინტუციის ბრალია ის, რომ გავჯიუტდი და ამ თემას მაინც „წავეპოტინე“. მე და ჩემმა მეგობარმა — ზვიად კეჭაყმაძემ (რომელიც პიესის თანაავტორია) რომანი გადმოვთარგმნეთ და ქართულად „გავაპიესეთ“... სპექტაკლში მაკმერფი, რომლის როლსაც მსახიობი ლეონტი შიოშვილი ასრულებს, ნიჭიერი გმირია. ის თავისუფლებისა და გონიერების სიმბოლოა: იქ იტყუება, სადაც უნდა იტყუებოდეს და ალალია იქ, სადაც ალალი უნდა იყოს. ჰოდა, სწორედ სიალალე ღუპავს... ქართველები შინაგანად ძალიან თავისუფლები ვართ და ვიღაცის დარიგებას ვერ ვიტანთ. მოვუსმინოთ, იქნებ, რას გვირჩევს? იქნებ, ვიღაც ნიჭიერია? მოსმენის კულტურა რომ უნდა ვისწავლოთ, ამაზეა ეს სპექტაკლი. მაყურებლებს პატარა რეპლიკებზეც კი ეცინებოდათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ზუსტადაა „მორტყმული“. ამისთვის მადლობა — მსახიობებს, მე მხოლოდ სპექტაკლი დავდგი (*იცინის*).

**ბესო ცუცქირიძე:**

— ლაშა ძალიან ნიჭიერი და კეთილი ადამიანია. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა შემნიშნა. რეჟისურის ფაკულტეტზე მისი რჩევით ჩავაბარე, ახლა კი საშუალებას მაძლევს, თეატრის სფეროში რაღაცები ვისწავლო: ლაშას ბევრი საქმე აქვს და ზოგჯერ, მას ვცვლი. „ბრავოში“ ხშირად მოდის მისი პედაგოგი — რობერტ სტურუა. ამას წინათ, რუსთაველის თეატრიდანაც გვყავდნენ სტუმრები, სპექტაკლით — „სტუმარი“. რაც შეეხება სპექტაკლს — „ვინ — სახლიდან, ვინ — სახლში, ვინ — გუგულის ბუდეში“ — პრემიერას, ანშლაგით ჩაიარა. მიუხედავად იმისა, რომ თეატრ „ბრავოს“ რუსთავის ქიმიკოსთა კულტურის სახლში გადმოსვლის შესახებ ბევრმა ჯერ კიდევ არ იცის, მაინც უამრავი მაყურებელი გვყავდა! ■



# BMW-ს ახალი მოტორი



გერანულმა კომპანიამ ახალი მოდიფიკაციის სამლიტრიანი, რიგ-ითი დიზელის „ექვსიანზე“ მუშაობა დაასრულა, რომლის დებიუ-ტიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე, BMW 7-Series-ის სედანზე შედგება. ახალი მოტორი 306 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. იგი თავის წინამორ-ბედზე 20 ცხ. ძ-ით უფრო მძლავრია, თანაც — 4%-ით უფრო ეკო-ნომიური. ამ ძრავას მქონე მანქანის დინამიკური მაჩვენებლების შესახებ არაფერია ცნობილი. კომპანიას კიდევ ერთი დიზელის მოტორი აქვს — ეს 2-ლიტრიანი, 4-ცილინდრიანი ძრავაა, რომლის სიმძლავრეც 204 ცხ.ძ-ს აღწევს. ასეთ აგრეგატს BMW 1-Series-ზე აყენებენ. ■

# „ფორდის“ საიუბილეო პროექტი



„ფორდის“ ყოფილმა პრეზიდენტმა ლი იაკოკმა, რომელიც ამ თანამდებობაზე გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს დაინიშნა და პირველი Ford Mustang-ის შექმნაში მონაწილეობდა, მოდელის 45-წლისთავთან დაკავშირებით, თანამედროვე „მუსტან-გი“ გამოუშვა. მანქანას Ford Mustang Iacocca Silver 45th Anniversary Edition ეწოდა. მის შექმნაში, იაკოკის გარდა, დიზაინერი მაიკლ ლეონე და ძარას შემქმნელი ამერიკული ატელიე — Gaffoglio Family Metalcrafters მონაწილეობდნენ. სიახლეს მოდერნიზებული ძარა აქვს, რომლის წინა ნაწილი განსხვავებულადაა გაფორმებული. მას შეცვ-ლილი აქვს მაშუქები, ბამპერი და კაპოტი. სალონს ამშვენებს სპეციალურად დამუშავებული ტყავი და ალუმინის დეტალებით გადაწყვეტილი ინტერიერი. „ფორდ მუსტანგის“ სპეციალური ვერ-სიისთვის გათვალისწინებულია მხოლოდ 4,6-ლიტრიანი, 8-ცილინ-დრიანი ძრავა, რომელიც სიმძლავრის გათვალისწინებით, 2 ვარი-ანტად გამოვა: პირველ შემთხვევაში, მოტორს გაგრილების ახალი სისტემა — Ford Raving დაუმონტაჟდება და იგი 320 ცხ.ძ. სიმ-ძლავრეს განავითარებს, ხოლო მეორე ვარიანტი 400 ცხ.ძ. სიმ-ძლავრის იქნება. ტრანსმისია მხოლოდ სიჩქარის გადაცემათა მექან-იკურ 5-საფეხურიან კოლოფს ითვალისწინებს, თუმცა პრესრელ-იზში აზუსტებენ, რომ შესაძლებელია, სიახლეს „ავტომატებიც“ დაუმონტაჟდეს. გარდა ამისა, კუპეს უფრო მძლავრი სამუხრუჭე მექანიზმები (ოპციის სახით) და ქრომირებული 20-დუიმიანი საბ-ორბლე დისკები ექნება, რომლებზეც 245/45 ზომის GoodYear Eagle RSA-ს საბურავები გადაეკვრება. კუპე Ford Mustang Lacocca Silver 45th Anniversary Edition, რომელიც შეზღუდული ტირაჟით — 45 ეგზემ-პლარად გამოვა, მხოლოდ ვერცხლისფრად შეიღებება და ერთად-ერთ სადილერო ცენტრში გაიყიდება. ესაა Galpin Ford. ■

# Noble-ის ახალი სუპერავტო



სპორტული ავტომობილების ბრიტანული მწარმოებელი Noble ივლისში პირველი სერიული წარმოებისთვის გამზადებული ახალი სუპერავტოს — 600 — წარმოდგენას გეგმავს. მოდელს ამჟამად, სამუხრუჭე სისტემის საბოლოო შემოწმება უტარდება. მანქანას მთლიანად კარბონის ძარა, 8-ცილინდრიანი ბენზინის ძრავა ექნება, რომელ-იც იაპონურმა კომპანიამ — Yamaha — შეიმუშავა. აღსანიშნავია, რომ საბაზო ვარიანტში ასეთი მოტორი „ვოლვოს“ ავტომობილებს უყენია, თუმცა სპეციალურად ბრიტანული მანქანისთვის აგრეგატს მოდერნიზება ჩაუტარდა. ამჯერად იგი 650 ცხ.ძ-ს ავითარებს. ძრავას სიჩქარის 6-საფეხურიანი, მექანიკური გადაცემათა კოლოფით შეუძლია მუშაობა, რომელიც კომპანიის — Graziano — მიერაა დამზადებული. 600-ის დინამიკური მაჩვენებლების შესახებ ამ ეტაპზე არაფერია ცნობილი. ავტომობილი მინიმალური რაოდენობითაა აღჭურვილი დამხმარე ელექტროხელსაწყოებით, თუმცა სამართავად მაინც ძალიან მოსახერხებელია. გარდა ამისა, სალონში დამონტაჟდება სპეციალური გადამრთველი, რომელიც მძღოლს ძრავას სიმძლავრის რეგულირების შესაძლებლობას მისცემს. ამგვარად, მისი შერჩევა შესაძლებელი იქნება — 450, 550 და 650 ცხ.ძ-ის სიმძლავრის ვარიანტებიდან. წინასწარი ცნობით, Noble 600 შეზღუდული ტირაჟით, წელიწადში დაახლოებით, 50 ეგზემპლარად გამოვა. დიდ ბრიტანეთში მანქანის ფასი სავარაუდოდ, 100 ათასი გირვანქა სტერლინგი იქნება. ■

# „პორშეს“ მუზეუმში საინტერესო ექსპონატები გამოიფინება



ცოტა ხნის წინ, გერმანულმა კომპანია „პორშემ“ მესამე რაიხის ტრანსპორტის სამინ-ისტროს მიერ ხელმისაწვდომი, „სახალხო ავტომობილის“ შექმნაზე შეკვეთის მიღების დღიდან, 75-ე წლისთავი იზეიმა. იგი ფა-სით, მოტოციკლის ღირებულებას უნდა გა-ტოლებოდა და დაახლოებით, 990 რაიხს-მარკა ყოფილიყო. მოგვიანებით ამ ავტომო-ბილად Volkswagen Beetle იქცა, რომლის სამო-ქალაქო ვერსიის სრულმასშტაბიანი წარ-მოება მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. იუბილეს აღსანიშნავად, კო-მპანია „პორშეს“ მუზეუმში Volkswagen Beetle-ის ორი უნიკალური პროტოტიპი, აგრეთვე იშ-ვიათი საარქივო დოკუმენტები და ფოტოები იქნება წარმოდგენილი. მუზეუმის სტუმრებს ომისწინა პერიოდის Beetle-ს წარუდგენენ, რომლითაც თავად პორშე დადიოდა. იქვე იქნება აგრეთვე წარმოდგენილი მოდიფიკაცია „ხოჭო“, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებშია შექმნილი. ეს გამოფენა „პორშეს“ მუზეუმში 31 ივლისამდე გასტანს. ■

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა



1. მუსიკის დიდი სიყვარული
2. აზერბაიჯანის პრეზიდენტი
3. კენკროვანი ხილი
4. ნორმასთან დაახლოება
5. მარცვლეული კულტურა
6. ქვეყანა ევროპაში
7. ძაღლის ჯიში
8. სანიავებელი
9. სიმებიანი მუს. საკრავი
10. გულიანი ნამცხვარი
11. მღვდელი კათოლიკეებში
12. „ხევისბერი გოჩას“ პერსონაჟი
13. ეგვიპტის დედაქალაქი
14. სახე გვერდიდან
15. დაქირავებული მკვლელი
16. ვაჟა-ფშაველას პოემა
17. საზღვაო ბრძოლის ხერხი
18. თმის საშრობი ხელსაწყო
19. განსჯის პროდუქტი
20. ქრისტიანული სიმბოლო
21. ფუტკრების ოჯახი
22. ქალაქი საქართველოში
23. სპორტული შეჯიბრების მსაჯი
24. ამერიკის შტატი
25. ცეცხლგამძლე კარადა
26. ექსპერიმენტი
27. ძველი ქუთაისი
28. წამლის ჭურჭელი
29. ძველი ბერძენი
30. თურქეთის დედაქალაქი
31. ფიზიკის ნაწილი
32. თურქული აბანო
33. უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა
34. მტაცებელი ფრინველი
35. გარეული თხა
36. ბელორუსიის დედაქალაქი
37. ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. ტელეგრამა; 2. ლობიო; 3. თებერვალი; 4. კავასაკი; 5. მეველე; 6. ალიგატორი; 7. ნაბეღლავი; 8. რალი; 9. რიგა; 10. ლაბადა; 11. ბასეტი; 12. შოვი; 13. ბედუინი; 14. ალაფი; 15. ტეკილა; 16. ეზოპე; 17. კარაბადინი; 18. ობი; 19. დოკერი; 20. ნანდუ; 21. აგუტი; 22. ანოა; 23. დოზა; 24. ვენა; 25. დანა; 26. ბატი; 27. ანგარება; 28. რეალობა; 29. შუ; 30. ბუ; 31. კიი; 32. გულაბი; 33. გოია; 34. მინა; 35. მაო; 36. მარინადი; 37. გიბონი; 38. ბიჟუტერია; 39. აკადემია.

**სურათებზე:** 1. ტინა ტერნერი; 2. ბარი უაიტი.

# ჰოროსკოპი

(25 ივნისი - 1-ელი ივლისი)

### ვერძი:
შეცდომების თავიდან ასაცილებლად, ნებისმიერი ინფორმაცია გადაამოწმეთ და მხოლოდ ამის შემდეგ იმოქმედეთ. ნუ ჩაერევით კონფლიქტურ სიტუაციებში.

### კურო:
ბოღმისგან გათავისუფლდით და წყენას გულში ნუ ჩაიდებთ. მოერიდეთ კოლეგებთან კონფლიქტს. კვირადღეს ახლობლებთან ერთად, პიკნიკი მოაწყვეთ.

### ტყუპები:
კარგი პერიოდია ახალი საქმეების დასაწყებად, მაგრამ მათ შესახებ ყველასთან ნუ ილაპარაკებთ. წარმატების მიღწევაში დიპლომატია დაგეხმარებათ.

### კირჩხიბი:
ბევრ საიდუმლოს აეხდება ფარდა. ნუ ჩაერთვებით ავანტიურულ და სარისკო საქმეებში. უქმე დღეებში კოსმეტიკური პროცედურების ჩატარებას ერიდეთ.

### ლომი:
თუ ყველა დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანთ, წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ. გირჩევთ, თავი შეიკავოთ ფულის ფლანგვისა და აზარტული თამაშებისგან.

### ქალწული:
შვილები თავიანთი წარმატებითა და მიღწევებით გაგახარებენ. დასვენების დღეებში ნათესავებისა და მეგობრების პრობლემების მოგვარებით იქნებით დაკავებული.

### სასწორი:
ამ პერიოდში შეეცადეთ, ყველა საქმე მოაგვაროთ. საყვარელი ადამიანი სიურპრიზს მოგიწყობთ. დასვენების დღეები შემოქმედებით საქმიანობას მიუძღვენით.

### მორიელი:
ახალი ნაცნობობა, განსაკუთრებით — უცხოელებთან, სასიკეთოთ იმოქმედებს თქვენს ბიზნესზე. გირჩევთ, ფული არც გაასესხოთ და არც — ისესხოთ.

### მშვილდოსანი:
მოაგვარეთ საოჯახო საქმეები. საყვარელ ადამიანთან საქმის გარჩევასა და ჩხუბს არ გირჩევთ. ხუთშაბათს ხელმძღვანელობას ახალი იდეები გააცანით.

### თხის რქა:
მოერიდეთ ექსტრასენსებთან და მკითხავებთან კონტაქტს. კვირის შუა პერიოდში შემოსავლის ახალი წყარო გაგიჩნდებათ. ნუ წამოიწყებთ ახალ საქმეებს.

### მერწყული:
წარმატებას მოგიტანთ შემოქმედებითი საქმიანობა. სასიკეთოა ხელშეკრულებების გაფორმება. დასვენების დღეები შვილებთან ერთად გაატარეთ.

### თევზები:
ნუ დაიტვირთავთ თავს საქმეებით. უსაფუძვლო ეჭვიანობის გამო, საყვარელ ადამიანთან კონფლიქტი გელით. ხალხმრავალ ადგილებში საფულეს გაუფრთხილდით.

## პატარები გენიოსობენ

**გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან**

პატარა სანდროს ეფერებიან და ეუბნებიან:

— ჩვენც გვყავს პატარა ბაია, მაგრამ შენსავით კარგად ვერ ლაპარაკობს.

— რატომ, უვიცია?

პატარა თაკო კერესელიძემ მამას ჰკითხა:

— რუსულად 200 როგორ იქნება?

— „დვესტი“, — უპასუხა მამამ.

— მაშინ, 300 ტრესტი იქნება, არა? — „მიხვდა“ თაკო.

4 წლის თამუნა ხვედელიძე ფეხბურთს უყურებს და დედას ეკითხება:

— დედიკო, ბურთს ფეხს რომ ურტყამენ, ხომ იმიტომ ჰქვია ფეხბურთი?

— კი, — პასუხობს დედა.

— ხელი რომ დაარტყან, ხომ ხელბურთი ერქმევა?

— კი.

— ტაკუნა რომ დაარტყან, მაშინ?

5 წლის ლევან ცუცქირიძემ დიდხანს უყურა მამის ფოტოსურათებს (3X4, 10 ცალი) და გახარებულმა დედას უთხრა:

— დედიკო, რა კარგი იქნებოდა, ამდენი მამიკო რომ მყავდეს.

3 წლის ვასიკო ლიპარტელიანს დედა ძალით აჭმევს. ვასიკო მაგიდის გარშემო დარბის და თან, ყვირის:

— დედიკო, ნუ მაჭმევ, თორემ, გადამეყლაპებააა.

პატარა ანა მჭედლიშვილმა ბაღში ბევრი იტირა. საღამოს დედამ ჰკითხა, რატომ ტიროდიო?

— დედიკო მინდოდა, — უპასუხა ანამ. დედამ აუხსნა, რომ იქ ბევრი ბავშვია და არავინ ტირის. ანა დაფიქრდა და უპასუხა:

— იმათ დედები არ უყვართ...

პატარა თეონა თაფლს მიირთმევს და ბებოს ეკითხება:

— ბებო, ფუტკრები იმ ფულს, რომელსაც თაფლში ვუხდით, რას უშვრებიან?

3 წლის დაჩი წილოსანი ბაბუას ეუბნება:

— ბაბუ, გეხვეწები, წააქციე კიბე, თორემ ჩიტებმა სულ შეგვიჭამეს ბალი.

4 წლის ანანო მაზანაშვილს ეძინებოდა. მას გვერდით დაღლილი მამა მიუწვა, მაგრამ ბავშვზე ადრე, მას ჩაეძინა.

— მამიკო, ზულიკო, ახლა მე დამაძინე, — გააღვიძა ანანომ მამა.



M K

# დედაქალაქი და მისი ტოპონიმები



ნოდარ კოჭლამაზაშვილი

## სვანეთის უბანი

იმ პერიოდიდან, როცა იმპერიულმა რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსირება მოახდინა (1801 წ.), თბილისელებმა ძველი ქალაქის გალავანი მოარღვიეს და მიმდებარე ტერიტორიებზე დასახლებას მიჰყვეს ხელი. ასე, ნელ-ნელა გაჩნდა ძველი თბილისის გარშემო პატარა უბნები, ახალ-ახალი სახელებით: რიყე, ორთაჭალა, დოლაბაური, ჩუღურეთი, კუკია, სვანეთის უბანი და, მოგვიანებით — ვაგზლის უბანი.

საინტერესოა, როგორ, საიდან გაჩნდა თბილისში სახელი „სვანეთის უბანი“? ამთავითვე ვიტყვი, რომ აქ გამოთქმული მოსაზრებები მხოლოდ ვერსიას წარმოადგენს, მაგრამ ვფიქრობ, ის საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს.

კითხვა — თუ რამ განაპირობა დედაქალაქში ამ სახელის გაჩენა? — ახალგაზრდობისას, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს დამისვამს ამ უბნის მკვიდრი უხუცესებისთვის. ზოგი ამბობდა, რომ იქ ბევრი სვანი ცხოვრობდა, ზოგი არ ეთანხმებოდა ამ ვერსიას, რამდენიმე მოხუცმა კი მითხრა: ჩვენი პაპებისგან გაგვიგონია, რომ ამ ადგილას წინათ, ამ სახელის მქონე სოფელი იყოო.

სამწუხაროდ, მსგავსი ფაქტი არც ერთ ისტორიულ წყაროში დაფიქსირებული არ გახლავთ. ამასთანავე, უნდა ვივარაუდოთ — თუ სახელი იქ დასახლებული სვანების სიჭარბიდან მოდის, მაშინ უფრო ბუნებრივი იქნებოდა, სვანების უბანი დაერქმიათ და არა — სვანეთის უბანი.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში — „აღწერა სამეფოისა საქართველოსი“ — თბილისის სანახებზე მსჯელობისას წერს: „გარემო ქალაქის წალკოტნი და ყვავილთა სავსე... სანადირონი მრავალნი ახლოს, ფრინველთა და ნადირთა“. ამგვარად, ლაპარაკია ადგილზე, სადაც ადამიანს შეეძლო, დაესვენა, მოესვენა და ნადირ-ფრინველიც მოენადირებინა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ძველად ამ ადგილას იყო პატარა დასახლება, რომელსაც ხალხში სვენეთს ეძახდნენ. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის, გორის მახლობლად, ამ სახელწოდების სოფელი არსებობს. ხოლო რაც შეეხება სახეცვლილებას, — სავარაუდოა, რომ „სვე“ — „სვა“-დ დროთა განმავლობაში გადაიქცა და საბოლოოდ მივიღეთ სახელი — სვანეთის უბანი.

## ფეთხაიმი

ცნობილია, თუ რაოდენ ხანგრძლივი და ჰარმონიულია ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობა, რომელიც 26 საუკუნეს მოითვლის. ქართველი მემატიანე ლეონტი მროველი (X ს.) თავის დიდებულ ნაშრომში — „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ წერს: „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქვეყანა ხარკით“. აი, იქიდან მოყოლებული, საქართველოში დასახლებული ებრაელები ქართველებთან მეგობრულად ცხოვრობდნენ. ბუნებრივია, რომ ასწლეულების მანძილზე ცხოვრების შედეგად, ეთნოსი თავის კვალს ყველაფერში, უპირველესად კი ტოპონიმიკაში ტოვებს.

ძნელი სათქმელია, თუ კონკრეტულად რა დროს დასახლდნენ ებრაელები თბილისში, თუმცა ის კი ცნობილია, რომ ეს ადრეულ საუკუნეებშივე მოხდა. ამას გვაფიქრებინებს ის ტოპონიმიც, რომელიც დედაქალაქის ერთ-ერთმა ძველმა უბანმა შემოინახა: დღევანდელ ასათიანის ქუჩასა და მთის ფერდობს შორის მდებარე დასახლებას წინათ, ფეთხაიმის უბანი ერქვა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ის იყო ებრაული ეთნოსის წარმომადგენელთა კომპაქტურად დასახლების პირველი ადგილი, რადგან სიტყვა „ფეთხაიმ“ ებრაული წარმოშობისაა, ივრითზე „ბეთ“ (თანხმოვნები „ფ“ და „ბ“ ერთმანეთს ენაცვლება ხოლმე) — სახლს ნიშნავს, ხოლო „ხაიმ“ — სიცოცხლეს. ამგვარად, თუ სიტყვასიტყვით ვთარგმნით, გამოდის — „სიცოცხლის სახლი“. ■

## იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ №25-ში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 9 | 4 | 3 | 6 | 8 | 7 | 1 | 2 |
| 8 | 6 | 1 | 7 | 2 | 5 | 3 | 9 | 4 |
| 2 | 3 | 7 | 1 | 4 | 9 | 8 | 6 | 5 |
| 4 | 8 | 3 | 9 | 1 | 2 | 5 | 7 | 6 |
| 9 | 7 | 2 | 8 | 5 | 6 | 1 | 4 | 3 |
| 6 | 1 | 5 | 4 | 3 | 7 | 9 | 2 | 8 |
| 1 | 5 | 6 | 2 | 7 | 3 | 4 | 8 | 9 |
| 7 | 2 | 8 | 5 | 9 | 4 | 6 | 3 | 1 |
| 3 | 4 | 9 | 6 | 8 | 1 | 2 | 5 | 7 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 4 | 3 | 8 | 7 | 1 | 5 | 2 | 6 |
| 2 | 5 | 1 | 4 | 6 | 9 | 7 | 8 | 3 |
| 8 | 7 | 6 | 2 | 3 | 5 | 9 | 4 | 1 |
| 4 | 6 | 7 | 3 | 9 | 2 | 8 | 1 | 5 |
| 1 | 8 | 5 | 7 | 4 | 6 | 2 | 3 | 9 |
| 3 | 9 | 2 | 5 | 1 | 8 | 6 | 7 | 4 |
| 5 | 3 | 8 | 9 | 2 | 4 | 1 | 6 | 7 |
| 6 | 2 | 4 | 1 | 5 | 7 | 3 | 9 | 8 |
| 7 | 1 | 9 | 6 | 8 | 3 | 4 | 5 | 2 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 3 | 2 | 1 | 7 | 5 | 9 | 8 | 6 |
| 1 | 6 | 7 | 3 | 8 | 9 | 5 | 4 | 2 |
| 8 | 5 | 9 | 2 | 4 | 6 | 3 | 7 | 1 |
| 7 | 8 | 1 | 9 | 5 | 3 | 6 | 2 | 4 |
| 5 | 4 | 3 | 6 | 2 | 7 | 1 | 9 | 8 |
| 9 | 2 | 6 | 4 | 1 | 8 | 7 | 5 | 3 |
| 3 | 9 | 8 | 5 | 6 | 4 | 2 | 1 | 7 |
| 2 | 7 | 5 | 8 | 3 | 1 | 4 | 6 | 9 |
| 6 | 1 | 4 | 7 | 9 | 2 | 8 | 3 | 5 |

### * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 | | 5 | 7 | 3 | | |
| | 5 | | | | 4 | 2 | | |
| 3 | | | | 9 | | | | 8 |
| 2 | | | | | | | 3 | |
| | | | | | 1 | | | |
| | 3 | | 5 | | | | | 4 |
| 9 | | | | 1 | | | | 5 |
| | | 7 | 9 | | | | 6 | |
| | | 2 | 8 | 7 | | 1 | | |

### ** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | | 1 | | | 9 | |
| 1 | | | | 5 | | | | 3 |
| | | | | | 8 | | 6 | |
| | | 9 | 5 | | | | | 7 |
| | 4 | | 7 | | 1 | | 3 | |
| 6 | | | | 8 | | 4 | | |
| | 7 | | 8 | | | | | |
| 9 | | | | 7 | | | | 2 |
| | 3 | | | 2 | | | 5 | |

### *** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | | | | 8 | |
| | 6 | | | | 9 | | 4 | |
| | | 9 | | | 6 | | | 1 |
| 7 | | | | 5 | | 6 | | |
| | 4 | | | 2 | 7 | | 9 | |
| | | 6 | 4 | | | | | 3 |
| 3 | | | 5 | | | 2 | | |
| | 7 | | 8 | | | | 6 | |
| | 1 | | | | 2 | | | |



M K

# ფოტოკურიოზები













# ოსკარი

# „მის თინეიჯერი"

## ზაფხულის სეზონი



**კონკურსი მის თინეიჯერი უკვე დაიწყო!**

იმისათვის, რომ ხმა მისცეთ თქვენს რჩეულს, SMS ველში აკრიფეთ სასურველი კონკურსანტის კოდი და გააგზავნეთ ნომერზე: 8888.

თამაშდება: ტურისტული საგზურები, ძვირფასი სამკაული საიუველირო მაღაზია „დელფოსისგან", პერსონალური პორტფოლიო, ფოტოსესია ჟურნალ „პომონდში", კონტრაქტი სამოდელო სააგენტოსთან, იტალიური კოსმეტიკა თინეიჯერებისთვის, სოლარიუმ „ერგოლაინის" აბონემენტი, მუზარადე „მადონას" ფეხსაცმელი და კიდევ ბევრი ძალიან კარგი პრიზი.

კონკურსანტთა ფოტოები იბეჭდება ჟურნალ „პომონდში" და განთავსდება ინტერნეტპორტალზე:

„ოსკარი"
www.ambebi.ge

კონკურსანტების სილამაზეზე ზრუნავს სალონი „ნიცა და ლუქსი" და სტილისტი ლუდმილა.

**დაეხმარე შენს რჩეულს გახდეს ზაფხულის სეზონის გამარჯვებული!**

101



102



103



104



დამატებითი ინფორმაციისათვის იკითხე ჟურნალი „ოსკარი".